პალონიის თიხაში. ეს 1:1 თიხებია. ფანგბადის კავშირი მტკიცედ აერთებს შრეებს ერთმანეთთან, ამდენად წყალი ვერ აღწევს შრეებს შორის. თუმცა, კაოლინი ყველა თიხაზე ნაკლებად ჯირჯევდება. მას ნიადაგის კათიონების აღსორბციისათვის ყველაზე მცირე ზედაპირი გააჩნია. ძლიერი კავშირი საშუალებას აძლევს შლამის ოღნავ ნაწილაკების მიერთების. კაოლინი ძლიერ პლასტიურია და მეთიხობაში გამოიყენება.

ოქსიდური თიხაში. ოქსიდური თიხები, რომლებსაც ერთნახევარფანგები ეწოდებათ. წარმოადგენენ რკინის (Fe_2O_3) და ალუმინის ოქსიდების ($Al(OH)_3$) მცირე ნაწილაკებს. ოქსიდები საყოველთაოდ გავრცელებულია ძველ ნიადაგებში ტენიანი, ტროპიკული კლიმატის პირობებში. ატმოსფერული მოლეკულების ზანგრძლივი მოქმედება ასდენს სილიციუმისა და ალუმინის გარკვეული რაოდენობის გაქრობას და ტოვებს ოქსიდებს. ოქსიდურ თიხებს ტენდენცია აქვთ შეერთდნენ ძლიერ, დაცულ, ქვიშის ზომის ნაწილებად, რომლებიც ქვიშას მოგვაგონებს. ოქსიდურ თიხებს შეუძლიათ დიდი ფენების წარმოქმნა, მაგრამ არ ახდენენ კრისტალური სტრუქტურებისა და სილიკატური თიხების ფორმირებას. ოქსიდური თიხები არ ჯირჯევდება, არ არის წებოვანი და აქვს საკვები ნივთიერების შეაკვების შეზღუდული უნარი.

კუმუსი. კუმუსის ნაწილაკები გახსნაზე ორგანული ნივთიერებების ლპობის ნარჩენები. ისინი არ წარმოადგენენ კრისტალებს და წარმოქმნიან არათანაბარ, მრგვალ ფორმებს. მათ არ გააჩნიათ თიხებისათვის დამახასიათებელი არც ერთი თვისება, როგორც არის წებოვნება ან პლასტიურობა. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ საკვები ნივთიერებების აღსორბციის უკეთესი უნარი, ეიდრე თიხებს. კუმუსი არასტაბილურია. დროთა განმავლობაში ის ნახშირორჟანგად იქცევა.

დამუხტული ან კოლოიდური თიხაში. კოლოიდები, როგორც წყისი, უარყოფითად არის დამუხტული და ნიადაგის ხსნარიდან კათიონებს იზიდავს. უარყოფით მუხტს თიხის ნაწილაკები ორი გზით იძენენ. პირველი: ჰიდროქსიდის ზოგი ჯგუფი თიხის მიცელის გატეხილ ბოლოს კარგავს წყალბადის იონს. წყალბადის იონი არის უარყოფით პროტონი, რაც ქმნის მუხტის დისბალანსს. შესაბამისად, დარჩენილ ფანგვლად აქვს უარყოფითი მუხტი.

მეორე გზა იზომორფული ჩანაცვლება. თიხის შრეში ერთ კათიონს შეუძლია მსგავსი ზომის სხვა კათიონის ჩანაცვლება. მაგალითად, ალუმინს (Al^{3+}) სილიციუმის შრეში შეუძლია სილიციუმის ატომის (Si^{4+}) ჩანაცვლება. რამდენადაც კათიონი ერგება, მას ნაკლები დადებითი მუხტი აქვს. ეს ტოვებს „ლუკას“ კრისტალში, რომელსაც დადებითი მუხტის დეფიციტი გააჩნია. ეს ლაკა ნეგატიურად იმუხტება.

ვინაიდან მიცელა შეიცავს ასეთი ნეგატიური „ლუკების“ დიდ რაოდენობას, მთელი ნაწილაკიც ნეგატიური მუხტის მატარებელია. უარყოფითი მუხტი იზიდავს დადებითად დამუხტულ კათიონს და ამდენად, მიცელა გარშემორტყმულია კათიონების ჯგუფით. დადებითი და უარყოფითი მუხტები აბალანსებს ერთმანეთს ნულოვან მუხტამდე.

თიხები განსხვავდება ადგილების რაოდენობით უარყოფითი მუხტისათვის, ამკვარად მათი უნარიც, შეინარჩუნონ კათიონები, განსხვავებულია:

- კაოლინს მცირე უარყოფითი მუხტი გააჩნია, რადგან ადგილი აქვს მცირე იზომორფულ ჩანაცვლებას. ჩანაცვლების ერთადერთი ადგილია თიხის მიცელის გატეხილ ბოლოებში არსებული ჰიდროქსიდის ჯგუფები.

ბენტიონიტს ბევრი უარყოფითი ადგილი აქვს, რადგან მანგიუმის იონები (Mg^{+2}) ალუმინის ფენაში ანაცვლებენ ალუმინის (Al^{+3}) ზოგ იონს. გარდა ამისა, კათიონებს შეუძლიათ აღსორბიერება 2:1 შრეებს შორის.

ვერმიკულიტს კიდევ უფრო დიდი უარყოფითი მუხტი აქვს, რადგან სილიციუმის დასხლებით ოთხიდან ერთი ატომის ჩანაცვლება ალუმინით ხდება. წარმოადგენს რა გაჯირჯკებად თიხას, შესაძლებელია ზოგი კათიონის შენარჩუნება 2:1 შრეებს შორის.

ილიტს იგივე შემცველი გააჩნია, რაც ვერმიკულიტს. მიუხედავად ამისა, ვინაიდან შრეების დაკავშირება კალიუმის მემუვებით ხდება, შრეებს შორის მხოლოდ მცირე რაოდენობის კათიონების შენარჩუნება შესაძლებელი. შესაბამისად, ილიტს ნაკლები კათიონის შენარჩუნება შეუძლია, ვიდრე ვერმიკულიტს.

ერთნახევარწიანებს ძალიან მცირე უარყოფითი მუხტი გააჩნიათ, გარდა ზედაპირზე არსებული ჰიდროქსილის რამდენიმე ჯგუფისა.

ჰუმუსს მრავალი ადგილი გააჩნია. ჰუმუსში ნაპოვნ მრავალ ორგანულ ნაერთს აქვს ატორქსილის ჯგუფი, როგორც სტრუქტურის ნაწილი. ამ ჯგუფებს შეუძლიათ ჟანგბადის გატანა ჰუმუსის ნაწილაკების ზედაპირის დიდ ნაწილზე უარყოფითი მუხტის შესაქმნელად.

კათიონების ჩანაცვლება

ნიადაგის კოლოიდის ნეგატიურ მუხტს საკვანძო გავლენა აქვს საკვები ნივთიერებების მიერ ნიადაგში ქცევაზე. ვინაიდან მცირე ნაწილაკები უარყოფითი მუხტის მატარებელია, იგი მიზიდავს დადებითად დამუხტულ იონებს და განაგდებს უარყოფითად დამუხტულებს. ქმედება მიყვება წესს: „მიზიდე განსხვავებული, განაგდე მსგავსი“, დასხლებით მანგიუმის მსგავსად.

აღნიშნულის ასახსნელად მოიღო ენახოთ როგორც მუშაობს იგი თიხის ნაწილაკთან მიმართებით. თიხის ნაწილაკებს თევზის მსგავსი ფორმა აქვთ და ნეგატიურად არიან დამუხტული. ნეგატიურად დამუხტული კოლოიდი ნიადაგის ხსნარიდან იზიდავს კათიონების ჯგუფს. ეს გახლავთ აღსორბიცია.

კათიონებს შეუძლიათ ერთი ნაწილაკიდან მეორეზე გადაადგილება. როდესაც ერთი იონი ტოვებს ადგილს, მას ანაცვლებს სხვა კათიონი. ერთი იონის მეორით შეცვლას ჩვენ კათიონების ჩანაცვლებას ვუწოდებთ. კათიონები, რომელთა ჩანაცვლება შესაძლებელია ჩანაცვლების ევლებზე, ჩანაცვლებადი კათიონები ეწოდებათ, როგორც, მაგალითად, არის ჩანაცვლებადი კალიუმი.

ნიადაგის უნარი შეინარჩუნოს საკვები ნივთიერებები, პირდაპირ არის დაკავშირებული კათიონების რაოდენობასთან, რომელიც მას შეუძლია მიიზიდოს ნიადაგის კოლოიდებზე. ეს მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება თიხის რაოდენობით, თიხის სახეობითა და ჰუმუსის რაოდენობით, იზომება კათიონების ჩანაცვლების უნარით (კწუ), რომელიც გამოისახება მილიგრამის ექვივალენტით 100 გრამ ნიადაგზე (მეგ/100გ). ექვივალენტური წონა არის წონა ელემენტის ატომების რაოდენობისა, რაც უტოვდება ერთი გრამი წყალბადის ატომების რაოდენობას. კწუ აგრეთვე შესაძლოა გამოსახულ იქნას მუხტის ცენტრიმობლით ერთ კილოგრამ მშრალ ნიადაგზე (ცმოლ/კგ), თუმცა კი სიდიდე ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

აღსორბირებულ კათიონთა წონაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია მილიექვივალენტის ცნება, რადგან იგი აუქმებს სხვაობას ევლებზე კათიონების წონასა და მუხტთან მიმართებით. მაგალითად, კალიუმის ერთი მილიგრამი იკავებს ჩანაცვლების ნაკლებ ევლებს, ვიდრე ერთი მილიგრამი მანგიუმი, რადგან იგი მეტს იწონის. 100 გრამზე მილიექვივალენტების გამოყენება უზრუნველყოფს იმას, რომ კწუ-ის სიდიდე ერთი და იგივე იყოს მიუხედავად ჩანაცვლების ევლებზე კათიონების რაოდენობისა.

ქვემოთ გამოსახულ ცხრილში ჩამოთვლილია სხვადასხვა თიხების, ჰუმუსისა და ნიადაგის ტექსტურის კათიონების ჩანაცვლების უნარის სიდიდეები. გახსოვდეთ, რომ ჰუმუსს გაცილებით უფრო მაღალი კწუ გააჩნია, ვიდრე თიხას. მიუხედავად ამისა, თიხა, ჩვეულებრივ, მეტ კწუ-ს ანიჭებს ნიადაგს, ვიდრე ჰუმუსს, რადგან ნიადაგთა უმეტესობაში მილიელებით უფრო დიდი რაოდენობით თიხაა. გამოხაკლის წარმოადგენენ ორგანული ნიადაგები, რომლებიც უმეტესწილად ორგანული ნივთიერებისგან შედგება. ქვიში ნიადაგებს, სადაც თიხა მცირე რაოდენობითაა, ასევე შეუძლიათ ჰუმუსის მემუვებით ჩანაცვლების მაღალი უნარის მოპოვება.

კათიონების ჩანაცვლების უნარზე დამოკიდებულია კოლოიდების მოქმედება, რომელთა ნეგატიური მუხტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზედაპირის ჰიდროქსილის (OH) ჯგუფებზე, ასეთია ოქსიდური თიხები და ჰუმუსი, ამბობენ, რომ იგი pH-ზეა დამოკიდებული. ნიადაგის pH დეტალურად XI თავშია განხილული. მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია ნიადაგის pH, მით უფრო დიდია ნიადაგის ხსნარში ჰიდროქსილის იონების კონცენტრაცია.

კოლოიდი კათიონების ჩანაცვლების უნარი (მმ/100 გ ნიადაგი)


| | |
|--------------------|---------|
| ჰუმუსი | 100-300 |
| ვერმიკულიტი | 80-150 |
| მონტმორილინიტი | 60-100 |
| ილიტი | 25-40 |
| კაოლინიტი | 3-15 |
| ერთნახევარკანაგები | 9-3 |

ნიადაგის ტემპსტურა (ზომიერი ტემპერატურა)

| | |
|------------|----|
| თიხნარი | 30 |
| შლამი | 27 |
| თიხა | 24 |
| ქვიშა თიხა | 17 |
| ქვიშნარი | 9 |

კათიონთა ძეგვა ჩანაცვლების პოლვაჟა. თიხის მიცელის ნეგატიურად დამუხტული ზედაპირი ძლიერად იზიდავს კათიონებს. კათიონები ყველაზე მჭიდროდ ჯგუფდება მიცელის ზედაპირის სიახლოვეს და ამგვარად ხდება ნეგატიური მუხტის ნეიტრალიზება. კათიონებს შეუძლიათ მიცელაზე გადაადგილება და ხსნარის კათიონების ჩანაცვლება. შერჩევას კათიონებისა, რომლებიც ტოვებენ მიცელას ან აბსორბირებული ხდებიან, რამდენიმე ფაქტორი აკონტროლებს. მათგან ორი უმნიშვნელოვანესია: 1) თითოეული კათიონების მიკრის შეფარდებითი უნარი და 2) თითოეული სახეობის კათიონთა რაოდენობა.

თუ კათიონები ნიადაგში თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი, მაშინ ერთი, რომელიც ყველაზე მჭიდროდ არის ჩანაცვების ველს მიკრული, იქნება, ის, რომელიც საეარაოდოდ მიცელაზე აღმოჩნდება. ყველაზე ძლიერად აღსორბირებადი კათიონია ალუმინი, რომელსაც კლვადი წესით მიყვებიან:



ჩაუთვალთ, რომ ნიადაგში კალციუმისა და ნატრიუმის იონების რაოდენობა თანაბარია. კალციუმს ტენდენცია აქვს დაიყროს ჩანაცვლების ველი, რადგან იგი უფრო ძლიერად ახდენს მიცელაზე აღსორბირებას. ნატრიუმი კი ნიადაგის ხსნარიდან გაქცევას ცდილობს.

მიორე მაკონტროლებელი ფაქტორია მას-ქმედება. იგი ნიშნავს, რომ, რაც უფრო დიდია ნიადაგში იონების რაოდენობა, ჩანაცვლების მეტ ველებს დაიკავენ ისინი. მაგალითად, კირქვის (კალციუმის კარბონატი) მაღალი შემცველობის ნიადაგებში გადასვლის ველების უმეტესობა კალციუმის მიერ არის დაკავებული. მას-ქმედება ქიმიური წონასწორობის ფუნქციაა.

წარმოიდგინეთ ნატრიუმის მაღალი შემცველობის ნიადაგების დამუშავება თაბაშირით (კალციუმის სულფატი). მაღალ ნატრიუმთან ნიადაგებში ჩანაცვლების მრავალი ველი ნატრიუმის მიერ არის დაკავებული (15 პროცენტზე მეტი). როდესაც ხდება თაბაშირის დამატება, კალციუმი ანაცვლებს ნატრიუმს ჩანაცვლების ველებზე. გაქეებული ნატრიუმი უერთდება ნიადაგის ხსნარს და იკარგება წყალში. კალციუმი ჩანაცვლების ველებზე ნატრიუმს ანაცვლებს მას-ქმედების მეშვეობით (ხსნარში კალციუმის იონების დიდი რაოდენობა) და კიდევ იმ მიზეზით, რომ კალციუმი ნატრიუმის მიერ არის აღსორბირებული.

კათიონები, რომლებიც სუსტად არის მიბმული, შედარებით იოლად ჩანაცვლდება. მათ პირობითი ჩანაცვლებადი კათიონები ეწოდებათ. ზოგი მათგანი საკმაოდ მჭიდროდ არის მიბმული

კოლოიდებს ან შესაძლოა შეყვრიბილ იყოს თიხის მიცელის შრეებს შორის. ჩვეულებრივ, ისინი აღვიდავ ვერ გადადიან ნიადაგის ხსნარში და მათ ჩანაცვლებადი კათიონები ეწოდება.

ანიონები ან **ნეგატიური** ზოგი საკვები ნივთიერება მცენარეს მიეწოდება ნეგატიურად დამუხტული იონების ან ანიონების სახით. ნეგატიური მუხტი ნიშნავს, რომ ანიონი გაძევებულ იქნა ჩანაცვლების ველთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ელემენტები, მაგალითად გოგირდი, დიდი ოდენობით ორგანული ფორმით ჰუმუსშია დაცული, ანიონების ჩანაცვლების პროცესი მინც ინარჩუნებს ანიონების მცირე რაოდენობას.

ანიონების ჩანაცვლების ველები საწინააღმდეგოა კათიონების ჩანაცვლების ველებსა, საიდანაც წყალბადი ჰიდროქსიდის ჯგუფიდან გაძევებულია. ანიონების ჩანაცვლების ველზე დამატებითი წყალბადი უერთდება ჰიდროქსიდის ჯგუფს და იქმნება სუფთა დადებითი მუხტი. დადებით მუხტს, შემდეგ შეუძლია ანიონების მიზიდვა. ნიადაგთა უმრავლესობისათვის ანიონების ჩანაცვლების უნარი საკმაოდ დაბალია. საშუალო სიღრმეა მილიეტიკვილეენტის რამდენიმე მეათედი 100 გრამ ნიადაგზე. ანიონების ჩანაცვლება ყველაზე მაღალია მჟავა ნიადაგებში, მაღალი – ოქსიდურ თიხებში.

კათიონების ჩანაცვლების უნარის ბამოყენება. ფერმერების მიერ ნიადაგის გამოყენება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კათიონების ჩანაცვლების უნარზე. ნიადაგები მაღალი კჩუით, სადაც მნიშვნელობა მერყეობს 11 და 50 ერთეულს შორის, როგორც წესი, დიდი რაოდენობით თიხას შეიცავს. ნიადაგები დაბალი კჩუით, სადაც მნიშვნელობა 11 ერთეულზე დაბალია, ჩვეულებრივ, დიდი რაოდენობით ქვიშას შეიცავს. წებოვან ნიადაგებში დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის თიხებია, სადაც კათიონების ჩანაცვლების უნარი ყველაზე მაღალია. თუმცა, კათიონების ჩანაცვლების უნარზე გავლენა აქვს ნიადაგის ფიზიკურ მახასიათებლებს, როგორც არის ტექსტურა და სიმჭიდროვე.

კათიონების ჩანაცვლების უნარი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობით პერმიტიბილ უნდა მოხდეს ნიადაგზე. კოლოიდები პესტიციდებს ისევე შეიწოვს, როგორც საკვებ ნივთიერებებს. შესაბამისად, თიხა და ჰუმუსი მრავალ ქიმიურ ნივთიერებას იჭრავს. შედეგად, ჩვენ ზშირად მეტი ქიმიკატი უნდა გამოვიყენოთ მაღალი კჩუის მქონე თიხა ნიადაგებში, ვიდრე დაბალი კჩუის მქონე ქვიშა ნიადაგებში.

რაოდენობა კირქვისა, რომელიც აუცილებელია ნიადაგის pH-ის შესაცვლელად, ასევე კჩუის ფუნქცია. ნიადაგში კირის შეტანის პროცესში კალციუმი გამოაძეებს წყალბადს კათიონების ჩანაცვლების ველებზე. რაც უფრო მეტი ჩანაცვლების ველია ნიადაგში, მით მეტი კირია საჭირო. შესაბამისად, ფერმერმა მეტი კირი უნდა შეიტანოს წვრილტექსტურაიანი ნიადაგის მჟავიანობის გამოსწორებლად, ვიდრე მსხვილტექსტურაიან ნიადაგში.

კათიონების ჩანაცვლების უნარს გავლენა აქვს სასუქების შეტანის პრაქტიკაზე. მაღალი კჩუის ნიადაგებს კათიონური საკვები ნივთიერებების შენარჩუნების უფრო დიდი პოტენციალი აქვთ, ვიდრე დაბალი კჩუის მქონე ნიადაგებს. სასუქის მცირე რაოდენობის ზშირად შეტანა აუცილებელი დაბალი კჩუის ნიადაგებში, რათა აცილებულ იქნას განტუტანებით გამოწვეული დანაკარგები, როდესაც მაღალი კჩუის ნიადაგებში საჭიროა დიდი რაოდენობით სასუქის შედარებით იშვიათად შეტანა. გოლფის მოედნების მენეჯერებს მწვანე მოედნებზე სასუქი იშვიათად შეაქვთ. სათბობთა მესაკუთრებს, რომლებიც უნიადაგო დაბალი კჩუის მქონე ნაერთებს იყენებენ, შეუძლიათ სასუქის იოლად შეტანა ყოველ მორწყვასთან ერთად.

კათიონთა ჩანაცვლების კონცეფციის თანახმად, ქვიშა ნიადაგის კათიონთა ჩანაცვლების უნარის გამოსწორება უფრო ადვილია ორგანული ნივთიერებების შემადგენლობის შეცვლისა და არა თიხის დამატებით. ზომიერ კლიმატურ პირობებში თიხების უმეტესობა კაოლინი (CEC=3-15 მექ) და ილიტა (CEC=25-40 მექ). ასეთი თიხებისაგან შემდგარ ნიადაგში თიხის თითოეული პროცენტი ნიადაგის კათიონთა ჩანაცვლების უნარს ზრდის 0.03-0.05 მექ-ით. ჰუმუსის თითოეული პროცენტი კი, მორეს მხრივ, 1-3 მექ-ით ზრდის. შესაბამისად, თიხასთან შედარებით გაცილებით ნაკლები ორგანული ნივთიერებაა საჭირო ნიადაგის კათიონთა ჩანაცვლების უნარის გასაუმჯობესებლად.

პრომინენტული ბაქტერიები. ნიადაგში სასუქების შეტანაზე გავლენა აქვს არა მხოლოდ კათიონთა ჩანაცვლების უნარს (რამდენი კათიონის შენარჩუნება შეუძლია მას), არამედ ასევე იმას, თუ რამდენი კჩუ არის რეალურად შეესებელი მცენარეთა საკვები ნივთიერებით. ჩანაცვლების ველები შესაძლოა შეესებულ იყოს ორი ჯგუფის კათიონებით. ერთი ჯგუფი შედგება წყალბადისა და ალუმინისგან, რომლებიც საერთოდ არ წარმოადგენენ მცენარეთა საკვებს. მათი უმთავრესი

მნიშვნელობა ნიადაგის მკვანობაზე ზემოქმედებაა. დინარჩენ კათიონებს ჩანაცვლებადი ბაზები ეწოდებათ და შეიცავენ ისეთ ელემენტებს, როგორც არის კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი და ნატრიუმი. ნატრიუმის გარდა ბაზები საკვები ნივთიერებებია.

პროცენტულად ჩანაცვლებადი ბაზებით შევსებულ კათიონთა ჩანაცვლების ველებს საბაზო გაჯერება ეწოდება. იგი გამოხატავს თუ ნიადაგის რა „პროცენტულ სასუქს“, კჟუ-ს იკავებენ ჩანაცვლებადი ბაზები. მაგალითად, თუ ნიადაგის მთლიანი კჟუ 10 მილიექვივალენტია 100 გრამ ნიადაგზე, ხოლო ბაზებს 10-დან 6 აქვთ დაკავებული, მაშინ საბაზო გაჯერების პროცენტი 60-ია. უმეტესი კულტურები საუკეთესოდ იზრდება იქ, სადაც საბაზო გაჯერება 80% და მეტია. ასეთ კულტურების საკვები ნივთიერების ხარისხიანი მიწოდება ესაჭიროებათ. ზოგი ზე, რომელიც უნაყოფო ნიადაგში იზრდება, შესაძლოა ხარობდეს პირობებში, როდესაც საბაზო გაჯერება დაახლოებით 50%-ია.

საკვამბი ნივთიერებაში მიღება. ამ თავში უკვე იყო ნახსენები ორი ფაქტორი, რომელსაც ნიადაგის ნაყოფიერებაზე აქვს გავლენა: 1) ნიადაგის სასაწყობო უნარი (კათიონთა ჩანაცვლების უნარი), და 2) რაოდენობა საკვები ნივთიერებისა (პროცენტული საბაზო გაჯერება), რომელსაც ეს საწყობი შეიცავს. ნაყოფიერების მესამე ფაქტორია ის, თუ რამდენად ადვილად შეუძლიათ ფესვებს საკვები ნივთიერებების მიღება. როგორ იღებენ მცენარეები საკვებს ნიადაგიდან?

მცენარეები საკვებს შეიწოვენ იონების სახით, როგორც ეს ზემოთ მოცემულ ცხრილში იყო ნაჩვენები. საკვები ნივთიერებების შეწოვა ნიშნავს, რომ საკვები ნივთიერებების იონები შეადგენენ ფესვის უჯრედთა მემბრანებში და თანდათან გადაადგილდებიან ძარღვების მეშვეობით მცენარის დარჩენილი ნაწილისაკენ. რიგი შემთხვევებისას ზოგი საკვები ნივთიერება შესაძლოა პასუხად იქნას აბსორბირებული წყლის მეშვეობით, რომელიც ფესვებში აღწევს, მაგრამ შემთხვევათა უმეტესობისას უფრო აქტიური პროცესია საჭირო. ფაქტიურად, ფესვებს შესაძლოა აქონდეთ ზოგი საკვები ნივთიერების ისეთი კონცენტრაცია, რომელიც ასჯერ აღემატება ნიადაგის ხსნარისას. საკვები ნივთიერებისათვის პასიური შეღწევა მსგავსი იქნებოდა წყლის დინებისა აღმართში. ფესვები აქტიურად ახდენენ საკვებ ნივთიერებათა იონების ტრანსპორტირებას ფესვის უჯრედების მემბრანების გავლით. ეს გახლავთ აქტიური პროცესი, რომელიც ენერჯიას მოითხოვს. ვინაიდან ფესვები ენერჯიას სუნთქვისას გამოიმუშავენ, სუნთქვის შემზღუდვადი გარემოებები, როგორც არის, მაგალითად, ნიადაგის დატბორვა, ასევე ზღუდვას ნივთიერებათა შეწოვას. გარდა ამისა, უჯრედის მემბრანებში იონების აქტიური ტრანსპორტირება საშუალებას იძლევა მოხდეს გარკვეული სახის შერჩევა – ფესვს შეუძლია ერთი ელემენტი მორეზე მეტად მიიღოს.

ნიადაგის ხსნარი მზარდ ფესვს არტყია გარს ნიადაგის ფორებში. ფესვის ბუსუსები იონებს უშუალოდ ნიადაგის ხსნარიდან იღებენ კათიონების და ანიონების ჩანაცვლების მათი საკუთარი ფორმის გამოყენებით. თუ კათიონი გამძვეული იქნება ხსნარიდან, ფესვი მიატოვებს წყალბადის იონს (H^+), რათა ჩანაცვლოს იგი ნიადაგის ხსნარში. თუ ხდება ხსნარიდან ანიონის აბსორბირება, ფესვი მიატოვებს ანიონს მის ჩანაცვლებლად. ჩანაცვლება ინარჩუნებს ელექტრულ ბალანსს ფესვსა და ნიადაგში.

მცენარეები ჩანაცვლებად ბაზებს ხსნარიდან იღებენ და ანაცვლებენ მათ წყალბადის იონებით. ვინაიდან წყალბადი უფრო ძლიერ მიბმას ქმნის ჩანაცვლების ველებზე, ისინი ანაცვლებენ კათიონებს. ეს ჩანაცვლება ანახლებს ხსნარში საკვებ ნივთიერებათა კათიონების რაოდენობას, რაც საშუალებას აძლევს მცენარეებს განაგრძონ ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების მიღება. თუმცა ღროდღრო ჩანაცვლება ზრდის ჩანაცვლების ველებზე მიბმული წყალბადის იონების რაოდენობას და ამცირებს საპროცენტო გაჯერებას.

როდესაც ენერჯიას სასუქი და კირი შეაქვს ნიადაგში, იგი საკვებ ნივთიერებათა კათიონების დაკარგვის საპირისპირო ქმედებას ჩადის. თუ, მაგალითად, კალიუმის სასუქის შეტანა კალიუმის ქლორიდის სახით ხდება, კალიუმი მას-ქმედების გზით ჩანაცვლებს სხვა კათიონებს, მათ შორის წყალბადს.

ფსპსიმიმირი შთანთქმა ფესვთა სისტემის განვითარების უშუალო შედეგია. ფესვი ზრდასთან ერთად ანაცვლებს მოცულობას ნიადაგისა, რომელიც საკვებ ნივთიერებებს შეიცავს. ეს საკვები ნივთიერებები ფესვის ზედაპირზე ხდება და მზად არის შეწოვისათვის. ფესვს, ფაქტიურად, კონტაქტი აქვს ნიადაგის საკმაოდ მცირე რაოდენობასთან. ამდენად, აუცილებელია საკვები ნივთიერების მიღების სხვა საშუალებები.

მას-დინებას საკვებ ნივთიერებათა იონები მახლობელი ნიადაგებიდან წყლის მეშვეობით ფესვებისაკენ მოაქვს კაპილარული ზემოქმედების გზით. საკვებ ნივთიერებათა ტრანსპორტირების ძალა ამ შემთხვევაში არის წყლის ელექტროლი კვლის დაძაბულობა. მას-დინება დამოკიდებულია მცენარის მიერ წყლის გამოყენებაზე და ყველაზე ეფექტურად საკვებ ნივთიერებებს აწვდის, როდესაც მცენარეები წყალს სწრაფად იღებენ და ნიადაგი ტენიანია.

დღევანდელ საკვებ ნივთიერებათა მახლობელი ნიადაგებიდან, მაგრამ იონები დიფუზირებენ ნიადაგის წყლის გავლით და არ არიან გადატანილი ამ წყლით. გადაადგილების ძალა არის საკვებ ნივთიერებათა კონცენტრაციის გრადიენტი.

მაგალითად, კალციუმი განვიხილოთ. ფესვთან ახლოს ნაკლები რაოდენობის კალციუმია, რადგან ფესვი განდევნის მას. პასუხად, კალციუმის იონები ფესვის მიმართულებით მოძრაობს ნიადაგის წყლის მეშვეობით (არა მასთან ერთად), რათა შეიქმნას ახალი ბალანსი. იონები გადაადგილდება უფრო მაღალი კონცენტრაციის ადგილებიდან უფრო დაბლისაკენ. ეს უფრო ნელი პროცესია, ვიდრე მას-დინება.

ვინაიდან საკვები ნივთიერებები დიფუზირებს წყლის აკვში, დიფუზია განსაკუთრებით მგრძობიარეა ტენიან ნიადაგში და მკვეთრად მცირდება მშრალ ნიადაგში.

რადგან სამივე მექანიზმი ერთდროულად მოქმედებს, ფესვისმიერი შთანთქმის, მას-დინებისა და დიფუზიის შედეგებით მნიშვნელოვან დამოკიდებულებაა მცენარის სახეობაზე, კონკრეტულ საკვებ ნივთიერებაზე, ნიადაგის ტექსტურაზე, ტენიანობის მაჩვენებელსა და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, მას-დინებას მცირე წვლილი შეაქვს ფოსფორის და კალიუმის შეწოვაში, თუკი მას დიფუზიის შეეადრებო. ზოგადად, დიფუზია ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია, მაშინ, როდესაც ფესვისმიერი შთანთქმის, ჩვეულებრივ, ყველაზე მცირე წვლილი შეაქვს საკვები ნივთიერების შეწოვასთან მიმართებით.

შეწოვაზე მოქმედი ფაქტორები. მცენარეთა მიერ საკვები ნივთიერების შეწოვაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. მათ შორისაა ნიადაგის მახასიათებლები, როგორც არის ყვებადის მიწოდება, წყლის მიწოდება და ნიადაგის ტემპერატურა. ნიადაგში ფესვების განაწილება კიდევ ერთი ფაქტორია.

აქტიური შეწოვა მოიხმარს ენერჯიას, რომელიც ფესვების სუნთქვის დროს გამოიყოფა. ფესვების სუნთქვისათვის აუცილებელი საწვავი წარმოიქმნება ფოთლების მიერ ფოტოსინთეზის დროს და ფესვებს მცენარის ძარღვის სისტემის მეშვეობით მიეწოდება. ნებისმიერი რამ, რაც ხელს უშლის აღნიშნულ პროცესს, ასევე ამცირებს საკვები ნივთიერებების მიღების მაჩვენებელს. მაგალითად, მცენარე, რომელიც დაბალი განათების პირობებში იზრდება, ფესვებისათვის გადასაცემად მცირე რაოდენობის შაქარს გამოიმუშავებს და ფესვი, შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე საკვებ ნივთიერებას შეწიფებს. იწება ეს ბალახი ხის ქვეშ თუ ეზოს მცენარე, სასუქების შეტანა, შხის შეუქმნად ზრდასთან მიმართებით, უნდა შემცირდეს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ, რადგან სუნთქვისას უანგბადი გამოიყენება, პირობები, რომელიც ზღუდავენ უანგბადის მიწოდებას, ასევე ზღუდავენ საკვები ნივთიერებების შეწოვას. ცუდი დრენაჟი და ნიადაგის სიმჭიდროვე ამცირებს უანგბადის გადაცემას ნიადაგისათვის. შედეგად, აღნიშნული პირობები ასევე ზღუდავენ მცენარის შესაძლებლობას შეწიფოს საკვები ნივთიერებები. ეს გახლავთ კიდევ ერთი მიზეზი სველი ნიადაგის დრენაჟისა და სიმჭიდროვის ასაცილებლად.

მშრალი ნიადაგები ამცირებენ საკვები ნივთიერებების მიღებას, რადგან წყლის ნაკლებობა ხელს უშლის ამ ნივთიერებათა გადაადგილებას ფესვთა ბუსუსებისაკენ მას-დინების ან დიფუზიის გზით. მაგალითად, ფოსფორი ნიადაგში უმეტესწილად დიფუზიის მეშვეობით გადაადგილდება. შესაბამისად, ფოსფორის შეწოვა მკვეთრად არის შემცირებული მშრალ ნიადაგში.

საკვების შეწოვაზე აგრეთვე მოქმედებს ტემპერატურა. ყველა ქიმიური რეაქციის ოდენობა, ნიადაგსა და მცენარეებში რეაქციების ჩათვლით, ტემპერატურაზე დამოკიდებულია. სუნთქვის ხარისხი იკლებს ცივ ნიადაგში, რის გამოც მცენარეს ნაკლები ენერჯია აქვს საკვები ნივთიერების შეწოვისათვის. ფესვის ზრდაც ყოვნდება ცივ ნიადაგში, რაც ზღუდავს ფესვის მიერ საკვები ნივთიერების შთანთქმას. ორგანულ ნივთიერებათა მინერალიზაციაც მცირდება და, შესაბამისად, მისაწვდომია მხოლოდ მცირე რაოდენობის ორგანული ნივთიერებები. ამ მიზეზების გამო ნიადაგი ხელს უშლის საკვები ნივთიერებების შეწოვას. მაგალითად, გაზაფხულზე, როდესაც ნიადაგი ცივი და სველია, შეიმჩნევა ფოსფორისა და რკინის დეფიციტი. მის გადასალახავად ფერმერებს დათესილი თესლის მახლობლად დამატებით ფოსფორის სასუქი შეაქვთ. შესათბურებს

უნდა გაანდეთ ცივი ნიადაგის ეფექტის ცოდნა, რადგან სარწყავი წყალი ზამთრის პერიოდში შესაძლოა საკმაოდ ცივი იყოს და ზელი შეუწყოს საკვები ნივთიერებების დეფიციტს. ქვეყნის უდიდეს ნაწილში ბალახებისა და ზეებისათვის სასუქის შესატანად შემოდგომა ყველაზე სასურველი დროა. პერის ტემპერატურა გრილია და ყლორტების ზრდა შეჩერებულია, მაგრამ ფესვები კვლავაც აქტიურია ზომიერ და თბილ ნიადაგში. წელიწადის ამ დროს სასუქის შეწოვა ადვილად ხდება და იგი ინახება ფესვებში მომავალი სეზონისათვის, რითაც თაყიდან არის აცილებული ადრე გაზაფხულის ცივ ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები.

საკვებ ნივთიერებათა იონების რაოდენობის ზრდა ნიადაგში აუმჯობესებს აბსორბციას. ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ახდენენ სასუქების შეტანას. თუ რომელიმე ელემენტი, მაგალითად, კალიუმი, საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება, მცენარეები მეტსაც კი შეიწოვენ, ვიდრე იყენებენ. ასეთ მდგომარეობას ჭარბი მოხმარება ეწოდება. თუმცა, ვინაიდან ჭარბი რაოდენობა მცენარის უჯრედებში ინახება, იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოვეიანებით, თუკი რაიმე დააბრკოლებს ფესვების მიერ საკვები ნივთიერებების შეწოვას.

შეწოვა ყველაზე სწრაფად, რასაკვირველია, იქ ხდება, სადაც ფესვების რაოდენობა ყველაზე დიდია. ჩვენ ვიცით, რომ ფესვები საუკეთესოდ იქ იზრდება, სადაც პერი, წყალი და საკვები ნივთიერებები კარგად მიეწოდება. ფორიანობას, სიმჭიდროვესა და სასუქებს გაეღენა აქეთ ფესვის ზრდაზე, ისევე, როგორც ნიადაგსა და ფესვის სიღრმეს. მცენარეებს ფესვთა ღრმა სისტემით ნაკლები სასუქი სჭირდებათ, ვიდრე მცენარეებს ფესვთა სუსტი სისტემით. მცენარეებმა ნიადაგებში შემზღუდავი ზონებით, როგორიც არის დიდი რაოდენობით წყალქვეშა წყლები, ღრმულები და ქანები, შესაძლოა ფესვთა სუსტი სისტემა განავითარონ.

რიზოსფერის ორგანიზმები და მათი ურთიერთქმედება მცენარის ფესვებთან გაეღენას ახდენს საკვები ნივთიერებების შეწოვაზე. ნიადაგური მიკროორგანიზმები, როგორიც არის ნემატოდები ან ფესვის ლაბობის სოკო, ზიანს აყენებს ფესვების უნარს შეიწოვონ საკვები ნივთიერებები, მაშინ, როდესაც მიკორიზული ინფექციები ხელს უწყობს მას. რიზოსფერის ზოგი მიკრობი საკვებ ნივთიერებებს უფრო მისაწვდომს ხდის. მეორეს მხრივ კი, მწერები მცენარის ფესვებით იკვებებიან.

ცხრილში შეჯამებულია ნიადაგის ნაყოფიერებასა და საკვები ნივთიერებების შეწოვაზე მოქმედი ფაქტორები.

ზრდის ნაყოფიერებას
 თიხის მაღალი შემცველობა
 ჰუმუსის მაღალი შემცველობა
 კარგი სტრუქტურა
 თბილი ნიადაგი
 ღრმა ნიადაგი
 ტენიანი ნიადაგი
 კარგი ფორიანობა
 სასუქების შეტანა
 სასურველი მიკრობები
 თითქმის ნეიტრალური pH

ამცირებს ნაყოფიერებას
 ქვიშის მაღალი შემცველობა
 ორგანული ნაერთების გაქრობა
 სიმჭიდროვე
 ცივი ნიადაგი
 დაბალი ნიადაგი
 მშრალი ან სეელი ნიადაგი
 ჭარბი რწყვა ან ღრუნაფი
 ეროზია
 ფესვის დამაზიანებელი პარაზიტები
 ზედმეტად მუკე ან ტუტე pH

შეჯამება

ნორმალური ზრდისათვის მცენარეთა უმეტესობას ჩვიდმეტი ძირითადი ელემენტი ესაჭიროება. ნახშირბადი, ფანგბადი და წყალბადი მოდის ჰაერიდან და წყლიდან. დანარჩენი თოთხმეტი ელემენტის შეწოვა მცენარის მიერ ნიადაგიდან ხდება. მცენარე პირველად და მეორად საკვებ ნივთიერებებს დიდი რაოდენობით იღებს. მიკროელემენტები მცირე რაოდენობით არის საჭირო.

საკვებ ნივთიერებათა ოთხი წყარო ერთად მოქმედებს, რათა შეინახოს და გამოათავისუფლოს საკვები ნივთიერებები მცენარეებისათვის. ეს წყაროებია ნიადაგის მინერალები, ორგანული ნივთიერებები, ნიადაგის ხსნარები და აღსორბცია თიხებისა და ჰუმუსის მიერ. კოლოიდების უნარი მოახდინონ საკვები ნივთიერებების აღსორბცია, ვფუნება მათი ზედაპირის

დიდ ფართობსა და ნეგატიურად დამუხტულ ველებს, რომლებიც კოლოიდების სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენენ. იგი კათიონების ჩანაცვლების უნარით იზომება. საპროცენტო საბაზო გაჯერება არის პროცენტი ჩანაცვლების უნარისა, შეესებულები ჩანაცვლებადი ბაზებით.

მცენარეები საკვებ ნივთიერებებს შეიწოვენ იონების ტრანსპორტირების გზით ფესვთა უჯრედებისაკენ. შეწოვას ენერგია სჭირდება. საკვებ ნივთიერებათა ახალი წყაროების საძებნელად ფესვი ნიადაგის სიღრმეში იზრდება. ვარდა ამისა, საკვები ნივთიერებები წყალთან ერთად ან მისი გავლით მიემართება ფესვებისაკენ. ნიადაგის განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორც არის ზედმეტად მშრალი, ზედმეტად ტენიანი, ზედმეტად ცივი ან მჭიდრო ნიადაგი, ამცირების ფესვების მიერ საკვები ნივთიერებების შეწოვის უნარს.

საკვები ნივთიერებების შეწოვას ხელს უწყობს ღრმა, კარგად დრენირებული ნიადაგი. ფერმერულ საქმიანობას შეუძლია ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა. ხელოვნური დრენაჟი ხელშეწყობია, თუ ნიადაგი ცუდად დრენირებულია. სასარგებლოა სიმჭიდროვისა და სახნავე შრის გაღრმავების თავიდან აცილება. ორგანულ ნივთიერებათა დამატება აუმჯობესებს კათიონთა ჩანაცვლების უნარს და უზრუნველყოფს საკვები ნივთიერებებით. ორგანული ნივთიერება აგრეთვე ნიადაგს შეუკუმშობას უნარჩუნებს, რათა ფესვს საშუალება მისცეს საკმარისი ფანგადი მიიღოს. სასუქების სათანადოდ შეტანა ასევე აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას.

მიზონილება

1. თქვენი აზრით, რა ფაქტორები ეწინააღმდეგება საკვები ნივთიერებების შეწოვაზე მცენარისათვის ყველა ფოთლის მოშორებას?
2. დასასხელო ნიადაგის ოთხი მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის საკვები ნივთიერებების შეწოვას და აღწერეთ რატომ ხდება ასე.
3. იმსჯელოთ თუ როგორ ვახდენთ ჩვიდმეტი არსებითი ელემენტის კლასიფიცირებას და ამ კლასიფიკაციის მიზეზები თითოეული კლასის მიხედვით.
4. იმსჯელოთ ნიადაგში არსებითი ელემენტების ოთხი ძირითადი წყაროს შესახებ. აირჩიეთ ერთ-ერთი მათგანი და აღწერეთ სავარაუდო შედეგი, თუკი ეს წყარო მოულოდნელად გაქრება.

მცენარის საკვები ნივთიერებები

წინამდებარე თავის შესწავლის შემდეგ თქვენ უნდა შეგეძლოს:

- იმსჯელოთ საკვები აზოტის და აზოტის ციკლის შესახებ;
- იმსჯელოთ ფოსფორის საკვების შესახებ;
- იმსჯელოთ კალიუმის საკვების შესახებ;
- უპასუხოთ შეკითხვებს მეორადი საკვები ნივთიერებების შესახებ;
- უპასუხოთ შეკითხვებს მიკროელემენტების შესახებ.

ასუილვაპლი ტარმინება

| | |
|-------------------|------------|
| ამიაკის აორთქლება | ქლოროზი |
| ამონიფიკაცია | ფერმენტები |
| ქელატები | გადაწოლა |

ნიადაგის მრავალი ფაქტორი, როგორც არის ტექსტურა, სტრუქტურა და წყალი, მოქმედებს მცენარის ზრდაზე. ხშირად ეს პირობები იდეალურისგან შორს არის და საკმაოდ რთული და ძვირია მათი გამოწვრთვა. მაგალითად, ფერმერებს არ შეუძლიათ შეცვალონ ნიადაგის ტექსტურის დიდი ფართობები. მორწყვაც კი საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს.

მეორეს მხრივ, ნიადაგში საკვები ნივთიერებების შეტანის გაკონტროლება ადვილია. ნიადაგი შეიძლება ტესტირებულ და განაყოფიერებულ იქნას, რათა დააკმაყოფილოს მცენარის მოთხოვნები. წინამდებარე თავში დეტალურად არის აღწერილი არსებითი ელემენტები.

აზოტი

აზოტი ყველა დანარჩენ ელემენტზე მეტად უწყობს ხელს მცენარის ზრდას და მუქი მწვანე ფერის წარმოქმნას. მცენარეს დიდი რაოდენობით აზოტი სჭირდება, რადგან იგი მრავალი მნიშვნელოვანი ნაერთის შემადგენელი ნაწილია. მცენარეები აზოტზე შემდეგნაირად რეაგირებენ:

- აზოტი აჩქარებს ზრდას. მცენარეები, რომლებიც აზოტის ადექვატურ რაოდენობას იღებენ, ძლიერად იზრდება, აქვს ფართო ფოთლები და ღერო გრძელი კვანძთაშორისით. მცენარეები გამოიმუშავენ დიდი რაოდენობით ქლოროფილს – მუქ მწვანე პიგმენტს. შესაბამისად, კარგად ნაკვები მცენარის ფოთლები მუქი მწვანეა. მცენარის ქსოვილში ცილების რაოდენობა საუკეთესო იქნება. ცილების მაღალი შემცველობა აქცევს მცენარეს ფურაჟის, საკვებისა და ადამიანის საკვები ნივთიერებების უკეთეს წყაროდ. მცენარე წყალს უკეთ ითვისებს, როდესაც აზოტით მდიდარია.

მიუხედავად ამისა, მცენარეები აზოტის ჭარბი შემცველობით სათანადოდ ვერ იზრდება. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგი პრობლემა, დაკავშირებული ჭარბ აზოტთანობასთან:

- ზელი ეწყობა რბილ, სუსტ, ადვილად დაზიანებად ზრდას. მაგალითად, მცენარის ღერო უფრო სუსტია და უფრო ადვილად ეცემა ან გადაწევა წვიმის დროს. ჩაწოლას განმარტული კულტურის დაზიანება შეუძლია.
- რბილი, მაღალაზოტიან ზრდას მიდრეკილება აქვს ზოგი დაავადებისა და მწერებისადმი. ზედმეტად სწრაფი ზრდა აყოვნებს მრავალი კულტურის დაშვებებს.
- სწრაფი ზრდა აგრეთვე აყოვნებს გამყარების პროცესს, რაც მცენარეს ზამთრის სიცხისაგან იცავს. მაგალითად, ლანდშაფტური მცენარეები შესაძლოა დაზიანდნენ ზამთარში, როდესაც აზოტი ჭარბად იქნება მიწოდებული.
- ჭარბი აზოტი ზოგი ბოსტნეული კულტურის სურნელს ანელებს.
- ზოგ კულტურაში შესაძლოა მოხდეს ნიტრატების დიდი რაოდენობის აკუმულირება, რაც საეარაუდო პრობლემებს შეუქმნის მათ მომხმარებელ ცხოველებსა და ადამიანებს.

აზოტის დაახლოებით ნახევარი ფოთლების ფერმენტებში არსებობს ფოტოსინთეზის გზით. ამდენად, კარგად უზრუნველყოფილი მცენარის ფოტოსინთეზი უფრო ეფექტურად მიმდინარეობს, ვიდრე მცენარისა, რომელიც დეფიციტს განიცდის. ეს ნაწილობრივ ხსნის იმას, თუ რატომ ახდენს აზოტი ზრდის სტიმულირებას. მეორეს მხრივ, ჩვენ ასევე ვიცით, რომ აზოტის მაღალი შემცველობის ფოთლები სუნთქავენ – მოიხმარენ ფოტოსინთეზის დროს წარმოქმნილ პროდუქციას – უფრო სწრაფად. დაბალი განათების პირობებში, სადაც ფოტოსინთეზი შეზღუდულია, აზოტის მაღალი შემცველობა უფრო სწრაფად შთანთქმავს საკვებს. მცენარეებს, რომლებიც დაბალი განათების პირობებში იზრდება, როგორც არის ჩრდილის კორდი ან ოთახის მცენარეები, უფრო ზომიერად სწორდებათ სასუქი, ვიდრე მზის შუქზე მზარდ მცენარეებს.


ზოგადად, აზოტი მეტად უწყობს ხელს ევგეტატურ ზრდას (ღერო, ფოთლები და ფესვები), ვიდრე ყვავილებისა და ხილის რეპროდუქციულ ზრდას. მეტაბოლიზმის ხილულია პოზიტიური ჭარბი სასუქების შეტანის ეფექტი, რაც ხელს უწყობს წვენიანობის მატებას, მაგრამ ამცირებს ნაყოფის რაოდენობას. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ აზოტი ხელს უწყობს, როგორც ფესვის, ასევე ყლორტის ზრდას, უპირატესობა ყლორტის ზრდას ენიჭება. ეს შესაძლოა პრობლემა იყოს კორდში, სადაც აზოტის სასუქების დიდი რაოდენობა გამოიწვევს წვენიანობის ზრდას ფესვთა არაადეკვატური სისტემის პირობებში.

ბუნებრივ გარემოში აზოტის მცირე რაოდენობას ტენდენცია აქვს იყოს უმთავრესი საკვები ნივთიერება, რომელიც დამატარებულები იქნება გროლ კლიმატში მიწის ეკოსისტემების, ახალგაზრდა ნიადაგებისა და ზღვის ეკოსისტემების განვითარებისათვის.

აზოტის ციკლი. არსებითი ელემენტებიდან აზოტი ყველაზე მძლავრ გადაადგილებასა და ცვლილებას ექვემდებარება. შექმნის, გაცემისა და ცვლილებების სერიას აზოტის ციკლი ეწოდება. აზოტის ციკლის ცენტრალური ნაწილის ოპერირება ნიადაგის მიკროორგანიზმების ქმედებით ხდება. თუ მოკლედ მიმოვიხილავთ, აზოტი მომდინარეობს ატმოსფერული აირული აზოტიდან (N₂). ეს ფორმა მცენარეთათვის მიუღებელია. სიმბიოზური ან არასიმბიოზური ბაქტერიები იყენებენ ამ აზოტს საკუთარი ორგანიზმების ან მცენარეთათვის ცილების მისაწოდებლად. როდესაც ეს ბაქტერიები ან მასპინძელი მცენარე კვდება, სხვა მიკრობები ახდენენ ცილების მინერალიზაციას (ამონიფიკაცია) ამიაკის იონებად (NH₄⁺). ამ იონების მიღება მცენარეებს შეუძლიათ, მაგრამ ბევრი მათგანი ბაქტერიების მიერ გარდაიქმნება (ნიტრიფიკაცია) ნიტრატის იონებად (NO₂⁻), ხლო შემდეგ ნიტრატის იონებად (NO₃⁻). ნიტრატებს იღებენ მცენარეები ან მიკრობები (იმობილიზაცია) ან ბრუნდება ატმოსფეროში, აზოტის გაზის მეშვეობით, რომელსაც დენიტრიფიკაცია ეწოდება.

აზოტის სრული ციკლი ასევე მოიცავს ზოგ არაბიოლოგიურ პროცესს. ფიქსაციის ორი სხვა ფორმა გამოსაყენებელ აზოტს ნიადაგში ამატებს. პირველ რიგში, ელვა ჭეჭა-ქუჩილის დროს წარმოქმნის ენერჯიას აირივანი აზოტისა და ფანგბადის ნაერთის, აზოტის ორჟანგის (NO₂) შესაქმნელად. აირი იხსნება წყლის ოროქლში და წარმოქმნის აზოტმგაყვას (HNO₃). ამ წყაროდან წვიმისა და თოვლის გზით მიწაზე ხვდება ხუთიდან ათ ფუნტამდე აზოტი ერთ აკრზე. მეორე: აზოტის დიდი რაოდენობა ფიქსირდება პაერში სასუქის ქარხნებიდან და შეიტანება ნიადაგში ფერმერების მიერ.

ნიადაგიდან აზოტის დაკარგვის ორი არაბიოლოგიური გზაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. ნიტრატის ოინი უარყოფითად არის დამუხტული და არ ხდება მისი აღსრობირება ნიადაგის კოლოიდების მიერ. ნიადაგში დამკრება არც სხვაგვარად ხდება, ამიტომ ნიტრატი ადვილად ქრება ნიადაგიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამიაკი არ ქრება ადვილად (ხდება მისი აღსრობირება ნიადაგის კოლოიდების მიერ), იგიც შეიძლება დაკარგულ იქნას პროცესის გავლით, რომელსაც ამიაკის აორთქლება ეწოდება. ამიაკის იონები რეაქციაში შედის ჰიდროქსიდის იონებთან შემდეგი რეაქციის გზით:



ამიაკის გახსნილი ბოთლის სუნი (აირივანი ამიაკი, გახსნილი წყალში) წარმოადგენს ამ რეაქციის შედეგს. ჩვეულებრივ, ეს გახსნა ნიადაგის დაბალანსებული რეაქცია, რომლის დროს აზოტი ორ ფორმას შორის გარდაიქმნება. თუმცა ბალანსი შესაძლოა დაირღვეს ნიადაგის პირობებით და გამოიწვიოს ამიაკის დაკარგვა. მშრალ ნიადაგებში წყალი ტოლობის მარჯვენა მხრიდან იკარგება. შედეგად, რეაქცია მარჯვენა მხარეს და ათაისუფლებს ამიაკის გაზს (ანსინთეზის იხილეთ


დანართი 1). თუ ნიადაგი უფრო ტუტეა (მაგალითად, კირის შეტანის გზით), რეაქცია პიდროქსილის იონების სიჭარბის გამო კლავატ მარჯვენა მხარეს გადაინაცლებს. ამგვარად, ამიაკი შესაძლოა დაკარგულ იქნას მშრალ, ტუტე ან მკირე ხნის წინ გაკირიანებულ ნიადაგში.

ბუნებრივ გარემოში, პირველყოფილი ტყეების პრერიების ჩათვლით, ციკლის შექმნა-დაკარგვა დროშია დაბალანსებული. თუმცა, ფერმერული საქმიანობა მნიშვნელოვნად ცვლის ბალანსს იმ გზებით, რაც აზოტის დაკარგვას იწვევს:

- აზოტის მოშორება ხდება მოსავლის აღებისას.
- დათესილი ნიადაგის ეროდირება მეტად საკარაულოა და ამდენად აზოტისა და სხვა საკვები ნივთიერებების გატანა გამძინარე წყლის მეშვეობით ხდება. რწყვა ზრდის წყლის შეწოვას ნიადაგის პროფილში. შესაბამისად, ნიტრატული აზოტის დაკარგვა მორწყულ მიწებზე იზრდება.

გაკირიანებამ შესაძლოა გაზარდოს ამიაკის დანაკარგები აორთქლების გზით.

აზოტის დანაკარგების კომპენსირებისა და თანამედროვე პროდუქტიულობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ფერმერები მეტ აზოტს აწვდიან ნაკელის, პარკოსნების და სასუკების შეტანის გზით.



ნიადაგის აზოტის დასალოებით 97% დაკულია ორგანულ ნივთიერებებში - ნიადაგის აზოტის საკავში. აზოტის მხოლოდ მკირე რაოდენობის მინერალიზაცია ხდება გამოყენებად ფორმებად. საშუალოდ, ლპობა ქმნის დასალოებით 90 ფუნტ მინერალურ აზოტს აკრზე წელიწადში. იგი ასევე უზრუნველყოფს, რომ თესლობრუნების სისტემაში, რომელიც იცავს ნიადაგის ორგანულ ნივთიერებს, როგორც არის ზოგი სახის ორგანული ფერმერული პრაქტიკა მეტი აზოტი შეინარჩუნოს ნიადაგში, სხვაობა შესამჩნევი იქნება. 1996 წლის ერთი შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 23 წლის უწყვეტი თესვის შემდეგ ნიადაგის ერთი კილოგრამი (ზედა 7.5 სანტიმეტრში) 9 მილიგრამ მინერალიზებად აზოტს შეიცავდა აზოტის 1.4 მილიგრამთან შედარებით პირობითი დამუშავებისას.

მცენარეები შეითვისებენ აზოტს ორივე მინერალური ფორმით - ამიაკსაც და ნიტრატებსაც. ტყეებში უფრო გავრცელებულ ფორმას ამიაკი წარმოადგენს. ფერმებში ურეტესწილად ნიტრატებს


გამოიყენებენ, როგორც ნიტრატულ სასუქებს, ასევე აზოტოფიქსირებულ ამიაკს. ეს ორი იონი ნიადაგში ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებულად მოქმედებს.

ამიაკის აზოტი დადებითი მუხტის მატარებელია. ნიადაგის უარყოფითად დამუხტული კოლოიდები იზიდავს კათიონს და ამგვარად მას დაკარგვისაგან იცავს. ნიტრატის იონი განსხვავებით ამისგან, თავისუფლად გადაადგილდება ნიადაგში უარყოფითი მუხტის გამო. თავისუფალი მოძრაობა საშუალებას აძლევს ნიტრატს ადვილად მოახდინოს დიფუზია ნიადაგის გაუვლით მცენარის ფესვებისაკენ. თუმცა, ნიადაგიდან ნიტრატების დაკარგვის კოეფიციენტი შესაძლოა მაღალი იყოს. ნიტრატის იონები ნიადაგიდან ადვილად ქრება და ზოგი მათგანი შესაძლოა ართქვოდეს სველი ნიადაგიდან, როგორც აროზანი აზოტი.

ნიადაგში ამიაკური და ნიტრატული აზოტის შემცველობა დამოკიდებულია ნიადაგში შეტანილი აზოტის რაოდენობასა და სახეობაზე, ისევე, როგორც ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის ხარისხზე. ზოგი აზოტოვანი სასუქი შეიცავს ნიტრატებს, თუმცა თანამედროვე სასუქთა უმეტესობა ძირითადად ამიაკური აზოტის შემცველია. ნიადაგის ნიტრატული ბაქტერიები გარდაქმნიან მათ ნიტრატებად, რაც უფრო მისაღებია მცენარეული კულტურისათვის. ასეთი ბაქტერია საუკეთესოდ იზრდება ტენიან, ფხვიერ, კარგად დრენირებულ ნიადაგში, სადაც pH შემცველობა მერყეობს 6.0-7.5 ფარგლებში. ნიტრატული ბაქტერია სუსტად ფუნქციონირებს, როდესაც ტემპერატურა 41°F-ზე ნაკლებია, ხოლო აქტიურობის მაქსიმუმს აღწევს 85°F-95°F ტემპერატურულ ზღვარში. შესაბამისად, ცივი, ტენიანი ან მჟავა ნიადაგი აყენებს ამიაკური აზოტის ნიტრატულ აზოტად გარდაქმნას.

დატბორილი ნიადაგი ხელს უშლის ნიტრატული ბაქტერიის განვითარებას, თუმცა ანაერობული დენიტრატული ბაქტერია იგივე პირობებში კარგად ვითარდება. დენიტრიფიკაცია აზოტის ყველაზე დიდი რაოდენობით დაკარგვას იწვევს, როდესაც ფერმერები ნიტრატულ სასუქებს სველ ნიადაგში შეიტანენ. მსგავსად ამისა, კორდის ჭარბი რწყვა ფუჭს ხიდს სასუქს, როგორც დენიტრიფიკაციის, ასევე დაკარგვის სტიმულირების გამო.

ნიტრატების სავარაუდო დანაკარგების ასაცილებლად კარგი იქნება ამიაკის ნიტრიფიკაციის ხარისხის კონტროლი. შექმნილ იქნა რამდენიმე სახის ქიმიკატი, რომელიც ხელს უშლის (მაგრამ არ წვეტს) ნიტრიფიკაციას. პრაქტიკულად შედეგები ცუდია, თუმცა უფრო ხშირად სასურველია.



აზოტის დეფიციტი. ნელი ზრდა და სიდაბლე ყველა მცენარესთან მიმართებით ხილული ნიშანია აზოტის დეფიციტისა. ვინაიდან აზოტი ქლოროფილის ნაწილია, აზოტის დეფიციტის მქონე მცენარეები კარგავენ მუქ მწვანე ფერს, რაც კარგად ნაკლები მცენარისთვის არის დამახასიათებელი. აღნიშნულ სიმპტომს ქლოროზი ეწოდება. ფოთლების რაოდენობა

მცირდება, მათი ფერი ღია მწვანე, შემდეგ კი ყვითელი ხდება. ბალახებში გაყვითლების პროცესი იწყება ფოთლის ბოლოებიდან, გრძელდება შუა ნაწილისკენ და საბოლოოდ მთელი ფოთოლი ყვითლდება. განსაკუთრებული შემთხვევებისას ფოთოლი შრება. ამ სიმპტომს გამოწვეა ეწოდება. ფართოფოთლიან მცენარეებში ფოთლები მცირეა და სრულად ყვითლდება.

შოსშორი. ფოსფორი ასევე აჩქარებს ზრდას, მაგრამ ნაკლებად. ვიდრე აზოტი. მცენარის ზრდაზე ფოსფორი შემდეგნაირად მოქმედებს:

- ფოსფორი გენური მასალის (ქრომოსომები და გენები) ნაწილია და ამდენად ჩართულია მცენარეთა რეპროდუქციასა და უჯრედების დაყოფაში.

ფოსფორი არის ნაწილი ქიმიკატისა, რომელიც ინახავს და გადასცემს ენერჯიას ყველა ცოცხალ სუბსტანციას. მის გარეშე ყველა ბიოლოგიური რეაქცია შეჩერდებოდა.

ფოსფორი ხელს უწყობს ფესვის სწრაფ ზრდას და ეხმარება ახალგაზრდა მცენარეს ფესვის განვითარებაში.

ფოსფორი ხელს უწყობს მცენარეს წყალი უფრო ეფექტურად გამოიყენოს ფესვების მიერ წყლის შეწოვის გაუმჯობესების გზით.

ფოსფორი ხელს უწყობს მცენარეს გაუძლოს სიცივესა და დაავადებებს, აჩქარებს და ეხმარება ნაყოფის დამწიფებას და აუმჯობესებს მარცვლეულისა და ხილის ხარისხს.


ფოსფორი აუმჯობესებს მცენარეთა მიერ აზოტის შეწოვის ეფექტურობას, რითიც უკეთ ხდება აზოტის გამოყენება და მცირდება გრუნტის წყლების დაბინძურება აზოტის გაჟონვის მიზეზით.

ნიადაგში ფოსფორის ადექვატური რაოდენობა უზრუნველყოფს იმას, რომ ცხოველთა საკვებიც ფოსფორის ადექვატურ რაოდენობას შეიცავდეს.

ფოსფორი მრავალი გზით მოქმედებს აზოტის დასაბალანსებლად. თუ აზოტი აყოვნებს დამწიფებას, ფოსფორი ხელს უწყობს მას. აზოტი ეხმარება ევგეტატურ ზრდას, ფოსფორი კი ნაყოფის დამწიფებას. პრაქტიკულად, ფოსფორი ყველაზე მნიშვნელოვანია იმ კულტურებისთვის, რომელთა ყვავილებს ვიყენებთ. ასეთია ყვავილები, ხილი და მარცვლეული, თუმცა ამ მარტივი წესის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება: აზოტიცა და ფოსფორიც საკმარისი რაოდენობით უნდა არსებობდეს მცენარის ევგეტატური და ყვავილოვანი ზრდისათვის, ხოლო აუცილებელზე მეტი ფოსფორის გამოყენება არ ახდენს ყვავილის ზრდის სტიმულირებას.

რადგან ფოსფორი ფესვის ზრდისათვის არის საჭირო, იგი ხანდახან საწყისი სასუქების მთავარ ელემენტს წარმოადგენს. თუმცა, არ არსებობს იმის დასტური, რომ აუცილებელზე მეტი ფოსფორის გამოყენება ფესვთა უფრო მძლავრ სისტემას აეთარებს. ფაქტიურად, ფოსფორის მცირე რაოდენობისას მცენარეს ტენდენცია აქვს ღეროსთან შედარებით უპირატესობა ფესვის მიანიჭოს, ხოლო სასათბურე მეურნეობაში ფესვთა საუკეთესო სისტემა ფოსფორის მცირე რაოდენობისას მიიღწევა.

ბუნებრივ გარემოში ფოსფორი არის უმთავრესი საკვები ხეითიერება, რომელიც აბრკოლებს ზრდას ტროპიკულ ეკოსისტემებში, ძველ ნიადაგებზე, მტკნარ წყალსა და ზღვის ზოგ ეკოსისტემაში.



ნიადაგში ფოსფორის შორეობა. ნიადაგის ფოსფორის წარმოქმნა ხდება აპატიტების მსგავს მინერალებზე ატმოსფერული მოლეკულების ზემოქმედების შედეგად, რომლებიც კალციუმის ფოსფატებს წარმოადგენენ. აპატიტი ათავისუფლებს ანიონებს, რომლებიც შესაძლოა მცენარის მიერ იქნას გამოყენებული. ეს ანიონები ძირითადად არის ფოსფორმჟავა ($H_2PO_4^-$) და მეორადი ფოსფორმჟავა (HPO_4^{2-}). სიმარტივისათვის ტექსტში ორივე ფოსფატად არის მოხსენებული.

ნიადაგების უმეტესობა ფოსფატებს დიდი რაოდენობით შეიცავს, მაგრამ მათი ნაწილი მცენარისათვის მიუღებელია. ფოსფატებს უხსნადი ფორმით, რომლებიც არ არის თავისუფალი მცენარის ზრდისათვის, „ფიქსირებული“ ეწოდებათ. რეაქციებს, რომლებიც ფოსფატებს აფიქსირებს, დამოკიდებულია ნიადაგის pH-ზე. ძლიერ მჟავე ნიადაგში (pH 3.5-4.5) წარმოიქმნება რკინის უხსნადი ფოსფატი. იქ, სადაც pH მერყეობს 4.0-6.5 საზღვრებში, ფოსფორი რეაქციაში შედის ალუმინთან. კალციუმის ფოსფატი მნიშვნელოვანია pH 7.0 და 9.0-ს შორის. მინერალურ ნიადაგებში მაქსიმალური რაოდენობაა, როდესაც pH უდრის 6.5მ თუმცა 6.0-7.0 უმეტესი კულტურებისთვის დამაკმაყოფილებელია.

ნიადაგის ფოსფორის 25-დან 90 პროცენტამდე ორგანულ ნივთიერებაში – ფოსფორის უმნიშვნელოვანეს საწყობშია დაცული.

ნიადაგის აკრი საშუალოდ შეიცავს 800-დან 1600 ფუნტამდე ფოსფორის სახნავ შრეში. ამ რაოდენობიდან მხოლოდ 4 ფუნტა ხსნად მდგომარეობაში დროის კონკრეტულ მომენტში. მცენარეების მიერ ხსნარიდან ფოსფატის განდენასთან ერთად, მინერალური და ორგანული ფოსფატი მინერალიზაციისა და ფოსფორის გამხსნელი ბაქტერიის აქტიურობის შედეგად ხსნადი ხდება. ზრდის პროცესის პიკზე ხსნადი ფოსფორი შესაძლოა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იქნას ჩანაცვლებული ნიადაგის საცავებში.

ვინაიდან მსოფლიოს ნიადაგების უმეტესობაში ფოსფორის შემცველობა დაბალია, მცენარეებს გამოუმუშავდათ ადაპტაცია მისი შეწოვის გაუმჯობესებასთან მიმართებით. ეს მოიცავს მიკორიზულ კავშირს, ფესვთა სპეციალიზებულ სისტემას, ფესვის სიგრძეს, ბუსუსების უფრო გრძელ ზომას და ფესვებისა და მიკორიზის მიერ გამოყოფილ ნივთიერებებს, რომლებიც ათავისუფლებენ ფოსფორს. თუკი აღნიშნული შესაძლოა ეფექტური პასუხი იყოს ბუნებრივ ეკოსისტემაში, კულტურები ხშირად ვერ ახერხებენ ნიადაგის საცავების გახსნას სწრაფად. ამ მიზეზით ფერმერებს ნიადაგში სასუქის სახით შეაქვთ ფოსფორი, რათა მოახდინონ ფიქსაციის კომპენსირება.

მომარაობა და შვშობა ნიადაგში. ფოსფორი მცირედ მომარაობს მინერალურ ნიადაგში, ახდენს რა დიფუზირებას ისეთ მცირე მანძილზე, როგორც არის იწის ერთი მეოთხედი.

ამ მცირე გადაადგილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ნიადაგის სწორად გამოყენებაზე. იგი არ გაფონავს ნიადაგში, როგორც ამას ნიტრატები აკეთებენ. გაფონვის ნაცვლად ფოსფორი იკარგება გაღინების, ეროზიის ან ნიადაგის განქარების გზით. იგი ასევე ართულებს მცენარეთა მიერ ფოსფორის ადექვატური რაოდენობის მიღებას. ნაკლები მობილურობის მიზეზით გადამწყვეტია, რომ ფოსფორიანი სასუქი თესლთან ახლოს იქნას შეტანილი თესვისას ან ნიადაგში არეული მცენარის ფესვებთან ახლოს.

ფოსფორის შეწოვა ნიადაგის მრავალ ასპექტზეა დამოკიდებული:

ნიადაგის pH მნიშვნელოვნად განაპირობებს ფიქსაციის ხარისხს. ყველაზე თავისუფალი ფოსფორი pH-ის 6.5-8.0 საზღვრებშია.

მშრალი ნიადაგი აყენებს ფოსფორის დიფუზიას ფესვებისაკენ. შესაბამისად, მცენარეები ფოსფატებს საუკეთესოდ ტენიან ნიადაგში ითვისებენ.

ორგანული ფოსფატების დაშლისათვის უნებდება საჭირო. უნებდადი ასევე სჭირდებათ ფესვებს, რათა შეიწოვონ საკვები ნივთიერებები. შესაბამისად, ფზვიერი, კარგად დრენირებული ნიადაგი აუმჯობესებს ფოსფორის შეწოვას. მჭიდრო ან ცუდად დრენირებული ნიადაგი ამცირებს შეწოვას.

ცივი ნიადაგი აყენებს აქტივობას მიკროორგანიზმებისა, რომლებიც ფოსფორს ხსნარში გადაიტანენ, აყენებს დიფუზიას ფესვებისაკენ და ხელს უშლის ზრდას. ასევე უარესდება ფესვის სუნთქვა, რის გამოც იქმნება დეფიციტი ენერჯისა, რაც აუცილებელია ფოსფორის შეწოვისათვის. ფოსფორის დეფიციტი ფართოდ არის გავრცელებული ცივ და სველ ნიადაგებში.

საკვებ ნივთიერებათა ჯამური ბალანსი ასევე მნიშვნელოვანია. მაგალითად, აზოტი აუმჯობესებს ფოსფორის შეწოვას, იღივს რაოდენობით თუთია კი უარესებს.

მცენარის ფესვის მიკრობული ინფექციები ხელს უწყობს მცენარის მიერ ფოსფორის შეწოვას, განსაკუთრებით ფოსფორნაკლებ ნიადაგებში.

მცენარე იყენებს 10-დან 30 პროცენტამდე შეტანილი ფოსფორიანი სასუქისა. დანარჩენი ინახება და შესაძლოა გამოყენებულ იქნას მომავალი მცენარეების მიერ. მრავალი ფერმერი ქმნის ნიადაგის ფოსფორის რეზერვარს. სასუქების ყოველწლიურად შეტანით ბევრი ბალახოვანი და ლანდშაფტური ფართი უკეთ მომარაგებულიც კია. მხოლოდ ნიადაგის ტესტს შეუძლია უკარანახოს ფერმერს რა რაოდენობის ფოსფორი სჭირდება მცენარეს.

დემინიტი. ფოსფორის დეფიციტმა შესაძლოა დაბალი და მცირე რაოდენობის ფოთლების წარმოქმნას შეუწყოს ხელი. მცენარე მუქი მწვანე რჩება ან ჩვეულებრივზე მეტად მწვანდება. ფოსფორნაკლებ მცენარეებს ხშირად მეწამული შეფერილობა აქვთ ფოთლებსა და ღეროებზე, რაც დაბალი, ძველი ფოთლებიდან იწყება. ფოსფორის დეფიციტმა შესაძლოა შეაყენოს ზოგი კულტურის მომწიფება. ასეთია ხორბალი, ბამბა, სოია და სხვა. ზოგი კულტურა, სტაფილოს მსგავსად, ფესვთა სუსტ სისტემას ივითარებს. მეორეს მხრივ, ნიადაგის ჭრები ფოსფორი იერთებს მცენარის სხვა საკვებ ნივთიერებებს, მაგალითად რკინას.

კალიუმი

კალიუმი მცენარის საკვანძო საკვები ნივთიერებაა. მცენარეები მოიხმარენ უფრო მეტ კალიუმს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ელემენტს, გარდა აზოტისა, ხოლო ზოგი მცენარე, მაგალითად კენტიკის თივაქსრა, მეტსაც კი იყენებს. მცენარის არც ერთი ორგანული ნაერთი არ შეიცავს კალიუმს, მაგრამ მრავალი სასიცოცხლო პროცესია მასზე დამოკიდებული. კალიუმი იხსნება მცენარის წვენი და ახორციელებს მრავალ მარეგულირებელ ფუნქციას. კალიუმი ააქტიურებს ფერმენტებს, რომლებიც აუცილებელია ცილების, სახამებლის, ცელულოზისა და ლიგინის წარმოქმნისათვის. შესაბამისად, იგი საჭიროა უჯრედთა სქელი კედლებისა და მცენარეთა ძლიერი, მყარი ღეროების ფორმირებისათვის. კალიუმი არეგულირებს ფოთლის სტომის (ფორები ფოთოლში, რომლებიც ფოთოლში და ფოთლიდან გადასცემენ უნებდადს, ნახშირორჟანგსა და წყლის ორთქლს) გახსნასა და დახურვას. შესაბამისად, კალიუმი არის მონაწილე აირის გაცვლისა, რაც აუცილებელია ფოტოსინთეზისა და სუნთქვისათვის.

კალიუმი ქმედითა ფოტოსინთეზის დროს წარმოქმნილი შაქრების მცენარის შიგნით გადაადგილებისას და ამდენად იგი მნიშვნელოვანია ვაშლისა და პომიდვრის მსგავსი ხილ-

ბოსტნეულის განითარებისა და დამწიფებისათვის. მსგავსად ამისა, კალიუმი აუცილებელია ფესვა და ძირხვეწა კულტურების ზრდისათვის.

კალიუმი მოქმედებს აზოტის ფეკტის დასაბალანსებლად და აზოტ/კალიუმის კონკრეტული კოეფიციენტი მრავალი კულტურისათვის რეკომენდებული. აზოტი ხელს უწყობს თანაბარზომიერ ზრდას, ხოლო კალიუმი – ძლიერს. სიძლიერე გამოიხატება უჯრედის უფრო სქელ კედლებში. ეს ძლიერი ზრდა კულტურას მრავალმხრივ აუმჯობესებს:

- კალიუმით კარგად უზრუნველყოფილ მცენარეებს ძლიერი ღეროები აქვთ და ნაკლებად ექვემდებარებიან ჩაწოლას. მარცვლეულის შემთხვევაში შემცირებული ჩაწოლა ასევე გახლავთ საყრდენი ფესვების უფრო დიდი რაოდენობის შედეგი.

- კარგად ნაკვები მცენარეები ებრძვიან დაავადებებს. კალიუმი ამცირებს ისეთ დაავადებებს, როგორც არის სიას ქრატა, თამბაქოს წითელი დამწვრობა, ფოთლის და ღეროს ლაქიანობა. კალიუმი მცენარეს სიცივეგამძლე ხდის და ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგი გაზაფხულის ან შემოდგომის ყინვით დაზიანდეს.

- კალიუმი, სტომას რეგულირების გზით, გველენას ახდენს აორთქლების ხარისხზე. კალიუმით უზრუნველყოფილი მცენარიდან აორთქლება ნაკლებად ხდება, რაც წყლის უკეთესად გამოყენებას ნიშნავს.

მაგალითისათვის, კალიუმის ადექვატური რაოდენობის პირობებში, ბალახის კორდს ნაკლებად აქვს მიდრეკილება დაავადებისადმი, უფრო სიცივეგამძლეა და უკეთესად ეწინააღმდეგება ცვეთას.

რაც უფრო მეტი კალიუმი ნიადაგში, მით მეტს შეითვისებს მცენარე. თუმცა, არ არსებობს დასტური იმისა, რომ მცენარის საჭიროებაზე მეტი კალიუმის მიწოდება ზრდიდეს სიძლიერეს ან სიმყარეს. გარდა ამისა, კალიუმის ჭარბად შეთვისებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კალციუმისა და მაგნიუმის შეწოვას.


ქალიუმის შორამები ნიადაგში. ატმოსფერული მოლეკულები ათავისუფლებს კალიუმის იონებს ნიადაგის ხსნარში ისეთი მინერალებიდან, როგორც არის მინდერის შპატი და ქარსი. ამ იონებს მცენარეთა ფესვები ადვილად შეითვისებენ. კალიუმის მცირე რაოდენობა ხდება ნიადაგის ორგანული ნივთიერებების ნაწილი. ასე რომ, უდიდესი ნაწილი ნიადაგში ინახება ადსორბციისა და ფიქსაციის გზით.

კალიუმის იონები ატარებენ დადებით მუხტს და ადსორბირებული არიან ნიადაგის კოლოიდებზე. მინერალურ ნიადაგთა უმეტესობაში დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში კალიუმის რამდენიმე ფუნტია გახსნილი ნიადაგის აკრის ხსნარში. განსხვავებით ამისგან, ერთ აკრზე ჩანაცვლებადი კალიუმის რამდენიმე ასული ფუნტი იკავებს კათიონების ჩანაცვლების კვლევას.

კალიუმი ასევე შესაძლოა ფიქსირებული იყოს კონკრეტული 2:1 თიხებით, რომლებიც შეოჭილია 2:1 შრეებს შორის. ეს კალიუმი შესაძლოა ადვილად იქნას გამოთავისუფლებული, თუ ნიადაგის ხსნარში კალიუმის დონე დაეცემა. მონტმორილინიტის თიხური შრეები იმდენად თავისუფალია, რომ კალიუმის იონები თავისუფლად მოძრაობენ ისე, რომ კალიუმი მუდმივად მისწვდომი იყოს.

მომტარობა ნიადაგში. კალიუმი უფრო თავისუფლად მოძრაობს ნიადაგში, ვიდრე ფოსფორი, მაგრამ ნაკლებად თავისუფლად აზოტთან შედარებით. ეინაიდან კალიუმი თიხებზე ან სხვა კოლოიდებზეა შეოჭილი, იგი ნაკლებად მობილურია წერილ-ტექსტურთან ნიადაგში და უფრო თავისუფლად გაედინება ქვიშა ნიადაგებიდან.

მცენარის მიერ კალიუმის შეწოვა უმეტესწილად დიფუზიის მეშვეობით ხდება. ეინაიდან ელემენტი უფრო თავისუფლად მოძრაობს, ვიდრე ფოსფორი, სასუქად მისი შეტანა ნაკლებად მნიშვნელოვანია.



დეფინიტი. ფერმერები კალიუმის დეფიციტს უფრო იშვიათად ხედავან, ვიდრე პირველადი საკვები ნივთიერებისა. დეფიციტი ძირითადად გვხვდება ქვიშარ, ძლიერ გამოტუტანებულ ნიადაგებში, განსაკუთრებით თუ ეს ნიადაგები ირწყვება ან ორგანულ ნიადაგებში. აზოტის ჭარბმა შეტანამ შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ მცენარის ქსოვილში კალიუმის დაკარგოს. მშრალ, ციუ ან სუსტად ვენტილირებულ ნიადაგში ასევე შესაძლოა შეიძინოდეს შეწოვის შეფერხება. კალიუმის შეწოვა ყველაზე სწრაფად ხდება თითქმის ნეიტრალური pH-ის პირობებში.

მცენარეს კალიუმის ნაკლებობა ეტყობა „კიდური დამწვრობის“ სახით, რაც ქმნის დამწვრობის ეფექტს ქვედა, ბებერ ფოთლებზე. სიმპტომი შესაძლოა აგვირიოს წყლის ნაკლებობით გამოწვეულ ეფექტთან ცხელი, მშრალი ამინდისას ან მარილით გამოწვეულ დაზიანებასთან. ზოგი შემთხვევისას კიდები ყვითელ ფერს იძენს.

მორალი საკვები ნივთიერებები

ქალციუმი. კალიუმში, საკვები ნივთიერება, რომელსაც მცენარეთა უმეტესობა შესაბამე ყველაზე დიდი რაოდენობით იყენებს, წარმოადგენს უჯრედების კედლებისა და მემბრანების საკვანძო კომპონენტს. უჯრედთა კედლებში იგი უმეტესად გვხვდება კალიუმის პექტატის სახით, რაც განლაგებულია უჯრედის კედლის გარეთა ნაწილზე, იქ, სადაც მეტი სიმტკიცეა საჭირო. მაგალითად, ვაშლის სიმტკიცე მომდინარეობს კალიუმის პექტატის მაღალი შემცველობიდან. პექტინი იგივე ნივთიერებაა, რაც ფელეს კონსერვირებისათვის გამოიყენება და ამდენად ფელეს მისაღებად ვაშლის პექტინის გამოყენება შესაძლებელია. კალიუმში ასევე ახდენს მცენარის უჯრედთა მემბრანების მიერ შემუშვიდრეობისგან დაცვის სტაბილიზებას.

კალიუმში ასევე მონაწილეობას იღებს ცილების წარმოქმნასა და მცენარეში კარბოჰიდრატების მოძრაობაში და თამაშობს სასიგნალო ან მარეგულირებელ როლს მცენარის ზოგიერთ ფუნქციასთან მიმართებით, როგორც არის ფესვისათვის ქვეით ზრდის მომართულების მიცემა. იგი აგრეთვე მნიშვნელოვნად აკონტროლებს ნიადაგის pH-ს და ხელს უწყობს ნიადაგის აერვირებას.

უჯრედების კედლებსა და მემბრანებში მნიშვნელოვანი როლის გამო კალიუმის დეფიციტი დიდ პრობლემებს ქმნის იქ, სადაც უჯრედები აქტიურად იყოფა და იზრდება, როგორც არის ფესვებისა და ღეროების წვერები და ასევე იქ, სადაც ნაყოფის განვითარება ხდება. ვაშლის წყლის გული არის უჯრედების დაშლა სწრაფად მზარდ ნაყოფში, რაც მასში რბილ ადგილებს ქმნის.

მსგავსად ამისა, ავეცილებული ბოლოს ლაბა პოზიციონში წარმოადგენს პოზიციონის ნაყოფის დასუსტებას წყნის დინებიდან ყველაზე მოპირებულ ადგილას, რაც იწვევს უფროდების დაშლას და ექვემდებარება შეტევას ლაბის ორგანიზმების მიერ. მსგავსი მდგომარეობა იწვევს თანაკავილის კოლებების დამწვრობას და ნახურის შვალეჯიანობას. ფერმერები მცენარეებს ხშირად კალციუმს ასხურებენ ამ პრობლემების შესამკირებლად. ადეკვატური კალციუმი, მეორეს მხრივ, ამცირებს მრავალი ნაყოფის მწერებითა და დაავადებებით დასნებოვნებასა და მოსავლის აღების შედეგ ლაბას. თუკი მებაღეობის მრავალი კულტურა ხშირად განიცდის კალციუმის დეფიციტს, სხვა კულტურებში, მაგალითად ბალახოვანში, რომლებსაც კალციუმი ნაკლებად სჭირდებათ, კალციუმთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათად გვხვდება. კალციუმის დეფიციტი მეტად გავრცელებულია მყავე, მორწყულ ქვიშებში ან იქ, სადაც კალციუმის ჭარბი რაოდენობა აფერხებს კალციუმის შეწოვას.

მცენარეში კალციუმის ქმედებას ასევე გავლენა აქვს ადამიანის რაციონზე. მცენარის კალციუმის უმეტესობა ისეთი ფორმით არსებობს, რაც ადამიანისათვის გამოუყენებელია. ისინი, ვინც რძის პროდუქტებს არ მოიხმარს, ძირითადად ბოსტნეულზე უნდა იყოს დამოკიდებული. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს კალციუმის შემცველობის მქონე საკვების მიღებას, როგორც არის მწებანე ლაბოი.

კალციუმის წყაროა ატმოსფერული ნალექების მოქმედება ისეთ მინერალებზე, როგორც არის მიწისფერი შპატი, კირქვა და თაბაშირი. ეს ნივთიერებები იმდენად გავრცელებულია, რომ ნიადაგთა უმეტესობა საკმარის კალციუმს შეიცავს მცენარეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. კალციუმი არც ნიადაგშია დაფიქსირებული და მას არც ორგანული ნივთიერებები შეიცავს. იგი წარმოადგენს კათიონთა ჩანაცვლების კომპლექსის მთავარ ნივთიერებას და კალციუმის საკავი დამოკიდებულია კათიონთა ჩანაცვლების უნარზე.

მაგნიუმი. მაგნიუმს მსგავსება აქვს კალციუმთან ქიმიურად და ნიადაგში ქმედებასთან მიმართებით. თუმცა, მცენარეში მისი როლი ცვალებადია. მაგნიუმი ქლოროფილის არსებითი ინგრედიენტია. ქლოროფილის თითოეული მოლეკულა ცენტრში მაგნიუმის ატომს შეიცავს. მაგნიუმი ასევე ხელს უწყობს სხვა ელემენტების შეწოვას, განსაკუთრებით ფოსფორისა. კალციუმის მსგავსად, მაგნიუმი ახდენს მნიშვნელოვანი ფერმენტული სისტემების გააქტიურებას. მაგნიუმი ჩართულია ცილების, კარბოჰიდრატებისა და ცხიმების სინთეზში, ისევე, როგორც სხვა ნაერთების ფართო სპექტრისა. დეფიციტის მქონე მცენარეები ნაკლებად გამძლეა გვალვის, სიცვიისა და დაავადებების მიმართ.

მაგნიუმი მინერალებისაგან კათიონის სახით წარმოიქმნება, თუმცა თიხები მაგნიუმს ნაკლებად ბოჭავს, ვიდრე კალციუმს და ამდენად იგი უფრო ადვილად გავლინება. შედეგად, მაგნიუმის დაბალი რაოდენობის შემცველი ნიადაგები უფროა გავრცელებულ, ვიდრე მცირეკალციუმისა. ძლიერ ტუტე, უხვ მ ნიადაგებს მეტად სჭირდებათ მაგნიუმის სასუქი, განსაკუთრებით მცირემაგნიუმის კირი. ნიადაგში კალციუმის მაღალმა შემცველობამ შესაძლოა ასევე შეუწყოს ხელი მცენარეებში მაგნიუმის დეფიციტს.


შიშვლის ნიშნები, გამომდინარე ქლოროფილის მცირე რაოდენობიდან, მოიცავს ქლოროზს და ფოთლების გაყვითლებას, რაც ბებური ფოთლებით იწყება. ცნობილია, რომ მაგნიუმით ღარიბი საკვები პირუტყვის ბალახოვან ტეტანუსს იწვევს.

მოზირდი. მცენარეულ კულტურებს ნაკლები გოგირდი სჭირდებათ, ვიდრე სხვა მაკრონივთიერება, მაგრამ იგი მაინც რჩება საკვანძო ელემენტად. ზოგი ცილა შეიცავს გოგირდს და იგი საჭიროა ქლოროფილის წარმოქმნისათვის. იგი ხელს უწყობს პარკოსანთა კვანძებისა და ყველა მცენარის თესლის წარმოქმნას. ზოგადად, გოგირდი აუზოჯობებს ცილებისა და ქლოროფილის შემცველობას, ზრდის მდებობას, ცხოველთა საკვებ ნივთიერებებს და მცენარეული პროდუქტების გარეგნულ იერსახეს. იონჯე, მღოვრისებრთა ოჯახის წარმომადგენლები (კომპოსტოს ჩათვლით) და ხახვისებრთა ოჯახის წევრები მეტ გოგირდს მოითხოვენ. ამ მცენარეთა მძაფრი სუნი გოგირდის ნაერთებიდან მომდინარეობს.

ნიადაგის გოგირდის დიდი ნაწილი თაბაშირის მსგავს მინერალებზე ატმოსფერული მოულებების ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება. გოგირდის ანიონი არის ფორმა, რომელსაც იყენებენ მცენარეები. ორგანული ნივთიერება შეიცავს 70-90% ნიადაგის გოგირდს. არ ხდება მისი არც ადსორბირება და არც ფიქსაცია. თინადად იგი თავისუფლად გავლინება, ნიადაგის ზედაპირულ შრეებში გოგირდი მცირე რაოდენობით გვხვდება.

სანტურესა, რომ მყავე წუშას მოაქვს გოგირდი. ქვეყნის ბერ ნაწილში გოგირდი მყაე ნალექებიდან შემცირებულ იქნა საწვად დაბალ-გოგირდიანი ნახშირით და გამოინაბოლქვის უკეთესი

კონტროლი. ძველებური სასუქი გოგირდს შეიცავდა, როგორც მისი წარმოების თანამჟღებ პროდუქტს. დღეისათვის ყველაზე პოპულარული სასუქები გაცილებით სუფთაა. მას შემდეგ, რაც დაბინძურება და სასუქებით მიწოდებული გოგირდის რაოდენობა შემცირდა, შეიშინება მზარდი დეფიციტი. გოგირდის სასუქის გამოყენება მკვეთრად გაიზარდა, განსაკუთრებით სამსრეთ შტატებში. გამოტუტინებული და დაბალი ორგანული ნივთიერებების შემცველი ნიადაგები გოგირდის დეფიციტის კანდიდატებს წარმოადგენენ. ნიადაგები ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობით ან ინდუსტრიული ცენტრების სიახლოვეს არსებული ნიადაგები ნაკლებად იგრძნობენ გოგირდის დეფიციტს.



მცენარეებს, რომლებიც გოგირდის ნაკლებობას განიცდიან, შესაძლოა ზრდა შეუწყდეთ, ხოლო ბებერი ფოთლები ბაცი მწვანე გახდეს, ისე, როგორც ეს აზოტნაკლებ მცენარეებში ხდება.

მიკროელემენტები

მიკროელემენტები მრავალ როლს ასრულებენ მცენარეებში, რომელთა გავება რთულია მცენარეთა ქიმიის ცოდნის გარეშე. ბორისა და ქლორის გარდა, მიკროელემენტები ლითონებს წარმოადგენენ. აღნიშნული ლითონები ურთიერთქმედებენ საციალურ მოლეკულებთან, რომლებსაც ფერმენტები ეწოდებათ. ისინი მნიშვნელოვან ბიოლოგიურ რეაქციებს აკონტროლებენ. ფერმენტი წარმოადგენს „გასაღებს“, რომელიც ცოცხალ სისტემაში ბიოლოგიური რეაქციის აქტივირებას ახდენს. პროცესის დროს მათი მოხმარება არ ხდება. მაგალითად, რკინის ფერმენტი აკონტროლებს ქლოროფილის წარმოქმნის ერთ ეტაპს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ქლოროფილის ნაწილს.

თითოეული ფერმენტის მხოლოდ მცირე რაოდენობაა საჭირო, რადგან იგი ხელახლა გამოიყენება. შესაბამისად, საჭიროა მიკროელემენტების, რომლებიც ფერმენტების ნაწილს წარმოადგენენ, მცირე რაოდენობა. თუმცა, ამ რაოდენობის გარეშე მნიშვნელოვანი პროცესები ზარალდება. მეორეს მხრივ, მიკროელემენტების ჭარბი რაოდენობა შესაძლოა მოწამული იყოს მცენარეების ან ამ მცენარეებით მკვებავი ცხოველებისათვის. სხვაობა საკმარისა და ჭარბს შორის ძალიან მცირეა, ხშირად მხოლოდ რამდენიმე ფუნტი აკრზე. ფერმერებმა მიკროელემენტები ფრთხილად უნდა შეიტანონ, მხოლოდ ნიადაგისა და ქსოვილის სათანადო ტესტირების შემდეგ.

მიკროელემენტები ნიადაგში დაკულია ოდნავ განსხვავებული წესით, ვიდრე მაკრონივთიერებები. ზოგი მიკროელემენტები დაკულია მცირედ ხსნად ფორმით ან ოდნავ არის ჩართული კათიონთა მანანტელებში. მრავალი მიკროელემენტები უერთდება ნიადაგის ორგანულ მოლეკულებს და წარმოქმნის ძალიან რთულ მოლეკულებს სახელწოდებით ქელატებს. ქელატი არის ლითონის ატომი, რომელიც დიდი ორგანული მოლეკულით არის გარშემორტყმული. ქელატები მნიშვნელოვანი საცავია მრავალი მიკროელემენტისათვის.

რამონა. რკინა ნაწილია ფერმენტებისა, რომლებიც აუცილებელია მრავალი ქიმიკატის, განსაკუთრებით ქლოროფილის წარმოსაქმნელად. ნიადაგთა უმრავლესობა საკმარისი რაოდენობით რკინას შეიცავს, მაგრამ რკინის უმეტესობა უხსნადი ნაერთების სახით არსებობს, როგორც არის რკინის ჰიდროქსიდი $Fe(OH)_3$. ორგანული ნივთიერება ახდენს ნიადაგში რკინის ქელატირებას. საინტერესოა, რომ ნიადაგის ზოგიერთი რიზოსფერაში მოზინადრე მიკრობი გამოიმუშავებს ნაერთებს, რომლებიც ახდენენ რკინის ქელატირებას, რაც საყარულოდ მცენარეთა მიერ რკინის შეწოვას აუზობებს.

რკინის ნაერთების ხსნადობა უშუალოდ არის დაკავშირებული pH-ის დონესთან და დაახლოებით 100-ჯერ იკლებს pH-ის ერთი პუნქტით ზრდისას. მთავრე არის მოყვარული მცენარეები რკინის ნაკლებობას განიცდიან, როდესაც pH იწევს 5.0 ან 6.0-მდე, როდესაც მცენარეთა უმეტესობა უფრო მაღალ pH-ზე რკინის დეფიციტს განიცდის. სორგო, სოია და სელი მდინდვრის ის კულტურებია, რომლებიც მგზობიარეა რკინის დეფიციტისადმი. რკინის შიმშილი ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი ტუტე ან კირანი ნიადაგებისთვის, ან ნიადაგებისთვის, სადაც ჭარბად არის ფოსფატები, თუთია, სპილენძი ან მანგანუმი. ნებისმიერი რამ, რაც ხელს უშლის საკვები ნივთიერებების შეწოვას, როგორც არის სიცივე, ტენიანი ნიადაგი ან გვალება, შესაძლოა სტიმულს აძლევდეს რკინის დეფიციტს.

რკინის ქლოროზი რკინის შიმშილის ჩვეული სიმპტომია. იგი ადვილი შესამჩნევია, როგორც მარდვოვანი ქლოროზი ახალ, უზარდ ფოთლებზე. თუმცა მცენარის მარდვები მწვანე რჩება, მარდვებს შორის არსებული ქსოვილი ღია მწვანე ან სულაც ყვითელი ხდება. ხეებში ტოტები იწყებს კვდომას. ხილი და დეკორატიული კულტურები ფართოდ ახდენენ ამ სიმპტომის დემონსტრირებას. მაგალითი მოიცავს როდოდენდრონს, ჭაობის მუხას და მოცეს.

რკინის დეფიციტის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა სახის დამუშავება არსებობს: (1) ნიადაგის pH შესაძლოა შეცირებულ იქნას, რათა გამოათავისუფლდეს რკინა; (2) რკინის ხსნადი ნაერთები, როგორც არის რკინის სულფატი, შესაძლოა შეტანილ იქნას ნიადაგში, მოსხურებულ იქნას ფოთლებზე ან სულაც ინექციურებულ იქნას ხვთა დეროში; (3) იმავე გზით შესაძლოა გამოიყენებულ იქნას ხელოვნურად მოზინადრეული ქელატები; და (4) ნიადაგში შესაძლოა შეტანილ იქნას ცხოველთა ნაკელი.

მანგანუმი. მანგანუმი რკინას წააგავს იმით, რომ ატმოსფერული მოვლენები გამოათავისუფლებს კათიონს, რომელიც შებოჭილია ტუტე ნიადაგში. მანგანუმი რკინასთან ურთიერთქმედებს ქლოროფილის წარმოსაქმნელად. იგი აჩქარებს თესლის აღმოცენებას და მცენარის დამოწობას და ხელს უწყობს მცენარის მიერ რამდენიმე სხვა საკვები ნივთიერების შეწოვას.

მანგანუმის დეფიციტი შესაძლოა შეინშნულ იქნას კირიან ნიადაგებში ან ნიადაგებში, რომლებიც ჭარბად იქნა გაკირიანებული. მანგანუმის ხსნადობა 100-ჯერ მცირდება pH-ის ერთი პუნქტით ზრდისას. ატლანტიკის სანაპიროს ზომიერად მთავიანიდან ტუტეზე ნიადაგზე გავრდილი სოია მანგანუმის დეფიციტს განიცდის. ჯუჯა ზრდა მანგანუმის დეფიციტის ფართოდ გავრცელებული სიმპტომია, რომელიც ქლოროზთან კომბინაციაში გვხვდება. მკვდარი ქსოვილის ლაქები, ქლოროზთან ერთად, ხშირად გამოჩნდება ახალ ფოთლებზე. როდესაც ნიადაგის pH 5-ზე ნაკლებია, იმდენად დიდი რაოდენობის მანგანუმი შეიძლება გამოათავისუფლდეს, რომ მოწამულელ დონესაც მაღწიოს.

ნაკული ნიადაგის დამუშავება შესაძლებელია მანგანუმის შეტანით ნიადაგში. გოგირდის შეტანის გზით pH-ის შეცირება ასევე სასარგებლოა. ფოთლები შესაძლოა მორწყულ იქნას მანგანუმის სულფატის ხსნარით. შერიბა, სოია, შაქრის ჭარბალი და სხვა რამდენიმე სახის ბოსტნეული ყველაზე კარგად პასუხობს მანგანუმით დამუშავებას. კირის შეტანა კურნავს მთავრე ნიადაგს მანგანუმით მოწამულისაგან.

თუთია. თუთიის კათიონი ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედების შედეგად გამოათავისუფლდება ნიადაგის მინერალებიდან, სადაც იგი აღსობირებული იყო და წარმოქმნის

ქელატს ან თუთიის ოდნავ ხსნად ნაერთს. თუთიას გამოიყენებს ზოგი ბიოლოგიური რეაქტია, როგორც არის ქლოროფილის ან ცილების წარმოქმნა. თუთიის დაბალი შემცველობა დამახასიათებელია მრავალი მცენარისათვის, მათ შორის სოიას, ზორბლისა და ბრინჯისათვის. ზოგი საკვები ნივთიერება ქმნის საფრთხეს იმისა, რომ ეს დეფიციტი ადამიანებს გადაეკუთ. თუთიის დეფიციტის ნიშნები განსხვავებულია, მაგრამ მოიცავს ფოთლების ეიწროვ ზრდას, ძარღვთაშორის ქლოროზსა და მკედარ ლაქებს ფოთლებზე.

თუთია ყველაზე დიდი რაოდენობით მყავე ნიადაგში მოიპოვება და ნაკლებია ტუტე ან მცირე ხნის წინ გაკირიანებულ ნიადაგებში. ნიადაგები, რომლებმაც დაკარგეს ზედა ფენები მოსწორების, ტერასირების ან ეროზიის შედეგად, შესაძლოა ასევე მცირე რაოდენობით თუთიას შეიცავდნენ. მცირე რაოდენობებია შესაძენვე მსხვილფაქტურიან ნიადაგებში, ენაიდან მშობელ ნივთიერებებს აკლდათ თუთია და ნიადაგს კქონდა ტენდენცია ორგანული ნივთიერებების დაბალი შემცველობისაკენ. ცივი ნიადაგები ან ჭარბი ფოსფატები ხელს უშლის შეწოვას. რკინის მსგავსად, თუთიის დეფიციტის მკურნალობით თუთიის ნაერთები ან ქელატებით ნიადაგს დაზაყოფიერებისა და ფოთლების დასხურების გზით შეიძლება. კანალიზაციის ლქე თუთიის საკუთესო წყაროა. ხორბალი, ბრინჯი და ხახვი ყველაზე კარგად ექემდებარება თუთიით მკურნალობას.

საქილმქმნი. სპილენძი კათიონების ჩანაცვლებით არის შეზღუდული და ქმიურად ორგანულ ნივთიერებასთან გახლავთ დაკავშირებული. ზოგი ორგანულ-სპილენძოვანი კომპლექსი იძენად სტაბილურია, რომ სპილენძი მცენარეთათვის მიუწოდომელია. სპილენძი მრავალი მნიშვნელოვანი ფერმენტის ნაწილია, განსაკუთრებით ქლოროფილისა და ლიგნინის წარმოქმნისათვის. სპილენძს გავლენა აქვს იმაზე, თუ რამდენად კარგად უმკლავდება მცენარე დაავადებებს და რამდენად კარგად აკონტროლებს ტენიანობას. სპილენძის დეფიციტი ასევე აბრკოლებს მტერის წარმოქმნას, ამცირებს მოსავლიანობას. დეფიციტი არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მოიცავს ისეთ სიმპტომებს, როგორც არის მცირე ნაყოფიერება, დეფორმირებული ზრდა, გუჯაა ზრდა და ფოთლის გაუფრულება. დეფიციტი ყველაზე მეტად გავრცელებულია გამტრუტიანებულ ნიადაგში ან ტორფსა და ნაკელში. სპილენძის სულფატის რამდენიმე ფუნტი აკრზე, შერეული ნიადაგში, მცენარეს სპილენძის სრულ აუცილებელ რაოდენობას აწვდის. ორგანულ ნიადაგებში მზარდ სტაფილოს შესაძლოა დამატებითი სპილენძი დასჭირდეს, თუმცა ზოგჯერ დეფიციტს მარცვლეული და სხვა ბოსტნეულიც განიცდის.

ბორი. ბორი ნიადაგში უმეტესწილად ბორის მყავის (H_2BO_3) სახით გვხვდება, რასაც მცენარეები შეიწოვენ და რაც ნიადაგის ზედაპირზე ორგანულ ნივთიერებებში გროვდება. მაღალი pH-ისა და გამტრუტიანების პირობებში მცირდება მცენარის მიერ გამოყენებადი ბორის რაოდენობა. ზანდაზან დეფიციტს ადგილი აქვს, თუ ნიადაგი ჭარბად გაკირიანებულია. პირობები, რომლებიც ზღუდავენ ორგანულ ნივთიერებათა ლობას, ასევე ამცირებენ გამოთავისუფლებული ბორის რაოდენობას.

ბორის ფუნქციები კარგად შესწავლილი არ არის. სხვა მიკროელემენტებისაგან განსხვავებით, იგი არ წარმოადგენს ფერმენტების ნაწილს. ბორი მნიშვნელოვანია უჯრედების კედლებისა და მემბრანების ფორმირებისა და უჯრედების ზრდისათვის, რაც მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს.

ბორის დეფიციტი საკმაოდ გავრცელებულია ტუტე ნიადაგებში, რაც მის მისაწვდომობას აფერხებს, წვიმიან ადგილებში, სადაც იგი გაუდინება და გვალვის პირობებში. ბორის დეფიციტი ხშირად გამოვლინდება, როგორც ზედა კვირტების კვდომა, რასაც მჭიდრო, ბუჩქისმაგვარი ზრდა მოყვება. ეს მოვლენა ცნობილია „როზეტის“ სახელწოდებით. ნახურის ღეროს ან შტერის ჭარხლის მსგავსი სქელი, ზოციანი ქსოვილი ივითარებს ღრუს სიღამქლეს და მრავალ მცენარეში შესაძლოა თესლი ვერ ჩამოყალიბდეს. ბორის შესამინობაც საკმაოდ გავრცელებულია უმეტესწილად მშრალ რეგიონებში.

სხვადასხვა სახის ბორის სასუქების შეტანა ზედა ნიადაგში და მცენარის ფოთლებზე უძველეს ფორმა, ფართოდ გავრცელებული სარეცხი პროდუქტი ბორაქსი შესაძლოა გამოყენებულ იქნას აკრზე რამდენიმე ფუნტის ოდენობით. მიუხედავად ამისა, ბორის ოდნავ ჭარბი რაოდენობაც კი აზიანებს მცენარეს და ამიტომ მისი გამოყენება არ უნდა მოხდეს ნიადაგის წინასწარი ტესტირების გარეშე. განსაკუთრებით მგრძობიარე ჭარბი ბორისადმი ღია ცის ქვეშ მზარდი ფოთლოვანი მცენარეები არიან.

მოლიბდქმნი. მოლიბდენი, ელემენტი, რომელსაც მცენარე ყველაზე ნაკლებად საჭიროებს, თუ ნიკელს არ ჩათვლით, აუცილებელია მცენარეთა მიერ აზოტის სათანადო გაცვლისა და

აზოტის ფიქსაციისათვის, როგორც სიმბიოზური, ასევე თავისუფლად არსებული ბაქტერიების მიერ. მოლიბდტი, MOO_4^{2-} ნიადაგის ორგანულ ნივთიერებებში გროვდება. სხვა მიკროელემენტებისაგან განსხვავებით, იგი ყველაზე მეტად მისაწვდომი ნიადაგის მაღალი pH-ის პირობებშია. დეფიციტი ფართოდ არის გავრცელებული მთავე, გამოტუტანებულ და დაბალი ორგანული ნივთიერებების შემცველ მსხვილფაქტურთან ნიადაგში, ისევე, როგორც ტორფში.

ზოგი კულტურა, გარდა პარკოსანისა, ექვემდებარება დამუშავებას. მღოვრისებრთა ოჯახის კულტურები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან. მაგალითად, ყვავილოვანი კომპოსტოს კუდები წარმოადგენს მოლიბდენის დეფიციტის შედეგს. ხსნადი მოლიბდენის ერთი უნცია, ხშირად ფოსფატის სასუქში არეული, ჩვეულებრივ, დეფიციტური ნიადაგის ერთ აკრს კურნავს. ხშირად გაკირიანება საკმარისი რაოდენობით გამოათვისსუფლებს ამ ელემენტს დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

ძვლორი, ნიჟალი და სხვა. ფუნქცია ქლორისა, რომელიც მცირე ხნის წინ იქნა იდენტიფიცირებული, როგორც არსებითი ელემენტი, კარგად შესწავლილი არ არის. ცნობილია, რომ იგი თამაშობს როლს ფოტოსინთეზში და შესაძლოა ხელს უწყობდეს სტომის გახსნა-დახურვას. ქლორი ძალიან მცირე რაოდენობით არის საჭირო და ნიადაგში ფართოდ მოიპოვება. ფიჭობენ, რომ ქლორის დეფიციტი ნიადაგში არ შეინიშნება, თუმცა ზოგ ნიადაგში იგი ზრდის მარცვლეულის ნაყოფიერებას, განსაკუთრებით იქ, სადაც მცენარეთა დაავადებები პრობლემას წარმოადგენს. ტოქსიკურობა შენიშნული ისეთ მგრძობიარე კულტურებში, როგორც არის სოია და ბამბა, განსაკუთრებით მსოფლიოს მშრალ რეგიონებში.

ნიკელი აუცილებელია მცენარეებისა და მიკროორგანიზმებისათვის მარტივი აზოტის ნაერთის - შარდოვანას გაკვლისა და სავარაუდოდ სხვა დანიშნულებითაც. იგი ასევე შესაძლოა ხელს უწყობდეს მცენარეთა მედეგობას დაავადებებისადმი. ნიკელი არის ელემენტი, რომელიც მცირე ხნის წინ იქცა არსებითად. იგი წარმოადგენს მერყიდმეტე არსებით ელემენტს.

კონკრეტული მცენარეების კვებაში წყლილი შეაკეთ სხვა ელემენტებსაც, თუმცა ისინი ჯერ-ჯერობით არ ითვლებიან უნივერსალურ არსებით ელემენტებად. პარკოსნებს აზოტის ფიქსაციისათვის კობალტი ესაჭიროება, ზოგიერთ ბალახოვანასა და შეიტას სჭირდება სილიციუმი. იგი ასევე აუცილებელია ბრინჯისა და შაქრის ლერწმის უკეთესი მოსავლის მისაღებად. კვლევა ასევე უჩვენებს, რომ სილიციუმის მაღალი შემცველობა ამყარებს უჯრედთა კედლებს და ამცირებს დაავადებათა გამოშვებულ ინფექციებსა და მწერთა მზრიდან შეტევებს. აღმოჩნდა, რომ ნატრიუმი აუცილებელია მცენარეთათვის, რომლებისთვისაც ნატრიუმი მდიდარი ნიადაგები ბუნებრივად გარშობა. მცენარეები, რომლებისთვისაც ნატრიუმი აუცილებელი, შეიცავენ ჯიშებს, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული, ცხელი კლიმატისადმი ადაპტირებული ფოტოსინთეზი. ეს მოიცავს კაქტუსს, წვინან და მრავალ თბილი სეზონის ბალახს. ქვეყნის ზოგ რეგიონში ცხოველთა ფურაცისათვის შესაძლოა ხელენი და კობალტიც იყოს საჭირო.

შეჯამება

თოთხმეტი მინერალური საკვები ნივთიერება მცენარეებში მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. მთავარი ელემენტებიდან აზოტი ხელს უწყობს ზრდას. ფოსფორი იძლევა აქრეულ ფესუს, აყვავებას და მედეგობას პარაზიტებისა და ამინდით გამოწვეული ზიანისადმი. კალიუმში მატებს სიმტკიცეს, სიძლიერეს და პარაზიტებისადმი მედეგობას. მცენარეებს ამ სამი საკვები ნივთიერების ბალანსი სჭირდებათ ძლიერი, ენერგიული და ჯანმრთელი ზრდისათვის.

ნებისმიერმა ფერმერმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მოქმედებენ საკვები ნივთიერებები ნიადაგში. მაგალითად, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ არის საკვები ნივთიერება დაკული ნიადაგში. ზოგი მთავანი, მაგალითად აზოტი და ბორი, უპირატესად ორგანულ ნივთიერებებშია დაკული. სხვები, მაგალითად კალიუმში და მაგნიუმი, ძირითადად ნიადაგის კოლოიდების მიერ არის ადსორბირებული. მრავალი საკვები ნივთიერება ოდნავ ხსნადი ნაერთების შემადგენელი ნაწილია, ფოსფორისა და რკინის ჩათვლით. მრავალი მიკროელემენტი, სპილენძის მსგავსად, ურთიერთქმედებს ნიადაგის ორგანულ ნივთიერებასთან და წარმოქმნის ქელატებს. საკვებ ნივთიერებათა უბეჭვლობა ზემოაღნიშნული ფორმით მოიძიება.

საკვებ ნივთიერებათა სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი ხსნადობა და მობილურობა. მრავალი მთავანის ხსნადობა pH-ზეა დამოკიდებული. მაგალითად, ფოსფორის

ნაერთები საუკეთესოდ იხსნება, როდესაც pH-ის მაჩვენებელია 6.5-8.0. მოხილური საკვები ნივთიერებები, ნიტრატული აზოტის მსგავსად, ნიადაგიდან ადვილად გაედინება. ელემენტები, რომლებიც მხოლოდ მცირე მანძილზე გადაადგილდება, ფოსფატების მსგავსად, შეტანილ უნდა იქნას იქ, სადაც ფესვები და თესლი გამოიყენებს მათ.

მცენარეები საუკეთესოდ იზრდება მაშინ, როდესაც თითოეული ელემენტი საჭირო რაოდენობით მოიპოვება. ნებისმიერი მათგანის სიმცირე იწვევს სუსტ ან არანორმალურ ზრდას. გარდა ამისა, მცენარეებს საკვებ ნივთიერებათა ბალანსი სჭირდება, რომლის მისაღწევად სასუქების შეტანამდე ნიადაგის ტესტირება უნდა მოხდეს.

მიმოხილვა

1. მოამზადეთ ცხრილი ოთხი სექტით ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა ოთხი ძირითადი წყაროსათვის. თითოეული მაკროელემენტი შესაბამის ცხრილში მოათავსეთ. ნიადაგის ხსნადობის ცხრილში ჩაწერეთ საკვები ნივთიერების ქიმიური ფორმა.
2. ნიადაგის პროფესიონალები, რომელთა განათლებას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, ხშირად კალციუმის დეფიციტს იშვიათ პრობლემად მიიჩნევენ, მაგრამ შებაღები ამ პრობლემას ხშირად ხედებან. ასენით სხვაობა.
3. შედარეთ და განსხვავეთ ჰორეულადი მაკრონივთიერებების როლი წვეროს ზრდასთან, ფესვის ზრდასთან, ყვავილობასთან, გამძლეობასთან, სიმტკიცესთან და ჰარაზიტებისადმი მდეგობასთან მიმართებით.
4. როგორ ხდება ნიადაგიდან აზოტის დაკარგვა?
5. ბუნებრივი ეკოსისტემების ნიადაგები აგრარულ მიწებთან შედარებით უხსნადი აზოტის ძალიან მცირე რაოდენობებს შეიცავენ. რატომ შეიძლება ეს ჭეშმარიტება იყოს? რა შეიძლება იყოს აგრარულ მიწებში უფრო დიდი რაოდენობის ეკოლოგიური შედეგი?
6. თქვენ გსურთ მსხვილი ხის მიმართ აზოტის, ფოსფორისა და კალციუმის სასუქების შეტანა. იმსჯელოთ სასუქების წარმატებული შეტანისათვის თითოეული ამ სასუქის შეტანის მნიშვნელობაზე.

ნიდაგის ნიმუშის აღება და ტმსტირება

წინამდებარე თავის შესწავლის შემდეგ თქვენ უნდა შეგეძლოს:

- ახსნათ, რისთვის არის საჭირო ნიდაგის ტესტირება;
- ნიდაგის ნიმუშის სწორად აღება;
- აღწეროთ ნიდაგის ტესტირება;
- მიახლოებით ნიდაგის ტესტირების რაპორტების ინტერპრეტირება;
- აღწეროთ, როგორ ხდება მცენარის ქსოვილის ტესტირების გამოყენება.

აუცილებელი ტერმინები

| | |
|-------------------------------------|-----------------------|
| კომბინირებული ნიმუში | ნიდაგის ნიმუშის აღება |
| მწვანე ქსოვილის ტესტი | ნიდაგის ტესტირება |
| მიზანმიმართული ფერმერული საქმიანობა | ქსოვილის ტესტირება |
| საეციფოური მენჯეფეტი | |

რატომ უნდა მოვასდინოთ ნიდაგის ტმსტირება?

სასუქების შეტანა ზრდის ნაყოფიერებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის ფერმერის მოგებას. მიუხედავად ამისა, ვინაიდან სასუქი ფული ღირს, ფერმერმა უნდა გამოიყენოს ის რაოდენობა, რაც ყველაზე მეტად მოგებინა იქნება. გარდა ამისა, სასუქების არასათანადოდ შეტანა ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს. როგორ უნდა განსაზღვროს ფერმერმა, თუ რა რაოდენობის სასუქი უნდა შეიტანოს საუკეთესო მოსავლის მიღებისათვის მინიმალური ეკოლოგიური რისკით?

ურთიერთობა მცენარის ქსოვილში საკვები ნივთიერებების დონეებსა და პროდუქტიულობას შორის შეიძლება დაეყოს ოთხ დონედ:

- დონე I: დეფიციტი.** აკლსახად შეინიშნება საკვები ნივთიერების ნაკლებობა; ამას გავლენა აქვს ზრდასა და პროდუქტიულობაზე. მინერალის დამატების შემდეგ, ზრდა სტაბილურია.
- დონე II: საკმარისი.** მიღწეულია დონე, რომელიც აკმაყოფილებს მცენარის მოთხოვნებს. სასუქების დამატებით შეტანამ შესაძლოა გაზარდოს მოსავლიანობა, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი სასუქების ღირებულების გადასახდელად.
- დონე III: მაღალი.** საკვები ნივთიერებები საკმარისია, მოსავლიანობა მაქსიმალურია. მცენარეში დაცული იქნება დამატებითი საკვები ნივთიერებები (ჭარბი მოხმარება). სასუქების შეტანამ შესაძლოა გადაიყვანოს მცენარე მეოთხე დონეზე ან წვლილი შეიტანოს წყლის დაბინძურებაში.
- დონე IV: ტოქსიკური.** საკვები ნივთიერებების დონე მცენარის ქსოვილში იმდენად მაღალია, რომ ტოქსიკურს აღწევს. მოსავლიანობა მცირდება.

ფერმერებს შეუძლიათ სამი მეთოდის გამოყენება მცენარეში საკვები ნივთიერების დეფიციტის განსაზღვრისათვის:

- მცენარის დეფიციტური ნიშნების ვიზუალურმა დათვალეობამ შესაძლოა აშკარა დეფიციტი აღმოაჩინოს. სამწუხაროდ, ეს მეთოდი მხოლოდ ზღერულ დეფიციტს განსაზღვრავს მას შემდეგ, რაც ზიანი სახეზეა. გარდა ამისა, ვიზუალური სიმპტომები შესაძლოა სანდო არ იყოს. მაგალითად, ქლოროზი შესაძლოა გამოწვეული იყოს აზოტის დაბალი შემცველობით, პარაზიტებით, მშრალი ან მარილიანი ნიდაგით, დაავადებებით ან ნიდაგში საკვები ნივთიერებების შემცველობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებით. ნიდაგის ტესტები განსაზღვრავენ ნიდაგში საკვები ნივთიერებათა დონეებს, ისევე, როგორც ნიდაგის სხვა მახასიათებლებს. ფერმერები ამ ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ მცენარისათვის კირისა და სასუქის აუცილებლობას. გარემოებები, რომლებიც გავლენას

ახდენენ საკვებ ნივთიერებათა შეწოვაზე, როგორც არის სველი ნიადაგი, არ შეიძლება განსაზღვრულ იქნას ლაბორატორიაში.

ქსოვილის ტესტი განსაზღვრავს საკუთრივ ქსოვილში საკვებ ნივთიერებათა შემცველობას. ასეთი სახის ტესტმა შესაძლოა წარმოაჩინოს პრობლემები, რომლებიც ნიადაგის ტესტირების დროს იქნა გამოჩენილი.

ჩამოთვლილი სამი მეთოდიდან მცენარეთა უმეტესობის, განსაკუთრებით კი ერთწლოვანი კულტურებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ნიადაგის ტესტია. ნიადაგის ტესტირება უნდა ჩატარდეს სეზონის დასაწყისში, რათა ფერმერს საშუალება ჰქონდეს აუცილებელი საკვები ნივთიერებები დათესვამდე შეიტანოს ნიადაგში.

ნიადაგის ტესტირება სამ დამოუკიდებელ ქმედებას მოიცავს: (1) ნიადაგის ნიმუშის შერჩევა; ფერმერი არჩევს ნიადაგს და უგზავნის მას ტესტირების ცენტრს. (2) ნიადაგის ტესტირება: ნიადაგის ლაბორატორია ახდენს ნიმუშის ტესტირებას და ფერმერს რეკომენდაციებს აძლევს. (3) ფერმერი მოქმედებს რეკომენდაციათა შესაბამისად.

მოლით, პირველ რიგში ნიადაგის ნიმუშის შერჩევა განვიხილოთ.

ნიადაგის ნიმუშის შერჩევა

ნიადაგის ლაბორატორიები ყველაზე თანამედროვე მეთოდებსა და იარაღებს იყენებენ, თუმცა გასასინჯი მასალა ფერმერის მიერ მოწოდებულ ნიმუშს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგი არ იქნება ნიმუშზე უკეთესი. ქვემოთ აღწერილია ნიმუშის აღების მეთოდები. მაგრამ ადგილობრივი რეკომენდაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს. კითხვით ტესტირების ადგილობრივ ცენტრს გირჩიოთ თქვენი არეალისათვის ნიმუშის აღების საუკეთესო მეთოდი.

ტმსტირების სის შირმა. ნიადაგის ტესტირების სისშირე დამოკიდებულია მცენარეულ კულტურასა და მის ზრდაზე. ერთწლოვანი კულტურათა უმეტესობისათვის ადექვატური იქნებოდა ნიმუშის აღება ყოველ ორ ან სამ წელიწადში ერთხელ. ძლიერი მცენარეული კულტურებისთვის, როგორც არის ხილი და ბოსტნეული, ნიმუშების ყოველწლიური აღება არის სასარგებლო, ხოლო სასათბურე კულტურებისთვის ნიმუშების აღება კიდევ უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს. ნიადაგი ტესტირებულ უნდა იქნას ნებისმიერი მცენარეული კულტურის დათესვამდე, რომელიც ნიადაგში ერთ სეზონზე მეტ ხანს რჩება. ასეთობა კორდი, ხეები და მრავალწლოვანი საკვები კულტურები. მსგავსი პრაქტიკა საშუალებას აძლევს ფერმერს დათესვამდე მოახდინოს კალიუმისა და ფოსფატების შერევა ნიადაგში, ან შეძლოს pH-ის დონის მოსწორება.

ნებისმიერ ცვლილებას ასეთ პრაქტიკაში ნიადაგის ტესტირება უნდა უსწრებდეს. მაგალითად, თუ ფერმერს განზრახული აქვს რეკომენდებული საკონსერვაციო დამუშავებაზე გადასვლა, ნიადაგის ტესტირება პირველი წლის დაწყებამდე უნდა მოხდეს. ფერმერმა, რომელიც ცვლის მოსაყვან კულტურას (მაგალითად, ხორბლის ნაკვლად მუხუნუზირა), ასევე უნდა მოახდინოს ნიადაგის ტესტირება ახალი კულტურის დათესვამდე.

ფერმერმა ნიადაგის ტესტირება უნდა მოახდინოს ნებისმიერ დროს, თუ ნიადაგი გაყინული არ არის. საუკეთესო სავარაუდო დროს შემოდგომა წარმოადგენს, რადგან ფერმერი ზამთრის შემდგომ თევებში შეძლებს რეაგირება მოახდინოს შედეგებზე და შეუკეთოს სასუქი.

ნიმუშის ახალბეი ადგილის შირჩევა. მიწის ნაკვეთი უნდა დაიყოს ნიმუშის ასაღებ ზონებად, რომლებსაც გააჩნიათ ერთგვაროვანი ტექსტურა, ტოპოგრაფია და ისტორია. მაგალითად, მსხვილტექსტურის მინდორი უნდა გამოიყოს მის ახლომდებარე მდებარე წვიმლტექსტურის მინდორისგან. თუ მინდორის ნახევარში ნაკვეთი იყო შეტანილი, ხოლო მეორეში ეს არ მოხდა, ისინი განცალკევებით უნდა შეირჩეს. ნიმუშის ასაღები ადგილის ზომა მერყეობს მცირე ბაღიდან მაქსიმუმ ოცი აკრის მინდორამდე. ზოგი ლაბორატორიის რეკომენდაციით შესარჩევი ადგილების განსაზღვრისათვის შესაძლებელია ნიადაგის რუქის გამოყენება. ნიადაგის თითოეული ტიპი ამ სისტემაში ნიმუშში ასაღებ ნაკვეთად იქცევა. აქვე არ უნდა დაგვაიწყდეს დათესვის ისტორიის გათვალისწინება.

ნიმუშის ასაღებ ნაკვეთში სასუქის შეტანა უნდა მოხდეს, როგორც ერთეულში, სადაც იგივე პროპორცია იქნება გამოყენებული, როგორც მთელს ფართობზე. ამ ნაკვეთშიც კი ნიადაგი ერთგვაროვანი არ იქნება. განსხვავებები გასაშუალოდება რამდენიმე ადგილიდან შემთხვევითი ნიმუშების აღების გზითა და მათი გაერთიანებით კომბინირებულ ნიმუშად.

ტმსტირამბის სიღრმე. მინდვრის მარცვლეულისთვის, რომელიც სტანდარტული დამუშავებით იზრდება, ნიმუშად ნიადაგის ზედა 6-9 ინჩი უნდა იქნას აღებული. დაუმუშავებელი ნიადაგისათვის pH-ის სავანგებო ნიმუში უნდა იქნას აღებული ზედა ორი ინჩიდან, რათა ტესტირებულ იქნას მთელი შრე, რომელიც ნიადაგის ზედაპირზე წარმოიქმნება. მცირე კვალური დამუშავებისას ნიმუში აღებულ უნდა იქნას კვალის გვერდებიდან. ბალახოვანი საფარიდან ან საძოვრიდან ნიმუში აღებულ უნდა იქნას 2-3 ინჩის სიღრმეზე; ლაბორატორების რეკომენდაციით აზოტის ტესტები უნდა ჩატარდეს ნიმუშებს, რომლებიც აღებულია 3 ფუტის სიღრმიდან. უფრო ღრმა ნიმუშების შესაძლებელია იმის გაზომვა, თუ რამდენი ნიტრატია ნიადაგში.

ნიმუშის აღების პროცედურა. ნიმუშის თითოეული ნაკვეთისათვის მიჰყევით შემდეგ პროცედურას:

1. მინდვრის შემთხვევით შერჩეული ადგილებიდან აიღეთ ზედა ფენის ნიმუშები. არ აიღოთ ნიმუშები გზებიდან, დაბინძურებული ადგილებიდან და ღობეებიდან 100-300 ფუტზე უფრო ახლო მანძილებიდან. აგრეთვე ერთდებ ნაღარი კვალი, სასუქების მოგროვების არეალებსა და სხვა ადგილებს არასტანდარტული პირობებით. დიდ ფართობებს 15 და მეტი ჰექტარზე სჭირდებათ.
2. გადაუხვიეთ ზედაპირი თითოეულ საანალიზო წერტილში და აიღეთ ნიადაგის ნიმუში. ბურღი ან ნიადაგის ნიმუშის ასაღები მილი მოსახერხებელი იარაღია. ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნიჩაბი. ამთხვარეთ V-ფორმის ორბო, მოაშორეთ ნახევარი ინჩის ფენა ზეგრილის გვერდიდან და აიღეთ ნიმუში. თითოეული ნიმუში უნდა შეიცავდეს ნიადაგს მთელი სატესტირებელი სიღრმიდან. ნიმუშების მოგროვების შემდეგ ისინი პლასტიკის სუფთა სათლებში მოათავსეთ.
3. ერთმანეთს აურიეთ ერთი ნიმუშის ასაღები არეალის ჰექტარზე და მოაშორეთ დაახლოებით ერთი ფინჯანი ნიადაგი. ეს შედეგნილი ნიმუში წარმოადგენს მინდვრის საშუალო ნიადაგს. შედეგნილი ნიმუში სახელი დარჩეთ და პაერზე გაასეთეთ. არ გაახლოთ.
4. გასაგზავნი კონტეინერი აივსეთ მშრალი შედეგნილი ნიმუშით. კონტეინერის მარკირება მოახდინეთ ტესტირების ცენტრის ინსტრუქციების შესაბამისად. შეავსეთ ნიმუშის ფურცელი სავარაუდო მცენარეული კულტურის, მიზნების, ისტორიისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციის ჩათვლით.
5. ნიმუშები ლაბორატორიას გაუგზავნეთ ან მიუტანეთ. ნიმუშთა კონტეინერებისა და ფურცლების მიღება ნიადაგის ლაბორატორიიდან შეიძლება.

ნიმუშების აღება სათბურამბისა და საძოვრე მცენარეებისთვის. სასუქების შეტანის პროგრამა სათბურებისა და საძოვრე მცენარეებისთვის ძლიერ განსხვავდება მინდვრის მცენარეული კულტურების გვეგმისაგან. მინდვრად მიუხედავად უმეტესწილად ნიადაგში ისეთი საკვები ნივთიერებების რეზერვებზე არიან დამოკიდებული, როგორც არის ორგანული აზოტი ან ჩანაცლებადი კალიუმი, ხოლო სასუქების შეტანას ახდენენ ზრდისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერების დასამატებლად. ამის საწინააღმდეგოდ, ჭოთნებში მიუხედავად იყენებენ ნარეგებს, რომლებიც საკვები ნივთიერებათა არანაირ რეზერვს არ შეიცავს. მიუხედავად ამისა, მცენარისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებები სასუქების სახით შეიძლება იქნას შეტანილი. ეს აუცილებლობა კიდევ უფრო მატულობს ნიადაგის მცირე შეთბობის, მორწყვის სიხშირისა და სასათბურე მცენარეების ხსნადი მარილის პრობლემებით.

სათბურის ან ჭოთნის ნიადაგებიდან ნიმუშის აღება დათესვამდე უნდა მოხდეს, რის შემდეგ პერიოდულად უნდა ჩატარდეს მისი ტესტირება. ნიადაგის ტესტირება ასევე უნდა მოხდეს ზრდის რაიმე პრობლემის ნიშნის წარმოშობისას. ჭოთნის მცენარეების ტესტირებისას უნდა ნახევარი ინჩი, რომელშიც სავარაუდოდ კაილარების სიმრავლისაგან მარილის მაღალი შემცველობა ეწეება, უნდა გადაიხვიოს. შემდეგ მოხდება ნიადაგის გულის მოშორება. გული უნდა შეიცავდეს ნიადაგს ჭოთნის თაიდან ბოლომდე. უნდა მოხდეს რამდენიმე კონტეინერის ტესტირება, დაახლოებით ექვსი თითო კვალიდან, და მოშვადღეს შედეგნილი ნიმუში. კვალის ტესტირება უნდა მოხდეს რვა ინჩის ან კვალის სიღრმეზე.

ნიმუშების აღება საპიფიფური მინერალისთვის. საპიფიფური მენეჯმენტი და მიზანმიმართული ფერმერული საქმიანობა ის ცნებებია, რომლებიც განსაზღვრავენ საკვები ნივთიერებათა მენეჯმენტის სისტემას, რომელიც მნიშვნელოვანწილად ნიადაგის ნიმუშების ყოვლისშემძველ აღებაზეა დამოკიდებული. სისტემისათვის ცნობილია, რომ საკვები ნივთიერებების მოთხოვნა შესაძლოა დიდად იცვლებოდეს მინდვრის მცირე ფართობებზეც კი. ეს არის პრობლემა,

რომლის ნაწილობრივი გადაწყვეტა შედეგნილი ნიმუშების აღება, რაც ნიმუშის ასაღებ ფართობზე ნიადაგის გასაშუალოებას ახდენს. საექიფიური მენეჯმენტისას ასეთ მკირე ფართობზე განცალკეებით არის აღებული ნიმუშები, ტესტირებული და სასუქების შეტანაც დამოკიდებულად ხდება. სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელია კომპიუტერებისა და სხვა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

მიზანმიმართული ფერმერული საქმიანობა იწყება მინდერის დაყოფით 2.5 აკრის (ერთი ჰექტარი) ზომის უჯრედებად. თითოეული უჯრედიდან ხდება დაახლოებით ათი ნიმუშის აღება და შედეგნილი ნიმუშის შექმნა, რომელიც უჯრედს წარმოადგენს. ტესტირების შედეგები შეიტანება დანაწილების კომპიუტერულ პროგრამაში, რომელიც ქმნის სასუქების მოთხოვნის რუქას, რაც თითოეული ადგილის შესაბამისია. შემდგომი შეტანა ცვალებადია და დამოკიდებულია მინდერის რუქაზე.

უჯრედთა ბადის შექმნა სხვადასხვა მეთოდებით არის შესაძლებელი, რომელთაგან ყველაზე თანამედროვეა გლობალური სატელიტური პოზიციონირების (გსა) სისტემა. ფერმაში დამონტაჟებული რადიომიმბლები იღებს სიგნალს აშშ-ის ნავიგაციის სატელიტური სისტემიდან, რომელსაც ტრაქტორის განთავსება რამდენიმე ფუტის სიზუსტით შეუძლია. ესა გახლავთ, როგორც ბადის შესაქმნელი ასევე ფერმის აღჭურვილობის განსათავსებელი იარაღი. ამგვარად, ბორტზე არსებული კომპიუტერი ესა სისტემით, ნიადაგის ნიმუშების აღების შედეგად მიღებული რუქა და კომპიუტერით მართვადი სასუქების გამანაწილებელი საშუალებას იძლევა სასუქების შეტანა უაღრესად ზუსტად და მიზანმიმართულად მოხდეს.

ნიადაგის ტესტირება

ნიადაგის ნიმუშების ტესტირების ორი ძირითადი გზა არსებობს. უძველესი მეთოდი იყენებს ქიმიურ რეაქტივებს, რომლებიც იწვევენ ფერის ცვლილებას. ზუსტი ფერი დამოკიდებულია ნიადაგში არსებული მინერალების რაოდენობაზე. PH-ის ტესტის შემთხვევაში ფერი დამოკიდებულია ნიადაგის PH-ზე. ტესტირების აღჭურვილობის მეშვეობით, რომელსაც მებაღე იყენებს, ნიადაგის განაკვეული რაოდენობა თავსდება ტესტირების მილში. მასშივე თავსდება ქიმიკატის ანუ რეაგენტის განსაზღვრული ოდენობა. მიღებული ნაერთის ფერი შედარება არსებულ სტანდარტებს და განისაზღვრება აუცილებელი საკვები ნივთიერებების რაოდენობა.

მარტივი ქიმიური ტესტების ჩატარება იოლია, მაგრამ ისინი ნაკლებად სანდოა. ერთ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის ფაქტორი, რადგან შედეგები დამოკიდებულია ანალიზის ჩამტარებელის ტექნიკასა და იმაზე, თუ რას ხედავს იგი. მაგალითად, სტუდენტურ ლაბორატორიებში ნიადაგის ერთი და იგივე ნიმუშის რამდენიმე შედეგი შესაძლოა განსაკვირვებლად განსხვავებული იყოს. მიუხედავად ამისა, ასეთი ტესტები შესაძლოა გამოყენებადი იყოს მინდერებში, სადაც ძნელია აღჭურვილობის მიტანა ან ელექტრონიკის წყაროს პოვნა.

თანამედროვე ლაბორატორული ტესტები ეფუძნება სამსაფეხურიან პროცესს, რომელიც შედგება აღების, გაზომვისა და ინტერპრეტირებისაგან. პირველ რიგში საკვები ნივთიერებები და მკვებები ნიადაგიდან იქნება ამოღებული გაფილტრული წყლის ან სხვა ხსნარის მეშვეობით. ასეთი გზით ამოღება მოაზორებს ნიადაგის თავისუფალი საკვებ ნივთიერებების დიდ ნაწილს, ისევე, როგორც კოლოიდებზე აღსრობირებულ ელემენტებს (მაგალითად, ჩანაცვლებად კალიუმს). ამ დანიშნულებით სხვადასხვა ქიმიკატები გამოიყენება, ხოლო განსხვავებულმა ლაბორატორიებმა შესაძლოა ერთი და იგივე ელემენტისათვის განსხვავებული ქიმიკატები გამოიყენონ.

შემდგომ ამისა, ლაბორატორია ამოღებულ ხსნარში განსაზღვრავს საკვები ნივთიერებებისა და PH-ის კონცენტრაციას. ისეთი თანამედროვე დანადგარები, როგორიც არის PH-ის მზომი და სპექტროფოტომეტრი, სწრაფად და ზუსტად ახდენს აღებული ნიმუშების ტესტირებას. მაგალითად, სპექტროფოტომეტრი უშვებს შუქის სხივს სატესტირებულ ხსნარში და ზომავს შთანთქმული შუქის ოდენობას. რაც უფრო მეტი შუქია შთანთქმული, მით უფრო მყარია ნიადაგი.

სულ ბოლოს, ლაბორატორია შედეგების ინტერპრეტირებას გრაფიკების მეშვეობით ახდენს. მაგალითად, ერთი გრაფიკი გვეუბნება რა რაოდენობის საკვები ნივთიერება ნიადაგში ფუნქციით ერთ აკრზე. სხვა გრაფიკის მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ რა რაოდენობის სასუქი ან კირია საჭირო ნიადაგში სათანადო მოთხოვნების დონის მისაღწევად.

მიუხედავად ყველაფრისა, ლაბორატორიის შედეგები სანდო მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ისინი ეფუძნება ნიადაგებს, რომლებიც ნიმუშების მსგავსია. ამგვარად, ტესტირება უნდა ეფუძნებოდეს კვლევის სასუქების, საკვებ ნივთიერებათა დონის და კულტურის ზემოქმედებას ნიმუშის მსგავს ნიადაგზე. ჩვეულებრივ, ეს ნიშნავს, რომ ფერმერმა უნდა გამოიყენოს ადგილობრივი ლაბორატორია, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ პირობებს. ასეთი ლაბორატორიები ასოცირებული უნდა იყოს უნივერსიტეტთან ან სახელმწიფო აგრარულ საექსპერიმენტო სადგურთან. დიდი რაოდენობით კერძო ფირმები ასევე ახდენენ ნიადაგისა და ქსოვილის ტესტირებას. სხვადასხვა ლაბორატორიებმა, გამოძინარე ტესტირების პროცედურებიდან, შესაძლოა განსხვავებული შედეგები მიიღონ. ეს არ უნდა წარმოადგინდეს პრობლემას, თუკი ეინმე ლაბორატორიის შეცვლას არ აპირებს. ზოგი ლაბორატორია აგრარული პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული და მათი შედეგები შესაძლოა ნაკლებად გამოსადეგი იყოს მეზაღეების ან ნიადაგის სხვა მომხმარებლებისათვის.

მხოლოდ რამდენიმე ლაბორატორია ატარებს ოთხივე მინერალური საკვები ნივთიერების ტესტირებას. უმეტესწილად ლაბორატორიები იმ ტესტებს ატარებენ, რომლებიც მოცემული ადგილისათვის არის გამოსადეგი. ზოგადად, სტანდარტული სერია მოიცავს შემდეგ ტესტებს:

- ტექსტურის განსაზღვრა ნიადაგის ნიმუშის ალების ან მექანიკური ანალიზის გზით.
- ორგანული ნივთიერების განსაზღვრა ნიადაგის ფერის შედარებით მიღებულ სტანდარტებთან ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
- pH-ის და ბუფერული PH-ის გაზომვა PH-ის მზომის მეშვეობით. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ტექნიკოსს შეუძლია შესაბამის კირის ოდენობის შესახებ რჩევის მიცემა.
- ნიმუშიდან ფოსფორის გამოვლენა მკაფიო ხსნარით ხდება. ამის შემდეგ ხსნარი სექტრომეტრში თავსდება. აღნიშნული მეთოდით მხოლოდ ხსნადი ფოსფორის გაზომვა ხდება. უხსნადი ფორმები არ იზომება. შედეგად მიღებული მნიშვნელობა, რომელსაც მისაწვდომი ფოსფორი ეწოდება, გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის ფოსფორი სჭირდება მცენარეს ვეგეტაციისათვის. შესაძლოა ჩატარებულ იქნას კიდევ რამდენიმე სახის ტესტი, მაგრამ მათი შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე არ იქნება. თუ ტესტები თქვენი არეალისთვის იქნება შემუშავებული, ყველა დამაკმაყოფილებელი იქნება. კალიუმის გამოვლენა ნიმუშიდან ხდება ხსნარით, რომელიც კათიონების ჩანაცვლების ველზე კალიუმს ჩანაცვლებს. შედეგად მიღებული მნიშვნელობა გვიჩვენებს რაოდენობას ჩანაცვლებადი კალიუმისა, რომელიც მზად არის მცენარის მიერ მისაღებად.

აზოტის ზუსტი ტესტირება რთულია და ამიტომ თქვენს სიახლოვეს შესაძლოა სტანდარტული ტესტი არ მოიძებნოს. ლაბორატორიები აზოტის საჭიროებას ავუმძებენ ნიადაგის ორგანულ ნივთიერებაში დაცული აზოტის რაოდენობას, გასული წლის მოსავლის ეფექტს, სხვა პრაქტიკებსა და ფერმერის მიზნებს. მცირენაღეკიან ადგილებში, სადაც გადინება და აღნიტრიფიკაცია დაბალია, აზოტი შესაძლოა გასული წლიდანაც შემორჩეს. ასეთი შემთხვევისას სასარგებლოა ნიტრატული აზოტის ტესტი. ასევე, ვინაიდან გრუნტის წყლებში აზოტის გადინების პრობლემა უკანასკნელ წლებში გამამრდა, უფრო პოპულარული გახდა აზოტის გამოყენების და ტესტირების რეკომენდაციები, დაფუძნებული ფესვის ზონის ნიტრატებზე. ნიტრატების ტესტირებისათვის ნიადაგის ზედა ორი ან სამი ფუტი უნდა იქნას აღებული ნიმუშად.

სხვა ტესტები შესაძლოა სტანდარტული ან არასავალდებულო იყოს, გამომდინარე ლაბორატორიიდან. იგი მოიცავს ხსნადი მარილების, კათიონების ჩანაცვლების უნარის, კალციუმის, გოგორდის, მანგიუმისა და მიკროელემენტების ტესტებს, რაც ცნობილია, რომ პრობლემას წარმოადგენს მოცემულ ადგილში. ქიონის მცენარეთა და ნერგების გამოყვანებმა უნდა მოითხოვონ ხსნადი მარილებისა და საკვებ ნივთიერებათა სრული ტესტირება.

ნიმუშის ტესტირების შემდეგ ლაბორატორია წერს კომპიუტერის მეშვეობით მიღებულ დასკვნას, რომელიც მოიცავს ტესტის შედეგებს, მათ ინტერპრეტაციას და სასუქებისა და კირის რეკომენდაციებს.

ინტერპრეტირების ერთ ნაწილს წარმოადგენს დაუმუშავებელი მარცხენა მხარის გადაყვანა დაბალ, საშუალო და მაღალ მნიშვნელობებად. მათი შესაბამისი რიცხვები ცვალებადია ლაბორატორიების მიხედვით.

შპს მარტა ტმსტმპი. ფერმერებისათვის დღეისათვის ხელმისაწვდომია დიდი რაოდენობით არც თუ ძვირი, მარტივი ელექტრონული მოწყობილობები, როგორც არის,

მაგალითად, ჯიბის pH-ის მზომი. გარდა ამისა, არსებობს გამტარუნარიანობის მზომი (ნიადაგის დამარილება) და ასევე საკვებ ნივთიერებათა მზომი მოწყობილობები. მესათბურები და ქიონის მვეჯავილეები ფართოდ იყენებენ მსგავს მოწყობილობებს მცენარეული კულტურების ტესტირებისათვის, რომლებსაც ნიადაგის მუდმივი მონიტორინგი სჭირდებათ. ნიადაგზე მომუშავე სხვა ფერმერებს შეუძლიათ შესაბამისი მოწყობილობების მოძიება.

ყველაზე ხშირად, ნიადაგის ნიმუშის ერთი წილი ირევა ორ წილ წყალში, რის შემდეგ ხსნარი ნახევარი საათის განმავლობაში უნდა იდგეს. ხსნარი იფილტრება მყარი მასალის მოსაშორებლად, ხოლო დარჩენილი ისთვე ტესტირდება რომელიმე მოწყობილობით. შედეგების ინტერპრეტირებისათვის შემუშავებულია ცხრილები. გახსოვდეთ, რომ აღნიშნული ტესტები განსხვავებულ პროცედურებს იყენებენ კომპიუტერი ლაბორატორიებში და ამდენად მნიშვნელობების უშუალოდ შედარება შეუძლებელია.

მსოფილის ტესტირება

მცენარის ქსოვილის ტესტი, ნიადაგის ტესტთან ერთიანობაში, მცენარეში საკვები ნივთიერებების სტატუსის შესახებ ყველაზე სრულ სურათს ქნის. ქსოვილის ტესტირებისას ხდება უშუალოდ მცენარეში და არა ნიადაგში არსებული საკვები ნივთიერებების ტესტირება. აღნიშნული ტესტები სასარგებლოა მიკროელემენტების პრობლემების აღმოსაჩენად და შესაძლოა უფრო სანდო იყოს, ვიდრე ნიადაგის ტესტები. ქსოვილის ტესტმა შესაძლოა განასხვავოს საკვები ნივთიერებების პრობლემები დაავადებების ან სხვა პრობლემებისაგან. ქსოვილის ტესტებმა ასევე შესაძლოა მიანიშნოს ნიადაგში შექმნილი რაიმე გარემოების მიერ საკვები ნივთიერების შეწოვის დაბრკოლება. ზოგი ფერმერი ქსოვილის ტესტს იყენებს სასუქების შეტანის პროგრამის ეფექტურობის შემოწმებისათვის.

მცენარის ქსოვილის ტესტები მეტად სასარგებლოა ხე-მცენარეებისა და ვაზის კულტურებისათვის სანერგეებში, ევენახებსა და ხეხილის ბაღებში. მათი ფესვთა სისტემა უფრო ფართოდ განვითარებულია, ვიდრე ერთწლოვანი კულტურებისა. შესაბამისად, ხშირად საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ ზუსტად სად იმყოფება მკვებავი ფესვი და რა სიღრმეიდან უნდა იქნას აღებული ნიადაგის ტესტი.

სხვადასხვა ასაკის მცენარეთა სხვადასხვა ქსოვილში საკვებ ნივთიერებათა დონეები მკვეთრად მერყეობს. ლაბორატორიისთვის ნიმუშის გავზაენამდე დარწმუნდით, რომ განსაზღვრეთ მცენარის ნაწილი და ზრდის საჭირო ეტაპი. მაგალითად, სიიას ნიმუშების აღება ხდება პირველი ყვავილობისას, სრულად გახსნილი ფოთლებიდან. ვაშლის ნიმუშებს იღებენ ღეროს შუა ნაწილის ფოთლებიდან სრულად აყვავილებიდან 8-12 კვირის განმავლობისას. ფერმერმა უნდა დაცვათ იმ ლაბორატორიის ინსტრუქციები, რომელსაც რეალურად მიმართავს. ნიმუშის აღების ზოგადი მეთოდები შემდეგია:

1. ნიმუშად აიღეთ ათიდან თხუთმეტამდე მცენარე და ამ დროს გამოიყენეთ მცენარის რკომენდებული ნაწილები. ნაწილები ნიადაგისა და მტკრისაგან სუფთა უნდა იყოს. ნიმუშად აიღეთ მხოლოდ განზრახული ჯიშები. მაგალითად, ერთმანეთში ნუ აურევთ სამყურასა და სხვა ბალახს. ასევე ნუ ჩართავთ მკვდარ მასალას და დაზიანებულ ნაწილებს, თუკი მისი ნიმუშად აღება განზრახული არ არის.
2. აუცილებლობის შემთხვევაში ფოთლებიდან მტკრის ან ნიადაგის მოსაშორებლად წყალი გამოიყენეთ.
3. გავზაენამდე ნიმუშები ჰაერზე გააშრეთ.
4. სრულად შეავსეთ საინფორმაციო ფურცელი. ჩართეთ ნიადაგის ყველა ბოლო დროინდელი ტესტი, თუკი ამას ლაბორატორია გირჩევთ.
5. ლაბორატორიას ნიმუში მიაწოდეთ მაგარი ქაღალდის ჩანთით. პლასტიკის ჩანთით გადატანისას ფოთლებს შესაძლოა ობი მოეღოს.

მშვანე მსოფილის ტესტი. ქსოვილის ტესტის ყველაზე მარტივი ფორმაა მწვანე ქსოვილის ტესტი ან მცენარის წვენი ტესტი. ამ ტესტით განისაზღვრება საკვები ნივთიერებების დონე ფოთლების ყუნწების ან ახალგაზრდა ღეროების წვენში. ამ დროს გამოიყენება ტესტირების პორტატული მოწყობილობა. ასევე შესაძლოა გამოიყენებულ იქნას ტესტირების ქაღალდები, რომლებიც რეაგენტებს შეიცავს. მათ გამოსაყენებლად მცენარის წენის ქაღალდზე დაწვეთეთ. სხვა

მოწყობილობები მოიცავს შუშის სინჯარებსა და ფოსფორის ფირფიტებს. ასეთი ტესტირებისას ფოსფორის ყუნწების ნაწილი სინჯარაში უნდა აუროთ ხსნად რეაგენტს, ხოლო ფერი ფოსფორის ფირფიტებზე ჩაინიშნება.

როგორც ქსოვილის ტესტირებისას, უნდა მოხდეს რამდენიმე მცენარის ტესტირება. საუკეთესო შედეგები მიიღწევა ნაკლები მცენარეებისა და მასობრივად მზარდი ჯანმრთელი მცენარეების ტესტის შედეგების შედარებით.

შეჯამება

ფერმერებს სასუქების ეფექტური გამოყენება სჭირდებათ. ნიადაგის ტესტი არის საუკეთესო იარაღი, რომლის მეშვეობით ფერმერს შეუძლია განსაზღვროს რა რაოდენობის სასუქია საჭირო სასუქების ჭარბი ან მცირე რაოდენობით შეტანის თავიდან ასაცილებლად.

პირველ ნაბიჯს ნიადაგის ნიმუშის აღება წარმოადგენს. ნიმუშის ასაღები თითოეული ნაკვეთი ერთგვაროვანი უნდა იყოს. ხდება მრავალი ქვენიმუშის აღება და ერთმანეთში შერევა შედეგნილი ნიმუშის მისაღებად, რომლიდანაც მოშორდება მცირე ნაწილი და გაეგზავნება ტესტირების კერძო ლაბორატორიას ან უნივერსიტეტის ნიადაგის ტესტირების ცენტრს. ნიმუშს თან ერთვის საინფორმაციო ფურცელი (ეტკეტი), რომელშიც მითითებულია ლაბორატორიის მიერ სასარგებლო რეკომენდაციების მისაღები აუცილებელი მონაცემები.

ნიადაგის ტესტირების ლაბორატორიები საკვებ ნივთიერებათა დონის სწრაფად და ზუსტად განსაზღვრისათვის თანამედროვე მოწყობილობებს იყენებენ. შემდგომ ამისა კომპიუტერი ახდენს ტესტირების შედეგების გენერირებას, მონაცემთა ინტერპრეტირებასა და სასუქისა და კირის რეკომენდაციების გაცემას.

მცენარის ქსოვილის ტესტების ნაკლები სიხშირით ტარდება, მაგრამ ნიადაგის ტესტებთან ერთად უფრო დასრულებულ სურათს იძლევა მცენარეში საკვებ ნივთიერებათა დონის შესახებ. ფერმერებმა, რომლებსაც ქსოვილის ტესტის ჩატარება სურთ, ინსტრუქციებისათვის ტესტირების ლაბორატორიას უნდა მიმართონ.

კომერციული ლაბორატორიების ტესტები უფრო სანდო შედეგებს იძლევა, მაგრამ ფერმერების ხელთ ასევე არის ნიადაგისა და მცენარის წვენი ტესტირების პორტატული მოწყობილობები.

მიმონიშნა

1. აღწერეთ კომერციულ ან უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ნიადაგის ტესტირების სამი მთავარი ეტაპი.
2. საკვებ ნივთიერებათა დეფიციტის განსაზღვრისათვის რატომ არ უნდა ენდოს ფერმერი ვიზუალურ სიმპტომებს?
3. როდის არის სასუქების შეტანა ყველაზე ეკონომიური?
4. რატომ სჭირდებათ ქოთნის მცენარეებს უფრო ხშირი ტესტირება?
5. რით განსხვავდება ნიადაგის ნიმუშების აღება მიზანმიმართული ფერმერული საქმიანობისას სტანდარტული პრაქტიკისაგან?
6. რატომ უნდა იყოს ფერმერი ადგილობრივი ლაბორატორიის მუდმივი კლიენტი?
7. როგორ ვიღებთ საიმედო შედეგნილ ნიმუშს ანუ ისეთს, რომელიც ზუსტად ასახავს ნიმუშის სახით აღებულ ნიადაგს?

აზერარული მემკვიდრეობა

ავტორი - რეი პერენი

მემკვიდრეობა გამრავლება

წინამდებარე თავის შესწავლის შემდეგ თქვენ უნდა შეგებდეთ:

ისაუბროთ განსხვავებაზე მცენარეთა სქესობრივ და უსქესო გამრავლებას შორის
ახსნათ მცენარეთა გამრავლების მნიშვნელობა მწარმოებლებისთვის
ახსნათ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები სქესობრივად
მოახდინოთ მცენარეთა ნაწილების იდენტიფიცირება და მსჯელობა მათი ფუნქციების
შესახებ
ახსნათ მცენარეებში სქესობრივი უჯრედის წარმოქმნის პროცესი
იმსჯელოთ დამტვერვის პროცესის შესახებ
აღწეროთ მწერების როლი დამტვერვის პროცესში
ახსნათ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები უსქესოდ
ახსნათ უჯრედიდან ახალი მცენარის გაზრდის პრინციპები
აღწეროთ მწარმოებლების მიერ მცენარეთა უსქესოდ გამრავლების სხვადასხვა მეთოდები

აუხილაველი ტერმინები

უსქესო
ზიგოტა
ყვავილსაფარი
მეიოზი
ენდოსპერმა
ერთსახლიანი
ორსახლიანი
კულტივარი
დამყნობა
ქსოვილური კულტურა
ქსოვილური კულტივირება
სინჯარის კულტურა

ყველა ცოცხალი არსების მსგავსად, მცენარეებს სიცოცხლის გასაგრძელებლად გამრავლება სჭირდებათ. სოფლის მეურნეობის სისტემა მთლიანად მცენარეთა გამრავლების გარეშეა აგებული. მცენარეები, რომლებიც ჩვენ ვიკვებებით, გვკვებავთ პირუტყვს და ვამშენიერებთ გარემოს, უნდა გამრავლდეს, რათა მოგვიტანოს სარგებელი.

მცენარეები ორი გზით მრავლდება – სქესობრივად და უსქესოდ. მცენარეებმა, რომლებიც სქესობრივად მრავლდებიან, ორი სქესობრივი უჯრედი უნდა წარმოქმნან – სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედი. მცენარეები, რომლებიც უსქესოდ მრავლდება, ამას ევგეტატურად აკეთებენ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ მცენარე შესაძლოა კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შეერთების გარეშე წარმოიქმნას. ასეთი მცენარეები მრავლდებიან მშობელი მცენარის ნაწილის გამოყენებით ახლის შესაქმნელად. სოფლის მეურნეობაში მცენარეები შესაძლოა ბუნებრივად გამრავლდნენ თავისთავად ან მწარმოებელმა გამოიყენოს მეთოდთაგან ერთ-ერთი, რათა მცენარის გამრავლება მოახდინოს. ბუნებრივად, თუ აღამიანის ჩარევით, ევგეტატური გამრავლებას შედეგად ახალი მცენარის წარმოქმნა მოყვება, რომელიც გენეტიკურად იგივეა, როგორც მშობელი. მცენარეთა სახეობების უმრავლესობაში გამრავლება ორივე მეთოდით ხდება.


სქესობრივი გამრავლება

სქესობრივი გამრავლებისას ადგილი უნდა აქონდეს განაყოფიერებას. ეს ნიშნავს მამრობითი სქესობრივი უჯრედის (სპერმატოზოიდის) და მდედრობითი სქესობრივი უჯრედის (კვერცხუჯრედის) შერწყმას. აღნიშნულ პროცესს, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს მცენარის ყვავილში და მას შედეგად ზიგოტის, ანუ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ფორმირება მოყვება. ზიგოტა შემდეგ თესლად გარდაიქმნება.

ყვავილი ეთარღება ღეროს კვირტიდან ან გვერდითა ტოტიდან. ყვავილი ღეროსთან დაკავშირებულია ყუნწით ან ფართო სტრუქტურით, რომელსაც ყვავილსაჯდომი ეწოდება. გარშემორტყმული სტრუქტურა, რომელსაც ჯამი ეწოდება, იცავს ყვავილის განვითარებად კვირტს. ჯამი, ჩვეულებრივ, მწვანე, ფურცლის მსგავსი სტრუქტურისგან არის შექმნილი, რომელსაც ჯამის ფოთოლი ეწოდება და ჯაგმნავს ყვავილს. როდესაც მზარდი ყვავილი იშლება, გვირგვინი გამოჩნდება. გვირგვინი ფურცლებისგან შედგება. ჯამი და გვირგვინი შეადგენს ყვავილსაფარს, რაც ყვავილის ფერადი თავია. სრულყოფილი ყვავილი შეიცავს, როგორც მამრობით, ასევე მდედრობით ნაწილებს.

ყვავილის მდედრობით ორგანოებს ნაყოფოთოლი ეწოდება. იგი მილის მსგავსი მოწესრიგებული სტრუქტურისაგან შედგება, რომელსაც ბუტკო ქვია. ბუტკოს თავზე ფართო ადგილია, რომელზეც დამტვერილი ნაწილაკები ხვდება. ამ ნაწილს დინგი ეწოდება. მას უკავშირდება მილი, რომელსაც ბუტკოს სვეტი ქვია და ბუტკოს ძირისკენ მიემართება. ბუტკოს ძირშია კვერცხი, რომელიც შეიცავს კვერცხუჯრედის სახელით ცნობილ ღრუ სტრუქტურას. განაყოფიერების შემდეგ კვერცხუჯრედი გარდაიქმნება თესლად, ხოლო კვერცხი – ნაყოფად.

ყვავილის ნაწილები



მდედრობითი სქესობრივი უჯრედის, ანუ კვერცხუჯრედის წარმოქმნის პროცესი იწყება კვერცხში უჯრედების დაყოფის მსგავსი პროცესით, რომელსაც მეოზი ეწოდება. ღედა უჯრედი იყოფა მეოზით და აყალიბებს ოთხ ჰაპლოიდ უჯრედს. გასოვდეთ, რომ დიპლოიდი ნიშნავს, რომ უჯრედი შეიცავს ქრომოსომების ორ სრულ კომპლექტს. ჰაპლოიდი კი ნიშნავს, რომ უჯრედში ქრომოსომების მხოლოდ ერთი სრული კომპლექტია. სქესობრივი უჯრედები (კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი) შეიცავენ ქრომოსომების ერთ კომპლექტს და ამიტომ ჰაპლოიდური უჯრედები არიან. განაყოფიერებისას სქესობრივი უჯრედები ერთიანდებიან და ქრომოსომების კომპლექტები ქმნიან დიპლოიდურ უჯრედს, რომელსაც ზიგოტა ეწოდება. მდედრის ოთხიდან სამი ჰაპლოიდი უჯრედი იშლება და მხოლოდ ერთი გადარჩება. ეს უჯრედი იზრდება ზომით და წარმოქმნის ღრუს, რომელიც ჩანასახოვანი ტომსიკის სახელით არის ცნობილი. ამ ტომსიკაში უჯრედი იყოფა

და წარმოქმნის კაპლიდ ბირთვებს. აღნიშნული ბირთვების ნაწილი გარდაიქმნება სქესობრივ უჯრედად, ხოლო დანარჩენი სტრუქტურად, რომელსაც პოლარული ბირთვი ეწოდება.

ბუტკის გარშემო კოხტა, ყუნწის მსგავსი სტრუქტურებია, რომლებსაც მტკრიანები ეწოდებათ. ეს ორგანოები გამოიშუშავენ ყვავილის მტკერს, რომელიც კვერცხუჯრედს ანაყოფიერებს. მტკრიანა ყვავილის ძირს არის მიმაგრებული თხელი ყუნწით, რომელსაც ძარღვი ეწოდება. ძარღვის წვეროში სამტკერა, რომელიც მტკერს გამოიშუშავებს. სამტკერეს შიგნით უჯრედებია, რომლებსაც დიპლოიდური დედა უჯრედები ეწოდება. დედა უჯრედები მეიოზის მეშვეობით იყოფა და წარმოქმნის კაპლიდურ უჯრედებს, რომლებიც მტკრის ნაწილაკებად გარდაიქმნება.

გამეტების (სქესობრივი უჯრედების) ფორმირების შემდეგ შესაძლებელია ადგილი აქონდეს განაყოფიერებას. როდესაც მტკერი კონტაქტში შედის ბუტკის დნგთან, ეს უკანასკნელი იღებს მტკრის ნაწილაკს და იკავებს მას. მტკრის ნაწილაკი დაშლის იწყებს და ციტოპლაზმა მტკრის კედლიდან ჩამოიშლება. ამ ციტოპლაზმიდან მტკრის მილი ფორმირდება, რომელიც ქვევით, საკვერცხისკენ მიემართება. სანამ მტკრის მილი კვერცხისკენ მიემართებოდა, მამრობითი სასქესო უჯრედი ორ მამრობით სასქესო უჯრედად დაიყოფა. ეს ორი უჯრედი მტკრის მილის გავლით კვერცხუჯრედისკენ მიემართება. გახსნივლით, რომ მდებარეობით სასქესო უჯრედი დაიყო მდებარეობით სასქესო უჯრედად და პოლარულ ბირთვად. როდესაც ადგილი აქვს განაყოფიერებას, ერთი მამრობითი სასქესო უჯრედი (საერმატოზოიდი) ეკრწმის მდებარეობით სასქესო უჯრედს (კვერცხუჯრედს), ხოლო მეორე – პოლარულ ბირთვს. კვერცხუჯრედისა და საერმატოზოიდის შერწყმის შედეგად წარმოიქმნება ზოგოტა, რომელიც შემდეგ ემბრიონად ან თესლად გარდაიქმნება. პოლარული ბირთვისა და მეორე მამრობითი სასქესო უჯრედის შერწყმა გვაძლევს ენდოსპერმს, უჯრედის საკვების საცავს, რომელიც გარს ერტყმის თესლს. მაგალითად, ხორბლის ის ნაწილი, რომელიც იწყება და საკვებად გამოიყენება, ენდოსპერმას წარმოადგენს. სხვა გაერცელებულ მაგალითს წარმოადგენს „პოპკონის“ რბილი, თეთრი ნაწილი.


მცენარის დამტკერვა შესაძლოა მოხდეს სხვა მცენარით ან საკუთარი ყვავილით. ყვავილები, რომლებიც შეიცავს ჯამის ფოთოლს, ფოთოლს, მტკრიანასა და ბუტკის (ან ნაყოფოთოლს), სრულყოფილი ყვავილებია. თუმცა, ზოგი ყვავილი არ შეიცავს ყველა ამ ნაწილს და მათ არასრულყოფილი ყვავილები ეწოდებათ. მაგალითად, სიმინდის ყვავილიდან ფუნჯს აქვს მტკრიანები, მაგრამ არ გააჩნია ბუტკო და ცნობილია, როგორც მტკრიანამატარებელი (მამრობითი) ყვავილი. ბუტკო ცალკე მოყვავილე ნაწილზე – ახლად აღმოცენებულ ტაროზეა განლაგებული. ეს ის ადგილია, რაც სიმინდის ტაროს ბოლოდან იზრდება. ერთსახლიან მცენარეებს, როგორც არის სიმინდი, მტკრიანა- და ბუტკომატარებელი ყვავილები ცალ-ცალკე, მაგრამ ერთსა და იმავე მცენარეზე აქვთ. ორსახლიან მცენარეებს, მაგალითად ლობოს, მტკრიანა- და ბუტკომატარებელი ყვავილები სხვადასხვა მცენარეზე აქვთ განლაგებული.

თუ განაყოფიერებას (დამტკერვას) ადგილი აქვს ერთი და იმავე მცენარის ყვავილზე, ასეთ მცენარეს თვითდამტკერვადი ეწოდება. თუკი მცენარის დამტკერვა ხდება სხვა მცენარის მტკრით, მას ჯვარედინად დამტკერილი ეწოდება. მცენარეთა უმეტესობა ჯვარედინად იმტკერება, თუკი მასლობლად იგივე ჯიშის სხვა მცენარეები ხარობს. ზოგ მცენარეს აქვს თვითგანაყოფიერების უნარი და მათ თვითგანაყოფიერება ეწოდებათ. მცენარეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის განაყოფიერება, თვითსტერილური ეწოდებათ. ჩვეულებრივ, თვითგანაყოფიერებადი მცენარეები შესაძლოა სხვა მცენარეების მიერაც იქნან განაყოფიერებული. ასეთი შემთხვევისას მცენარე იღებს სხვა მცენარის ვენებს და ამდენად გენეტიკური შემადგენლობა განსხვავებულია იმისგან, რასაც ადგილი უწებოდა თვითგანაყოფიერებისას.

ზოგი მცენარე, განსაკუთრებით კი კულტივარი, თვითსტერილურია. კულტივარი მცენარეა, რომელიც კულტივირებული და მოყვანილია ადამიანის მიერ. ასეთი მცენარეების ჯიში გამოყვანილია ეტაპმდე, როდესაც ისინი სტერილურია, თუკი მათი განაყოფიერება სხვა მცენარეების მიერ არ მოხდება. აღნიშნულის კარგ მაგალითს წარმოადგენს ვაშლი „რედ დელიშეს“. თავისთავად იგი სტერილურია და ჯვარედინი დამტკერვისთვის ვაშლის სხვა ხე სჭირდება. ახლომასლო მზარდი „იგლოუ დელიშეს“ მტკერი შესანიშნავია „რედ დელიშეს“-ის დამტკერვისათვის.

იმისთვის, რომ მტკერმა სამტკრის მეშვეობით ბუტკოს მიადწიოს, იგი ტრანსპორტირებულ უნდა იქნას. ზოგ მცენარეში, როგორც არის სიმინდი, ამას ქარი აკეთებს. ქარი ქრის ყვავილის

გარშემო და მტერის ნაწილაკები სხვა ყვავილზე გადააქვს. თუმცა ზოგი მცენარის განაყოფიერება მწერების მიერ ხდება.




ბანაყოფიჯახას აბიჩი აჯს მათინის ყვანიჩი. ბანაყოფიჯახის მქაბიჩა მთლნი. ჯემოსაქაშა უახის საჯახის საჯაჩი

ფუტკრებისა და სხვა მწერების მოსაზიდად მცენარებმა გამოიშუშავეს მბრწყინავე ფერის ყვავილის ფურცლები. მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ მწერები ვერ აღიჭაპენ ფერებს ისეთი ღონით, როგორც ჩვენ, ყვავილის ფურცლები მათ მაინც იზიდავს. ყვავილი გამოყოფს ტკბილ სითხეს, რომელიც ნექტარის სახელით არის ცნობილი და რასაც მწერები საკვებად იყენებენ. ნექტარის მოსაგროვებლად ყვავილის გარშემო ზოხვის ან ფრენისას მტერის ნაწილაკები მათ ფეხებსა და სხეულის სხვა ნაწილებს ეკრობა. როდესაც ისინი შემდეგ ყვავილზე გადადიან, მტერის ნაწილაკები ძერება მათ და ყვავილზე რჩება.

ღამტკერვის ექსპერტებს ფუტკრები წარმოადგენენ. ბევრი მწერი სხვადასხვა სახის ყვავილებზე დადის, როდესაც ფუტკრები ღროის ზანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთი კონკრეტული სახის ყვავილზე ჩერდებიან. მაგალითად, ფუტკრები შესაძლოა ვაშლის ყვავილს აშუშავენდნენ რამდენიმე დღის განმავლობისას, სანამ ყვავილი არ მოშორდება და შემდეგ

გადავიდნენ სხვა სახის ყვავილზე. აღნიშნულის კეთებით ისინი ვაშლის ყვავილედან ვაშლის ყვავილზე გადადიან და ხეებს მტკერავენ. აღნიშნული უზრუნველყოფს ყვავილების სრულყოფილ დამტკერვას.

ხილის მომყვანები გაზაფხულზე მეფუტკრეებს ქირაობენ. რათა მათ ხეების აყვავების პერიოდში ფუტკრები მოიყვანონ. ფუტკრები ცხოვრობენ ხის ყუთებში, რომელსაც სკა ეწოდება. სკების გადატანა ადვილია და მანქანაზე მათი დალაგება ფუტკრეებთანად შეიძლება. მეფუტკრეს შემდეგ შეუძლია საფასურის სანაცვლოდ სკები ბალიდან ბაღში გადაიტანოს. გარდა ამისა, მწარმოებელს შეუძლია თაფლის მოსაყლის აღება და მისი გაყიდვა.



სახლი ბაჭალი ბაჭალი

უსძესო გამრავლება

მრავალი მცენარე არა მარტო თესლის წარმოქმნის გზით, არამედ ძელი მცენარის ნაწილიდან ახლის ზრდით მრავლდება. გამრავლების ამ ფორმას უსქესო ანუ ვეგეტატიური გამრავლება ეწოდება. ახალი მცენარე გენეტიკურად იდენტურია მისი წარმომშობი მცენარისა. გახსოვდეთ, რომ თესლიდან წარმოქმნილი მცენარეები გენეტიკურ შემადგენლობას იღებენ ორივე მშობელი მცენარიდან და არც ერთის იდენტური არ არიან გენეტიკურად.

მცენარეთა გამრავლებას ვეგეტატიური საშუალებებით მწარმოებლებისთვის უპირატესობები გააჩნია. ვინაიდან მცენარე გენეტიკურად მშობელი მცენარის იდენტურია, უკეთესი მცენარის გამრავლება შესაძლებელი ხდება იმ თვისებების დაკარგვის გარეშე, რომლებიც მას უკეთესი ხლის მაგალითად, თუ წარმოებულა განსაკუთრებით შვენიერი ვარდი, იგივე ფერის და ბრწყინვალეების მიღწევა რთული იქნება შემდგომ თაობაში, თუკი მცენარის გამრავლება თესლით მოხდება. მიზეზს ის წარმოადგენს, რომ თესლით გამრავლებისას გენების ნახევარი სხვა მცენარისგან უნდა მოდიოდეს. ხოლო თუ ვარდი ვეგეტატიურად გამრავლება, მას იგივე გენეტიკური შემადგენლობა ექნება. რაც მშობელ მცენარეს და იგივე ყვავილი. ყვავილების მომყვანები ხშირად მცენარეთა შეუჯარების მრავალმხრივ მეთოდებს იყენებენ, რათა მიიღონ ისეთი ჯიში, რომელიც სურთ, მაგრამ ეს მცენარეები ხშირად სქესობრივად ვერ მრავლდება და ისინი ვეგეტატიურად უნდა გამრავლდეს. თანამედროვე ხეხილის უმრავლესობა ამ გზით მრავლდება.

ვეგეტატურად გამრავლებული მცენარეების გამრავლება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე თესლით გამრავლებულისა. თესლის წარმოქმნა მთითხოვეს ყვავილის წარმოების სრული ციკლის დასრულებას. დამტკვერვას, თესლის დამწიფებას და გალივებას. თუკი მცენარე მშობელი მცენარის ნაწილიდან იზრდება, მისი გაზრდა აღნიშნული ციკლების გაელის გარეშე შეიძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელს უფრო მაღალი ხარისხის მცენარის მიღება დროის უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში შეუძლია.

ვეგეტატური გამრავლების კიდევ ერთ უპირატესობას ის წარმოადგენს, რომ შესაძლებელია უთესლო მცენარის გაზრდა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარკვეული მცენარეებისთვის, რომლებიც საკვებად გამოიყენება. მაგალითად, მომხმარებელი საკვებად უპირატესობას უთესლო ყურძენს ანიჭებს. ვეგეტატური გამრავლების გზით შესაძლებელია ყურძნის ახალი სახეობის წარმოება, რომელსაც უწინაწო ნაყოფი ექნება.

უსძმსო გამრავლების სახეობები

ზოგი კომერციულად წარმოებული მცენარე ვეგეტატურად მრავლება მწარმოებლის მხრიდან მცირე ღირებულებით. ასეთ მცენარეებს აქვთ კვირტების სპეციალიზებული ღეროები და ფესვები, რომლებიც თავისთავად მრავლება. მცენარის სპეციალიზებული ნაწილებიდან ახალი მცენარის მიღების ორ მეთოდს დაყოფა და განცალკევება წარმოადგენს. განცალკევებისას მცენარეთა ნაწილებს მხოლოდ აცალკევენ, რადგან მცენარე ბუნებრივად იზორებს ნაწილებს ახალ მცენარეთა წარმოებისათვის. დაყოფისას მწარმოებელი ჭრის მცენარის ნაწილს სემენტებად და ყოველი მათგანიდან ახალ მცენარეს ზრდის.


ვეგეტატური გამრავლებისათვის გამოყენებულ ნაწილებს მიეკუთვნება ბოლქვი, ძირხვეწა, ტუბერი, სტოლონი, ფესურა და გვირგვინი. ღერო ან სტოლონი სპეციალიზებული ნაწილებია, რომლებიც მიწის ზედაპირზე იზრდება და ჰორიზონტალურად გრძელდება. როდესაც ღეროს მუხლი მიწას ეხება, წარმოიქმნება ახალი ფესვი და ახალი მცენარე იწყებს ზრდას. მწარმოებლებს შეუძლიათ აღნიშნული პროცესის დაჩქარება ღეროების მიწაზე მიმაგრებით. ეს მეთოდი, რომელსაც მუხლებით გამრავლება ეწოდება, მოვანიებით იქნება განხილული. აღნიშნული პროცესის ერთ საყოველთაოდ გაავრცელებულ მაგალითს მარწყვი წარმოადგენს. როდესაც ღერო მიწას ეხება, კვანძებთან ახალი მცენარე იწყებს ზრდას. მწარმოებელს შემდეგ შეუძლია ღეროს მოშორება მშობელი მცენარისგან, ახალი მცენარის დარგვა და მისი გადამზრგვა ახალ ადგილას.

ფესურა ასევე სპეციალიზებული მიწისქვეშა ღეროა, რომელიც გამრავლებისთვის გამოიყენება. იგი ძირითადად სტოლონზე მსხვილია და შესაძლებელია მათი ნაწილებად დაჭრა, რის შემდეგ თითოეული ეს ნაწილი ახალი მცენარის ზრდისთვის გამოიყენება. ირისი ადვილად მრავლება ფესურის მეშვეობით. ასევე მრავალი ბალახი, მაგალითად ბერძული ბალახი და შალაფა, ფესურების მეშვეობით მრავლება.


ზოგჯერ სტოლონს ან ფესურას აქვს გამონაზარდი, რომელსაც ტუბერი ეწოდება. ეს ტუბერები შესაძლებელია მოიჭრას და მათგან ახალი მცენარე გაიზარდოს. მაგალითად, კარტოფილი ტუბერია. ტუბერის ზედაპირზე რამდენიმე კვირტია, რომელსაც თვალსა და ეწოდება. თითოეულ კვირტს შეუძლია ახალი მცენარის წარმოქმნა. მწარმოებლები თესვენ კარტოფილის კვირტიან ნაჭრებს. შედეგად მიღებული მცენარე მშობლის ზუსტი კანკეტიკური ასლია.

ზოგი მცენარე ბოლქვის საშუალებით მრავლება. არსებობს ბოლქვის ორი სახეობა – საფარველიანი და უსაფარო. საფარველიან ბოლქვებს აქვთ მემბრანათა მშრალი, გარეთა ფენები, რომლებიც წინა წლის ზრდის შედეგია. ისინი წარმოქმნილია ფოთლის მსგავსი მემბრანის შრეებისგან. სიგრძეზე გაჭრისას ჩანს, რომ მათ კონცენტრული რკალები გააჩნიათ. ასეთი სახის ბოლქვის კარგ მაგალითს სახეი წარმოადგენს. საფარველიანი ბოლქვები ბუნებრივად მრავლება ბოლქვის გარშემო მცირე ბოლქვების ზრდის მეშვეობით. ვინაიდან თითოეულ ასეთ ბოლქვაკს დაბოლოებული მცენარის წარმოქმნა შეუძლია, მწარმოებლები პერიოდულად თხრიან ბოლქვებს და ამორბენ ბოლქვების ახალი მცენარის ზრდის მიზნით. ბოლქვები ასევე შესაძლოა სემენტებად დაიჭრას. თითოეული ანაჭერი ინახება ერთი ან ორი კვირის განმავლობისას. ამის შემდეგ მათ თესვენ და ისინი ბოლქვაკებს ივითარებენ.

მახეყვი



მახეყვი მხანძება ყოჩხითი



სახათი 8-11. ფახაჲ იხიება მიწის ქვე, სოლო სოლონი მიწის ზეჲით.

უსაფარველო ბოლქვები ასევე ცნობილია, როგორც ჯაეშნიანი ბოლქვები, რადგან მათზე ჯაეშნის მსგავსი შრეები შეინიშნება. თითოეული გარეთა ჯაეშანი შესაძლოა განცალკევდეს და დაითესოს და მისგან ახალი მცენარე ვითარდება. შროშანი უსაფარველო ბოლქვის მაგალითია.

ძირზენა გამრავლებისთვის გამოყენებული ღეროს კიდევ ერთი სახეობაა. ძირზენა განსხვავდება ბოლქვისგან, რადგან იგი უფრო მყარია და აქვს გარე კვანძები და შიდა კვანძები. გამრავლება ხდება ძირზენიდან ახალი ძირზენის (გეორადი ყლორტის) წარმოქმნის გზით. მწარმოებელი ამორებს გეორად ყლორტს და თესავს მას. გარდა ამისა, ძირზენა შესაძლოა ნაწილებად დაიყოს. თითოეული ასეთი ნაწილი ახალ მცენარეს წარმოშობს. ძირზენიანი მცენარეების მაგალითია გლადიოლუსი და ნიორი.

მცენარეთა მტკრისა და კვრის უჯრედის ამოცანის ამოხსნა

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება გაზაფხულზე, როდესაც ყვავილები ყვავიან და ყვავილის მტკერი პერში დაქრის. მტკრის ეს რბილი, მყიფე ნაწილაკები, რომლებიც მრავალ ჩვენთაგანში ცემინებასა და თვალბის სიწითლეს იწვევს, როგორც სკოლაში გვაქვს ნასწავლი, არსებითად ყვავილების განაყოფიერებისთვის და ამგვარად წარმოქმნის საკვების უმრავლესობას, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ - მსუქან, წენიან პომიდორსა და ტკბილი სიმინდის ოქროსფერ მარცვლებს.

მცენარის განაყოფიერებას ადგილი აქვს ყვავილის სიღრმეში, როდესაც მტერის თითოეულ ნაწილაკში არსებული ორი მამრობითი სქესის უჯრედი ხვდება, ცნობს და ერწყმის ყვავილის მღვდრობით ნაწილს ჩანასახოვან ტომსიკას. ჩანასახოვანი ტომსიკის ერთი უჯრედი კვერცხუჯრედია, ზუსტად ისე, როგორც ცხოველებში, მეორე კი ცენტრალური უჯრედი – უნიკალურია მცენარეთათვის.

ორი მღვდრობითი უჯრედის ორი მამრობითი უჯრედით განაყოფიერება, რასაც ორმაგი განაყოფიერება ეწოდება, გადამწყვეტია მცენარეული კულტურების წარმოქმნისთვის, რომლებიც გაკვებავენ და გვიანარჩუნებენ ჯანმრთელობას. დედამიწის მოყვავილე მცენარეთა უმრავლესობისთვის წყმმარბილობა შემდეგი განსაზღვრება: თუ ადგილი არ აქვს შერწყმას, არ იქნება მოსავალი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაბიჯები, რომლებსაც მიეყვართ შერწყმამდე ყლორტების გამოღება და სამტერე მილის დაგბრძობა. მილის ფორმირება ხდება, როდესაც მტერის ნაწილაკი ყვავილის ბუტკოს სვეტზე ხვდება, შემდეგ კი წყლით ლივდება: გაფართოებასთან ერთად მილს გადააყავს „მგზავები“ (მამრობითი სასქესო უჯრედები) სვეტით მღვდრობითი სასქესო უჯრედებისკენ, სადაც ხდება განაყოფიერება.

მცენარეთა განაყოფიერების შესახებ ამ ფაქტების გარკვეული ნაწილი ცნობილი იყო დაახლოებით საუკუნის წინ. მაგრამ ზოგი დეტალი კვლავაც საიდუმლოდ რჩება. კერძოდ, მკვლევარებმა მცირე რამ იციან გენებისა და ამ გენების პროდუქტების ცილების შესახებ, რომლებიც საკვანძო, თუ არა, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განაყოფიერების პროცესში.

რა საჭიროა მეტის ცინკი? მაგალითად, მეცნიერებს სურთ შევკალონ აქტივობა გენებისა, რომლებიც ახდენენ ზოგი ველური ჯიშის მომინაურებული განაყოფიერების ბლოკირებას. სანამ არ მოხდება ამ ბარიერების გადალახვა, გარეული ნათესავების შტრისების გადმოტანა კულტივირებულ ნათესავებში, შემთხვევათა უმრავლესობისას, კერ მოხდება. ცნობილ გენებს შესაძლოა შესწევდეთ უნარი, რომ ხვალინდელი მცენარეები ააყვავონ ნაკლები სასუქის, წყლისა და პესტიციდების გამოყენებით.

მეცნიერები ფარდას ხდიან ახალ ფაქტებს მცენარეთა მღვდრი და მამრი უჯრედების იშვიათი ურთიერთქმედების შესახებ. ისინი ახდენენ საკვანძო გენების იდენტიფიცირებას, მათი ზუსტი როლის მიგნებას წარმატებულ განაყოფიერებაში და ამ აღმოჩენებს უზიარებენ მსოფლიო მკვლევარებს, რისთვისაც ბეჭდავენ პუბლიკაციებს წაყვანა გამოცემებში ან ახლად აღმოჩენილ გენებს ათავსებენ გენების ბანკის – „GenBank“-ის მონაცემთა ბაზაში (www.ncbi.nlm.nih.gov).

მკვლევარები შიფრავენ უჯრედიდან უჯრედამდე კომუნიკაციას, სადაც ცილის მოლეკულა გზაყინის შეტყობინებებს ცილის სხვა მოლეკულებისადმი. ამ საშუალოს ერთ ასპექტში მკვლევარები ეძებენ იმას, თუ რამდენად შეუძლია ასეთ შეტყობინებას ხელი შეუწყოს მზარდ სამტერე მილს ჩანასახოვანი ტომსიკის მობენაში.


დაზმარება შესაძლოა გაწეულ იქნას ცილათა მოლეკულების ორი სახეობის – ლიგანდებისა და რეცეპტორი კინაზების მიერ. მოლეკულების ორივე სახეობის წარმოქმნა ხდება გენების მიერ გატყუებული ინსტრუქციების მიხედვით და მათ უჯრედები გამოყოფს. რეცეპტორი კინაზე ცნობილია, როგორც ლიგანდებზე მიბმის უნარის მქონე. ამ ცილების შექერა ნიშნავს სიგნალს. თუ იგივე სქემა მუშაობს სამტერე მილშიც, ასეთმა სიგნალმა შესაძლოა გზა გაუკალოს მილს.

მეტის შესაკონტაოდ მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს რეცეპტორი კინაზების გამოყენებით, რომლებიც ადრე პომიდურის მტევრში აღმოაჩინეს. კინაზები, რომლებსაც მეცნიერებმა LePRK1 და LePRK2 უწოდეს პომიდურის მეცნიერული მეტასახლისთვის, ანუ 'ლიკოპერსიკონ ესკულენტუმ', თამაშობდა სატყუარას როლს პარტნიორი მოლეკულის – ლიგანდისთვის, რომელიც შესაძლოა გამოყოფილიყო მცენარის მღვდრობითი ნაწილის უჯრედიდან. მათ მრავალი პოტენციური ლიგანდი აღმოაჩინეს.

როდესაც ორი მამრობითი სქესის უჯრედი კვერცხუჯრედსა და ცენტრალურ უჯრედს უახლოვდება, როგორ ხდება ისინი, რომელია სათანადო პარტნიორი შერწყმისათვის? შესაძლოა სიგნალის მიმცემი მოლეკულები, მსგავსი სამტერე მილის დამზმარისა, არსებობს მღვდრობით და მამრობით უჯრედებშიც. ამის გასარკვევად მეცნიერთა ჯგუფი ცდილობს განსაზღვროს დნმ-ს რიგი ან შემადგენლობა გენებისა, რომლებიც ჩართული ან გამოართულია მამრობითი უჯრედებსა და ჩანასახოვანი ტომსიკის უჯრედებში. აღნიშნული პირველი ნაბიჯია იმის შესასწავლად, თუ რომელი ცილებია კოდირებული ამ გენების მიერ და შეუძლიათ თუ არა ასეთ ცილებს სიგნალის მიცემა უჯრედების ზედაპირზე.

დღემდე მკვლევარებმა ასეთ უჯრედებში ასობით ახალი გენი აღმოაჩინეს. მცენარეთა მტერისა და კვრცხუჯრედის ზონდირებამ მოიზიდა სახსრები რიგი კვლევითი ასოციაციებიდან. გზამკვლევა ძიებამ, სავარაუდოდ, მეტი გასაღები უნდა გვაპოვნინოს მსოფლიოს მოყვავილე მწვანე მცენარეების რეპროდუქტიულობის გამაფრთხილებელი საკითხში.

ბოცაქის სახეობები



გამრავლება ანატომიით (ანათალით)

მრავალი მცენარის გამრავლება მათი ანატომიის მეშვეობით შეიძლება. გამომდინარე მცენარის სახეობიდან, ახალი მცენარის გასაზრდელად შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანატომიის ფოთლიდან, ღეროდან, ფესვიდან ან კვირტიდან. მცენარეები სრულიად განსხვავდება ცხოველებისგან იმით, რომ მათ შუბლიათ მთლიანი მცენარის რეგენერირება მშობელი მცენარის ნაწილიდან.

ანატომიის რამდენიმე უპირატესობა აქვს გამრავლების სხვა მეთოდებთან შედარებით. მსხვილ მცენარესთან მიმართებით, მცენარის რეპროდუქციონისთვის დიდი რაოდენობით მასალის გამოყენებაა საჭირო. თეორიულად, მცენარის ნებისმიერ უჯრედს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის გამეორება, რადგან სრული გენეტიკური კოდი თითოეულ უჯრედში ინახება. მსხვილ ხეს ან ბუჩქს გააჩნია დიდი რაოდენობით ღეროები, ფოთლები და ფესვები, რომელთაგან ახალი მცენარის გაზრდა შესაძლებელია. გარდა ამისა, მწარმოებლებს ეძლევათ შესაძლებლობა აკონტროლონ პროცესი, რადგან ისინი აღარ უნდა ელოდონ მცენარის მიერ ბოლქვების, ტუბერებისა და ძირხეუნების განვითარებას. მიუხედავად ამისა, ზოგ მცენარეში ანატომიის გაკეთება უკეთესია წლის განსაზღვრულ დროს, მაგალითად, მერქნის ანატომიის უკეთ იზრდება, თუ იგი თვლემის სეზონის დროს არის გაკეთებული.

იმისათვის, რომ მცენარე თვითგამრავლება შეძლოს, მწარმოებელმა უნდა შექმნას პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ ფესვებსა და ყლორტებს განვითარდნენ მცენარის ანატომიიდან. ვინაიდან ანატომიის ფესვები არ გააჩნია, მწარმოებელმა უნდა შექმნას პირობები, რომლებიც შეაფერხებენ ფოთლებისა და ღეროს განვითარებას, სანამ ფესვი გამოიზრდება. ეს გარემო პირობები მოიცავს სათანადო ტემპერატურას, ტენიანობას, ჰაერის მოძრაობასა და სინათლეს. სათანადო ტემპერატურა მნიშვნელოვანია, რადგან ფოტოსინთეზის პროცესს იგი აკონტროლებს. ზოგადად, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მაღალია ფოტოსინთეზის

ხარისხი. მცენარის ანაჰერისთვის ფოტოსინთეზის მაღალი ხარისხი შესაძლოა არ იყოს სასურველი. პროცესი სტიმულს აძლევს მცენარის დაცული ენერჯის გამოყენებას ფოთლებისა და კვირტების წარმოქმნაზე. ფოტოსინთეზის შედარებით დაბალი ხარისხისას, ენერჯია შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანაჰერზე ფესვების განვითარების სტიმულირებისთვის. თუმცა სათანადო ტემპერატურა შესაძლოა იცვლებოდეს გასამრავლებელი მცენარის მიხედვით, საუკეთესო ტემპერატურა, ჩვეულებრივ, არის 70°F-80°F დღისით და 60°F-70°F ღამით. ნიადაგის ტემპერატურა უნდა იყოს 5°F-10°F-ით მეტი. ფესვის გარშემო მაღალი ტემპერატურა სტიმულს აძლევს ცნობიანი მყავების ოქსიდირებას, რაც წარმოქმნის სუბსტანციას, ნივთიერებას, ცნობილს სუბერინის სახელით. იგი სტიმულს აძლევს შეზორცებას ანაჰერის ადგილას.

ტენიანობა მნიშვნელოვანია გარემოსა და ჰაერში, რომელიც მცენარეს აკრავს გარშემო. გარემო არის მასალა, რომელშიც თავსდება ანაჰერი, რათა ფესვი გაიზარდოს. იგი ტენიან გარემოში უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ არ დასველდეს, რადგან ჰარბი ტენი ხელს უშლის ახლად წარმოქმნილ ფესვს მიიღოს ჰაერის საკმარისი რაოდენობა და იწვევს ანაჰერის ლაზობას. ფარდობითი ტენიანობა არის ჰაერში ტენის რაოდენობა. იგი გამოისახება ტენის პროცენტით, რომელსაც შეინარჩუნებს ჰაერი, სანამ ადგილი ექნება კონდენსირებას. ფოთლებმა უნდა შეინარჩუნონ ტენიანობა, რათა წარმოქმნან ნახშირწყლები და მცენარის პორმონები, რომლებიც აუცილებელია ფესვებისა და მცენარის დანარჩენი სისტემის გასაზრდელად. ფარდობითი ტენიანობის სიჭარბე გამოიწვევს მცენარის ანაჰერის ლაზობას. მცენარეთა ანაჰერების უმრავლესობისთვის ფესვის წარმოქმნა იდეალურად მიიწვევა ტენიანობის ოდენობა 60-80%-ის ფარგლებში.

ფესვებს ზრდისა და გაფურჩქნისათვის ყანგბადი სჭირდებათ. გარემოში ჰაერის სათანადო ცირკულირება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ყანგბადმა მიაღწიოს ანაჰერის ნაწილებს, საიდანაც ფესვი უნდა გაიზარდოს. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ გარემოს სათანადო შემადგენლობა უნდა გააჩნდეს, რათა ფესვებამდე ჰაერის ნაკადის შეღწევა უზრუნველყოს. გარდა ამისა, გარემო არ უნდა გაიფიქროს წყლით ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში.

ანაჰერიდან ახალი მცენარის გასაზრდელად სინათლე ასევე მნიშვნელოვანია. გახსოვდეთ მეშვიდე თავიდან, რომ სინათლე არის ენერჯია, რომელსაც მცენარე ფოტოსინთეზისთვის იყენებს. რაც უფრო მეტ სინათლე იღებს მცენარე, მით მაღალია ფოტოსინთეზის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ სინათლის გარკვეული რაოდენობა აუცილებელია ანაჰერის მიერ ფესვის გამოხატვად, ჰარბი სინათლე შესაძლოა ზიანის მომტანი იყოს. როგორც ზემოთაღნიშნულ მაღალი ტემპერატურისას, ჰარბი ენერჯია გამოყენებულ იქნება ფოთლების და არა ფესვების გასაზრდელად. ფესვების სათანადოდ გამოხატვად მცენარის ანაჰერი დაცული უნდა იყოს ინტენსიური სინათლისგან.

ზრდის რამპულატორები

უჯრედების გამრავლება მნიშვნელოვანწილად კონტროლდება მცენარეთა პორმონების მიერ, რომლებსაც აუქსინები ეწოდებათ. როდესაც ფესვი იწყებს ზრდის მცენარის ანაჰერიდან, პროცესის სტიმულირება ზრდის პორმონების მიერ ხდება. ზოგიერთ მცენარეში ამ პორმონების გამოყოფა ბუნებრივად ხდება და გამრავლებაც იოლად იწყება ანაჰერიდან. ზოგი მცენარე რეაგირებს გარედან გამოყენებულ რეგულატორებზე. ანაჰერი იღება ფხვნილში, რომელიც ფესვის ზრდის სტიმულატორ პორმონებს შეიცავს ან იელითობა სუბსტანციის შემცველი სითხით.

გადაწყობა

ზოგი მცენარისათვის ანაჰერიდან ფესვის გამოღება რთულია. ამ მცენარეების გამრავლება ხდება პროცესის მეშვიდობით, რომელსაც გადაწინა ეწოდება. გადაწინდისას მცენარის ნაწილი იფარება ნიადაგით ან სხვა მასალით, ხოლო ფესვის ზრდის სტიმულირება ხდება ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე იგი მშობელ მცენარისთან არის დაკავშირებული. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც სხვა მეთოდები არ მუშაობს. გადაწყობის ნაკლოვანებები გააჩნია. მისი ღირებულება სხვა მეთოდებზე მაღალია გამოძიარე მუშაზელიდან, რომელმაც დავალება უნდა შეასრულოს. გარდა ამისა, გადაწყობით გაცილებით ნაკლები მცენარის გაზრდა შეიძლება ანაჰერითან შედარებით.

მარტივი გადაწინების პროცესი ნიშნავს ქლის ამოჭრას მცენარის ტოტზე ან ღეროზე. ნაჭრილობები ნიადაგით იფარება, ხოლო წვერი პაერში რჩება. ჭრილობა მცენარეში სტიმულს აძლევს კოტროფანი უჯრედების ზრდას. ეს უჯრედები არ განსხვავდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გენეტიკურად დაპროგრამებული არ არიან, რათა წარმოქმანდნენ ფთოლი, ფესვი ან ღერი. ეს უჯრედები დაპროგრამებული ხდება, რათა დაიფერენციონდნენ განიცადონ. ახალი ფესვი იწყებს ზრდას და, შესაბამისად, ახალი მცენარე წარმოიქმნება. ნაწილი ახალი ფესვებისა თავისუფლად იჭრება მშობელი მცენარიდან და შეიძლება ნებისმიერ ადგილას დაიარსოს. ფართოფოთლიანი მარადმწვანე ხემცენარეები და ბუჩქნარი, როგორც არის როდოდენდრონი და მაგნოლია, ამ მეთოდით მრავლდება.

ბორცული გადაწინების მშობელი მცენარის ზედა ნაწილი კვლავ იხსლება თვლებში სეზონზე. გვიან გაზაფხულზე, როდესაც ახალი მცენარე გამოჩნდება, ნიადაგი მცენარის ძირის გარშემო ბორცვად გროვდება და მცენარის გარკვეული ნაწილი იფარება. თვლების შემდეგი სეზონის დასასრულისთვის დაფარული ტოტები ახალ ფესვებს გამოიღებს. ეს ახალი ფესვები შორდება მშობელ მცენარეს და ირგვება ახალ ადგილას. მოცხარი და ხურტკმელი ბორცული გადაწინებით მრავლდება.

წვერის გადაწინდა მეთოდია, რომლის დროს მცენარის ახლად ამოზრდილი წვერო თავსდება მიწაში და იფარება ნიადაგით. ზრდა მიმდინარეობს ნიადაგის სიღრმეში. ზრდასთან ერთად წარმოიქმნება ახალი ფესვები, ხოლო ტოტები მიწის ზეშობ ამოდის. ახალი ტოტი უნდა მოშორდეს მიწას და განცალკევდეს მშობელი მცენარისგან. წვერის გადაწინდა გამოიყენება ისეთი მცენარეების გასამრავლებლად, როგორც არის მუსკატური ყუბინი და ფილოდენდრონი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ნიადაგით მთელი ღერი იფარება. ღეროს კვანძებზე ანაჭერი კეთდება, სანამ თავად ღერი დაიფარება და ფესვების წარმოქმნა ანაჭრებზე ხდება. მოცემული მეთოდის გამოყენებით მრავალი მცენარის გაზრდა შეიძლება ცალკეული ტოტებით. ამ მეთოდის სხვა ვარიანტს წარმოადგენს სერმატინული გადაწინდა, რომლის დროს მხოლოდ კვანძების დაფარვა ხდება.

თხრილური გადაწინდა გამოიყენება ისეთი მცენარეების გასამრავლებლად, როგორც არის მუსკატური ყუბინი და ფილოდენდრონი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ნიადაგით მთელი ღერი იფარება. ღეროს კვანძებზე ანაჭერი კეთდება, სანამ თავად ღერი დაიფარება და ფესვების წარმოქმნა ანაჭრებზე ხდება. მოცემული მეთოდის გამოყენებით მრავალი მცენარის გაზრდა შეიძლება ცალკეული ტოტებით. ამ მეთოდის სხვა ვარიანტს წარმოადგენს სერმატინული გადაწინდა, რომლის დროს მხოლოდ კვანძების დაფარვა ხდება.

გადაწინდა შესაძლოა განხორციელდეს მცენარის ნაწილების ნიადაგით დაფარვის გარეშე. ამ მეთოდს საპაერო გადაწინდა ეწოდება, რადგან პროცესი მიმდინარეობს პაერზე და არა ნიადაგში. მოცემული მეთოდით ტყის მცენარეების გამრავლებისას შეიარჩევა უანმრთელი, სწრაფად მზარდი ტოტი, რომელსაც ქერტი შორდება. ნაჭრილობები იფარება ტოტოვანი ხავსით. ხავსი დაფარულია პოლიეთილენით და შეკრულია, რათა თავიდან იქნას აცილებული ტენიანობის დაკარგვა. რამდენიმე კვირის შემდეგ ფესვები წარმოიქმნება იქ, სადაც ქერტი იქნა მოშორებული. ტოტი მყარდება და ირგვება ახალი მცენარე. ბალახოვანი მცენარეები პაერში გადაწინდით მრავლდება ერთი განსხვავებით: ქლის მოჭრა ხდება ტოტზე და ნაწილები კბილსაჩინო თავსდება. ჭრილობას შემდეგ ისევე ამუშავებენ, როგორც ტყის მცენარეებს. პაერზე გადაწინდა გამოიყენება სახლის მსხვილი მცენარეების გასამრავლებლად. ასევე, ამ გზით მრავლდება ზოგი ციტრუსოვანი მცენარე.

მეწობა

სუკუნეების განმავლობაში მცენარეთა გასამრავლებლად გამოიყენებულ მეთოდს მეწობა ეწოდება. ამ ტექნიკის გამოყენებით ორი მცენარის მასალა ერთიანდება, რათა მიღებულ იქნას ერთი მცენარე. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ისეთ მცენარეებში, როგორც არის მაგალითად, ნუში და ვაშლი, რომელთა სხვა გზით გასამრავლება რთულია. მაგალითად, ვაშლის ჰიბრიდული ხის გამრავლება თესლიდან რთული იქნება, რადგან თესლიდან გაზრდილი ხე განსხვავებული იქნება ორივე მშობლისგან. თუ ახალგაზრდა ყლორტი ერწყმის სასურველი ხის ნაწილს, შედეგი ის იქნება, რომ ხე გაიზრდება და მოისხამს, როგორც სასურველი ხე. აღნიშნული მეთოდი ასევე გამოიყენება სპეციალური ხეების გასამრავლებლად, როგორც არის უჯუჯა ხეები და ხახილი, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა სახის ხილს მოისხამს. ხეების მეწობა ასევე ხდება ფესვზე, რომელიც უფრო ძლიერი ან მეტად მორგებულია მოცემულ გარემოს. ინგლისურ კაკლის ხეს ამეწობენ შავ კაკლის ხეს ამ უკანასკნელის ფესვთა ხისტემის გამო.

მეწობა მოიცავს მცენარის, ჩვეულებრივ, ხის ორი ნაწილის მოჭრას. ქვედა ნაწილს ეწოდება ფესვის ნაწილი, ხოლო ზედას - ყლორტი. ფესვის ნაწილი შესაძლოა ყლორტზე მსხვილი იყოს, რაც იძლევა სწრაფი ზრდისა და ადრეული დაწინების უპირატესობას.

მეწიხის სათანადო ტექნიკა ნიშნავს ფესვის ნაწილისა და ყლორტის მისადაგებას ისე, რომ კამბიუმის შრეები თანხლებოდეს. ანაჰერით მიღებული ჭრილობა იწყვეს კოფროვანი უჯრედების წარმოქმნას. გახსოვდეთ, რომ კოფროვანი უჯრედები არ იყოფიან. ყლორტისა და ფესვის კოფროვანი უჯრედები ერთმანეთს ერწყმის, იზრდება და დიფერენცირდება კამბიუმის ახალი უჯრედების წარმოქმნად. კამბიუმის ახალი უჯრედები მიღებად ვითარდება, რომლებსაც წყალი და საკვები ნივთიერებები ფესვებიდან მცენარის სხვა ნაწილებში გადააქვთ. ამ მიღებს ქსილება და ფლოემა ეწოდება.

საკეფოფური მიზნებისა და საკეფოფური მცენარეებისთვის მეწიხის სხვადასხვა სახეობები იქნა შემუშავებული. პროცედურა შესაძლოა მოიცავდეს ღეროს, ფესვის ან კვირტის გამოყენებას. ყველა მეთოდი საერთო საბაზო ტექნიკას იყენებს. ფესვისა და ყლორტის ანაჰერი კამბიუმით უნდა შეერწყას ერთმანეთს. ისინი მჭიდროდ არის ერთმანეთს დაკავშირებული და დიფერენცია ცვილით, რათა თავიდან იქნას აცილებული გამოშრობა.

ქსილური კულტივირება

მცენარეთა გამრავლების ერთ-ერთ უახლეს ტექნოლოგიას წარმოადგენს ქსილური კულტივირება. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს მცენარის ქსილის მცირე რაოდენობის გამოყენებას ახალი მცენარის მისაღებად. პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ შრობელი მცენარის ძალიან პატარა ნაწილი გამოიყენება, რაც მკვეთრად ზრდის გენეტიკურად იდენტური მცენარის დიდი რაოდენობით მიღების შესაძლებლობას. მეორე უპირატესობა ის არის, რომ ახალი მცენარეები ავადმყოფობის გამოშფევე ორგანიზმებს არ შეიცავენ.

მცენარის თითოეული უჯრედი შეიცავს მთლიანი მცენარის გენეტიკურ კოდს. ეს იმას ნიშნავს, რომ თეორიულად ყოველ უჯრედს შეუძლია ახალი მცენარის წარმოქმნა. მეცხრე თავში განხილულია უჯრედების გამრავლების პროცესი, რაც ზორციელებს მერისტემებად წოდებული უჯრედების მეშვეობით. თითოეული უჯრედის გენი დაპროგრამებულია, რათა დიფერენცირება განიცადოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგი უჯრედი გარდაიქმნება ღეროს უჯრედად, ზოგი – ფოთლად, სხვა – ფესვის და ა.შ. მერისტემულ ქსილში უჯრედები ჯერ კიდევ არ არის დიფერენცირებული. ქსილური კულტივირებისას ასეთ უჯრედებს აჭრან მცენარეს, სანამ ისინი დაპროგრამდებიან. უჯრედების ისეთ გარემოში მოთავსებით, რაც იწყვეს მათ ზრდას, ისინი მრავლდებიან და განიცდიან დიფერენცირებას ფესვებად, ღეროებად და ფოთლებად, რომლებიც აუცილებელია მცენარის სიცოცხლისათვის.

უჯრედები სტიმულირებული არიან განიცადონ დიფერენცირება მრავალი ფაქტორით. მათ შორისაა მცენარის პორმონები, მცენარეში უჯრედების განლაგება, სინათლე, საკვები ნივთიერებები და ტემპერატურა. უჯრედის დიფერენცირებაზე სხვა რამდენიმე ფაქტორიც მოქმედებს. მეცნიერებისთვის ეს პროცესი სრულად გასაგები ჯერ კიდევ არ არის. იმისათვის, რომ ქსილურმა კულტივირებამ იმუშაოს, გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ნახსენები ფაქტორი.

ქსილური კულტივირებისთვის მცენარის ნაწილების უმეტესობის გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ, ჩვეულებრივ, ქსილის აღება ღეროს ან ფესვის ბოლოდან ხდება, რადგან ბოლო შეიცავს მერისტემულ უჯრედებს. მოშორებულ ქსილის ექსპლანტი ეწოდება. სიფორხილე უნდა იქნას გამოჩენილი სათანადო ადგილიდან ქსილის სათანადო რაოდენობის აღების დროს.

ექსპლანტი ზედმიწევნით იმპრინდება და სტერილიდება. შემდეგ მას ათავსებენ შუშის დახურულ ჭურჭელში. ამ ღონისძიებას *in vitro* კულტივირება ეწოდება. *in vitro* ნიშნავს „სინჯარაში“. სინჯარაში სტერილური მინერალების, საკვები ნივთიერებისა და პორმონების ხსნარია. ვინაიდან ასეთი ხსნარი იდეალური გარემოა მიკროორგანიზმების ზრდისთვის, ექსპლანტი, ჭურჭელი და ხსნარი სტერილური უნდა იყოს. მთლიანი მასალის სტერილიზება შესაძლოა უზარმაზარ უპირატესობად იქცეს, რადგან ახალი მცენარე ავადმყოფობისგან თავისუფალი იქნება. ახალი მცენარის ზრდის დაწყებასთან ერთად ხდება მისი გადატანა მზარდი მედიის სხვა ჭურჭელში, რადგან ხდება ზრდის ახალ ეტაპზე გადასვლა.

ქსილური კულტივირების ახალი მეთოდების დანერგვასთან ერთად გამრავლების აღნიშნული ფორმის გამოყენება სულ უფრო პოპულარული ხდება. დღეისათვის რამდენიმე დიდი კომპანია ქსილურ კულტივირებას გამრავლების ბაზისად იყენებს. მომავალი იმედს იძლევა, რომ ამ ტექნიკის მრავალი სახესხვაობა იქნება გამოყენებული.

შეჯამება

ბუნებაში მცენარეები მრავლდებიან, რათა სიცოცხლე შეინარჩუნონ. სოფლის მეურნეობა ამ ბუნებრივ ფენომენს აგრარული მრეწველობისთვის იყენებს. სოფლის მეურნეობა სრულად არის დამოკიდებული მცენარეთა გამრავლებაზე. სასურველ მცენარეთა გამრავლების გზების ეფექტურობის ზრდა ნიშნავს უფრო მაღალ ეფექტურობას სოფლის მეურნეობისთვის. აგრარულმა კვლევამ და განვითარებამ შექმნა საშუალებები მცენარეთა უფრო ეფექტურად გამრავლებისთვის, რათა უკეთ გამოეყვებოთ და შეემოსოთ დედაძიწის მოსახლეობა.

დაბალმბები სტუმენტებისთვის

1. შეკრიბეთ 10 განსხვავებული ყვავილი. განსაზღვრეთ, რომელია სრულყოფილი და არასრულყოფილი. იპოვეთ ბუტკო და მტერიანა. მოაშორეთ მტკერი და გასინჯეთ მიკროსკოპის ქვეშ. შექმენით მტერის სხედასხვა ფორმის მონახაზი.
2. შეარჩიეთ რამდენიმე მცენარე, რომელსაც სტოლონი ან ფესურა გააჩნია. დათვალეთ მცენარეები, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. შეადარეთ თქვენი შენიშვნები თანაკლასელებისას.
3. შეადგინეთ საა მცენარეებისა, რომლებიც თესლით და სტოლონით მრავლდება. განსაზღვრეთ, რომელი იქნება საუკეთესო გზა მცენარეების კომერციულად გამრავლებისთვის. ჩამოაყალიბეთ თქვენი არგუმენტები.
4. ეწვიეთ ადგილობრივ სანერგეს და გაესაუბრეთ მენეჯერს. განსაზღვრეთ, რა მეთოდები გამოიყენება მცენარეთა გამრავლებისთვის. გაარკვიეთ, რატომ გამოიყენება კონკრეტული მეთოდი კონკრეტულ მცენარესთან.

ბანსაზღვრავთ შემდეგი ცნებები

- | | |
|-----------------|-----------------------|
| 1. უსქესო | 7. ორსახლიანი |
| 2. ზიგოტა | 8. კულტივირებული |
| 3. ყვავილსაფარი | 9. მენობა |
| 4. შეიოზი | 10. ქსოვილური კულტურა |
| 5. ენდოსპერმა | 11. ექსლანტი |
| 6. ერთსახლიანი | 12. სინჯარის კულტურა |

სწორი/არ არის სწორი

1. მცენარეთა სქესობრივი გამრავლებისას განაყოფიერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.
2. უსქესო გამრავლებას ასევე ეფექტური გამრავლება ეწოდება.
3. ყვავილის მტერიანა არის მამრობითი სტრუქტურა, რომელიც მტვერს გამოიმუშავებს.
4. სიმინდი ერთბინიანი მცენარეა.
5. მცენარეთა ახალი სახეობები, რომლებიც ბუნებაში იქმნება, კულტივარების სახელით არის ცნობილი.
6. ყვავილებმა განვითარეს მძაფრი სურნელი, რათა მოიზიდონ ფუტკრები და სხვა მწერები.
7. ფუტკრები ყველაზე ეფექტური არიან ყვავილების დამტვერვასთან დაკავშირებით.
8. სქესობრივი გამრავლება წარმოქმნის მცენარეს, რომელიც გენეტიკურად იდენტურია მშობელი მცენარის.
9. კარტოფილი ტუბერია.
10. ფოტოსინთეზის მაღალი ხარისხი არ არის სასურველი, როდესაც განზრახულია ანაჰერის დაფესვიანება.
11. ფოტოსინთეზზე გავენას ახდენს მხოლოდ სინათლე და არა ტემპერატურა.
12. მცნობისას მნიშვნელოვანია, რომ ფესვი და ყლორტი თანაბარი ზომის იყოს.

შეფასეთ ცარიელი ადგილები.

1. მამრობითი სასქესო უჯრედს ეწოდება _____, ხოლო მდედრობითი სასქესო უჯრედს _____.
2. კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმა წარმოქმნის _____.
3. ყვავილის _____ შედგება ფოთლებისგან, რომლებიც ყვავილს ფერს აძლევენ.
4. ბუტკოს ზედა ნაწილი გაფართოებულია, რათა მტვერი მიიღოს და მას _____ ეწოდება.
5. სრულყოფილი ყვავილი შეიცავს _____, _____ და _____.
6. _____ არის სუბსტანცია, რომელიც გამოიყოფა ანაჭერიდან, რომელიც ხელს უწყობს აღდგენას, იქ, სადაც ანაჭერის გაკეთება განხორციელდა.
7. _____ არის მცენარე, რომელიც კულტივირებული და გაზრდილია ადამიანის მიერ. მრავალი მათგანი სტერილურია.
8. ისეთი მცენარის შესაქმნელად, რომელიც გენეტიკურად მშობლის იდენტური იქნება, გამოყენებულ უნდა იქნას გამრავლების _____ ფორმა.
9. მცენარის სპეციალიზებული ნაწილებიდან ახალი მცენარის მიღების ორ მეთოდს _____ და _____ წარმოადგენს.
10. _____ში ორი დამოუკიდებელი მცენარის მასალა ერწყმის ერთმანეთს, რათა წარმოქმნას ახალი მცენარე.
11. მცნობისას ქვედა ნაწილს ეწოდება _____, ხოლო ზედას _____.

მსჯელობა

1. რა წარმოადგენს მცენარეში სამტვრე პარკის ფუნქციას?
2. ახსენით სხვაობა თვითდამტვერვასა და ჯვარედინად დამტვერვას შორის.
3. რა არის ის ორი გზა, რომლითაც მტერის გადატანა შესაძლებელია?
4. დაასახელეთ მცენარის ოთხი სპეციალიზებული ნაწილი, რომელიც გვეგეტატური გამრავლებისას გამოიყენება.
5. რით განსხვავდება ძირხვეწა ბოლქვისგან?
6. რა წარმოადგენს ანაჭერის უბირატესობას გამრავლების სხვა მეთოდებთან შედარებით?
7. რატომ არის სინათლე მნიშვნელოვანი ანაჭრებიდან ახალი მცენარის მისაღებად?
8. განსაზღვრეთ გადაწინდვა. ახსენით გადაწინდვის სხვადასხვა მეთოდები.
9. მოკლედ აღწერეთ მცნობის პროცესი.
10. რა წარმოადგენს ქსოვილური კულტივირების ორ უბირატესობას?
11. რატომ უნდა იყოს ქსოვილურ კულტივირებაში გამოყენებული მასალები და ინსტრუმენტები სტერილურად დაცული?

მცენარის ზრდა

წინამდებარე თავის დასრულების შემდეგ თქვენ უნდა შეგეძლოს:

- იმსჯელოთ დედამიწაზე სიცოცხლისთან დაკავშირებით მცენარეთა მნიშვნელობის შესახებ
- იმსჯელოთ მცენარის თესლის მნიშვნელობაზე
- განასხვაოთ ერთლებნიანი და ორლებნიანი თესლები
- ახსნათ თესლის გაღვივების პროცესი
- აღწეროთ მცენარის ზრდის გზები
- ახსნათ ჰორმონების როლი მცენარეთა ზრდაში
- იმსჯელოთ სინათლის როლზე მცენარეთა ზრდასთან მიმართებით
- ახსნათ, თუ როგორ გამოიყენება ფოტოპერიოდიზმი სოფლის მეურნეობაში
- ახსნათ მცენარეთა ზრდაზე მიზიდულობის გავლენა
- ჩამოთვალოთ მცენარის არსებითი საკვები ნივთიერებები
- აღწეროთ მცენარეში საკვები ნივთიერებების დეფიციტის სიმპტომები

აპრილიდან ტერიტორია

ერთლებნიანი
ორლებნიანი
ენდოსპერმა
გალივება
ტესტი

თელემა
მერისტემა
არამინერალური საკვები ნივთიერება
პირველადი საკვები ნივთიერებები
მეორადი საკვები ნივთიერებები

სპარიშიპაია

დღემიწაზე ცხოვრება სრულად არის დამოკიდებული მცენარეთა ზრდაზე. როგორც მეშვიდე თავში იყო ხაზგასმული, მცენარეები იღენად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეანგბადის წარმოქმნასა და საკვების ჯაჭვში, რომ ცხოველებს მათ გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ასპექტი დამოკიდებულია მცენარეთა ზრდისა და რეპროდუცირების უნარზე. კვების მრეწველობა დაფუძნებულია მცენარეთა მოყვანაზე უშუალო მოხმარებისთვის ან ცხოველთა საკვებად გამოსაყენებლად. მცენარეთა ექვეტური ზრდა უზრუნველყოფს საფუძველს მწარმოებელთა შემოსავლებისთვის. ისინი, ვისაც ადამიანის მოხმარებისთვის მოსყავს ისეთი მცენარეები, როგორც არის ბოსტნეული, ხილი და მარცვლეული, დამოკიდებულია მცენარის უნარზე გაიზარდოს და წარმოქმნას ბაზრისათვის საკმარისი რაოდენობა. იგივე ჭეშმარიტებას წარმოადგენს მათთან მიმართებით, ვინც ფურაგს ან მარცვლეულს ცხოველთა საკვებად აწარმოებს. მრავალი მილიონი დოლარი იქნა დახარჯული მცენარეთა ზრდის გაუმჯობესების გზების ძიებისთვის.

მცენარის თესლი მცენარის თესლის მნიშვნელობა

მცენარეთა უმრავლესობა ზრდას თესლიდან იწყებს. გახსოვდეთ, რომ თესლი წარმოადგენს მდებრებითი და მამრობითი სასქესო უჯრედების შერწყმის შედეგს. თესლი შეიცავს გენეტიკურ მასალას ახალი მცენარის წარმოსაქმნელად. ახალი და უკეთესი თესლის შექმნით მიიღწევა წინსვლა აგარარული კულტურების წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მცენარე თესლის წარმოქმნის გარეშე მრავლდება, აგარარული კულტურების უმრავლესობა ზრდას თესლიდან იწყებს. თესლის წარმოქმნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯაჭვია მთელ აგარარულ მრეწველობაში. ფაქტია, რომ ჩვენი საკვების დაახლოებით 70% უშუალოდ თესლიდან მოდის. პური და ფაფა, რომლითაც ამ დღიას ისაუბრეთ, მარცვლეული კულტურების თესლიდან გახლავთ დამზადებული. სადილის ზეთი მიღებულია ისეთი თესლიდან, როგორც არის ალისარჩული, სოია ან ბამბა. სასუსნაი, როგორც არის არაქისი ან პოპკორნი, ასევე თესლიდან მიიღება.

გარდა ამისა, თესლი სხვა დანიშნულებითაც გამოიყენება. ისეთი სასმელი, როგორც არის ყავა და კაკაო, ხეებისა და ბუჩქების თესლიდან მიიღება. ზეთები და აბსორბენტები ასევე თესლიდან მიიღება. აბუსალათინის ზეთი ერთხელ მედიცინაშიც კი იქნა გამოყენებული, ახალ კი მანქანათა პიდრავლიკურ სისტემებში გამოიყენება. თესლი ასევე გამოიყენება კოსმეტიკის, მაღამობისა და წამლების დასამზადებლად.

თესლის სახმრავები

თესლის თითქმის იმდენივე სახესხვაობა არსებობს, რამდენიც მისი წარმოქმნილი მცენარეა. თესლის ზომა ცვალებადია ორქივის თითქმის მიკროსკოპული თესლიდან ქუკოსის კაკლის თესლამდე, რომლის წონა შესაძლოა 40 ფუნტიც კი იყოს. თესლებს სხვადასხვა ფორმა გააჩნიათ. ისინი შეიძლება იყოს ბრტყელი, როგორც ნუშის თესლი ან თითქმის სრულყოფილი სფეროს ფორმის, როგორც ავოსკოსის თესლი.

თესლები ზოგადად განსხვავდება ლებნიანობის მიხედვით (ერთლებნიანი და ორლებნიანი). ყველაზე ხილული განსხვავებაა ლებანი ან თესლის ფოთოლი. სოიასებრთა თესლი ერთლებნიანია.

იგი შესაძლოა გაიხსნას ორ თანაბარ ნაწილად. სიმინდის თესლი ერთლებნიანია და ორ თანაბარ ნაწილად ვერ გაიყოფა, რადგან თესლის მხოლოდ ერთი ფოთოლი აქვს. სოიასებრთა უმრავლესობის თესლი, ისეთების, როგორც არის ლობიო, მუხუდო, სოია და იონჯა, ორლებნიანი. ხოლო ბალახისებრთა უმრავლესობა (სიმინდი, ბრინჯი, ზობალი და ქერი) ერთლებნიანია. ერთლებნიანი თესლის შიგნით არის სტრუქტურა, რომელსაც ენდოსპერმა ეწოდება, იგი წარმოადგენს ენერჯის საკვებს ახალგაზრდა მცენარისთვის. ორლებნიანებს ენდოსპერმა არ გააჩნიათ და ენერჯის ლებებში ინახავენ. ლენის შიგნით მსხვილი ემბრიონია, რომელიც გალიების გზით მცენარედ გარდაიქმნება. ერთლებნიანებს გაცილებით მცირე ზომის ემბრიონი გააჩნიათ.


თესლის ბაღიშვა

გალივება არის პროცესი, რომელიც იწვევს თესლიდან ახალი მცენარის ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს დღემდე არ ესმით სრულად ეს პროცესი, მცენარის ზრდის დაწვევის მრავალი ასპექტი უკვე ცნობილია.

ფაქტი. მომწიფებულ თესლს შედარებით ნაკლები ტენი აქვს, რათა დაცული იყოს ლბობისგან. თესლის მომწიფება, ჩვეულებრივ, შემოდგომით ხდება, როდესაც ამინდი მშრალია. აღნიშნული საშუალებას აძლევს თესლს გამოშრეს ტენიანობის საკმარისად დაბალ დონემდე, რათა იგი შენახულ იქნას. მწარმოებლები ხშირად ხელოვნურად აზრობენ სოიასა და მარცვლეულს მოსავლის აღების შემდეგ, რათა უზრუნველყონ სათანადო წესით შენახვა. გალიებისთვის თესლმა წყალი უნდა მიიღოს.

თესლი დაფარულია გარე სამოსით, რომელსაც ტესტა ეწოდება. სანამ თესლი შედარებით მშრალია, ტესტა ხელუხლებელია და თესლი თვლემს. როდესაც შეიქმნება ტენიანობისა და სხვა კეთილსასურველი პირობები, ტესტა რბილდება, ჯირჯევდება და საბოლოოდ სკდება. ფაქტია, რომ თესლი იღებს წყალს და იზრდება ზომით წყლით მიერ გამოწვეული გაჯირჯეების გამო.

ფანჯბაღი. გალიებისთვის თესლს ფანჯბაღი ესაჭიროება. საკმარისი ტენიანობის პირობებში ფანჯბაღის არსებობა იწვევს სუნთქვის დაწყებას. სუნთქვა არის პროცესი, რომელიც თესლში შენახულ საკვებს გარდაქმნის ენერჯად. რომელსაც მცენარე გალიების პროცესში იყენებს.¹¹



ტემპერატურა. თესლის გალიებისთვის არსებითია სათანადო ტემპერატურა. თესლის უმრავლესობამ სიცივის პერიოდი უნდა განელოს, სანამ გალივებას დაიწყებდეს. აღნიშნული ხელს უწყობს თესლს არ აღმოცენდეს დაუყოვნებლივ მომწიფების შემდეგ. ზამთრისა და სიცივის ზემოქმედების განმავლობაში თესლი თვლემს მომავალ გაზაფხულამდე, როდესაც თბილი ტემპერატურა ხელს უწყობს გალიების პროცესის დაწყებას. თესლების უმეტესობისთვის გალიებისათვის საჭირო ტემპერატურაა 68°F-85°F, თუმცა ზოგი ციციკლიმატიანი მცენარის თესლი შესაძლოა უფრო დაბალ ტემპერატურაზეც გალივდეს.

სინტაქსი. თესვების უმეტესობის გალიციებისთვის სინათლე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ზოგ თესვებს გალიციებისთვის სრული სინათლე ესაჭიროებათ, სხვებს – სინათლის გარკვეული ოდენობა. აი რატომ არის, რომ მწარმოებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თესვის სიღრმეს. თუ თესლი ზედმეტად ღრმად დაითესება, მან შესაძლოა ვერ მიიღოს სინათლისა და ფანგბადის სათანადო რაოდენობა, ხოლო თუ არასათანადოდ ღრმად დაითესება, ჭარბ სინათლეს მიიღებს.


როდესაც მშობელი მცენარეიდან თესლის განვითარება ხდება, იგი, ჩვეულებრივ, თესვების პერიოდს გადის, რომლის დროს თესლი ცოცხალია, მაგრამ არ იზრდება. სათანადო პირობების დადგომისას თესლი ფხიზლდება და იწყებს ზრდას, რითიც დასაბამი ეძლევა ახალ მცენარეს. თესვმა აუცილებელია თესლის დასაცავად იმ დრომდე, როდესაც ზრდისათვის ოპტიმალური პირობები დადგება. მცენარეთა უმრავლესობა თესლს ივითარებს ზრდის სეზონის ბოლოს, სანამ ცივი ამინდი დადგებოდა. თუ თესლი ასეთ დროს აღმოცენდება, ახალი მცენარე სუვარაუდოდ მანამ დაიღუპება, სანამ გამრავლებას შეუძლებს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად აღმოცენების დაწყებამდე დაძლეულ უნდა იქნას რამდენიმე შემზღველავი ან ინაიბიტორი.

ზოგმა თესლმა აღმოცენებამდე ცივ ამინდს უნდა გაუძლოს. სხვა თესლს უბრალოდ დროის განსაზღვრული მონაკვეთი აქვს მომწიფებიდან აღმოცენებამდე. სიცვიის პერიოდი ან დროის ინტერვალი საშუალებას აძლევს თესლს, რომ ზამთარს გაუძლოს.

ზოგ თესლს მყარი საშოხი აქვს, რომელიც წყლის შეღწევისგან იცავს მას. ეს საშოხი უნდა გაცდეს მანამ, სანამ ტენი შეაღწევს თესლში და გალიციების პროცესი დაიწყება. აღნიშნულის სკაროფიკაცია ეწოდება. ზოგჯერ თესლების სკაროფიციურება შექანიური დამუშავებით ხდება, წყალში რამდენიმე საათის ჩაწობით ან თესლზე მყავის ზემოქმედებით.

თუ თესლი ნიადაგში ღრმად არის მოთავსებული, ფანგბადისა და სინათლის ნაკლებობამ იგი შესაძლოა თესვების მდგომარეობაში ამყოფოს. ღრმა ხენას შეუძლია ისეთი თესვების ამოღება მიწიდან, რომლებიც წლების განმავლობაში თესვებდა. როდესაც ისინი უახლოვდებიან ნიადაგის ზედაპირს, ხოლო ტემპერატურა და ტენი კეთილსასურველია. თესლი აღმოცენებას იწყებს.

მიუხედავად ამისა, რომ სიცოცხლისუნარიანობის ოპტიმალური პერიოდი ერთი წელიწადია, თესლს მთელმარე მდგომარეობაში წლების განმავლობაში შეუძლია არსებობა. ფაქტია, რომ არქტიკაში აღმოჩენილ იქნა თესლი, რომელიც დაღუპილი იყო 1000 წლის წინ. სათანადო პირობების წარმოქმნისას თესლი გალივდა და ახალი მცენარე წარმოქმნა.




მიუხედავად ამისა, მწარმოებლებმა იციან ახალი, საღი თესლის შენახვის მნიშვნელობა, რომელიც ძლიერ სიცოცხლისუნარიანია. თესლის ტომარაზე არსებული იარლიფი გვიჩვენებს მისი წარმოების წელსა და გალიციების ტესტის შედეგებს. აღნიშნული ტესტი გვეუბნება, თუ თესლის რა პროცენტისგან არის მოსალოდნელი გალივება. კომერციულად წარმოებული თესლის, როგორც წესი, 95%-ზე მეტი ღივდება.

როდესაც ზემოაღნიშნული პირობები დადგება, თესლი გალიფებას იწყებს და შესაბამისად, იწყება ახალი მცენარის ზრდის პროცესიც. თავდაპირველად თესლის სამოსი ანუ ტესტა რბილდება, ტენი აღწევს თესლში და იგი გაჯირჯეებას იწყებს. ტესტას დაშლის შემდეგ ყანგაბადი აღწევს თესლში და იწყება სუნთქვის პროცესი. სუნთქვა ათავისუფლებს ფერმენტებს, რომლებიც უხსნად სახამებელს ხსნად შაქრად გარდაქმნიან, ეს უკანასკნელი კი ახალგაზრდა, გალიფების პროცესში მყოფი მცენარის მიერ ენერჯიის წყაროდ გამოიყენება მანამ, სანამ ფოტოსინთეზი დაიწყება. ხსნადი შაქრის ფორმით ენერჯიის გამოათვისიფლება იწყებს მცენარეთა უჯრედების ზრდას.


უჯრედები მრავლდება და ზრდა ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ორლებნიან თესლებში ღეროსმაგვარი ნაწილი, სახელად ჰიპოკოტილი, ვითარდება, იზრდება ზემოთ, როგორც თაღოვანი სტრუქტურა, რომელსაც ორივე ბოლო ვერ კიდევ მიწაში აქვს. ჰიპოკოტილის ერთი ბოლო მიმაგრებულია თესლის ფოთლებს ან ლებნებზე. ლებნები შეიცავენ სტრუქტურას, რომელსაც პირველადი ფოთლოვანი კვირტი ეწოდება და იგი ლებნებს შორის არის მოთავსებული. მისგან ვითარდება მცენარის პირველადი ღერო. ასევე ლებნებზეა მოთავსებული სტრუქტურა, სახელად ეპიკოტილი, რომლისგანაც მცენარის პირველი ნამდვილი ფოთლები ვითარდება. ლებნები პირველადი ფოთლების მაგივრობას წვევენ, გადასცემენ რა შენახულ საკვებ ნივთიერებებს გალიფების პროცესში მყოფი მცენარის დანარჩენ ნაწილებს.

მიხატონი მსახიჩს ჩახახვა



ჰიპოკოტილის საპირისპირო მხარეს არის ფესვაკი, რომელიც ქვევით იზრდება და გარდაიქმნება მცენარის პირველად ფესვად. ამ სტრუქტურიდან იზრდება ფესვები, რომლებიც პირიზონტალური მიმართულებით მიემართება.

ერთლებნიანი თესლის გალიფება იმით განსხვავდება, რომ პირველადი ფოთლოვანი კვირტი პირდაპირ ზევით იზრდება, ხოლო ლებანი მიწაში რჩება. გარდა ამისა, ფესვაკი ქვევით იზრდება და წარმოქმნის დროებით ფესვს, რომელიც მუდმივი ფესვით ჩანაცვლდება. მცენარის პირველი ფოთლები პირველადი კვირტიდან იზრდება, ხოლო ფოტოსინთეზი იწყება მას შემდეგ, რაც ენდოსპერმაში დაგროვილი საკვები ამოიწურება.




ზრდა გალივების შემდგომ

გალივების შემდეგ მცენარე შესაძლოა უზარმაზარ სტრუქტურად იქცეს. წარმოიდგინეთ გიგანტური წითელი ხე ჩრდილოეთ კალიფორნიაში. დიდი მცენარეები ზრდას იწყებს თხელი თესლიდან, რომელიც ღვივება და მცირე მარცვალს წარმოშობს. მცენარეც შესაძლოა მცირე იყოს სრულად მომწიფების შემდეგ. მცირე, მოხდენილ მცენარეებს კომპერტულად ზრდიან ქონებში და ისინი ჩვენ სახლებს ამშვენებენ. ისეთ მცენარეებს, როგორც არის მუხა, წლები სჭირდებათ გასაზრდელად, როდესაც ზოგი ტროპიკული და სუბტროპიკული ყურძენი ყოველდღიურად რამდენიმე ინჩს იმატებს.

ზრდის მაკონტროლებელი პროცესები საკმაოდ რთულია. მცენარის ზომის ზრდაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ზოგადად, მცენარის ზრდა სამი სახეობის არის. ერთი არის მცენარის უჯრედების ზომის ზრდა. მეორე - მცენარის უჯრედების რაოდენობის ზრდა და მესამე - უჯრედების დიფერენცირება. ეს უკანასკნელი ნიშნავს მცენარის უჯრედების გარდაქმნას, რათა მათ განსხვავებული ფუნქციები შეასრულონ.

ზრდა იწყება მცენარის იმ ნაწილში, რომელსაც მერისტემული ქსოვილი ეწოდება. ეს ქსოვილი შედგება უჯრედებისგან, რომლებმაც კარიოკინეზი (მიტოზი) გაიარეს და სწრაფად დაიყვნენ. მერისტემული ქსოვილი ნაპონია ღეროების, ტოტებისა და ფესვების წვერობში. ქსოვილი მერისტემული ქსოვილის ზემოთ ან ქვემოთ იყოფა განსხვავებულ სექციებად. პირველს ეწოდება დაგრძელების ზონა, სადაც უჯრედები შეიწოვენ წყალს და სივრცეში იზრდებიან. აღნიშნული ზონის ზემოთ ან ქვემოთ (გამომდინარე იქიდან, თუ სად არის მერისტემული ქსოვილი - ფესვებზე, ღეროებსა თუ ტოტებზე) არის დიფერენცირების ზონა, სადაც უჯრედები სპეციალიზებულ ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ზოგი მათგანი შესაძლოა გარდაიქმნას ფოთლის უჯრედად, ზოგი ღეროსი, ზოლო დანარჩენი - ყვავილის. მერისტემის რაიონში უჯრედების გამრავლებასთან ერთად, ორი სხვა რაიონის უჯრედები ცვლილებას განიცდის. პირველად მერისტემის რაიონში ნაყოფი უჯრედები გარდაიქმნება დაგრძელების ზონის უჯრედებად, ზოლო შემდეგ ეს უჯრედები - დიფერენცირების ზონის უჯრედებად. ამ პროცესის მეშვეობით მცენარე მსხვილდება. შემცენარეები ყოველწლიურად ქსილებისა და ფლოების ახალ შრეს იმატებენ და ამ გზით მცენარე ღამეგრით იზრდება.



მცენარის ზრდის კორმონები

შესაძლებელია ისეთი ხე-ტყის მასალის შესყიდვა, რომელიც წნევის ქვეშ ქიმიკატებით არის დამუშავებული, რათა აცილებულ იქნას მწერებით დაზიანება და ლაბობა. წნევით დამუშავება ნიშნავს, რომ ქიმიკატები ხეში წნევის ქვეშ შეაქვთ. ხის მასალის დასამუშავებელ ქიმიკატებს მიეკუთვნება კრეოზოტი, პენტაქლოროფენოლი, სპილენძის მავის ქრომატი, ამიაკური სპილენძის არსენატი და ქრომირებული სპილენძის არსენატი. ვინაიდან დამუშავებული ხის მასალა მომწამელებელია

მცენარეებისა და ცხოველებისთვის, სიფთხილე უნდა იქნას გამოჩენილი წნევის ქვეშ დამუშავებული ხის მასალის გამოყენებისას სოფლის მეურნეობაში.

სასურსათისა და გვერდითა ბაღას შრე. აგრარულ ნაგებობათა გადასასურად ფართოდ გამოიყენება ფოლადისა და ალუმინის ფურცლები. მათი უმეტესობა იყიდება 24'' და უფრო დიდი სიგანისა, ხოლო სიგრძეა 8', 12' ან 16'. ფოლადის ფურცელი მყარია, მაგრამ ჭანჭანს ექვემდებარება. ზღბა მისი გალვანიზირება თუთიის ფენით, რომელიც 1.25 უნციას უდრის კვადრატულ ფუტზე. თუმცა უკეთესი ხარისხის ფოლადის ფურცლები მოთუთიებულია 2 უნცია თუთიით ერთ კვადრატულ ფუტზე. თანამედროვე ფოლადის ფურცლები შესაძლოა შემოსილი იყოს მუფელები შრობის ემალით, რაც დიდ გამძლეობას ანიჭებს მას.

ალუმინის სახურავი ჩვეულებრივ ამინდში არ იფანგება, მაგრამ საკმაოდ ძვირი, თხელი და იოლად დაზიანებადი. შესაბამისად, შენობებს, რომლებიც ალუმინით უნდა გადაიხუროს, დასაჭვრებელი ფიცრები უფრო ახლოს უნდა ჰქონდეს, ვიდრე ფოლადს. ფოლადის თუ ალუმინის გამოყენებისას, ყურადღებით უნდა მისდიოთ მწარმოებლის ინსტრუქციას ღურსმნების სახეობის, დაჭვრების ადგილისა და დაშორების, ფურცლების თანხედრის, წყალგაუმტარობის გაუმჯობესებისათვის იზოლაციის გამოყენებისა და ქანობისა და ფორტიონებზე დამუშავების შესახებ. ქანობი ივულისხმება ორ-ქანობიანი სახურავის ყველაზე მაღალ წერტილიან მიმართებით.

ხიმიწებანი ნაგებობები

ხიმიწებანი ნაგებობის აშენება იოლია, სწრაფად ზღბა, ეკონომიურია და მოქნილი. ასეთი ნაგებობის ასაშენებლად საჭიროა რიგი გეგმების შემუშავება. ბევრ ადგილას აუცილებელია გეგმების დამტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივ სამშენებლო კანონებთან შესაბამისობა. ნაგებობის ზომების ყურადღებით განსაზღვრისა და ორბოების ამოთხრის შემდეგ, წნევის ქვეშ დამუშავებული ხიმიწები ორმოში ერჭობა ქვესადების მეშვეობით. ქვესადები ბეტონის ფირფიტა ან ბრტყელი ქვაა, რომელიც ორმოს ძირში იღება და ხიმიწეს ქვევით მოძრაობისაგან იცავს.

ხიმიწებზე ზღბა ბელების დამაგრება და კოჭების დამატება. შემდეგ ზღბა გარსაკრავის ანუ ღურსმნების პორიზონტალური გვერდითი ჩასარჭობისა და წნევის ქვეშ დამუშავებული პლინტუსების დამატება. ლარტყულას დამატების შემდეგ სახურავისა და გვერდითი გადახურვის მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია.

სიფთხილეა აუცილებელი შენობის შემოსარტყვლისათვის. ამ დანიშნულებით ხის ლარტყები და მუყაოს ან ლითონის საკუთხეები გამოიყენება. საკუთხე ხის ან ლითონის ნაჭერია, რომელიც შეერთების გაძლიერებისთვის გამოიყენება. შენობაში შეიძლება ფანჯრებისა და შუქის ღუქის დამონტაჟება.

| I | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|--|---|--------------|--------------|--------------------|--------------|---|-------------------------------|----------------|--------------|--------------------------|
| <p>ახვალტის რეგლამით გადახურვა: მძერი-ხედაბარი</p> <p>მღუეი ხედაბარი</p> | <p>იგავა რაე ახვალტის ფილტები</p> | <p>იწვის</p> | <p>სრული</p> | <p>სრული</p> | <p>სრული</p> | <p>შესაძლია დაზიანდეს ძლიერი ქართი ან სტრესით</p> | <p>2-4 იმნიანი შეერიება 4</p> | <p>100-140</p> | <p>კარგი</p> | <p>ღიალი</p> |
| <p>მღუეი ხედაბარი</p> | <p>გაყოლებით ნაკლები ვიდრე მძერი-ხედაბარი</p> | <p>იწვის</p> | <p>სრული</p> | <p>სრული</p> | <p>სრული</p> | <p>შესაძლია დაზიანდეს ძლიერი ქართი ან სტრესით</p> | <p>2-4 იმნიანი შეერიება 4</p> | <p>65</p> | <p>კარგი</p> | <p>ღიალი</p> |
| <p>ახვალტ-ცერტის ფილტები და გოფორტიული ვენურსლები</p> | <p>501 წელი</p> | <p>კარგი</p> | <p>კარგი</p> | <p>შესანიშნუეი</p> | <p>კარგი</p> | <p>შესაძლია დაზიანდეს მერბი რბივების მიხარით</p> | <p>5</p> | <p>260-300</p> | <p>კარგი</p> | <p>საშუალოდ მაღლაწმე</p> |
| | | | | | | | <p>3</p> | <p>300</p> | | |

კოჭოვანი ჩარჩოვანი

ასეთი ნაგებობა შესაძლოა აშენდეს კოჭებით, რომლებიც იატაკში ან ტორსშია ჩარჩობილი. ტორსი კედლის წვეროა. თუ კოჭები ტორსში ეშვება, ადვილი ხდება ბეტონის იატაკისა და ფერმული სახურავის დამატება. კედლებსა და სახურავს შემდეგ შესაძლოა იზოლაცია გაუკეთდეს და დამატოს გარეთა შეფიცვრა.

თუ ნაგებობას ხის იატაკი აქვს, კოჭების გადაჭრა მიწიდან 1'-3' სიმაღლეზე ხდება. კოჭებზე ხდება მიძიმე ძელების დადება და იატაკის ნიწივის დაჭედება. ნიწივი ხის ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს იატაკის დაგებას. კედლების ამოყვანა იწყება შავი იატაკის დაგების შემდეგ. ფერმები ძირითადად გამოიყენება ნაგებობისათვის სტაბილურობის მინიჭებისა და სახურავის საყრდენისათვის.

ჩარჩო მყარი კვანძებით

ნაწილების შეკერისთვის ფორმირებული ფოლადის გამოყენებას ჩარჩო მყარი კვანძებით ეწოდება. იგი საშუალებას იძლევა სახურავის გრძელი განივისა და შედარებით ბრტყელი სახურავის აგებას. ჩარჩო მყარი კვანძებით უნდა დამაგრდეს უარესად მყარ ბეტონის კოჭებზე ან იატაკზე. სახურავის დასაბრუნებლად წნევას ტენდენცია აქვს გარეგანი წნევის ზემოქმედება ფოლადის ჩარჩოს ფუძეზე მოაქციოს.

ჩარჩო, ფურცლოვანი გადახურვა და ყველა დანარჩენი აქსესუარი არის წინასწარ დახერხებული და მზად ასაწყობად ადგილზე მიტანისას. აგება სწრაფი და იოლია გამოყვანილი მუშებისათვის. ფოლადითა და ალუმინით გადახურული ნაგებობები შესაძლოა ეკიპირებულ იქნას სხვადასხვა სტილის კარებით, ფანჯრებით, კენტილაციით, შუქის ლუქებით, წყლის ღარებით, წყალგაყვანილობითა და სხვა საეკოლოგიური მახასიათებლებით. ისინი შესაძლოა იზოლირებულ და დასრულებულ იქნან ინტერიერის კედლებით ოფისის, საწარმოს, საწყობის, გადამამუშავების, საცაის ან სხვა გამოყენებისათვის.

ხის ჩარჩოვანი ნაგებობები

ხის ჩარჩოვანი ნაგებობების კედლები აშენებულია 2" X 4" ვერტიკალური ფილებისგან, რომლებიც 16" ცენტრშია მოთავსებული. სახლები, გარაჟები და სხვა ერთიდან სამ სართულამდე ნაგებობები ინტერიერის დასრულებული კედლებით ძირითადად ხის ჩარჩოვანია. ასეთ ნაგებობებში იატაკი დაჭედებულია იატაკის კუთხოვანაზე, რაც ბეტონის ან ბლოკის კედელს ან საძირკველსა და ერთ ან მეტ ცენტრალურხაზოვან ძელს უჭირავს. ისინი ყვრდნობა ქვის მყარ ფუნდამენტს და ერთ ან რამდენიმე ძელს რათა, ზიდონ შერობის წონა, უზრუნველყონ ქარისაგან დაცვა და თავიდან აიცილონ ტენის შეჭრა ღონეს ქვემოთ. ღონეს ქვემოთ ნიშნავს გარემომცველი მიწის ზედაპირის ღონეს ქვემოთ. ინტერიერის ნაწილები დაშვადებულია წირთხლებისა და მშრალი კედლის ან პანელისაგან. ისინი ხელს უწყობენ ზედა სართულების ზიდვას. ხის ჩარჩოვანი ნაგებობები შესაძლოა ასევე აშენდეს ბეტონის ძელებზე (კარგად დრენირებულ რევიონებში) ან ხიმინჯებზე და ქვის საყრდენებზე (სველ რევიონებში)

საძირკველის დაგება

კუთხეების ზუსტი მდებარეობა აუცილებელია ყველა შერობისთვის. გარდა ამისა, ღონის აღმნიშვნელი ზოლები გავლებულ უნდა იქნას საძირკვის ან ხიმინჯების გარე საზღვრების გარშემო, რათა განისაზღვროს მათი ადგილმდებარეობა და ამაღლება. ამაღლება ნიშნავს შედარებით სიმაღლესა და მდებარეობას ზღვის დონიდან. ეს ზოლები დაიტანება შემოვლების დაფებზე, რომლებიც ღონის აღმნიშვნელი დაფებია, განლაგებული საძირკვიდან 8'-12' სიმაღლეზე.

გარეშტის ამოღება ნიშნავს მიწის ამოხრას ან ამოღებას. მას შემდეგ, რაც შენობა დაიფუძნება, ქვესაღებისა და საძირკვისათვის ღრმულის ამოღებისა და საძირკვის

არავიდან ნიადაგის მოპირებისთვის ექსკავატორი და ფრონტალური დამტვირთველი გამოიყენება. ქვესადები გახლავთ ბეტონის მთლიანი ბლოკი საძირკველს ქვემოთ.

გრუნტის ამოღება ხდება დაგვემეის ზოლებიდან რამდენიმე ფუტით ზემოდან და ღრმად, საძირკვლის ქვედონზე. ქვედონე ნიშნავს ღონეს, სადაც ქვა იწყებს ბეტონის იატაკს ან ნიადაგის ფენა იწყება მიწის პროფილირებისას. საძირკველის გრუნტის ამოღების დასრულების შემდეგ, ხდება ქვესადებისათვის ღრმულების ამოთხრა. ქვესადები უნდა იყოს სულ ცოტა იზენადავე ღრმა, რამდენადაც საძირკველის სივანე და 1 1/2-ჯერ განიერი. თუმცა, შესაძლოა კონსულტაციები იქნას მიღებული საინჟინრო სპეციფიკაციებისა და ადგილობრივი სამშენებლო კანონმდებლობის შესახებ.

ქამსადები და საძირკველი. ქვესადები ბეტონით უნდა ამოიყოს, რათა შესაბამებოდეს სპეციფიკაციას და გააჩნდეს სიმტკიცე. საძირკველი შესაძლოა ამოიყოს თხევად ბეტონით ან ქვის ბლოკებით. ბლოკებით ამოყება დეტალურად არის განხილული შემდეგ თავში, აგრეთვე ბეტონის და ქვის საშუალებები.

კედლები საგანგებოდ უნდა დამუშავდეს წყალგაუმტარობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათში შესაძლოა წყალმა გაჟონოს. შეერთებაში, სადაც ერთმანეთს ქვესადები და საძირკველი ხვდება, კედელი უნდა გაიღოს წყალგაუმტარი ემენტი ან ქვის სპეციალური პერმეტიტი, ხოლო ზემოდან ასფალტის ფენით დასრულდეს. მთელი საძირკველის გარშემო ღორღის ბაქანში, ქვესადების თავზე ქვის საფარით, უნდა მოთავსდეს პოლიეთილენოვანი სადრენაჟე მილი. სისტემის სათანადო გამოსასვლელი ან ტუბში უნდა გააჩნდეს წყლის გამოსატანად, რომელიც საძირკველთან გროვდება.

ქმდებანი და იბტაპი. რამდენიმე გზა არსებობს ხის ჩარჩოან სახლში კედლებისა და იატაკის ინტეგრირებისათვის. მშენებლობის თანამედროვე, პლატფორმული და დასავლური მეთოდების გამოყენებით, იატაკის კონსტრუქცია და შავი იატაკი მანამ იგება, სანამ მომდევნო სართლის აშენება მოხდება. აღნიშნული კედლების ასაშენებლად უსაფრთხო გარემოს ქნის. კედლები და ტიხრების ჩარჩოები 2" X 4" წირთხლებისაგან შედგება, რომელთა თავსა და ბოლოზე 2" X 4" ფილებია დამატებული და დაჭვდებული იატაკზე. ამის შემდეგ ხდება კედლის პანელის დაწვენა, სარტყელის შემოვლება და დაჭვდება. კედლის ჩარჩოს დამატების შემდეგ ხდება გარე მოფიცრა ან აგურით ამოყვანა.

თუ ჩაფიქრებულია ორ- ან სამსართულიანი ნაგებობა, პირველ რიგში ხდება ერთი ან მეტი იატაკისა და კედლის სისტემის აშენება. კოჭები და კუთხოვანები შესაძლოა ფერმამ შეცვალოს. მგარი დაწებებული მუყაითი მოფიცრა გამოიყენება დიაგონალური მოფიცრის ნაცვლად, რაც ამცირებს დიაგონალური შემოსარტყელის საჭიროებას. ასევე, დაწებებული მუყაო სულ უფრო ხშირად გამოიყენება დიაგონალური შავი იატაკის ნაცვლად.

ქიმეზისა და კოჭების დამამუშავება

ქიმეზი. კიბე შესაძლოა საჭირო გახდეს ორიგინალურ კონსტრუქციაში ან ძველის შესაცვლელად. თუ ძველი კიბის გამოცვლა ხდება, პირველ რიგში მოაშორეთ ცოკოლი და საფეხურები. საფეხური კიბის ის ნაწილია, რომელსაც აბიჯებთ. მოაშორეთ ბიჯი ანუ საფეხურის უკანა ნაწილი. სულ ბოლოს მოაშორეთ კიბის ჩანა და ცენტრალური ჩანა, რომელიც წარმოადგენს კიბის საყრდენ სტრუქტურას. სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა არ დაზიანდეთ ცენტრალური ჩანა და გამოიყენეთ იგი შესაცვლელი ნაწილების გამოსატყვლად.

ახალ კონსტრუქციაში კიბის ჩარჩოები უნდა მოიხერხოს 2" X 10" ან უფრო განიერი მასალიდან. ჩარჩოს ტორში გამოიყენება ჩარჩოს ზედა და ქვედა ბოლოებისა და თითოეული საფეხურისა და ბიჯის დაგვემეისა და მარკირებისთვის.

კოჭები. არსებობს კოჭის მრავალი სახეობა. სწორი სახურავებისათვის თანამედროვე აგრარულ ნაგებობათა უმრავლესობაში ფერმები გამოიყენება. კოჭები შესაძლოა გამოყენებულ იქნან მცირე ნაგებობებისა და სახურავების სპეციალური ფორმებისათვის.

აბრარულ ნაგებობათა იზოლაცია

ენერჯის შენახვა და ტენიანობის კონტროლი ნაგებობათა უზრაველსობისათვის ძირითადი საკითხია. მუშათა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ზოგადად, უზარებესდება კომფორტული ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში. მსგავსად ამისა, მცენარეები და ცხოველები უკეთესად იზრდებიან და მრავლდებიან ტემპერატურის, ტენიანობისა და ჰაერის ხარისხის ოპტიმალურ პირობებში. აღნიშნული ადვილად გაკონტროლებადია, როდესაც ნაგებობებს სათანადო იზოლაცია და ტენიანობის ან ართქლების ბარიერები გააჩნია.

ბეტონის იატაკები ტენის შეღწევისაგან შესაძლოა დავიკვათ ზედაპირის მასალასა და ბეტონს შორის ტენგამბმელ მემბრანის მოთავსებით. ზედაპირი შედარებით გლეჯი უნდა იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ მემბრანის დაზიანება; ან რეკომენდებულია ზედაპირზე ბეტონის თხელი საფარის დაგება. ოთხთანობანი პოლიეთილენის ფირი მისაწვდომია დიდი ფურცლების სახით, რაც ქენის სწრაფ, იაფ და ეფექტურ ბარიერს ტენისათვის. იატაკის მცირე ფართობებისათვის 55 ფუნტიანი სახურავის დახვეული მასალა, შერთებული 6 ინჩზე, შეერთების ადგილებში ცხელ ასფალტის ან ბითუმიანური ცემენტის გამოყენებით, დამაკმაყოფილებელ ბარიერს ქენის ართქლების წინააღმდეგ, ართქლების საწინააღმდეგო ბარიერი ფრთხილად უნდა იქნას დაგებული ზედაპირის გასწვრივ კედლითა კედლებამდე მანამ, სანამ ბეტონის მოსხმა მოხდება.

საძირკვლების გარე ზედაპირები ჰერმეტიზებული უნდა იყოს ქვის სპეციალური პროდუქტებით, რომლებიც ფორებში აღწევენ და გამზობისას ფართოვდებიან. ტენისა და მექანიკური დაზიანების საწინააღმდეგო შემდეგი ღონისძიება წყალგაუმტარი ცემენტის ფენის დაგება, რაც სრულდება ასფალტის დაგებით. ქვის კედლების ექსტერიერი წვიმისაგან წყალგაუმტარი საღებავით შეიძლება იქნას დაცული.

გათბობის მქონე შენობებში იატაკი უფრო თბილი და ენერჯის შენახვა უფრო ეფექტური იქნება, თუ მყარი საიზოლაციო მასალა მოთავსდება იატაკსა და გარე კედლებს ან საძირკვლს შორის. გარდა ამისა, თუ ენერჯის ღირებულება მაღალია, გათვალისწინებულ უნდა იქნას ფილებს ქვეშ მყარი საიზოლაციო მასალის მოთავსება.

ქვის და ბეტონის მასალებს განსხვავებული საიზოლაციო ღირებულება გააჩნიათ შესაბამისად მასალისა, რომელსაც ისინი შეიცავენ. მაგალითად, 8" სივანის მქონე მძიმე, მაღალი სიმკვრივის ბლოკს შესაძლოა ჰქონდეს დაბალი საიზოლაციო ღირებულება ან წინააღმდეგობა მხოლოდ 0.98, როდესაც იგივე ზომის მსუბუქი ბლოკს წინააღმდეგობის მარეწებელი შესაძლოა 2.3 იყოს. აღნიშნული ბლოკის კარკასის შევსებით სათანადო საიზოლაციო მასალით, მისი წინააღმდეგობის მარეწებელი შესაძლოა 7.5-მდე გაიზარდოს. ქვის ბლოკების შესესებად ან ბეტონის საიზოლაციო ღირებულების გასაზრდელად ძირითადად გამოიყენება პერილიტი, ვერმიკულიტი და ცელულოზა.

ქვის ან ლითონის გარე კედლები ასევე შეიძლება იზოლირებული იქნას შიდა მხარეს ხის ან ლითონის ჩარჩოვანი 4" კედლის აშენებითა და კედელში ვალიანი ან თიხიანი ფიქლის იზოლაციის მოთავსებით. ხის ჩარჩოვან შენობებს ძირითადად აქვთ ბივანი კედლები 2" ან 3" თიხის ფიქლის ან ვალიანი იზოლაციით 2" X 4" ზიგებს შორის, რომლის წინააღმდეგობის მარეწებელია შესაბამისად 7 ან 11-ია; ან 6" იზოლაცია 2" X 6" ზიგებს შორის წინააღმდეგობის მარეწებელით 19. ჭერს ძირითადად აქვს მინიმუმ 6" იზოლაცია ან მეტი, ხოლო წინააღმდეგობის მარეწებელი 19-30. ასეთი დანიშნულებით გამოიყენება იზოლაციის პოპულარული მასალებია ბოჭკო, მინერალი, მიწაბოჭკო და წილა.

ლითონის ან ზომიერებანი ნაგებობები შესაძლოა იზოლირებულ იქნან მყარი საიზოლაციო მასალებით ან მიწაბოჭკოთი, რომელსაც ართქლების საწინააღმდეგო პოლიეთილენის ბარიერი გააჩნია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დიდ ოდენობას ტენიანობისა, რომელსაც ცხოველები გამოყოფენ, რის გამოც ტენიანობის კონტროლისათვის უკანაგეზო ვენტულატორების დამონტაჟება აუცილებელი. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩიტების უნარი ავეჯთან და დაზიანონ მიწაბოჭკო და სხვა რბილი საიზოლაციო მასალები იმ შენობებისათვის, სადაც ჩიტების გამოირიცხვა არ შეიძლება.

ყველა შემთხვევისას ართქლების საწინააღმდეგო სათანადო ბარიერის დამონტაჟება საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში იზოლაცია შთანთქმავს ტენს და დაკარგავს საიზოლაციო

უნარს. ტენიანობამ ასევე შესაძლოა გამოიწვიოს ხის სტრუქტურების ლაბობა და ფოლადის კომპონენტების დაფანგვა. აორთქლების საწინააღმდეგო ბარიერები ძირითადად შედგება ასფალტით გაბლირებული ქაღალდის, ალუმინით შეშისილი ხის ან ქაღალდის პროდუქტებისგან ან პოლიეთილენის ფირისაგან. აღნიშნულის დაკვრა ხდება კედლის თბილ მხარეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ადგილობრივი კლიმატური პირობების, სამშენებლო კანონებისა და მწარმოებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თოკის სამუშაოები აბრარულ ნაგებობებში

თოკი გამოიყენება შეკერის, საგნების აწვეის, მასალების გადატანის, ცხოველთა დაბმის, ნაგების გამართვისა და სხვა აღნიშნულებით. შეერთების პრაქტიკა დღესდღეობით იშვიათად გამოიყენება, ხოლო ცხოველთა დასაბმელი თოკების ყიდვა უფრო იაფია. ვიდრე გაკეთება. მიუხედავად ამისა, სჭირია ეიკოლეთ კვანძების შეკერა, რომლებსაც შეუძლიათ დაჭერა და არ იხსნება.

გავრცელებული კვანძები

კვადრატული კვანძი. იგივე საბაზისო კვანძები გამოიყენება მშენებლობაში, რაც აგრარულ შენობებში. ბუბის კვანძი ხშირად გამოიყენება, მაგრამ იხსნება და, შესაბამისად, არასანდოა. კვადრატული კვანძის შეკერა იოლია და იგი არ იხსნება ძაბვის ქვეშ. ეს საუკეთესო კვანძია ერთი ზომის თოკების გადასაბმელად. ფურცლოვანი შეკერა კარგია სხვადასხვა ზომის თოკების გადასაბმელად.

კიბის დაბმვა

მიუხედავად იმისა, რომ კიბის აგების მრავალი გზა არსებობს, აქ განხილულია მხოლოდ ერთი მეთოდი, რათა მოხდეს პრინციპების ილუსტრაცია. კიბეს გააჩნია პირიზონტალური და ვერტიკალური მიმართულება, მაგრამ იგი ასევე დაყოფილია კიბეებად, რომლებსაც ასევე გააჩნია აღნიშნული მიმართულებები. თითოეული საფეხურის სიგანე არის მისი ვანი, ხოლო თითოეული ბიჯის სიმაღლე წარმოქმნის საფეხურის სიმაღლეს.

საფეხურის სიბანისა და ბიჯის სიმაღლის განსაზღვრა

„ჯადოსნური რიცხვი“ კიბის აგებისას არის 17, რადგან საფეხურის სიგანე და ბიჯის სიმაღლე ერთად უნდა შეადგენდეს 17 ინჩს ან მასთან მიახლოებულ მნიშვნელობას (კიბის ზოგიერთი მშენებელი ცდილობს მოექცეს 16 1/2 და 17 1/2 საზღვრებში). ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადახრა 10-ინჩიანი საფეხურიდან და 7-ინჩიანი ბიჯიდან არაკომფორტულია საშუალო აღმართისთვის და შესაძლოა საზოგადო ვახდეს.

კიბის დაგეგმვისას მთლიანი ბიჯი, როგორც წესი, ფიქსირებული რიცხვია. მნიშვნელოვანია ამ მანძილის გაყოფა თანაბარი ზომის საფეხურების რაოდენობაზე. პროცედურა შემდეგში მდგომარეობს: პირველ რიგში ხდება მთლიანი ბიჯის განსაზღვრა ინჩებში და ამ მანძილის გაყოფა 7-ზე, რათა მივიღოთ სავარაუდო საფეხურების რაოდენობა. პასუხი განისაზღვრება უახლოეს მთელ რიცხვამდე. შემდეგ მთლიანი ბიჯი გაყავით ამ რიცხვზე და დაამრგვალოთ იწიხს 1/16-მდე.

მაგალითი: მთლიანი ბიჯია 54 ინჩი.
54/7=7 5/7 ან 8 (საფეხურების სავარაუდო რაოდენობა)
54/8=6 6/8 ან 6 3/4" (თითოეული ბიჯის სიმაღლე)
საფეხურის სიგანე უნდა იყოს 17"-6 3/4"=10 1/4"
(შესაძლოა მერყეობდეს საზღვრებში: 9 3/4"-10 3/4")

კიბის ჩანას დაგეგმვა

გვერდითა წვერებს, რომლებიც საფეხურების საყრდენს წარმოადგენს, ჩანები ეწოდებათ. როგორც წესი, ერთით ნაკლები საფეხურია, ვიდრე ბიჯი. სასურველია ესკიზის გაკეთება ბიჯების რაოდენობით, რათა ავიცილოთ შეცდომა ცენტრალური ჩანის დაგეგმვისას.

მოათავსეთ კუთხოვანა 2" X 10" გასწვრივ ბიჯის ზომით ენაზე, ხოლო საფეხურის სიგანით გვერდზე. უფრო მოსახერხებელია მომჭერის გამოყენება, რათა ყოველ ჯერზე არ დაგვეჭირდეს კუთხოვანათი გაზომვა.

მონიშნეთ ზოლები იქ, სადაც უნდა მოხდეს გადაჭრა. შემდეგ მახდინეთ მოსწორება ქვედა ბოლოს: დაამოკლეთ პირველი ბიჯი საფეხურის სისქის ოდენობით. ეს მარჯვენებელი, ჩვეულებრივ, 1 1/2" ან 1 1/16" იმის შესაბამისად, ნომინალურად 2" თუ 1 1/4" ფიცარი იქნა გამოყენებული. ქვედა ბოლოს მოსწორებას გაეულენა აქვს ზედა ბოლო საფეხურზეც, რადგან ამოკლებს მთლიან ჩანას ერთი საფეხურის სისქით.

| მასალა | წინააღმდეგობის მარკენებელი ერთ ინჩ სისქეზე | წინააღმდეგობის რეალური მარკენებელი |
|---|--|------------------------------------|
| მყარი იზოლაცია | | |
| მინაბოჭკო | 4.00 | |
| მინერალური ბოჭკო, რეზინის შემავრთველი | 3.45 | |
| პოლისტირონი, უსწორმასწორო ზედაპირი | 4.00 | |
| პოლისტირონი, გლუვი ზედაპირი | 5.26 | |
| პოლისტირონი, დაწნეხილი ბურთულები | 3.57 | |
| პოლიურეთანი | 6.25 | |
| პოლიზოციანურატი, ქაფი, პლასტიკის გული და წინა მზარე ფოლგით დაფარული | 7.2 | |
| იზოლაცია, თიხოვანი ფიქალი | | |
| ბოჭკო, მინერალური შუშა, წილა | | |
| 2-2.75 ინჩი | | 7 |
| 3-3.50 ინჩი | | 11 |
| 6.5 ინჩი | | 19 |
| იზოლაცია, შემავსებელი | 2.70 | |
| პერლიტი | 2.27 | |
| ვერმიკულიტი | 3.13 | |
| ცელულოზა | | |
| სხვადასხვა | | .44 |
| აგური | | .45 |
| თაბაშირი | | .82 |
| ფრაქციული სტრუქტურა | | .10 |
| ბათქაში | | |
| ზე-ტყე, მყარი | 0.9 | |
| ზე-ტყე, რბილი | 1.2 | |
| ზე-ტყე, დაწებებული მუყაო | 0.8 | |

უპლზი კარგი კანბია, რომელიც არ იხსნება და არ ცურავს. მისი შეკერა და გახსნა ადვილია.

ბმული და ორნახმვარი ბმული. ბმული და ორნახევი ბმული შესაკრავად სწრაფი და გასახსნელად ადვილი კვანძებია. ისინი გამოიყენება ძელებზე თოკის მისამუდლად.

ხის ქვანძი. ხის კვანძი გამოიყენება ძელების ასაწვევად.

ქასრის სარტყმლი გამოიყენება კასრების ან მსგავსი საგნების ასაწვევად. უნდა დაერწმუნდეთ, რომ თოკი ძირის ცენტრზე გადის, ხოლო კასრის გვერდებს კვთის თანაბარი მანძილის დაშორებით.

თოკის ბოლოების შემოხვევა

თოკების უმეტესობის ბოლოები გაიხსნება, თუ რამენაირად არ დამუშავდება. თოკების ბოლოების გარშემო უნდა შემოვახვითი მაგარი ბაწარი ბოლოდან $\frac{1}{2}$ " ან $\frac{3}{4}$ " მანძილზე, გამოდინარე თოკის დამტვრიდან. დროებითი გამოყენებისთვის თოკის ბოლოებს შესაძლოა შემოვახვითი საიზოლაციო ფირი ან კაბელის საიზოლაციო ქაღალდი. ნეილონის თოკის ბოლოები შესაძლოა ცუხლით გაეადნო.

შეჯამება

ნაგებობებისა და სტრუქტურების დაგეგმვა, მშენებლობა და შენახვა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. წინამდებარე თავში მოცემული იყო დაგეგმვისა და ნაგებობათა სხვაობების პრინციპები. მოუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ზოგი დეტალი წარმოდგენილი იყო, წიგნის მასშტაბი არ გეაძლედა საკმარისი დეტალების გადმოცემის საშუალებას პროფესიონალთა რჩევის, გეგმების და მშენებლობის ადგილობრივი, შტატისა და ეროვნული კანონების გარეშე.

შესაბამისი ინფორმაცია ტექსტის წინა ნაწილებშია მოცემული. მომდევნო თავში მოცემულია ინფორმაცია სპეციალიზებული შენობების შესახებ.

სტუდენტთა აქტივობა

1. განსაზღვრეთ ტექსტში მოცემული აუცილებელი ტერმინები.
2. ეწვიეთ ფერმას ან რომელიმე სხვა აგრარულ ბიზნესს. შეისწავლეთ შენობის გეგმა და იმსჯელეთ სხვადასხვა შენობათა მდებარეობის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.
3. შეადგინეთ ფერმის გეგმა, სადაც ნაჩვენებია იქნება ელექტრული მრიცხველის ბოძი, შენობები, ქარგამყოფი და გზები. თქვენი გეგმის უპირატესობები კლასს გააცანით.
4. შეისწავლეთ ცხრილები და ნახატები. მაშადად მასშტაბური შებენი მძიმე ქაღალდისგან მოწყობილობათა იმ ნაწილებისთვის, რომლებსაც იცნობთ. გამოჭერით შაბლონი და გამოიყენეთ იგი საჯარო ადჭურვილობის საცავი შენობის დიზაინისათვის.
5. აირჩიეთ აგრარული საწარმო, როგორც არის მარცვლეულის, კარტოფილის, მეფრინველეობის ან მეცხოველეობის, რომლის მიმართაც ინტერესი გაგაჩნიათ. გამოიკვლიეთ ნაგებობის მოთხოვნები საწარმოსათვის და დეტალურად აღწერეთ ნაგებობები, რომლებსაც რეკომენდაციას მისცემდით წარმოების დაან საწყობისთვის. თქვენი მიგნებები კლასს წარუდგინეთ.
6. შექმენით რომელიმე აგრარული ნაგებობის მოდელი თქვენი სურვილის მიხედვით.
7. იმუშაეთ კლასელებთან ერთად, რათა დაგეგმოთ და ააწეროთ ფერმის მასშტაბური მოდელი.

8. უჩვენეთ აქტივობა №7-ში აღწერილი მოდელი სკოლის გამოყენებაზე, ბიბლიოთეკაში და/ან ადგილობრივ გამოყენებასა და შოუებზე. ივარაუდეთ მისი მოხვედრა სკოლის სამეცნიერო გამოყენებაზე.
9. მოამზადეთ დაფა, რომელზეც წარმოადგენთ ამ თავში აღწერილ კვანძებს.
10. დაგვემეთ და ააგეთ ლობე.

დაპაპვირმბული ვმბ-ვპვრღვბი

- <http://www.geocities.com/Baja/8205/truss.htm>
- <http://www.metrokc.gov/addes/agbdlldg.htm>
- <http://www.dow.com/styrofoam/europe/uk/ins/ag/>
- <http://www.real knots.com/knots>

თვითგანათლება

- ა. მრავლობითი პასუხი. აირჩიეთ სწორი პასუხი.
 1. ღომინირებადი ქარები ბირითადად უბერავს
 - ა. აღმოსავლეთიდან
 - ბ. ჩრდილოეთიდან
 - გ. ჩრდილო-დასავლეთიდან
 - დ. დასავლეთიდან
 2. მზის სითბოს მოზიდვა ზამთარში ყველაზე კარგად შეიძლება თუ შენობა სახით მიმართულია
 - ა. ჩრდილოეთისკენ
 - ბ. ჩრდილო-დასავლეთისკენ
 - გ. სამხრეთისკენ
 - დ. დასავლეთისკენ
 3. ფერმის ელექტრული მრიცხველის ბოძი უნდა დაიდგას
 - ა. ცენტრალურ ადგილას
 - ბ. სახლის უკან
 - გ. გზასთან ახლოს
 - დ. შენობასთან, რომელიც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს
 4. ფერმის შენობის დაგეგმვა უნდა მოხდეს
 - ა. ფერმერის ოჯახის მიერ
 - ბ. ფერმის ოპერატორის მიერ
 - გ. პროფესიონალი ფერმერის ან მშენებლის მიერ
 - დ. ერთად ყველა ზემოთ ნახსენებთა მიერ
 5. ნაწილს, რომელიც საშუალებას იძლევა ნაგებობა ძელების გარეშე გაფართოვდეს 100 ფუტზე მეტად, ეწოდება
 - ა. ფერმა
 - ბ. საყრდენი
 - გ. კოჭი
 - დ. ძელი
 6. რეალური სისქე 1" X 6" ხე-ტყის შემოსილი მასალისა არის
 - ა. 1/8"-ით ნაკლები ნომინალზე

- ბ. ¼"-ით ნაკლები ნომინალზე
- გ. ½"-ით ნაკლები ნომინალზე
- დ. იგივე, რაც ნომინალი

7. დაწებებული მუყაოს ხარისხის მაგალითია

- ა. AC
- ბ. S2S
- გ. წნევით დამუშავებული
- დ. ლამინირებული

8. რა მასალა არ გამოიყენება ხე-ტყის წნევით დასამუშავებლად?

- ა. ქრომირებული სპილენძის არსენატი
- ბ. კრეოზოტი
- გ. პენტაქლოროფენოლი
- დ. ნატრიუმის ბიარსენატი

9. ნაგებობის საძირკველი ეფრდნობა

- ა. კელეს
- ბ. ფილოვან დრენაჟს
- გ. ძელს
- დ. ქვესადებს

10. ხისჩარჩოვანი შენობის კედლები შედგება

- ა. ძელებისგან
- ბ. კოჭებისგან
- გ. ლარტულასგან
- დ. საყურდენებისგან

ბ. თანხვედრა მოახდინეთ პირველი სვეტის ცნებების თანხვედრა მეორე სვეტის ცნებებთან I სვეტი

- ა. ACA
- ბ. ბეზის კვანძი
- გ. გალვანიზებული
- დ. დაწებებული მუყაო
- ე. სახურავის მაღალი წერტილი
- ვ. ნივნივა
- ზ. შყარი ჩარჩო
- თ. ჩანა
- ი. კუთხე
- კ. შემოხვევა

სვეტი II

- ა. შპონისგან გაკეთებული
- ბ. 1.25 ან 2.0 უნცია საპოსი
- გ. ქანობი
- დ. ეფრდნობა იატაკი
- ე. ჩანა
- ვ. გამოიყენება წნევით დამუშავებისთვის
- ზ. უსაფრთხო კვანძი
- თ. გამოიყენება თოკის ბოლოებზე
- ი. სახიფათო კვანძი
- კ. ფოლადის ნაგებობების საყრდენი

გ. შეესება. შეაესეთ ცარიელი ადგილები სიტყვით ან სიტყვებით ისე, რომ მოცემულმა წინადადებას აზრი შეიძინოს.

1. საძირკვლების გარე ზედაპირები წყლის შეღწევისაგან საუკეთესოდ არის დაცული, თუ შეესება პროდუქტით, რომელიც _____ და ფართოდება გამოზისთან ერთად.

2. საძირკვლის კედლები უკეთ იქნება დაცული _____ და/ან _____ შეესებით.

3. კონკრეტული მასალის უნარს შეზღუდოს სითბოს დაკარგვა და გამოყენებულ იქნას საიზოლაციო მასალად _____ მარეგნებელი ეწოდება.

4. აორთქლების საწინააღმდეგო ბარიერები მნიშვნელოვანია აგარულ ნაგებობებში შემდეგისთვის

ა. _____

ბ. _____

გ. _____

დ. _____

5. განსაზღვრეთ კვანძი, რეკომენდებული შემდეგისათვის

ა. არამცურავი ყულფის გაკეთება _____

ბ. პირუტყვის წასაყვანი კვანძის შეკრა _____

გ. კოჭების აწევა _____

დ. კასრების აწევა _____

ე. თანაბარი ზომის თოკების გადაბმა _____

დ. მოკლე პასუხი. გაეცით მოკლე პასუხი შემდეგ შეკითხვებს.

1. რა არის ორიენტირებული ნართის ფილა? როგორ შეადარებთ მას დაწებულ ბუჯოსთან სამშენებლო პროექტებთან მიმართებით?

2. რა წარმოადგენს წნევით დამუშავების დანიშნულებას? რატომ უნდა გამოიყინოს

სიფრთხილედ აგარული შენობებისთვის წნევით დამუშავებული ხის მასალის შერჩევისას?

3. მიუხედავად იმისა, რომ ალუმინი ჩვეულებრივ ამნდში არ იჟანგება, მას გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია სახურავად გამოყენებისას. ჩამოთვალეთ ისინი. რა უნდა გაკეთდეს ალუმინის სახურავის სიმტკიცის გასაზრდელად?

4. მოახდინეთ კიბის ნაწილების იდენტიფიცირება.

5. როდესაც ზღუბა ლითონის ან კოჭოვანი ნაგებობის იზოლაცია, რა ორი მოსაზრება უნდა იქნას გათვალისწინებული?

აკაკულტურა, სათბურები და ჰიდროფონული სტრუქტურები

წინამდებარე თავის შესწავლის შემდეგ თქვენ უნდა შეგებდეთ

- განასხვაოთ აკაკულტურაში, სათბურებსა და ჰიდროფონულ ტექნოლოგიებში გამოყენებული სტრუქტურები.
- მოემსახუროთ ნაგებობებს, რომლებიც გამოიყენება აკაკულტურაში; სათბურებსა და ჰიდროფონულ ტექნოლოგიებში.
- აკაკულტურის წარმოების მარტივი შენობის აგება.
- ააგოთ მცირე სათბური.
- ააშენოთ ჰიდროფონული ერთეული.

მასალების სია

დამკავი სათვალეები და სექტანსაცემელი

ძირითადი სამუშაო იარაღები

სპეციფიკური სამშენებლო მასალები, რომლებიც ჩამოთვლილია პროექტებისათვის 52 და 54 დანართში A

აუცილებელი ტერმინები

აკაკულტურა

აკაკულტურის ღია სისტემა

ფინგერლინგი

მიკროორგანიზმები

ხსნადი ჟანგბადი

ჰერის როტორიანი ტუმბო

სადიფუზიო მილი

ჰერის გამანაწილებელი

ნიჩაბობრილიანი აერატორი

ამიაკი

წყლის ხარისხი

ჩაძირვადი ტუმბო

ცენტრიფუგული ტუმბო

ჰნეუმატური ტუმბო

ბადის გალია

ჩანთის კულტურა

აკაკულტურის დახურული სისტემა

გარემოს კონტროლირების ნაგებობები

ბიოლოგიური ფილტრები

არხი

თევზის საკვები დანადგარი

სალექარი

სათბური

ნახევრად გამჭვირვალე

სათბურის ეფექტი

საჩრდილობელი სამოსი

თაეისუფლად მდგომი

აორთქლებადი გამაგრილებელი ბალიში

ჰიდროფონული

საკვებ ნივთიერებათა ხსნარი

ვერმიკულიტი

აბაზანის კულტურა

მილის კულტურა

აკვაკულტურაში გამოყენებული ეკოლოგიური სტრუქტურა

სინთეზა სახეობა

აკვაკულტურის წარმოების სისტემები განვითარებულ იქნა საკვებად ვარგისი, ბოჭკოდ გამოსაყენებელი და სარეგულაციო წყალმცენარეებისა და წყლის ცხოველების წარმოების გაუმჯობესებისათვის. ასეთი სისტემები იქმნება წყლის ისეთი მასივების გარშემო, როგორც არის ტბები, წყაროები, ტბორები ან ხელოვნური რეზერვუარები, რომლებიც ხელს უწყობენ წყლის ჯიშების ეკონომიურ ზრდასა და განვითარებას.

აკვაკულტურის ღია სისტემების მართვა ხდება მცენარეების ან ცხოველების შედარებით დაბალი შეტევლობით. დაბალი სიმჭიდროვის პირობებში მისაღები ბალანსი შეტანასა (საკვები, ჰერი ან საკვები ნივთიერებები) და გამოტანას (ნარჩენი პროდუქტები) შორის შესაძლოა დაცულ იქნას და მინიმუმებული შხარი სისტემის დაბინძურება. მაგალითად, ვახაფხულზე ტბორები საესეა მკირე თევზით, რომელსაც ფინგერლინი (ახალგზარდა თევზი) ეწოდება და იმგვარად იმართება, რომ მოზრდილი თევზის საბოლოო რაოდენობა შემოდგომით არ აბინძურებს ბუნებრივ ეკოსისტემას პაქტერიებისა და სოკოებისა (მიკროორგანიზმები), რომლებიც ახდენენ თევზების ნარჩენი პროდუქტების დეტოქსიკაციას.

რეზერვუარში ან ტბორში თევზის რაოდენობის ან სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად აუცილებელი ხდება შესატანი ნივთიერებების, როგორც არის საკვები ან ენგაბადი, მომატება ან თევზის აკუმულირებული ნარჩენების მოშორება წყლის მეშვეობით. ასეთ სისტემებს აკვაკულტურის ნახევრად ღია სისტემები ეწოდებათ და მათი მართვა ხდება მსგავსად აკვაკულტურის ღია სისტემებისა, სანამ თევზის სიმჭიდროვე ზრდას შეზღუდვას.

როდესაც თევზების პოპულაციას საკვები ემატება, შედეგად ელბით ენგაბადის მოხმარების ზრდას, როგორც თევზების, ისე მიკროორგანიზმების მხრიდან. ამ დროს წყალში უნდა შეეიტანოთ ჰერი, რათა მოიმატოს გახსნილი ენგაბადის დონე და თევზმა შეძლოს ზრდის გაგრძელება. წყალში ჰერის შეტანა ხდება როტორული ტუმბოების ან ჰერის კომპრესორების მეშვეობით. ამის შემდეგ ჰერის განაწილება ხდება თხევალურიანი აღმოჩენილი მილების ან ჰერის გამანაწილებლების მეშვეობით, რომლებიც ჰერის ნაკადს მკირე ზომის ბუშტებად აქცევენ. ალტერნატიულ მეთოდს წარმოადგენს ნიჩაბობრილიანი აერატორის გამოყენება, რომელიც ძრავს ან ტრაქტორს მიაქვს და წყლის თქაფუნის გზით მეტი ჰერი და, შესაბამისად, ენგაბადი შეაქვს წყალში.

დამატებითი საკვების მოხმარებასთან ერთად თევზები მეტ ტოქსიკურ ნარჩენ პროდუქტს გამოიმუშავენ, ისეთს, როგორც არის ამიაკი. ეს არის გაზრწნის თანამდევნი იური. ნარჩენების მოშორება შეიძლება მოხდეს ტბორის ფსკერზე და გარშემო არსებული მიკროორგანიზმების ან სისტემაში ახალი წყლის დამატების გზით. ტბორების დიდ რაოდენობაში შეაქვთ 50 გრამნი/კვირ/წუთი ახალი წყალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას წყლის მაღალი ხარისხი, რომელიც თავისუფალია ჰაბი და დამბინძურებისგან. მრავალმა ფერმერმა შექმნა ტბორები, სადაც წყლის ნაკადების ბუნებრივი დინება გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ფერმერთა უმეტესობას წყლის ნაკადებისათვის ტუმბოების გამოყენება უწევს. მთ შორისა ჩადირვადი ტუმბოები, რომლებსაც წყალში სრულად ჩასაშვები ძრავები განაწილთ, ცენტრიფუგული ტუმბოები, რომლებსაც დამზმარე ძრავები აუშავებს, და ანემმატური ტუმბოები, რომლებიც წყლის გადასატარად შეკუმშულ ჰერს იყენებენ.

თევზი შესაძლოა ბადის გაღიაში გაიზარდოს, რაც ხელს უწყობს კვებასა და მოსავლის აღებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდის გამოყენებით თევზები უფრო დიდ სიმჭიდროვეში არიან, სიფთხილვე უნდა იქნას გამოჩენილი, რათა შენარჩუნებულ იქნას წყლის ხარისხი.

რეცირკულირებადი სისტემები ანუ აკვაკულტურის დახურული სისტემები ამჟამად მსოფლიოს მრავალ ადგილას არის განვითარებული. სადაც მაღალი ხარისხის წყლის ან

მიწის რესურსები შეზღუდულია. მშენებლობის მაღალი ხარჯების გამო ასეთ სისტემებს გარემოს კონტროლირების სტრუქტურებში მართავენ. აქ ხდება ტექსტურის, განათებისა და სხვა მთხოვნების მენეჯმენტი თევზის ზრდის მაქსიმიზებისათვის. წყალი მოყვნიება საწარმოო რეზერვუარებში, სადაც თევზი მოთავსებული, შემდეგ ნარჩენების გადაშუშავების დეტალებში ანუ ბიოლოგიურ ფილტრებში, სადაც ხდება ნარჩენი პროდუქტების დეტოქსიფიკაცია და ბოლოს კვლავ საწარმოო რეზერვუარებში ხვდება. მენეჯმენტი მოიცავს ოპტიმალურ ტექსტურას, ხსნადი ენჯინერინგს და საკვების რაციონს ცხოველებისა და მცენარეებისთვის.

აკმაკულტურის სისტემების მშენებლობა ოთახში

ოთახის, რეკრეატიული აკაკულტურის სისტემის მოდელის დიზაინი უნდა მოიცავდეს აღჭურვილობასა და მასალებს, რომლებსაც ოპერირება წყალსა და მაღალ ტენიანობასთან მუდმივ კონტაქტში შეეძლება. ელექტრული ერთეულების, გამომრთველებისა და ძრავების მონტაჟი სათანადო გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარებით უნდა მოხდეს. დიზაინის მთავარი კომპონენტები მოიცავს რეზერვუარსა და მასალებს, ქაერის მიწოდებას, ნარჩენების გადაშუშავებასა და შენობას.

რეზერვუარი შეიძლება აიგოს მინაბოჭკოს, პოლიპროპილენის, ეპოქსიდით შემოსილი ფოლადის, ალუმინის ან პლასტიკის ლაინერებისგან, რომლებსაც ხის ან ფოლადის ჩარჩო გააჩნიათ. ნაგებობათა უმეტესობას 4'-6' სიღრმე აქვს და გრუნტის დონეს ქვემოთ შენდება. მრავალი რეზერვუარი ყველაზე ეკონომიკური ფორმაა (ღირებულება/გალონი). ოთხკუთხა არხები ან გალიები უზრუნველყოფს ფსკერის ეკონომიკურ გამოყენებას, მაგრამ ხელს უწყობს თევზის შორის ბრძოლას და აფერხებს მრავალი ჯიშის ზრდას. ლაინერის გამოყენება უზრუნველყოფს საწყისი მშენებლობისათვის უაფეთ მასალას. თუმცა, ლაინერები პერიოდულად უნდა შეიცვალოს, რაც სირთულეს ქნის წყალგაყვანილობასთან აღჭურვილობის მიერთებასთან დაკავშირებით.

თევზის ზრდის პარამეტრების ხელშეწყობისათვის აუცილებელი დამხმარე აღჭურვილობა ფუნქცია სისტემაში თევზების წონას ან სიმჭიდროვეს. მაგალითად, 6000-გალონიანი სისტემა დაიტევს 1200 ფუნტ ან მეტ თევზს. სიმჭიდროვე 0.2 ფუნტ თევზს გალონზე. თევზებს, ჩვეულებრივ, კვებავენ მშრალი საკვებით ავტომატური საკვები დანადგარებიდან, რომლებიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე აწვდიან თევზებს გამზადებულ საკვებს. შესაძლოა თევზების ხელით კვებაც. თუ საკვების გარდაქმნის კოეფიციენტი 1:5 ფუნტი საკვები ერთ ფუნტ თევზზე, სისტემამ ყოველწორად უნდა შექმნას 4800 ფუნტი თევზი.

ხსნადი ენჯინერინგის წყალში როტორული ტუმბოს მეშვეობით უნდა იქნას შენარჩუნებული, რომელიც ქაერს წყალში აწვდის სადღეუბო მიღების სისტემის მეშვეობით. ქაერის საბერველი ისეა შექმნილი, რომ 1 ფუნტი ენჯინერინგის წყალში ყოველ ერთ ფუნტ საკვებზე.

ნარჩენების გადაშუშავების კომპონენტმა შესაძლოა დაარეგულიროს თევზების მიერ წარმოქმნილი მყარი ნარჩენები წყლის საკმარისი რაოდენობის გადაქაერთ (დაახლოებით შვიდი რეზერვუარის გამოცვლა დღეში) საღებარში. გამოშავალი წყალი გაივლის ბიოლოგიურ ფილტრს, რომელსაც შეიცავს მზარდ ზედაპირს, დაფარულს ბუნებრივი მიკროორგანიზმებით. ეს უკანასკნელები ახდენენ ნარჩენებისა და ამიაკის დეტოქსიფიკაციას მანამ, სანამ წყალი კვლავ საწარმოო რეზერვუარში დაბრუნდება. ბიოლოგიური ფილტრი შედგება ინერტული მასლისგან, როგორც არის წვრილი ხრეში, მსხვილი ქვიშა, პლასტიკის ბურთულები ან ლა-ურგერეოვანი ქვიშა, რასაც გააჩნია მიკროორგანიზმების ზრდისათვის საჭირო ზედაპირის დიდი ფართი. ბიოლოგიური ფილტრის ზომა განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. გათანაბრება ამიაკი, რომელსაც წარმოქმნის სისტემაში შეტანილი საკვები;

2. ზედაპირის ფართობი შერჩეული მასალის კუბურ ფურცლებზე; და
3. ზედაპირის აუცილებელი ფართი, რათა მიქროარგანიზმებს მოაზიარონ ამიაკი უსაფრთხო ღონისძიება.

წყალგაყვანილობის მიერთებები და მილები, ჩყურეკრავი, პოლიეთილენქლორიდ 40-ისაგან მზადდება. სხვა მასალიდან შესაძლოა გამოთავისუფლდეს სპილენძი და რკინა, რაც მომწამებელია ამ მასალისაგან აგებულ რეზერვუარში გაზრდილი თევზისათვის.

კლიმატის კონტროლი შენობაში განისაზღვრება ადგილობრივი კლიმატითა და მშენებლობის პერიოდში დამონტაჟებული იზოლაციით. სამშენებლო მასალები უნდა უძლებდეს კოროზულ ტენიანობას და სისტემის მიერ წარმოქმნილ ამიაკს. რეკონსტრუქციულ მასალებს შორისაა მინამოტკო, ლექსანი, პლასტიკი, ვალუანიზებული კალა აროქილების საწინააღმდეგო ბარიერით ან დამუშავებული ხე-ტყე. სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი, რათა სამშენებლო მასალის კონდენსაციას კავშირი არ აქონდეს თევზის წყალთან.

ასეთი სისტემების მოულა-პატრონობის ღონისძიებებს შორისაა წყლის რეზერვუარების, ტუმბოებისა და საბერეველების მოულა, ისევე, როგორც წყლის რეზერვუარის ყოველდღიური შევსება. აკვაკულტურის დახურული სისტემის მშენებლობის გეგმა მიკვებულია დანართში A, გეგმა 52.

სათბურები

სათბურთა სახეობები და ორიენტაციები

სათბური სპეციალიზებული აგარული ნაგებობაა, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლირებად გარემოს მცენარეთა და ცხოველთა ზრდისათვის, სადაც მზის მიერ გენერირებული ენერჯია ან სითბო ოპტიმალურ ზრდას უზრუნველყოფს. სათბურის სტრუქტურა უზრუნველყოფს გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე საფარს, რაც საშუალებას აძლევს მზის შუქის 70-90%-ის შეღწევას. ასეთ საფარს მიეკუთვნება შუმა, პლასტიკის ფირი, მინამოტკოს ფურცელი და ლექსანის მასალა.


საფარის თითოეულ სახეობას მისი უპირატესობა გააჩნია. შუმა ყველაზე გამძლე, მაგრამ ხშირად ყველაზე ძვირია საწყის ხარჯებთან მიმართებით. მინამოტკო დაახლოებით 15 წელიწადს ძლებს, მაგრამ უნდა გაიწმინდოს და გარემონტდეს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. ლექსანის მასალას 15-წლიანი ხანგრძლივობა გააჩნია, მაგრამ მგრინობიარეა სეტყვისა და სხვა მექანიკური დაზიანებისადმი. პლასტიკის ფირები (4-6 მმ) ეკონომიურია და ყველაზე ფართოდ გამოიყენებადი მასალაა ქონსეტის ტიპის სათბურებში. კომერციული ხარისხის პლასტიკის სიცოცხლის საგარაუდო ხანგრძლივობა 2-3 წელიწადია. სანამ ულტრაიისფერი გამოსხივება პლასტიკის მილიანობას დაარღვევს, კომერციულ საქმიანობაში გამოიყენება სპეციალური ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი მუდმივ პლასტიკი, რომელიც უფრო ძვირია, მაგრამ 4-5 წელიწადს ძლებს. ენერჯის შენახვისათვის ხშირად გამოიყენება ფირის ორმაგი ფენები. ფირის გასაბერი და გამაყვავებელი აღჭურვილობა მოიცავს საბერეველს, ხმაამყურს წნევის რეგულირებისათვის და ელასტიურ მილებს გვერდითა კედლებსა და უკანა კედლებს შორის შავის გადასაცემად.

სათბურში შემოსული მზის შუქი შთანთქმება ობიექტების მიერ, რომლებიც შემდეგ ასხივებენ ენერჯიას სითბური ტალღების გზით, რასაც ადგილი აქვს ღრუბლიან ამინდშიც. დაბალი ენერჯიის ტალღები ვერ გაედინება უკან და ხდება მათი შიგნით აკუმულირება. სითბოს ასეთ დაგროვებას „სათბურის ეფექტი“ ეწოდება. ზაფხულის თვეების განმავლობაში სითბო უნდა გამოიღვენოს სათბურიდან ვენტოლაციის გზით ან სათბური უნდა დაიჩრდილოს, რათა შეიზღუდოს მზის სხივების შეღწევა. დაჩრდილვა შესაძლებელია გაზაფხულები თეთრი საღებავით ან შავი ნაქსოვი საჩრდილობლებით, რომელიც ბლოკავს 30-დან 70%-მდე შუქს. საჩრდილობელი მასალა სათბურის შიგნითაც თავსდება, რათა მზის სითბო გარეთ გადავიდეს.

სათბურის საყრდენი, ჩვეულებრივ, არის ალუმინი, გალვანიზებული ფოლადის მილი, დამუშავებული ხე-ტყე ან პლასტიკის მილი.

ვინაიდან სათბურების აშენება იაფია კვადრატულ ფუტზე გადათვლით, მათი გამოყენება მრავალი დანიშნულებით ხდება მცენარეთა და აკვაკულტურების ზრდიდან რეკრეაციულ საქმიანობამდე.

სათბუჯები



სტრუქტურული ფორმები

სათბური სწორი კედლებითა და ფრონტანული სახურავით საყოველთაოდ გაყრცელებული ფორმაა, რომელსაც უპირატესობა გააჩნია ჩარჩოს დამზადებასა და სივრცის გამოყენებასთან მიმართებით. ფრონტონული სტრუქტურის შესაქმნელად გამოიყენება ძელი და კოჭი, ძელი და ფერმა ან რკალები. ნაწილობრივ წრიული ან ქუნოსეთის ტიპის ჩარჩოს აშენება ხდება ალუმინის ან ფოლადის ნაგლანი სექციებით. ქუნოსეთის დიზაინით უკეთ ხდება ჩარჩოს მასალის გამოყენება, ვიდრე ფრონტონით. მაგრამ რკალური კედელი ზოგჯერ ზღუდავს სივრცის გამოყენებას.

თავისუფლად მდგომი სათბური შეიძლება იყოს ფერმა-კოჭოვანი, ზერხა, გოთური ან ქუნოსეთის ტიპის. ასეთი ფორმებისათვის მისაღება ნახევრადგამჭვირვალე გადახურვა და უზრუნველყოფენ ვენტილაციის ალტერნატიულ მეთოდებს. სავენტილაციო სარკველები განთავსებულია ფერმა-კოჭოვანი ან ზერხა ტიპის სათბურის ყველაზე მაღალ ადგილებში ისე, რომ თბილი ჰაერი დაგროვებისას გარეთ გაედინება. გოთური ან ქუნოსეთის ტიპის სათბურები, ჩვეულებრივ, გადახურულია პლასტიკის ფურცლით, რომელიც სხვადასხვა მხარეს იღრიკება. სავენტილაციო სარკველები და ვენტიატორები განთავსებულია საპირისპირო უკანა კედელზე. ვენტიატორები ცხელ ჰაერს სათბურის გავლით გარეთ გაიწოვს.

ქანობიანი სათბურები არსებულ შენობებს მიერთებულია გამჭვირვალე საფარით, რომელიც სამხრეთისკენ არის მიმართული. სავენტილაციო ღობეები და გამწოვი ვენტიატორები საპირისპირო უკანა კედელზეა განთავსებული. ქანობიანი სათბურები მზიდი შენობის სამხრეთ მხარეს არის მიმართული, რათა მაქსიმალურად მოექცეს მზის შუქის ზემოქმედების ქვეშ.


სათბურის მშენებლობა

სათბურის სტრუქტურულმა დიზაინმა უნდა უზრუნველყოს ქარის, თოვლისა და მოსავლის სიმძიმისაგან დაცვა და იმედროულად დასაშვები იყოს შუქის მაქსიმალური შეღწევადობა. შესაბამისად, ჩარჩოს გაუმჭვირვალე ნაწილები რაც შეიძლება მცირე უნდა

იყოს, მაგრამ გააჩნდეს ადექტური სიმტკიცე, რათა გაუძლოს სავარაუდო დატვირთვას სათბურის დაგეგმილი სიციცხლის განმავლობაში.

დატვირთვა გულისხმობს საკუთარ წონას (წონას პერმანენტული ატყურეილობისა, რომელიც ჩარჩოს ეკრდნობა), დროებით წონას (მცირე ხნით გამოყენებული ობიექტების წონა) და ზეწოლას ქარისა და თოვლისაგან. მაგალითად, პოლიეთილენით დაფარულ სახლს ნაკლები საკუთარი წონა აქვს, ვიდრე შუშის შენობას. თუკი სათბურში ზრდის სამთვიანი პერიოდის განმავლობაში დაკიდული კალათები იჭება გამოყენებული, ეს გათვალისწინებული უნდა იყოს შენობის დიზაინსას.

სათბუხი



ადგილის შერჩევა

სათბურის მშენებლობისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილის შერჩევა. შენობის განლაგება და ადგილის დრენაჟი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს სათბურის პროდუქტიულობაზე. სახით აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ მიმართულ სათბურს მეტი შუქის გადაცემა შეუძლია, ვიდრე ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ მიმართულს. ადგილი სწორი უნდა იყოს და უზრუნველყოფდეს ზედაპირული წყლის ადექტურ დრენაჟს. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას რაიონების მუნიციპალური წესები, მისაწვდომობა, წყლის ხარისხი და სივრცე მომავალი გაფართოებისთვის.

საძირკველი

საძირკველი კავშირია მიწასა და შენობას შორის. ქვესაღები უნდა დაიდოს გაყინვის ღონეს ქვემოთ ან მიწის ზედაპირიდან მინიმუმ 24 ინჩ სიღრმეზე. ქვესაღები ყოველთვის უნდა განთავსდეს სწორ, დაუზიანებელ ნიადაგზე. პილონის ინდივიდუალური ფუნდამენტი უფრო იაფია, ვიდრე უწყვეტი კედლები და მათი გამოყენება შესაძლებელია, თუკი აკმაყოფილებენ დატვირთვისა და ნიადაგის პირობებს. უწყვეტი კედლები უნდა განთავსდეს ბეტონის ქვესაღებზე.

იატაკი

საწარმოო და საბითუმო შენობებში უფრო ხშირად ღორღის იატაკი ან მიწის სამოსი გამოიყენება. საცალო სათბურისათვის ან ისეთისთვის, სადაც ღვინო მოძრაობს, კარგად მუშაობს ღორღის იატაკი ბეტონის გასასველით და კვლავაც უზრუნველყოფს ღრენაესა და სარეველის კონტროლს.

ფოროვანი ბეტონი იატაკის კარგ ზედაპირს ქმნის სათბურისათვის, რადგან წყალს მისი გავლის საშუალებას აძლევს. ამ გზით აცილებულია გუბები, რაც ჩვეული მოვლენაა ბეტონის იატაკებისათვის. თუ მყარი ბეტონი გამოიყენება, იატაკს დაქანება უნდა მიეცეს სადრენაჟე მილებისკენ, რომლებიც მიწისქვეშა სისტემას უერთდება, რათა წყალი ადგილიდან იქნას გატანილი.

მკოლოზიური აღჭურვილობა


სათბურის მშენებლობა და მართვა ისე ხდება, რომ უზრუნველყოფილ იქნას მცენარეთათვის მისაღები გარემო, რაც წვლილს შეიტანს მომგებიანი საწარმოს შექმნაში. განათება, ტემპერატურა, ვენტილაცია და წყალი ის ფაქტორებია, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ მცენარის პროდუქტულობაზე.

ბათობა

სათბურების გათბობის სისტემა მოიცავს დანადგარებს ღიდი ბოილერებიდან მცირე გამათბობლებამდე და ყველა მათგანი ენერჯის სხვადასხვა წყაროს იყენებს. ხე-ტყე, ნახშირი, დაბალი წნევის გაზი, ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ელექტრობა და მზის ენერჯია ყველაზე ფართოდ გავრცელებული წყაროებია. გათბობის აღჭურვილობის შერჩევა დამოკიდებულია სათბურის ზომასა და ოპერაციის სახეობაზე. გარდა ამისა, ენერჯის წყაროს მისაწვდომობა, ეკონომიურობა და მასზე დამოკიდებულება ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული.

სითბოს განაწილების მეთოდი დამოკიდებულია გათბობის სისტემაზე, როდესაც ხდება ბოილერების გამოყენება, სითბოს გენერირება, ჩვეულებრივ, გარეგანი ღუმელის მეშვეობით ხდება, ხოლო სათბურს ცხელი წყლის მილებით გადაეცემა. ცალკე მდგომი გამათბობლების გამოყენებისას სითბოს გადაცემა სათბურში დამონტაჟებული შეკუმშული ცხელი ჰაერის სისტემის მეშვეობით ხდება. საკონვექციო მილი ან ჰაერის ნაკადის ჰორიზონტალური ენტილატორები სითბოს მთელ სათბურში ანაწილებენ, რათა მუდმივი ტემპერატურა შეინარჩუნონ. სათბურისთვის გამათბობლის ზომის კალკულირებისას რამდენიმე ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული:

- სათბურის გადახურვის სახეობა;
- გამოყენებული ზედაპირის ფართობი;
- სასურველი ტემპერატურა შენობის შიგნით;
- გათბობის სეზონისას მოსალოდნელი ყველაზე დაბალი გარე ტემპერატურა;
- ქარის სიჩქარე
- გადახურვის შდგომარეობა



გაზრდილება და პენტილიცია

სათბურების გაგრილების მოთხოვნების კალკულაცია ასევე ფუძუნება გარე და შიდა ჰაერის ტემპერატურებს შორის მისაღებ სხვაობას. გაგრილების გაურცლებულ მეთოდებს მიეკუთვნება სარკვევლების, ვენტილატორების, დანრდილების, აორთქლების სიტემებისა და ეუაღირების სისტემების გამოყენება.

პენტილატორები და სარქველები

გამომდინარე სათბურის ზომიდან, სათბურის ერთ-ერთ კედელზე ხდება ვენტილატორის დამონტაჟება, საიდანაც ჰაერის გაწოვა ხდება. სათბურის საპირისპირო მხარეს ხდება სარქველების დამონტაჟება, რომელთა მეშვეობით სათბურში ჰაერის ნაკადი შემოედინება, როდესაც გამწოვი ვენტილატორებია ჩართული. იდეალური შემთხვევისას, შემოსულმა ჰაერმა უნდა გაიაროს სათბური და დატოვოს იგი ერთი წუთის განმავლობაში. ვენტილატორებს აფასებენ იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის ჰაერის გადაადგილება შეუძლიათ მათ ერთ კუბურ ფუტზე. ვენტილატორის აუცილებელი ზომის კალკულირებისათვის პირველ რიგში უნდა მოხდეს სათბურში არსებული ჰაერის მოცულობის განსაზღვრა.

აორთქლებადი გაზრდილება

აორთქლებადი გაგრილების სისტემების დამონტაჟება სათბურში გამწოვი ვენტილატორების საპირისპირო მხარეს ხდება. სისტემა შედგება წყლის რეზერვუარის, ტუმბოს, მილებისა და წყლის შებრუნების სისტემისაგან. წყალი იქაჩება აორთქლებადი გაგრილების ბალიშის თავზე მილის მეშვეობით. წყალი წვეთავს ბალიშის გასწვრივ, სანამ გამწოვი ვენტილატორები იწოვს გარეთა ჰაერს სველი ბალიშების გავლით, რაც აგრილებს სათბურში შემოსულ ჰაერს.

ჭარბი წყალი საღეშში გაედინება, სადაც იგი ინახება მანამ, სანამ კიდევ ერთხელ გაიფილტრება და გამაგრილებელი ბალიშის წვეროზე აიქაჩება. აორთქლებადი გაგრილების სისტემებში ფართოდ გამოიყენება ალვის ხის ან ფორმირებული ქაღალდის ბალიშები. წყლის

რეზერვუარში ხდება ქიმიკატების შეტანა, რათა გაკონტროლდეს რეზერვუარსა და ბალიშებზე წყალმცენარეების ზრდა.

ჰუალირების სისტემები

მაღალი წნევის ნისლის ფარდით გაგრილება ეფუძნება თეორიას, რომლის მიხედვით აორთქლებული წყალი ჰაერიდან სითბოს იღებს. ამ სისტემაში წერილი ორთქლი სათბურში მცირე ზერელების გავლით წყლის შეტუმბვით შემოდინება. სისტემისათვის აუცილებელია წყალი, რომელიც თავისუფალია ლექის, ქვიშისა და ნაგვისაგან, რათა არ დაზიანდეს შესატუმბი მოწყობილობა.

ბარამოს კონტროლი

სათბურის თითქმის ყველა ოპერაცია შესაძლოა ავტომატიზებულ იქნას. თანამედროვე სათბურების უმეტესობა იყენებს თერმოსტატებს, რომლებიც გრადუირებულია სათბურის სასურველი ტემპერატურის მიხედვით. თერმოსტატი შედგება სენსორისა და ჩამართველისაგან, რათა კონტროლირებულ იქნას აღჭურვილობის მოქმედება.

კონტროლის გაუმჯობესება შესაძლებელია ერთზე მეტი თერმოსტატის გამოყენებით, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ ტემპერატურაზე იმუშავებს და გააკონტროლებს მიწოდების ნაწილს. გაერკელებული მიდგომის მიხედვით, გამოიყენება ერთი ერთსაფეხურიანი და ერთი ორსაფეხურიანი თერმოსტატი. მაგალითად, ერთსაფეხურიანი თერმოსტატის გამოყენებით, რომელშიც ტემპერატურა დაფიქსირებულია 60°F-ზე, დღის განმავლობაში ტემპერატურამ სათბურში შესაძლოა 70°F-მდე აიწიოს. შუის ჩასვლასთან ერთად ტემპერატურა შესაძლოა დაეცეს 59°F-მდე, რის შემდეგ თერმოსტატი ქმნის დაზურვის კონტაქტს და სითბო შივნით შემოდის. თუკი ტემპერატურა აიწევს 63°F-მდე, თერმოსტატი ქმნის გაღების კონტაქტს, რის მეშვეობით სისტემა ჩერდება და სათბურში შედარებით მუდმივი ტემპერატურა შენარჩუნებული.

თუ სავენტილაციო ან ორსაფეხურიანი თერმოსტატი დაფიქსირებულია 70°F-ზე და ტემპერატურა აიწევს 69°F-მდე, ერთი საფეხურის კონტაქტი იხურება და იხსნება სავენტილაციო კარი. თუ ტემპერატურა განაგრძობს მატებას 71°F-მდე, თერმოსტატის მეორე საფეხურის კონტაქტი იხურება და გამწოვი ვენტილატორი იწყებს ჰაერის გაწოვას სათბურის გარეთ, რათა გააგრილოს ჰაერი.

ელემენტრობა

სათბურის გარემოს კონტროლისა და მექანიზაციის საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ელექტროენერჯის ადექვატური მიწოდებისა და განაწილების სისტემა. გვემის შემუშავების ადრეულ ეტაპზე დაუკავშირდით ადგილობრივ მოწოდებელს, რათა განსაზღვროთ ელექტროენერჯის მისაწოდებლობა და ღირებულება, ისევე, როგორც მომხმარებელამდე განტოტვის ადგილმდებარეობა. აღნიშნულის გაკეთების შემდეგ შესაძლებელია განაწილების სისტემის შემუშავება.

განტოტვის ზომის განსაზღვრისათვის საჭიროა ძრავებისა და სხვა ელექტრული კომპონენტების ზომისა და რაოდენობის ცოდნა. სათბურში არსებული განაწილების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ელექტრულ კოდექსსა და ნებისმიერ ადგილობრივ კანონს. ხშირად აუცილებელია წყალგაუმტარი ყუთები, UF სადენი და მიწაზე მოკლე ჩართვის აღმკვეთი.

შპალი

ობტიმალური ზრდისათვის მცენარეებს ტენის ადეკვატური მიწოდება სჭირდებათ. ტენის ადეკვატური, მაგრამ რეველირებადი რაოდენობის მიწოდებით შესაძლებელია მცენარეთა ზრდისა და ცვაყილობის გაკონტროლება. სწორად შედგენილი სისტემა წყლის დღიურ მოთხოვნას დააკმაყოფილებს და იმავდროულად მოახდენს ხელით მუშაობის მინიმიზებას.

წყლის აუცილებელი რაოდენობა დამოკიდებულია მოსარწყავ ფართობზე, მცენარეულ კულტურაზე, ამინდის პირობებზე, წელიწადის დროსა და იმაზე, მუშაობს თუ არა გათბობის ან ვენტლირების სისტემა. სათბურის სარწყავ სისტემათა უშეტულობა რეველირდება თაიმერებით, რომლებიც მცენარეებს დროის წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით რწყავს. მაგალითის წარმოადგენს კუალირების სისტემები გასამრავლებელი ფართებისა და წვეთოვანი ირიგაცია ჭოთნის მცენარეებისათვის. ოცდაათზე საათი და შვიდი დღე ორი გაერყვებული ციკლი ან ინტერვალი საათებისთვის, რომლებიც აღებენ და ხურავენ კონტაქტებს სათბო დიდგენილ დროს გათიშევის, რადერის ან ნემსის ზემოქმედებით.

პოლივინილქლორიდის მილებით მცირე სათბურის აშენების გეგმა მოცემულია დანართში A, პროექტი 54.

ჰიდროფონიკა

ჰიდროფონიკა საწარმოო ტექნოლოგიაა მცენარეთა მეცნიერებაში, რომელიც ცდილობს ზრდის მაქსიმიზებას საკვებ ნივთიერებათა შთივისების სტიმულირების გზით. სიტყვა-სიტყვით იგი „წყლის კულტურას“ ნიშნავს, პროცესს, რომლის დროს მცენარისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებების გახსნა წყალში ხდება. წყალს, მასში გახსნილი საკვები ნივთიერებებით, საკვებ ნივთიერებათა ხსნარი ეწოდება და შეიცავს მცენარეთა ზრდისათვის აუცილებელ ფვლა ელემენტს. შესაბამისად, აღარ არის აუცილებელი მიწაში მცენარეთა დარგვა. წყლის ნაკადი ისე შეიძლება შენარუნდეს, რომ ხსნადი ჟანგბადის დონე საკვებ ნივთიერებათა ხსნარში ობტიმალური იყოს მცენარეთა ზრდისათვის.

ჰიდროფონული სისტემების შემუშავება ხდება საკვებ ნივთიერებათა ხსნარის შენარუნებისათვის ფესვთა სისტემასთან. ამისათვის საჭიროა რეზერვუარი, საქაჩი სისტემა, სარწყავი კოლექტორი, მცენარე და დრენაჟის სისტემა.

საკვებ ნივთიერებათა ხსნარის კოროზიულობის გამო წყალგაყვანილობა უნდა აიგოს პოლივინილქლორიდის მილებისა და მინაბოჭკოსგან. სპილენძის, ფოლადის ან ტყვიის მილები ზემოქმედებას ახდენენ ხსნარის შემადგენლობაზე ან გამოყოფენ ტოქსიკურ ნაერთებს. საკვებ ნივთიერებათა ხსნარის ცირკულირებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ჩაძირვადი ან ცენტრიფუგული ტუმბო, რათა აცილებულ იქნას მარლიან წყალთან დაკავშირებული პრობლემები. ელექტრული აღჭურვილობა უნდა დამონტაჟდეს სველი გარემოსათვის განსაზღვრული უსაფრთხოების ზომების დაცვით.

ჰიდროფონული სისტემები შესაძლოა დამონტაჟდეს მიწის ან მაგილის დონეზე. ოპერირება ხდება ფესვების გარშემო მუდმივი ხსნარის შენარუნებით ან ფესვების პერიოდული დასველებით საკვებ ნივთიერებათა ხსნარით.

მცენარეებს ამყოფებენ სხვადასხვა სახის ჩანთებში, აბაზანებსა ან მილებში. დიდი მცენარეები, მაგალითად კიტრი და პომიდორი, უშუალოდ კერძოკულიტით საესე ჩანთებში ირგება, რაც ქარისგან შექნილ ხელოვნურ ნიადგოვან მდიოქს წარმოადგენს. ასეთ ჩანთოვან სისტემაში ჩანთებს უშუალოდ მიწაზე დებენ, ზვრეტენ და რვავენ ორ მცენარეს ჩანთაში. ნაკადოვანი მორწყვის მექანიზმები ჩანთებშია დამონტაჟებული და საკვებ ნივთიერებათა ხსნარი უწყვეტად წვეთავს. დრენირების სისტემა წყალს საღეშში აბრუნებს, საიდანაც იგი კვლავ საირიგაციო სისტემაში იქარება.

საბაზანო კულტურების სისტემაში შენდება არხები და ივსება ვერმიკულიტით ან ლაფხენილი ღორღით. მცენარეები შუალედში ირგება, ხოლო აბაზანაში წყლის მისაწოდებლად ტუმბო გამოიყენება. როდესაც ტუმბო გამოირთვება, საკვებ ნივთიერებათა ხსნარი უკან, საღებე რეზერვუარისკენ ბრუნდება. ტუმბო ციკლურად მუშაობს, რაც თავიდან იცილებს საბაზანო შუალედის გაშრობას.

მცენარეები ასევე შესაძლოა მცირე დიამეტრის მილებში მოვათავსოთ, სადაც საკვებ ნივთიერებათა ხსნარი უწყვეტად ცირკულირებს. ასეთ მილოვან სისტემაში საკვებ ნივთიერებათა ხსნარის წერილი ნაკადი კონტაქტშია ფესვთა სისტემასთან. ასეთი სისტემის აგების გეგმა მოცემულია დანართში A, პროექტი 53.

ჰიდროფონულმა სისტემებმა ყველა მცენარის წარმოების უმაღლესი დონის დემონსტრირება მოახდინეს. ამასთან ერთად, ფერმერმა ინტენსურად უნდა მოახდინოს, როგორც საირიგაციო სისტემის, ისე საკვებ ნივთიერებათა ხსნარის ინსაექტირება.

შუქისა და ტემპერატურის პირობები ოპტიმალური ზრდისათვის გარემოს კონტროლის გზით სათბურის სტრუქტურებშია შენარჩუნებული.

შეჯამება

აკვაკულტურის ობიექტები გამოიყენება თევზისა და წყლის სხვა ცხოველების სარეწად, რომლებსაც ადამიანი საკვებად იყენებს. სისტემები იმდენად განსხვავდება, რამდენადაც გასაზრდელი თევზის სახეობა და პირობები. იქნება ეს დიდი ობიექტი ტბორის გარეთ ან შენობაში არსებული სისტემა, ყოველ მათგანს გააჩნია კომპონენტები, რომლებიც უნდა ანერდეს და სათანადოდ იქნას მოვლილი. მსგავსად ამისა, სათბურები მცენარეებისთვის კონტროლირებად გარემოს უზრუნველყოფს და მთელ რიგ განსხვავებულ სტრუქტურებს აერთიანებს. სათბურების ყველა სახეობის აშენება და მოვლა სათანადო უნარსა და ცოდნას საჭიროებს, რისი მიღება აგრარული მექანიკის ხარისხიანი კურსის გავლით შეიძლება.

სტუდენტთა დაპალებები

1. განსაზღვრეთ ამ თავში მოცემული აუცილებელი ტერმინები.
2. აღწერეთ, როგორ ხდება ნარჩენების დეტოქსიფიკაცია ტბორსა ან აკვარიუმში.
3. განიხილეთ ბიომად მოვაჭრეთა კატალოგი აკვაკულტურის ფერმერებისათვის.
4. გამოიკვლიეთ თქვენ შტატში აკვაკულტურის წარმოების დასაწყები ნებართვები და მოთხოვნები.
5. დაუკავშირდით ნარჩენების ადგილობრივი გადამუშავების საწარმოს და გაარკვიეთ, როგორ ხდება გენერირებული ნარჩენების დეტოქსიფიკაცია.
6. დაადგინეთ, რა აკვატიკური მცენარეებისა და ცხოველების ზრდა ხდება თქვენ შტატში.
7. დაიწყეთ აკვაკულტურის ბიბლიოთეკის შექმნა თქვენ სკოლაში.
8. გააკეთეთ სათბურის ძირითადი სტრუქტურული კომპონენტების მონახაზი.
9. დავემეთ დეტალური პროცედურა პლასტიკით დაფარული სათბურის აღმართისათვის.
10. დაადგინეთ, თქვენ ადგილობრივ სუპერმარკეტში გაყიდვადი რა ბოსტნეული მოყვანილი ჰიდროფონულ სისტემაში.
11. დაამზადეთ აკვაკულტურის, სათბურისა და ჰიდროფონული სისტემის მოდელი.

დაკავშირებული ვებ-გვერდები

<http://www.was.org/main>

<http://www.ext.vt.edu/pubs/envirohort/426-084/426-084.html>

<http://www.wvu.edu/~agexten/horticult/greenhou/building.htm>

თემატანათლება

A. მრავლობითი პასუხი. აირჩიეთ სწორი პასუხი

1. აკვაკულტურის წარმოება მოიცავს
 - ა. თევზების ზრდას საკვებად
 - ბ. მცენარეთა ზრდას აკვარიუმებისათვის
 - გ. თევზების ზრდას რეკრეაციული მეთევზეობისათვის
 - დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილს
2. ფერმერებს თევზების რაოდენობის გაზრდა შეუძლიათ
 - ა. წყლის დონის დაკლებით
 - ბ. ხსნადი ფანგბადის დონის შემცირებით
 - გ. ხსნადი ფანგბადის დონის მატებით
 - დ. წყლის ნაკადის შენელებით
3. თევზის ნარჩენების დეტოქსიფიცირება ხდება
 - ა. ჩიტების მიერ
 - ბ. მცირე თევზების მიერ
 - გ. მიკროორგანიზმების მიერ
 - დ. ნიადაგის მიერ
4. აკვაკულტურის დასწორული სისტემა
 - ა. მვირია ასაშენებლად
 - ბ. იოლი სამართავია
 - გ. გამოყოფს დიდი რაოდენობის წყალს
 - დ. გამოიყენება ტბორებში
5. პლასტიკური ფირის საფარით აშენებული სათბურები
 - ა. უფრო მვირი ასაშენებელია, ვიდრე შუშის სათბურები
 - ბ. ახალი პლასტიკით ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ უნდა შეიცვალოს
 - გ. არ შეუძლიათ თოვლის დიდი რაოდენობის ზიდვა
 - დ. მასზე არ შეიძლება მზის შემოქმედება
6. „სათბურის ეფექტი“ წარმოიქმნება
 - ა. ზაფხულის მზიან დღეებში
 - ბ. ზაფხულის ღრუბლიან დღეებში
 - გ. ზამთრის მზიან დღეებში
 - დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებისას
7. სათბური უნდა აშენდეს
 - ა. შენობის სამხრეთის მხრით
 - ბ. სადაც საღამოს მზე იჩრდილება
 - გ. დაბალ ადგილას, სადაც წყალი გროვდება
 - დ. შენობის ჩრდილოეთის მხრით

8. სათბურში სითბოს დაგროვება ხდება

- ა. პროპანის გამათბობლით
- ბ. ელექტრული გამათბობლით
- გ. შხის შუქით
- დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მიერ

9. ხსნადი ჟანგბადი ჰიდროფონულ საკვებ ნივთიერებათა ხსნარში წარმოიქმნება

- ა. სალექიდან
- ბ. ჩაბირგადი ტუმბოთი
- გ. პაერთან კონტაქტში არსებული ცირკულირებადი წყლით
- დ. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილის მიერ

10. სათბურის სტრუქტურები გამოიყენება

- ა. მცენარეთა წარმოებისთვის
- ბ. ცხოველთა წარმოებისთვის
- გ. აკვაკულტურის წარმოებისთვის
- დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილისათვის

B. თანხვედრა. მოახდინეთ პირველ სვეტში მოცემული სიტყვის ან ფრაზის თანხვედრა მეორე სვეტის სიტყვასთან ან ფრაზასთან.

სვეტი I

- 1. პნევმატური ტუმბო
- 2. ჰიდროფონიკა
- 3. ბიოლოგიური ფილტრი
- 4. არხი
- 5. გოთური სტილი
- 6. სარდლილობელი სამოსი
- 7. ქართი კავშირი
- 8. აკვაკულტურა
- 9. საკვებ ნივთიერებათა ხსნარი
- 10. ამიაკი

სვეტი II

- a. თევზების ოვალური რეზერვუარი
- b. ნარჩენი პროდუქტი
- c. თავისუფლად მდგომი სათბური
- d. სამკუთხა საყრდენი ან სათბური
- e. თევზის რეწვა
- f. საკვებ ნივთიერებათა ხსნარის ნაერთი
- g. „წყლის კულტურა“
- h. წყლის ტუმბო, რომელიც ბუმბუტებს იყენებს
- i. რბილი ამრეკლავი საფარი
- j. მიკროორგანიზმთა ნაერთი

C. შეესება. შეავსეთ ცარიელი ადგილები სიტყვით ან სიტყვებით, რომლებიც აზრს მისცემს შემდეგ წინადადებებს.

1. აკაკულტურის დახურული სისტემები საჭიროებენ, რომ ფერმკრებმა დაამატონ საკვები, ხსნადი ჟანგბადი და მოაშრონ — პროდუქტები, რათა გაზარდონ თევზები.
 2. სპილენძის წყალგაყვანილობა არ გამოიყენება აკაკულტურის სისტემებში, რადგან სპილენძის დიდი შემცველობა მოშწამელებია — თვის.
 3. წყალში ხსნადი ჟანგბადი ოდენობა იზრდება წყალში — გახსნით.
 4. საღიფუზიო მილები და — გამოიყენება მცირე ბუშტულების გენერირებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ წყალში ჰაერის შერევას.
 5. მიკროორგანიზმები, რომლებიც — — ან იზრდებიან ტბორის ფსკერზე, ახდენენ ნარჩენი პროდუქტების დეტოქსიფიცირებას.
 6. კონტროლირებადი გარემო სტრუქტურა, როგორც არის —, გამოიყენება მცენარეთა ზრდისათვის.
 7. შუშა, პლასტიკის ფირი და მინაბოჭკოს ფურცელი — საფარია, რაც ხელს უწყობს მზის შუქის სათბურში შეღწევას.
 8. „სათბურის ეფექტი“ იწვევს სათბურში ტემპერატურის —.
 9. საყრდენებიანი სათბურის აშენება საუკეთესოა სახლის — შხარეს.
 10. პიდროფონული სისტემა ახდენს — რეცირკულირებას, რაც ფესვთა სისტემას წყლით, ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფს.
- D. მოკლე პასუხი. მოკლედ უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს.**
1. აკაკულტურის დახურულ სისტემებში როგორ ხდება ბიოლოგიური ფილტრის ზომის განსაზღვრა?
 2. ახსენით, როგორ მოქმედებს სათბურის ეფექტი.
 3. სახლის რომელ შხარეს უნდა აშენდეს ქანობიანი ან საყრდენებიანი სათბური? რატომ?
 4. პიდროფონულ სისტემებში რის გამო არ არის აუცილებელი მცენარეთა დარგვა?
 5. როგორ ხდება დიდი მცენარეების მოვლა პიდროფონულ სისტემებში? რა ეწოდება ასეთ სისტემას?

ლოგოების დიზაინი და მშენებლობა

ლოგოების ძირითადი სასწავლებლის ამოცნობა
და მათი მშენებლობის აღწერა

წინამდებარე თავის შესწავლის შემდეგ თქვენ უნდა შეგებდეთ

იმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რატომ აშენებენ ადამიანები ლოგოებს ათასწლეულების განმავლობისას.

ეკლიანი ლოგოების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება.

ამჟამად გამოყენებადი ლოგოების სხვადასხვა ტიპების იდენტიფიცირება.

იმსჯელოთ სხვადასხვა სახის ლოგოების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შესახებ.

იმსჯელოთ თანამედროვე ლოგოებში გამოყენებული სხვადასხვა სახის მასალების შესახებ.

აღწერეთ ლოგოების მშენებლობისას გამოყენებული უსაფრთხოების ზომები.

აღწერეთ ლოგოების მშენებლობისას გამოყენებული მართებული მეთოდები.

მასალების სია

ლობის დამტენი

ხის ძელი

პოლიენილქლორიდის ძელი

ფოლადის ძელი

იზოლაცია

მესამრიდი

ლობის დაჭიმულობა

ნიმუშები:

ეკლიანი მავთული

ვინილის მასალა ლობისათვის

ელექტრული ლობის მავთული

თასმა მავთული

მაღალელასტური მავთული

დაწნული მავთული

ჯაჭვური ლობე

აუცილებელი ტერმინები

სახელური

ეკლიანი მავთული

პოლიენილქლორიდი

დამტენი

მესამრიდი

ჯოული

თასმა მავთული

გალვანიზება

მაღალელასტური მავთული

კორსეტი

დაშორება

დაჭიმულობის ინდიკატორი

ლოპაპის აღრეული ბაგოყენება

ადამიანები ლობებს ისტორიამდელ პერიოდში აშენებდნენ. მათი აგება მათ სავარაუდოდ ცხოველების ან სხვა ადამიანებისაგან დასაცავად დაიწვეს, როდესაც ადამიანებმა მცენარეული კულტურების მოყვანა დაიწყეს, მათ ლობები აშენეს, რათა ცხოველებს მცენარეები არ შეეჭამათ. ეს პირველი პრიმიტიული ლობები კეთდებოდა ეკლიანი ბურქებისაგან, რათა ცხოველები მინდორზე არ შესულიყვნენ. მოგვიანებით, როდესაც ცხოველების მოშინაურება მოხდა, იგივე ლობები ცხოველების ლობის შიგნით დასაცავებლად გამოიყენებოდა. ფაქტობრივად მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას დღესდღეობითაც გამოიყენება ცოცხალი ლობები ცხოველების შიგნით ან გარეთ დასაცავებლად.

ლობების ადრეულ მასალას ერთად დაწყობილი ქვების გროვა წარმოადგენდა. ქვა მრავალ ადგილას შხად იყო გამოსაყენებლად და იგი იმდენად გამძლე აღმოჩნდა, რომ ათასწლეულებს გაუძლიო. აშშ-ის ახალი ინგლისის რეგიონში შემორჩენილია ქვის ლობები, რომლებიც სამსი წლის წინ არის აგებული. ფერმერები ქვებს მინდვრად აგროვებდნენ და აკურატულ ლობებს აშენებდნენ საზღვრის გარშემო ქვების დაწყობის გზით.

ამერიკის ადრეულ ლობეთშენებლობაში გამოყენებული სხვა მასალა ხის სახელოური. ტყის გაჩეხვის შედეგად ხის მასალა დიდი რაოდენობით იყო მისაწვდომი და მას ლობების ასაშენებლად იყენებდნენ. გამოიყენებოდა ყველაზე გამძლე ხეები, როგორც არის მუხა, კელარი ან წაბლი. ხეებს მორებად, ხოლო მორებს სიგრძის გასწვრივ სახელოურებად ჭრიდნენ. სახელოურებს შემდეგ ეჯვარდინად აწყობდნენ. ასეთი ლობები ძალიან ეფექტური იყო პირუტყვის კონტროლირებისთვის.

1860-70-იან წლებში ეკლიანი მათულის გამოყენებამ ლობების შენებლობაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა დასავლეთის პერიოდში საჭირო მასალის დეფიციტის გამო. ეკლიანი მათული განსაკუთრებით უბრალო მათული ეკლებით, რომლის ორფა დაწნა გლეუ მათულად ხდებოდა. წვეტიანი ეკლები ცხოველებს ლობებისაგან შორს აკავებდა. ნაცადი იყო მრავალი სახის მათული და დღეს კოლექციონერები მრავალ განსხვავებულ დიზაინს გორვენებენ. ეკლიანი მათულის ლობები დღესაც ფართოდ გამოიყენება.

ტრადიციის მიხედვით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავისუფლად ამყოფებდნენ, სადაც იგი საძოვრის ძიებაში თავისუფლად გადაადგილდებოდა. დასავლეთის განსახლებაშიან ერთად პირუტყვის სამოძრაოდ სულ ცოტა ადგილი რჩებოდა და განადა ლობების შექმნის აუცილებლობა, რათა შეზღუდულიყო ცხოველთა გადაადგილების არეალი. იზრინაა, რომ ეკლიანი მათული თაღაპირველად ცხოველების ლობის გარეთ და არ შიგნით დასაცავებლად გამოიყენებოდა. ახალდასახლებულთა უმრავლესობა იყო ფერმერი, რომელსაც მცენარეული კულტურა მოჰყავდა და არ იყო დაკავებული მეცხოველოებით. თუ პირუტყვს ეწეზობდა საშუალება სურვილის მიხედვით გადაადგილბულიყო, მისეალი განადგურდებოდა. ეკლიანი მათულის ლობების გამოყენება პრობლემებს ქმნიდა, რადგან პირუტყვი შესაძლოა მასში გაბმულიყო და დაზიანებულიყო. ლობების გამოყენებასთან დაკავშირებულმა დავებმა გამოიწვია ის, რასაც საძოვრის ომი ეწოდა. ეს იყო ბრძოლა პირუტყვის რანობის მულობრებასა და ფერმერებს შორის. საბოლოოდ სასამართლომ გადაწყვეტილება ფერმერების სასარგებლოდ მიიღო. დასავლეთში ფერმერთა დასახლებასთან ერთად საკითხი ამოწურულ იქნა.

თანამედროვე ლობაპის

ჩვენ თანამედროვე ეპოქაში ლობები ფართოდ გამოიყენება. არსებობს ლობების შენებლობის მრავალი მიზეზი. მათ შორისაა ლანდშაფტირება, კერძო საკუთრება, საზღვრების მონიშნა, ცხოველების დაკავება შიგნით და მათი დაკავება გარეთ. თანამედროვე ლობები დიდად განსხვავებული მასალისაგან მზადდება, რაც დამოკიდებულია ლობის ტიპსა და მიწის მულობრების სურვილზე.

ლანდშაფტური ღობეები შენდება ესთეტიური მოსაზრებით და მიმზიდველი უნდა იყოს. ასეთ ღობეთა უძრავლეობა შესაძლოა დაიყოს ორ ძირითად სახეობად – ხისა და ქვის, თუმცა ლანდშაფტური ღობის რამდენიმე სახეობა გამოჭდილი ლიონინსგანაც კეთდება. ქვის ღობეები შენდება ქვის, აგურის ან ქვის სხვა მასალისგან. ისინი ძვირია და მათი აშენება ბევრ დროს მოითხოვს, მაგრამ ძალიან გამძლეა და თითქმის მუდმივად ითვლება. მათი გამოყენება სხვა დანიშნულებითაც ხდება, მაგალითად, როგორც შილი კედელი ნიადაგის შესაკაველად ბორცვზე.

ხის ღობეები შენდება დაფებისგან, რომლებიც დამუშავებულია ლპობის საწინააღმდეგოდ. ზოგი ძველებური სახეობის დასამუშავებელი მასალა მომწამვლელი იყო. ამიტომ სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი, რომ ხის მასალა ტოქსიკური ნივთიერებებით არ დამუშავდეს. ხის ზოგი ღობე დამზადებულია ისეთი მასალისგან, როგორც არის წითელი ხე, კიარისი და კედარი, რომლებიც ბუნებრივად ლპობამდეღია. თუმცა არც ერთი მათგანი არ არის ისეთი გამძლე, როგორც წნეით დამუშავებული ხის მასალა. ასეთ ღობეებს განსხვავებული დიზაინი და ფორმა გააჩნიათ, რაც ლანდშაფტურ სქემასა და მიწის მფლობელის გემოვნებაზეა დამოკიდებული. ხის ღობეები ცხენების საძოვრებზეც შესაძლოა იქნას გამოყენებული. ითვლება, რომ პანელები ცხენებისთვის მეტად უსაფრთხოა, ვიდრე მათთვის ღობეები.

ღობის უახლეს მასალას ვინილი წარმოადგენს, რომლის მთავარი ინგრედიენტი პოლიენილ ქლორიდია, სუბსტანცია, რომელიც წყლის მიღების დასამზადებლად გამოიყენება. იქნა რა თავდაპირველად შექმნილი ცხენების შესაკაველად, ახლა ღობეები მრავალი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება, მაგალითად ლანდშაფტურიებისთვის. ვინილი ხეზე ძვირია, მაგრამ უფრო მტკიცეა, უფრო ელასტურია და გაცილებით უფრო გამძლეა. ზოგი კომპანია იძლევა გარანტიას, რომ მათი ვინილის ღობეები ადამიანის სიცოცხლის ზანგრძლივობას გადაცდება. ძელიცა და სახელურიც მზადდება ამ მასალისგან და ისევე, როგორც სხვა სახის სამშენებლო მასალები, ვინილიც სხვადასხვა ხარისხისა არსებობს. საუკეთესო ხარისხის ვინილი შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც ანიტრალებს შხის ულტრაიისფერი გამოსხივებს ეფექტს. აღნიშნული ინგრედიენტის გარეშე მზე ვინილს დაშლის. ძელები ძირითადად ბეტონში თავსდება, ხოლო სახელურები ან ვინილის დაფები ზრანხებით მარდება მათზე. ზოგი სახელური ძელში მარდება ყოველგვარი იარაღების გამოყენების გარეშე. ამგვარად ღობე დაცულია ცხენებისგან, თუ ისინი მას დააწევიან და იმადროულად საკმაოდ მიმზიდველიც არის.

ელექტრული ღობეები

მრავალი წლების განმავლობაში მეცხოველეები იყენებდნენ ელექტრულ ღობეებს, რომლებიც შედგებოდა არაიზოლირებული მათთვის ერთი ან მეტი გრენილისგან, რომელიც ელექტრულ მუხტს ატარებდა. ღობესთან მიახლოებისას ცხოველი მცირე ელექტრულ შოკს იღებდა. შოკი სახიფათო არ არის, მაგრამ საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ ცხოველმა თავი არაკომფორტულად იგრძნოს. აღნიშნული ცხოველებს ღობის საზღვრებს შიგნით ყოფნას აიძულებს. ელექტრული ღობეების უპირატესობა ის არის, რომ ისინი უფრო იაფია, მალე მონტაჟდება და მეტად პორტატულია, ვიდრე ღობეთა სხვა ფორმები. ნაკლოვანებებს შორისაა ის, რომ მათელამდე მზარდ სარეველას შეუძლია ელექტრული დენის დამიწება და კიდევ ის, რომ ღობეს შტეკსელთან აქვს კავშირი. ზოგი ღობე ბატარეას იყენებს, მაგრამ ბატარეა პერიოდულად უნდა შეიცვალოს ან ხელახლა დაიმუხტოს.

ელექტრული ღობის ნაწილები მოიცავს დამტენს, მენამრიდს, ძელებს, მათთვისა და იზოლაციას. დამტენი ტრანსფორმატორის ტიპის მოწყობილობაა, რომელიც დენის ძაბვის 220 ვოლტს რამდენიმე ათას ვოლტამდე ზრდის. დენს უნდა ჰქონდეს ვოლტაჟი და ამპერაჟი. ვოლტაჟი არის ელექტრული დაძაბულობა, ხოლო ამპერაჟი – რაოდენობა სადენში გამავალი

ელექტრონებისა. მათულში ღენის გასატარებლად მაღალი ვოლტაჟია საჭირო. გარდა ამისა, რაც უფრო მაღალია ვოლტაჟი, მით ნაკლებია სარეკლემბთან დაკავშირებული პრობლემები. ამპერაჟის მაღლიან მცირე რაოდენობა და დამტენის პულსირება უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. პულსირება არის რაოდენობა ღროისა, რომლის განმავლობაში ელექტრული დენი მათულში გაღის. დამტენი ღენს ღროის მცირე სეგმენტებით, წამის 1/10-ით უშვებს. დამტენების ნორმა ხშირად ჯოულეებით იზომება. ჯოული არის მნიშვნელობა ენერჯისა, კალკულირებული ამპერიჯოულტჯდროის გადამრავლებით. სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩინილი, რომ ჯოული მხოლოდ დამტენის მიმართ არ იქნას გამოყენებული. გახსოვდეთ, რომ ჯოულის მნიშვნელობაზე გაეღენა აქვს ღროის, ვოლტისა და ამპერის რაოდენობას ან ამ სამის ნებისმიერ კომბინაციას.

მესამერიდი მოწყობილობაა, რომელიც ეწინააღმდეგება ელვის გაეღას მათულის ღობეში. ელვის ღროს მათულში შესაძლოა გაიაროს ღენის კოლოსალურმა რაოდენობამ. აღნიშნული არა მარტო დაზიანებს დამტენს, არამედ მოკლავს ნებისმიერ ცხოველს ან ადამიანს, რომელიც მესდარტყმულ ღობეს შეეხება. მარტვი დამიწება არ არის საკმარისი, რადგან ღენი დამიწდება და ღობე არ იმუშავებს. მესამერიდი ღენის მხოლოდ საჭირო რაოდენობას გაატარებს ღობის მათულში და ღენის ღიდი ტალა მიწისკენ იქნება მიმართული.

ელექტრული ღობების ძეღები შესაძლოა გაცილებით უფრო მცირე ზომის იყოს, ვიდრე სხვა სახის ღობებისათვის. გახსოვდეთ, რომ ძეღმა უნდა ზიღოს მსებუქი მათულის ერთიდან სამამდე გრეზიდი. მათული, ჩეეუღებრივ, 12-კალიბრიანია, გლეუქი, მოუთიებული, რომელიც ძეღზე იზოლაციის მუშეებით მარდება. ეარიაციას წარმოადგენს ქარხნული თასმის გამოყენება, რომელსაც გაცილებით უფრო მცირე მათული აქვს მიმარტებული. თასმა მათულის დანახვა მანიშიღან უფრო ადვილია, უფრო იაფია და შესაძლებელია მისი დხევეა და გადართვა. იზოლაცია გაეკებულია დახერტული პლასტიკისგან, რათა ძეღზე მისი დაჭეღება მოხდეს. პლასტიკი იცავს მათულს ძეღთან შეხებისგან. სველ ამინდში ხის ძეღიცი კი დამიწებლად მოქმედებს და ირიღებს ღენს.

მავტულის ღობეზაი

ღობეთა ყვეღაზე გაერტეღებულ საზობას მათულის ღობე წარმოადგენს. მათულის ღობე, ზის ან ვინილის ანალოგთან შედარებით, უფრო იაფია. თუ სათანადოდ არის დამარტაეღებული, დიდხანს ძლებს და ეეექტურია ბაკეში არსებული ცხოვეღებისათვის. მირითადღდ ორი სახის ღობის მათული არსებობს: გრეზიდი და წნული. გრეზიდი მოიცავს ეკლიან მათულსა და მაღალელასტურ მათულს.

ღობის მასღად გამოყენებულ მათულს რამდენიმე მახასიათებელი გააჩნია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას. მათულის ზომა (დიამეტრი) კალიბრით ფასდება. რაც უფრო მაღალია კალიბრი, მით მცირეა მათული. მაგალითად, 12-კალიბრიანი მათულის დიამეტრი .105 ინჩი ან .267 სანტიმეტრია, 7-კალიბრიანი მათულის დიამეტრი კი .177 ინჩი ან .450 სანტიმეტრი. რაც უფრო მძიმეა მათული, მით მეტია მისი შიდი უნარი. ღობეს, რომელიც გათვილია ისეთ ცხოვეღზე, როგორიც არის მსხვიღფეხა რქოსანი პრუტყვი, უფრო მსხვილი კალიბრი სჭირდება, ვიდრე ღობეს, რომელიც შედარებით მცირე ზომის ცხოვეღზე, მაგალითად ცხეარხეა, გათვილი. გარდა ამისა, ტენიან კლიმატში მათულზე ფანგი ჩნდება მას შემდეგ, რაც დამკაცი სამოსი შორდება. მსხვილკალიბრიანი მათუღები ასეთი პროცესის დაწყების შემდეგ მეტად გამძლეა.

მათუღებს ასევე განსხეაეღებული დამცავი სამოსი გააჩნიათ. ღობის მათული დამზადებულია ფოღადისგან, რადგან იგი მტკიცე და შედარებით იაფია. ფოღადის ნაკლოვანებას მისი ფანგეა წარმოადგენს. ამ პროცესთან საბრძოლველად მათულს მოსაეენ

ისეთი უფანჯარი მასალებით, როგორც არის სპილენძი ან თუთია. გახსოვდეთ, რომ შემოსვა მხოლოდ აჭიანურებს ჟანგვას და საბოლოოდ, მისი გაქრობის შემდეგ, მათელი მიინც იწყებს ჟანგვას. ყველაზე გავრცელებულ სამოსს წარმოადგენს თუთია, რომლის ფენის დადება ხდება გაღვანიზების სახელით ცნობილი პროცესის მეშვეობით. აღნიშნული იგივე პროცესია, რომელიც სახურავის ფოლადის ფურცლებისთვის გამოიყენება. თუთიის სამოსის სისქე, რაც განსაზღვრავს ხანგრძლიობას, რომლის განმავლობაში მათელი უნაგვისაგან არის დაკული, კლასებად იყოფა. I კლასი აღნიშნავს ყველაზე მსუბუქ სამოსს, ხოლო III კლასი – ყველაზე სქელს. I კლასის 7-კალიბრიან მათულს ზედაპირის კვადრატულ ფუტზე 18.3 უნცია სამოსი აქვს დადებული; III კლასის სამოსს 24.4 უნცია. ცხადია, რომ რაც უფრო სქელია სამოსი, მით უფრო გამძლეა მათელი. საფერფერო მალაზიათა უმეტესობა I კლასის მათულს ყიდის.

ეკლიანი მათელი მათულის პირველი სახეობაა, რომელიც ფართო მასშტაბით გამოიყენება პირუტყვისათვის ტერიტორიის შემოსაზღვრისთვის. იგი კვლავაც ფართოდ გამოიყენება და სხვადასხვა სახით არსებობს. შჩატე ეკლიანი მათელი შესაძლოა ისეთი მცირე იყოს, როგორც 16-კალიბრიანი. უფრო მძიმე მათელი 12-კალიბრიანია. განსხვავება მათულზე ეკლების რაოდენობასა და სახეობასთან მიმართებითაც. ზოგი ეკალი უფრო დიდი მანძილით არის ერთმანეთისგან დაშორებული, ვიდრე სხვა. გარდა ამისა, ზოგ მათულს გააჩნია 4-პუნქტიანი ეკალი. სხვა მათულს 2-პუნქტიანი ეკლები გააჩნია.

ეკალმათულიანი ღობეების ეფექტურობა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. მათელი უნდა დაიჭიროს სათანადო სიმტკიცედ. თუ მათელი ზედმეტად დაჭიმულია, იგი შეიძლება გაწყვედეს. თუ იგი თავისუფალია, ცხოველები გაარღვევენ მას. ღობეზე გრეხილების რაოდენობა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ღობის მიერ ცხოველების შეკავების უნარზე მოქმედებს. ფერმერთა უმეტესობა იყენებს მინიმუმ 5 გრეხილს, რომელთა შორის მანძილი 8-10 ინჩია.

მაღალმლასტური მათულის ღობეება

გრეხილი ღობის კიდევ ერთი სახეობაა მაღალმლასტური ანუ ახალზელანდიური ღობე, რომელიც იყენებს უფრო ძლიერ მათულს, ვიდრე ჩვეულებრივი ეკლიანი მათელია. ფაქტია, რომ მაღალმლასტური მათელი შესაძლოა ორჯერ უფრო მტკიცედ დაიჭიროს წვეტის გარეშე, ვიდრე ეკლიანი მათელი. ვინაიდან გრეხილები გლეჯია, ეკლებისაგან განსხვავებით, ნაკლებია ცხოველთა დაზიანების რისკი. მაღალმლასტური ღობეები, ჩვეულებრივ, კეთდება 4-8 გრეხილიანი მათულისაგან. ზოგჯერ ნაკლები გრეხილი გამოიყენება და ღობეს ელექტრულად დამუხტული მათელი ემატება. მაღალმლასტური ღობეები უფრო ძვირია, ვიდრე ეკალმათულიანი, მაგრამ უფრო გამძლეა მასზე თუთიის უფრო მძიმე სამოსის არსებობის გამო და ცხოველთა დაზიანების საფრთხეც ნაკლებია.

ერთი პრობლემა მაღალმლასტურ მათულთან დაკავშირებით მათი დაჭიმულ მდგომარეობაში შენარჩუნებაა. ისეთ ადგილებში, სადაც ტემპერატურა ნულს ქვემოთ ეცემა, მათელი ზამთრის განმავლობისას იკუმშება, ხოლო ზაფხულის განმავლობისას ფართოვდება. აღნიშნული იწვევს პრობლემას მათულის სიმტკიცესთან მიმართებით, რომლის გადაჭრა ორი გზით შეიძლება. შესაძლოა გამოყენებულ იქნას ზამბარა, რაც საშუალებას მისცემს ღობეს შეიკუმშოს და გაფართოვდეს ტემპერატურის ცვალებადობასთან ერთად. ასევე შეიძლება ხრუტუნა შექნის გამოიყენება, რაც მათულს შეკუმშავს და გაათავისუფლებს საჭიროების მიხედვით. ცხადია, რომ აღნიშნული დამატებით სამუშაოს ქმნის ღობის მოვლისათვის.

წესლი მამთულის ღობეზი

წესლი მამთულის ღობე შედგება მამთულისგან, რომელიც ერთმანეთშია გადაწესლი და ქმნის ბადის მსგავს ღობეს. ამ სახის მასალას ზოგჯერ ბადის მამთულს უწოდებენ. ღობის ბაძე კედლება ვერტიკალური მამთულის (მას კორსეტი ეწოდება) დახვეული პორიზონტალურის გარშემო, რათა მამთულმა სიმტკიცე შეიძინოს. ზოგ წესულ მამთულს გააჩნია ცალკე მამთული, რომელიც კენამდ არის შეკრული კორსეტისა და პორიზონტალური მამთულის შეერთების ადგილას. ასეთი კენამბე ისევე მოქმედებს, როგორც ანჯამბე, რათა მამთულს ელასტურობა შესიძინოს.

არსებობს წესული მამთულის რამდენიმე სახეობა, რომელიც განსხვავდება მამთულის დიამეტრის, დაშორებისა და სიმაღლის მიხედვით. სიმაღლე მერყეობს 28 ინჩიდან 8 ფუტამდე და ზევით. ღობის სიმაღლე დამოკიდებულია მის შიგნით მოზინადრე პირუტყვის სახეობაზე. უფრო მაღალი წესული მამთული გამოიყენება ისეთი ცხოველების გარეთ შესაკავებლად, როგორიც არის ირემი ან ლოსი. სამ ან ოთხნიშნა ნომრის, რომელიც პორიზონტალურად გაბმული მამთულების რაოდენობას ასახავს და მამთულის ინჩებით გამოხატული სიმაღლის მიხედვით ხდება მამთულის სახეობის იდენტიფიცირება. მაგალითად, ნომერი 828 ნიშნავს, რომ წესული მამთული 8 პორიზონტალური მამთულისგან შედგება და თითოეულის სიქე 28 ინჩია. ზოგი მწარმოებელი უმატებს სხვა ციფრებსაც, რომლებიც დაშორებასა (მანძილი კორსეტებს შორის) და კალიბრს აღნიშნავენ. მაგალითად, 1047-6-9 ნიშნავს, რომ მამთული 10 პორიზონტალური მამთულისგან შედგება, თითოეულის სიქე 47 ინჩია, დაშორება 6 ინჩი, ზოლო მამთულის კალიბრი - 9 ინჩია. წესული ღობის მასალების კლასიფიცირება ასევე წონის მიხედვით ხდება (მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ძალიან მძიმე), რაც ღობის მამთულის ზომაზეა დამოკიდებული.

ჯაჭვური ღობეზი

წესლი მამთულის კიდევ ერთ სახეობას ჯაჭვური ღობე წარმოადგენს, რომელიც დახვეული პორიზონტალური მამთულისგან შედგება და ერთმანეთს ჯაჭვის მსგავსად არის დაკავშირებული. ასეთი ღობე უპირველეს ყოვლისა ეზობის შემოსალობად და უსაფრთხოების მიზნით გამოიყენება. მუხბდავად იმისა, რომ ისინი უფრო მიმზიდველი და მტკიცეა, ჯაჭვური ღობე ყველაზე ძვირია წესული მამთულის ღობებს შორის. ღობის ძირსა და თავში ფოლადის მილები გამოიყენება. ამდენად ძელები ერთმანეთთან ახლოს და ბეტონში უნდა დამარტდეს. ღირებულება, ჩვეულებრივ, მცირე ფართობებით ზღუდავს ასეთი სახის ღობის გამოყენებას.

ქმლბის შერჩევა

სათანადო სახეობისა და ზომის ძელების შერჩევა თითქმის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ღობის გასამართი მამთულის სახეობისა და ზომის. ყველაზე გავრცელებული ძელები ხის, კინილის ან ფოლადისგან მზადდება. თითოეულ მათგანს გააჩნია უპირატესობა და ნაკლოვანება.

სავარაუდოდ, ხის ძელები ყველაზე ხშირად გამოიყენება. ისინი შედარებით იაფია და სათანადო მოვლის შემთხვევაში დიდხანს ძელებს. თუ ღობე დაფებისგან კედლება, ჩვეულებრივ, ოთხკუთხა ძელები გამოიყენება. მამთულის ღობის შემთხვევისა ძელები მრგვალია. მრგვალი ძელები უფრო იაფია, ვინაიდან არ არის საჭირო მათი დახერხვა ოთხკუთხა ფორმბად. ღობის ძელებისთვის ხდება მცირე ხეების მოჭრა მათ მიერ სათანადო ზომის მიღწევისას. ზომა მერყეობს დიამეტრის 2 ინჩიდან 6 ინჩამდე. ძელად ყველაზე ფართოდ გამოყენებული ხეა სამხრეთის ფიჭვი. იგი სწრაფად იზრდება და დამცავ სითხეს კარვად ითვისებს. მორებად ხეების დაჭრის შემდეგ ხდება ქერქის მოშორება და ძელები სათანადო ზომბად იჭრება.

შემდეგ ისინი შრება ტენის აუცილებელ შემცველობაზე და წნევით მუშადება დამცავი ნივთიერებით, რომელიც ლობისაგან იცავს 30 წელიწადს.

ფოლადის ძელები ხის ძელებზე ძვირია, მაგრამ მათი დამონტაჟება უფრო იოლია. ჩვეულებრივ, მათი მიწაში ჩასობა ძელების ჩასობით ხდება, რის გამოც არ არის აუცილებელი ძელისათვის ორპოს ამოხრა. მათულის გაბმა ძელზე დამაგრების გზით ხდება. ვინილის ძელები გამოიყენება ვინილის ღობეებში, თუმცა მათი გამოყენება ხის ღობეების მსგავსად შეიძლება.

ღობეების გამართვა

მოხედვად იმისა, თუ რა მასალა გამოიყენება ღობის გასამართავად, არსებობს სახელმძღვანელო წესები, რომლებსაც უნდა მივლით, რათა ღობე თანხვედბოდეს განზრახულ მიზანს, გაძლოს წლების განმავლობისას და დასჭირდეს მინიმალური შეკეთება. როგორც ნებისმიერ პროექტში, დავგდებისას დახარჯული დრო შეამცირებს პრობლემებს მშენებლობისას და დავიცავთ შემდგომი სირთულეებისგან. მასალებზე ეკონომიის გაკეთებას და მშენებლობის გამარტივებას შდეგად, ჩვეულებრივ, უხარისხო ღობე მოყვება.

საკანბო მითითებებს შორისაა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მითითებები. აი ისინიც:

- დაწმენდით, რომ ღობის ზოლი გაწმენდილია ბურქებისაგან მშენებლობის დაწყებამდე. აღნიშნული ავაცილებთ წაქცევას და აბურდულ ღობეს. შეიმოსეთ დამცავი საშობით, როგორც არის თვალების დამცავი, ტყაყის ხელთათმანი და ფოლადის ქუსლიანი ფეხსაცმელი. არასოდეს დადგეთ მათულის დასაჭიში ხაზის პირდაპირ. თუ მათუელი გაწყდება, შესაძლებელია ტრავმები. მათულის დასაჭიმად არ გამოიყენოთ ტრაქტორი. ზედმეტმა ძალამ შესაძლოა გაწყვიტოს მათუელი და დაზიანოს გარშემო მყოფნი.
- დადგეთ ძრავიანი მანქანებიდან განზე, ისეთებისგან, როგორც, მაგალითად, არის ძელის ორმის მთხრელი. საუშაო ფართი ქაობისაგან დაიცავით. იარაღები სათანადო წესით და შორის შეინახეთ. ქაობში ღობე შესაძლოა აბურდოს და ხალხს მასზე გადასვლა მოუწვეს.

კუთხის ძელების ჩამაგრება

ბურქებისგან ღობის ხაზის გაწმენდის შემდეგ უნდა მოხდეს კუთხის ძელების ჩამაგრება, რათა განისაზღვროს შემოსალობი ფართობის ზომა და ფორმა. ღობის ხაზები შემდეგ კუთხის ძელებს უერთდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კუთხეები ფრთხილად უნდა იქნას ჩამაგრებული და იმეკარად აგებული, რომ ღობისათვის სამაგრი შექმნას. გახსოვდეთ, რომ კუთხის ძელების გარშემო ყველა მათუელი უნდა დაიჭიბოს. ზოგადად, მათუელი ძელების ხაზის გასწვრივ ძელების შიგნით მაგრდება, მაგრამ ესევეა კუთხის ძელების გარეთა მხარეს.

კუთხის ძელი ღობის ყველაზე დიდი ძელი უნდა იყოს - სულ ცოტა 6-8 ინჩი დიამეტრისა და 8 ფუტის სიმაღლის. კუთხის ძელის ჩასამაგრებლად ამოთხარეთ ძელის სიგრძის დაახლოებით 1/3 ზომის ორპო. მაგალითად, თუ ღობეს 5 1/2 ფუტის სიმაღლე უნდა გააჩნდეს, კუთხის ძელს დაახლოებით 8 ფუტის სიმაღლე უნდა ჰქონდეს, რათა 3/12 ფუტი მიწაში იყოს, ხოლო 5 1/2 ფუტი - მიწის ზემოთ. ამოთხარეთ ორპო, რომლის დიამეტრი 12-18 ინჩია და ჩამაგრეთ ძელი კუთხის მდგომარეობაში. ჩაასხით სათანადოდ შერეული ბეტონი და გააჩერეთ 48 საათი. მას შემდეგ, რაც კუთხის ყველა ძელი ჩამაგრებული იქნება, მათ შორის მძიმე თოკი ან ბაწარი უნდა გაიბას. იგი გიჩვენებთ ღობის ხაზზე ძელების ჩასაჭობი

ადგილების მიმართულებას. ასეთი თოკის მეზურად გამოყენებით ამოთხარეთ ორმოები საყრდენი ძელებისათვის კუთხის ძელიდან 6 ინჩის დაშორებით ორივე მხარეს. ასეთი ძელების ჩამაგრების შემდეგ საყრდენ ძელებსა და კუთხის ძელებს შორის დაატყდეთ სამაგრი. საყრდენად შესაძლოა ღობის ძელების გამოყენება. აღმართულ ზოძებზე ხდება ამონაჭერის გაკეთება, რათა განისაზღვროს ადგილი სამაგრებისათვის. ფრთხილად გადაათვალიერეთ საყრდენი ძელები თოკით და ჩააბეჭონეთ. კუთხეების კიდევ უფრო გასამაგრებლად კუთხის ძელის თავსა და თითოეული საყრდენი ძელის ძირს შორის ორმაგი მარწყუვით შეკარით მათუღი. გრეხილებს შორის ხის ჯოხი ან ლითონის მილი მრათავსეთ და დაატრიალეთ, სანამ მათუღი დაიჭიმება. აღნიშნული ძლიერ კუთხეს ქმნის ღობისათვის.

ლობის ხაზის ბანსაზღვრა

მას შემდეგ, რაც ღობის ძელები სათანადოდ ჩამაგრდება და შემოსარტყლება, კუთხეებს შორის დაჭიმული თოკის გამოყენებით ხდება ძელების ერთმანეთთან დაკავშირება ღობის ხაზის გასწვრივ. მათუღის დაჭიმულობის შესანარჩუნებლად საჭიროა, რომ ძელები ღობის ხაზზე სწორად იყოს ჩამაგრებული. მრავალ საძირკეს იმეგარი ფორმა აქვს, რომ შეუძლებელია კუთხიდან კუთხემდე აბსოლუტურად სწორი ხაზების გაკლება. თუ ხაზი გადაედება სწორს, საყრდენი უნდა აიგოს, რომელიც დიდად ჰკავს კუთხეებთან გამოყენებულს. გარდა ამისა, თუ ღობის ხაზი გრძელია, საყრდენების ჩამაგრება აუცილებელია ყოველი 200-300 ფუტის შემდეგ, რათა გაიოლდეს მათუღის დაჭიმვა და მისი ასეთ მდგომარეობაში შენარჩუნება.

მათუღის ღობებისათვის ძელები 15 ფუტის დაშორებით უნდა ჩამაგრდეს. თუ ძელები დაბალი, ან მიწა არ არის სწორი, ძელები ერთმანეთთან უფრო ახლოს უნდა ჩამაგრდეს. ძელების ორმოების ამოთხრა ხდება ხელის სათხრელით, დანადგარით, რომელსაც ბენზინის მცირე ძრავი ამუშავებს, ან ტრაქტორზე მიბმული სათხრელით. ლითონის ძელებისა და ხის ზოგიერთი ძელის მიწაში ჩასობა ხდება ძელების ჩასობის საშუალებით, რომელიც ტრაქტორზე არსებული პიდრავლიკური სისტემის გამოყენებით მუშაობს. მიწაში ჩასობის შემდეგ ძელები უნდა დაიტკეპნოს ზედაპირის მიმართ. ძელების აღმართული მდგომარეობა დიდად დაეცხმარებათ მათუღის დაჭიმვასა და გამართვამ. დატკეპნისას გამოიყენება ხის ანათალის ან ლითონის ნაჭრის ჩარჭობა, რაც ძელის გარშემო ნიადავს კომპაქტურს ხდის.

მათუღის დაჭიმვა და უსაფრთხოება

მათუღი სათანადოდ უნდა დაიჭიმოს. გრეხილ მათუღს დაჭიმულობის ინდიკატორი გააჩნია მათუღზე ნიშნულის სახით. როდესაც მათუღი სათანადოდ დაიჭიმება, ნიშნულიც იჭიმება მწარმოებლის მიერ მითითებულ მნიშვნელობამდე. მათუღის დასაჭიმად ხშირად მათუღის ხრუტუნა დაიჭიმი გამოიყენება. იგი შეიძლება დამაგრდეს ძელსა ან სათანადო ადგილას დადგმულ ტრაქტორზე. გახსოვდეთ, რომ ტრაქტორი მხოლოდ სამაგრად გამოიყენება მათუღის დაჭიმვისას. საშიშროებას არა მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ მათუღი შესაძლოა ზემდებლად დაიჭიმოს, არამედ სხეულის სერიოზული დაზიანება შეიძლება წარმოიშვას, თუ მათუღი მოულოდნელად გაწყდება ან აიშვებს.

მათუღის სათანადოდ დაჭიმვის შემდეგ, ხის ძელებზე მისი მიბმა ხდება კაუჭების მეშვეობით. ამ მისაბმელებს შესაძლოა მცირე ეკლები ჰქონდეთ, რათა აცილებულ იქნას დაშორება. კაუჭის დამაგრება ქსოვილის გასწვრივ და არა მასში უნდა მოხდეს. აღნიშნული თავიდან აგვაცილებს ძელის გამოხას და კაუჭს უფრო სანდოდ დაიჭერს. კაუჭი იმ სიღრმეზე უნდა ჩაიჭიდეს ძელში, რომ მათუღი ძელს შეეხოს. ძელში მათუღის ჩასობა მხოლოდ ასუსტებს მას. ფოლადის ძელზე მათუღის დამაგრება ხდება გარშემო მათუღზე და შემდეგ ძელზე დახვევის გზით. მათუღი ჯდება ძელზე არსებულ ამონაჭერში, რაც იცავს მას ქვევით

დაკურებისგან. ეკლიანი მეთულის ან მალაქლასტური მეთულის გაბმისას მეთულები ძელზე ერთმანეთს ყურადღებით დამორთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი ძელებზე ერთმანეთისგან თანაბრად არიან დამორბეული.

ჭიშკარი

იმისათვის, რომ სასარგებლო იყოს, ღობეს უნდა გააჩნდეს შესასველელ-გამოსასველელი. შესაბამისად, ღობის ხაზის გასწვრივ რომელიმე ადგილას ჭიშკარი უნდა დაიდგას. ყურადღებით უნდა იქნას შერჩეული ჭიშკრის დასადგმელი ადგილი. გაითვალისწინეთ რომელი ადგილი უნდა იყოს თქვენთვის მისაწვდომი და რამ უნდა იმოძრაოს ჭიშკრის გავლით. იქნება იგი გამოყენებული პირუტყვის, ადამიანების, სატვირთო ავტომობილების, ტრაქტორების, დიდი მანქანების თუ ყოველი მათგანისათვის? ჭიშკარი საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა მასში ყველაზე დიდი ობიექტი გაეტეოს. მიადგროულად, ჭიშკარი არ უნდა იყოს აუცილებელზე დიდი ზომის.

ადამიანები საკმაოდ შემოქმედებითად მიუდგნენ ჭიშკრისათვის საჭირო მასალის გამოიყენებას. ხშირად ისინი ხელოვნების ნიმუშებს ვეანან. ვაგონების ბორბლები და ეტლების (ურმების) ინტენჯარი ხშირად გამოიყენება. ლითონის ფურცლები შესაძლოა საინტერესოდ დაიჭრას და ხის ღობე საკმაოდ მიშვიდველი გახდეს. მრავალი ადამიანი ყიდულობს შხა ჭიშკარს, რომელიც ლითონის მილის ჩარჩოს გარშემო დაჭიმული მეთულისაგან შედგება. რასაკვირველია, არის ადგილები, სადაც ჭიშკრის შესახვედაობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. იქნება იგი შექმნილი იმისათვის, რომ იყოს მიშვიდველი თუ მხოლოდ ფუნქციონალური, ჭიშკარი სათანადოდ უნდა იქნას აგებული და დაკიდული, რათა კარგად იმუშაოს და წლებს გაუძლოს.

ძელები ჭიშკრის ორივე მხარეს ისევე უნდა შემოისარტყლოს, როგორც კუთხის ძელების გარშემო. დაჭიმული მეთულისგან ჭიშკრის ძელებზე დიდი ზეწოლა მოხდება. ძელი, რომელზეც ჭიშკარი იქნება დაკიდული, სათანადო ზომის უნდა იყოს, რათა ჭიშკრის წონას გაუძლოს. ჭიშკრის ძელებზე გამოყენებული ანჯამების დამაგრება ზრახნით ხდება და საკისარის ტიპისაა. არსებობს მათი სხვა ვარიანტებიც. ასეთი ანჯამების დამაგრება ადვილია, კარგად მუშაობს და საკმაოდ მტკიცეა, რათა წლებს გაუძლოს შეკეთების გარეშე.

შეჯამება

ღობები ათასწლეულების განმავლობისას გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით. დღესდღეობით დიდი სახესხვაობა ღობეებისა გამოიყენება სილამაზის, დაცვის, შემოსაზღვრის ან ცხოველების დასაკავებლად შინით ან გარეთ. სათანადოდ გამართული ღობეები, აგებული მართებული მასალისაგან, დიდხანს ძლებს. დღეისათვის არსებული სამშენებლო მასალები დიდ არჩევანს გვთავაზობს ღობეების გამართვისათვის. ყურადღებით დაგეგმვა შედეგად მოგვცემს ღობეს, რომელიც მიშვიდველიც იქნება და ფუნქციურიც.

სტუმრებთან დაპალობა

1. განსაზღვრეთ წინამდებარე თემის დასაწყისში ჩამოთვლილი აუცილებელი ტერმინები.
2. მოახდინეთ თქვენი სახლის მახლობლად არსებული ფართისათვის ღობის დიზაინი. აღწერეთ ღობის დანიშნულება, რა მასალები გამოიყენება და ახსნა თითოეული მათგანის გამოყენებისათვის. შეავსეთ მასალების სია იმ ყველაფრისათვის, რაც დაგჭირდებათ ღობის გასამართავად და გამოთვალეთ საბოლოო ღირებულება.

აგრობიზნესი

შესავალი

აპტორი კლიფ რიპატსი, (იერი რ(უ)ლიონსი

სამშინაონის სჟირი: მეწარმეობა

მეწარმე არის ადამიანი, ეინც ორგანიზებას უკეთებს ბიზნესს ან კომერციულ საქმიანობას (ვაჭრობას) ან უაბეობებს იდეას. მეწარმეობა მცირე ბიზნესის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს წარმოადგენს. მეწარმე არის პიროვნება, ეინც განკურტეს ბიზნეს-სტრატეგიას და მზად არის გაწიოს რისკი ბიზნესის დასაწყებად.

აგრობიზნესის მეწარმის შესაძლებლობები სცილდება აგრობიზნესის სასურსათო და არასასურსათო სექტორს. ის მოიცავს აგრობიზნესში საწარმოო საშუალებების ინვესტირების და აგრობიზნესის პროდუქციის წარმოების სექტორებსაც. მეწარმის შესაძლებლობები არსებობს ყველა სექტორში, იქ სადაც საჭიუნელს ეივნთ, ყვილით და გაწარმებით.

სკოლის და კოლეჯის ბეერი სტუდენტი ჯერ კიდევ განათლების მიღების დასრულებამდე ხდება კარგად ჩამოყალიბებული მეწარმე. აგრობიზნესის პოპულარული სფეროები მოიცავს გაზონების მომსახურებას, ზე-ტყის, სასათბურე და საწერგე მეურნეობის ბიზნესს, მანქანა-დანადგარების შეკეთებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სახლისა და ეზოს მოწყობას, ყვაილების მაღაზიებს და ყვაილებით საკალო ვაჭრობის ბიზნესს.

მეწარმეებსა შეიძლება მომსახურება გასწიონ ცხოველოთა მოვლა-პატრონობის, კულტურების მორწყვის და რეკრეაციული თევზჭერის პრივილეგიების სფეროებში. სათანადო და ზუსტი დაგეგმვა ძალზედ მნიშუნელოვანი პროცესია აგრობიზნესის დაწყებისათვის, ეინაიდან ბეერმა ახლად შექნლიმა ბიზნესმა ამ სფეროში უმაღვე კრახი განიცადა. სწორი დაგეგმვა ბიზნესის წარმატების გარანტიაა.

აგრობიზნესის მენეჯმენტში კადრების მომზადება მოიცავს განათლებას და სამუშაოსგან მოუწყვეტლად ტრენინგს. აგრობიზნესის და აგრომეწარმეების სასკოლო პროგრამები ხელს უწყობს ამ სფეროში საუკეთესო ტრენინგების ჩატარებას. ასეთი პროგრამები მოიცავს საკასო და ლაბორატორიულ ტრენინგების მოწყობას. აგრომეწარმეებით მართული გამოცდილების შექმნას და ხელმძღვანელი კადრების შექმნას.

აგრობიზნესის მოწინავე პროგრამები ტექნიკურ სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში მოიცავს შესაბამის ტრენინგებს ეკონომიკაში, ფინანსებსა და მენეჯმენტში.

რთული ამოცანა მწარმისათვის

ადვილი არ არის იყო წარმატებული მეწარმე. ჯერ დაიწყებ ბიზნესს მარტივად და ეერ დატკებები მოგებით უმაღვე. არსებობს სამი რთული ამოცანა, რომელიც მეწარმეობა უნდა გადაჭრან.

სკრული პასუხისმგებლობა

დამწყები მეწარმე უნდა იყოს ყველაფრის საკმის ეურსში და ყველაფერზე პასუხისმგებელი. აგრობიზნესის წარმატება ან წარუმატებლობა დამოკიდებულია მხოლოდ ერთ ადამიანზე – მფლობელზე/მესაკუთრეზე. მეწარმეობა უნდა მართონ მუშახელის მუშაობა, საჭიონლის წარმოების და მიწოდების პროცესები. მათვე უნდა მოიძიონ კლიენტები/მყიდველები, გაყიდონ პროდუქცია და უნდა დააწმუნდნენ იმაში, რომ შეკვეთა მიიღონ და ეკაყოფილებულია. ბიზნესის მოცულობის მიუხედავად, მფლობელს ყოველთვის უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობა.

სანგროპლივი და არანორმირებული სამუშაო საათები

საკუთარი თავის უფროსობა დიდხანს მუშაობას ნიშნავს. ადამიანები, ვინც საკუთარ ბიზნესს იწყებენ, უფრო მეტ დროს უთმობენ სამუშაოს ყოველდღიურად, ვიდრე ის ადამიანები, ვინც სხვისთვის მუშაობს (რავითი თანამშრომლები). ცნობილი ფაქტია, რომ მეწარმე მუშაობს 60 საათზე მეტს კვირაში და დასვენების დღეებს სამსახურში ატარებს.

ფინანსური რისკი

მცირე ბიზნესის ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა და სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ არ არის საკმარისი თანხები. საჭიროა თანხის გაღება, რათა წარმართოს ბიზნესი. როდესაც ბიზნესი დაიწყება, მეწარმემ უნდა გადაიხადოს გადასახადები და დაარეგოს ხელფასები, რაც ზოგჯერ მოგებას აჭარბებს ხოლმე. მესაკუთრე შეეცდება ისეგზოს თანხები, თუმცა შესესებულ ორგანიზაციებს ძალიან უჭირთ ფულის სესხება მეწარმეებისათვის ახალი ბიზნესის დაწყების მაღალი რისკის გამო.

ბიზნესის დაწყებიდან მე-4 წელს წარმატების შანსები დაახლოებით 50-50-ზეა. პირველი 4 წლის მანძილზე ბიზნესების დაახლოებით 40% საბოთუშო და 50%-ზე მეტი საცალო ვაჭრობაში კრახს განიცდის.

რატომ განიცდის აბრუბიზნესი კრახს?

ბევრი პოტენციური მიზეზი არსებობს იმისა, რათა აგრობიზნესმა კრახი განიცადოს. ძირითადად, კრახის მიზეზი ხდება მენეჯმენტი, მუშახელი ან ფინანსური რესურსები.

ბევრი ადამიანი მიდის ბიზნესში ადეკვატური დაგეგმვისა, ნამატი ღირებულების გაანალიზებისა და პოტენციური რისკის გათვალისწინების გარეშე. ბევრ აგრობიზნესმენს ჩანაწერების წარმოების და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა ძალზედ ცუდად აქვს ორგანიზებული, რაც იწვევს ფასების კონტროლის, პრობლემების გამოწერებისა და მოგების შესაძლებლობების გაანალიზების უნარობას.

მენეჯმენტი

ადამიანები არ გეგმავენ, რომ განიცადონ კრახი, ისინი კრახს განიცდიან, რადგან არ გეგმავენ.

როგორც კი შემოსავალი და ხარჯები დაიგეგმება და მოგებას ვერ მიიღებთ, ესე იგი, მას არც უნდა ელოდოთ. ასეთ დროს, შეაჩერეთ თქვენი ბიზნეს-წამოწყება. თუმცა, მაშინაც კი, თუ თქვენი პროგნოზი ითვალისწინებს მოგებას, თქვენმა ბიზნესმა შესაძლოა კრახი მაინც განიცადოს ბევრი ფაქტორის გამო. თუ ბიზნესი არ მუშაობს „ქაღალდზე“, ის რეალურად არ ფუნქციონირებს; მაშინაც კი, თუ ის მუშაობს „ქაღალდზე“, არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ ბიზნესი აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.

როდესაც თქვენ გეგმავთ და საკუთარ ბიზნესს ახორციელებთ, თავიდან აიცილეთ შემდეგი:

- არ ჩაყვინთოთ წყალში, სანამ არ გააკეთებთ წყლის პირველად ტესტირებას
- ერიდეთ მსხვილ შესყიდვებს კრედიტით
- ბაზრის მოსაძიებლად საჭირო დროის არასათანადოდ გაანგარიშება
- ბიზნესის დაწყება მცირედი ან, საერთოდ, გამოცდილების გარეშე და ერთხელ გაგონილის საფუძველზე

იმის მცდელობა, რომ გააკეთებთ მეტისმეტს მცირედი კაპიტალით არ დაუშვით წარუმატებლობა და მოულოდნელი ხარჯები ბიზნეს ციკლის არ გაზრება
ეფექტური მარკეტინგის პროგრამის უქონლობა
დიდი ღრრისა და თანხის დახარჯვა არაპროდუქტიულ და წამებთან საქმიანობაზე არასაკმარის კაპიტალური დახანდებების გაკეთება, რათა სამუშაოზე გადასახადები იქნას შემცირებული.
საქონელზე და მომსახურებაზე ფასების მეტისმეტი შემცირება და გაზრდა
კრედიტის მოცულობის გაუკონტროლებელი ზრდა
კრედიტის მოცულობის გაზრდა მეტისმეტად სწრაფად.

მუშასნელი

ბიზნესის სიძლიერე მის პერსონალშია. არასანდო და არაკვალიფიციური პერსონალის დასაქმება ბიზნესის წარუმატებლობის გარანტიაა. წარუმატებლობა იმანაც შეიძლება გამოიწვიოს, რომ თქვენ შეეცდებით ბიზნესით მეტისმეტად ბევრ ადამიანს დაეხმაროთ. მაგალითად, თუ თქვენ მოიყვანთ საკუთარ შეილებს ბიზნესში და მათ დაეხმარებით, ეს წარუმატებლობის ერთ-ერთი გარანტიაა.

მეტისმეტი სიამაყის და ვალდებულების გრძობის გამო კრედიტით დაგროვილი თანხები ბევრ შემთხვევაში საგალალო მდგომარეობაში ავდებს. როგორც ზემოთ იყო აღწერილი, მეწარმემ გულმოდგინედ უნდა იმუშაოს. ბევრი მულობელი შეცდომაში შედის, როცა ფიქრობს, რომ საკუთარი ბიზნესის ღრრს შეიძლება სამუშაოს შესრულება თავისუფალი განრიგით.

ფინანსური რისკისმომხრე

ფინანსური რესურსების მენეჯმენტი არ წარმოადგენს საეარჯიშოს, რომელიც უნდა შესრულდეს მხოლოდ ყოველი წლის დასაწყისში და ბოლოს. ის არის მიმდინარე ღონისძიება, რომელიც მოიცავს ფაქტორული შესრულებისა და შესაბამისი ქმედებების შედარებით გეგმებს. ფინანსური რესურსების მართვის ღრრს თავიდან აიცილეთ შემდეგი:

ბიზნესის დაწყება ძალზედ მცირედი კაპიტალით
ბიზნესის დაწყება ძალზედ დიდი კაპიტალით და თანხების არამიზანმიმართული ხარჯვა
ფულის სესხება თანხის ოდენობის და დაბრუნების ვადების დაგეგმვის გარეშე სრულყოფილი და ზუსტი აღრიცხვიანობის უქონლობა, რაც გამოიწვევს გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ სირთულეებსა და პრობლემებს.
მულანგველობის ჩვევის ბიზნესში გადმოტანა
გადასახადების, დახლევიის და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა ხარჯების გაუთვალისწინებლობა
ზედმეტად დამოკიდებულება უზრუნველყოფაზე (ვირაოზე)
სესხების არასათანადო სტრუქტურირება გამოწვეული სესხების დაფარვის პერიოდის და სესხების დაფარვის უნარის თანხვედრის არასწორი გათვლით.
ცხოვრებისეული ხარჯების არასწორი კონტროლი და ბიზნესიდან მეტის აღება, ვიდრე ბიზნესი რეალურად გამოიმუშავებს.

თუ შეგვემინდება რომ კრახს განვიციდით, არასდროს ვცდით. დაგეგმეთ, ისწავლეთ და გამოიკვლიეთ ნებისმიერი შესაძლო ასპექტი – შემდეგ კი გააკეთეთ მაქსიმუმი.

კრახის არ შვებუნიდლო

ბ-ნ მების ბიზნესმა 7-ჯერ განიცადა კრახი, სანამ მისი მალაზია ნიუ-იორკში საბოლოოდ არ ამუშავდა. ინგლისელმა მწერალმა ჯონ ქრიზიმ 753-ჯერ მიიღო უარი რედაქციისაგან, სანამ 564 წიგნს გამოაქვეყნებდა. არ იღვლეოთ იმაზე, რომ შეიძლება კრახი გელოდებოდეთ. იფიქრეთ იმაზე, თუ რამდენი შანსი გაუშვით ხელიდან, როდესაც არ გიცდიათ ბიზნესის დაწყება.

არასაკმარისი კაპიტალი

არასაკმარისი კაპიტალი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე ბიზნესის წარმატებლობისათვის. მცირე ბიზნესებს, მეტწილად, არ გააჩნია ახალი ბიზნესის დასაწყებად საკმარისი კაპიტალი იმისათვის რომ ახლად წამოწყებული საქმე პირველი 1-2 წელი კრახს გადაარჩინოს. ეს იგივეა, როდესაც მანქანას ბორბლების გარეშე აწყობა. ის შეიძლება აღიძრას, თუმცა წინ ვერ გადაადგილდება.

თქვენი აბრობიზნესის საფარმოს ანალიზი

ბევრ ადამიანს აქვს სურვილი, გახდეს მდიდარი იმ ბიზნესის დაწყებით, რომელიც ჩანს, რომ წარმატებული იქნება. თუმცა, ერთია, როცა ოცნებობ, და მეორე, რაც თქვენს ოცნებებს რეალურს ხდის. დასაწყისიდანვე ზუსტი დაგეგმვა თქვენი აბრობიზნესის წარმატების ერთ-ერთი გარანტიაა. დაგეგმვა მოიცავს საჭიროებების განსაზღვრას, ახლად ჩამოყალიბებული ფირმის ხელშეწყობის ფაქტორების გაანალიზებას, ბიზნესის საფუძვლების შემუშავებას და ბიზნეს-კვლევების წარმოებას.

მოთხოვნის განსაზღვრა

ბიზნესი წარმატებას აღწევს, თუ ის აკმაყოფილებს ეკონომიკურ მოთხოვნებს. მომავალი ბიზნეს-ოპორტუნობის ვალდებულებაა განსაზღვროს მოთხოვნილი ბიზნესის ტიპი. თავისუფალი მწარმოების სისტემა არაღირს აძლევს გარანტიას, რომ მისი ბიზნესი წარმატებას მიაღწევს, მხოლოდ იმის გამო, რომ ის ძალზედ სასურველი და საჭიროა. უნდა განისაზღვროს ბიზნესის მოთხოვნილი ტიპი და სათანადოდ ამუშავდეს. ათასობით ფირმა კოტრდება ყოველწლიურად, რადგან აწარმოებს პროდუქტს ან ეწევა მომსახურების არასწორარაშვსაბამის ტიპს ან არ შესწევს უნარი კარგი ბიზნესი განახორციელოს. ბევრმა ახლადშექმნილმა ბიზნესმა დიდ წარმატებას მიაღწია იმის გამო, რომ აწარმოებს ისეთ პროდუქტს ან ეწევა ისეთ მომსახურებას, რომელიც ხალხს ძალიან სჭირდება და ადამიანებს სურვილი უჩნდებათ მასში ფული გადაიხადონ.

აბრობიზნესის დასაწყებად განათმავლისწინამდელი შპატორები

ეინც აპირებს დაიწყოს აბრობიზნესი, საჭიროა მხედველობაში მიიღოს შემდეგი ფაქტორები:

რა შინაანსური რესურსებია საჭირო ბიზნესის დასაწყებად?

აბრობიზნესის თითოეული ტიპისათვის აუცილებელია მეწარმემ დაადგინოს კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნები. ასეთი გამოთვლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მეწარმემ ბიზნესის დასაწყებად ფული უნდა იხსნოს.

აბრევირების სახელი და მისი მნიშვნელობა

უნდა განხორციელდეს ხელმისაწვდომი კაპიტალის და ნაღდი ფულის პოტენციური მიმოქცევის მართებული ანალიზი ისე, რომ შეწარმებ განსაზღვროს, თუ რა თანხა ხელმისაწვდომი დაქირავებული პერსონალის ანაზღაურებისათვის.

მენეჯმენტის რა მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს?

ძირითადი კვალიფიკაცია ბიზნესის ტექნიკური ასპექტების ცოდნას წარმოადგენს: ამ შემთხვევაში, როგორც სოფლის მეურნეობასთან, ასევე სხვა ბიზნესთან დაკავშირებულ ოპერაციებს. საჭირო ტექნიკური ცოდნის გარდა, შეწარმე სათანადოდ უნდა აწარმოებდეს ჩანაწერებს, გააჩნდეს ინფორმაცია შრომითი კანონმდებლობის, გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების, მასალების მიწოდების წყაროების, ბაზრის, შრომითი რესურსებისა და ზოგადი ბიზნეს-პროცედურების შესახებ.

არსებობს თუ არა ბაზარი პროდუქტის ან მომსახურებისთვის?

თუ გვინდა მოგება მივიღოთ, პროდუქტი ან მომსახურება უნდა კასუხობდეს საბაზრო მოთხოვნებს. ამრიგად, აგრობიზნესში ბაზრის პოტენციალის შესწავლა მნიშვნელოვანი ნაბიჯია შეწარმის დასახმარებლად, თუ რომელი ტიპის აგრობიზნესი დაიწყოს.

სად უნდა განთავსდეს აბრევირების?

აგრობიზნესის [საწარმოს] მდებარეობა შესაძლოა მისი წარმატების განმსაზღვრელი იყოს. ადგილმდებარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ ბიზნესი დამოკიდებულია გარშემო მყოფ ადამიანებზე, რომლებიც პოტენციურ მომხმარებლებს წარმოადგენენ.

უნდა შეიძინოთ აბრევირების თუ დაიფუძოთ ახალი?

ზოგჯერ უკეთესია შეიძინოთ აგრობიზნესი, ვიდრე ახალი დაიწყოთ. მის შექმნას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მხედველობაში მიიღეთ შემდეგი:

დადებითი

გაძლევს ბიზნესის ხწრაფად დაწყების უფლებას
სარგებლობ უკვე მოზიდული მომხმარებელთა ბაზრით
გარკვეული ხარისხით ამცირებს კონკურენტის
ამცირებს ამ ბიზნესის ჩამოყალიბება-განხორციელების ხარჯებს
ქმნის ფინანსური ინფორმაციის ბაზას ხარჯებისა და მოგების გამოსათვლელად

უარყოფითი

თავიდან საჭიროა უფრო მეტი კაპიტალი
არ არის იმის დრო, რომ ისწავლო და გაეცნო, ვინაიდან ბიზნესი უკვე მიმდინარეობს
არასწორად გამოთვლილია და წარუმატებელი ბიზნესის ყოველი ალბათობა
შესაძლოა მისაღები იყოს ან არ იყოს ბიზნესის ადგილმდებარეობა
უსაფრთხოების დაკარგვა, რომელიც ბიზნესის გაფართოებასთან არის დაკავშირებული

ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ღირებული ასპექტის გამოარჩენის რისკი მოლაპარაკებების დროს შექენისათვის საჭირო იურიდიული მომსახურების ღირებულება ბიზნესიდან გასვლის ღირებულება, თუ გამოცდილება წარუმატებლობას გეჩივენებს.

ბიზნეს-პრინციპების გამომწვევა

არსებობს აგრობიზნესის ბევრი პრინციპი, რომელიც მეწარმეებმა უნდა იცოდნენ, როდესაც ბიზნესის სამყაროში შედიან, როგორც მფლობელები. ეს საფუძვლები გამოიყენება ბიზნესის ზომისა და მოცულობისაგან დამოუკიდებლად. აი რამდენიმე ფუნდამენტური ასპექტი:

შეუსაბამეთ ბიზნესის მოცულობა ხელმისაწვდომ კაპიტალს და პროგრესს მენეჯმენტის პოტენციალის განვითარებაში
აირჩიეთ ბიზნესი, რომელიც უფრო შრომა-ტევადია, და არა კაპიტალ-ტევადი
აღქაჯატური დრო დაუთმეთ მენეჯმენტის უნარ-შესაძლებლობების განვითარებას ეცადეთ დაასაქმოთ მუშახელის ოჯახის დარჩენილი წევრები თქვენთან ან სადმე ჩამოწერეთ გასაკეთებელი ოპერაციების გეგმა და შეასრულეთ ისწავლეთ და გააუმჯობესეთ ბიზნესი მუდმივად
წარმართეთ შესაბამისი ნაღდი ფულის ოპერაციები ისე, რომ არ გახდეს საჭირო ფულის ხესხება მაღალი სპროცენტო განაკვეთით
შეინარჩუნეთ საქონლის მარაგი იმ დონეზე, რაც უზრუნველყოფს მყიდველის მოთხოვნების დაკმაყოფილებას
მოგებიდან გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი თანხები, იმისათვის რომ თქვენი ბიზნესი განვითარდეს
მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი სახლის ფიზიკური საშუალებები
დაადგინეთ ფასები პროდუქტებზე და მომსახურებაზე ისე, რომ მიიღოთ მოგება, და იმედგეროულად ეს ფასები იყოს უფრო დაბალი ფასები ან იგივე, რასაც სხვა კონკურენტები აწესებენ
შეიძინეთ მაღალი ზარისხის მასალები და საჭირო ნივთები, რაც შეიძლება დაბალ ფასებში
მომსახურეთ მყიდველებს/კლიენტებს ზრდილობიანად და სამართლიანად
სამართლიანად მოეპყარით თანამშრომლებს

ბიზნეს კვლევების წარმოება

ზოგიერთი ადამიანი ბიზნესში მიდის „გრაზობასა“ და „ინტუიციასზე“ დაყრდნობით, რომ მისი ბიზნესი წარმატებას მიაღწევს. ამ საფუძველზე დამყარებულმა ბიზნესმა შესაძლოა წარმატებას მიაღწიოს. თუმცა რისკი ძალიან მაღალია და ბიზნესმენთა უმრავლესობა ამჟობინებს უფრო მყარ საფუძველს იმისათვის, რომ ბიზნესი დაიწყოს. ახალი ბიზნესის ეკონომიკური შესაძლებლობების გამოკვლევის პროცედურები დამოკიდებულია ბიზნესის ტიპზე. უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს გარკვეული ინფორმაცია შემოსავლებზე, ხარჯებსა და საბაზრო პოტენციალზე. მოუხედავად ბიზნესის ტიპისა და მოცულობისა, პასუხი უნდა გაეცეს ზოგიერთ ძირითად შეკითხვას:

- რა რესურსებია საჭირო?
- ეს რესურსები ხელმისაწვდომია თუ არა?
- რა არის ამ რესურსების ფასი?

- მენეჯმენტის რა ზარისხია საჭირო?
- აქვს თუ არა მფლობელს საჭირო გამოცდილება იმისათვის, რომ წამოიწყოს ბიზნესი?

უფრო მეტიც, უნდა იქნას გაანალიზებული პროდუქტის და მომსახურების მარკეტინგის მიზანშეწონილობა ეკონომიკური კუთხით. ამასთან დაკავშირებითაც ზოგიერთი შეკითხვა იბადება:

- არსებობს თუ არა ამ პროდუქტის/მომსახურების ერთი ან რამდენიმე ბაზარი?
- რა ფასად შეიძლება გაიყიდოს პროდუქტი ან მომსახურება?
- საკმარისია თუ არა ფასები იმისათვის, რომ დაიფაროს ხარჯები და გამოედევლოს მოუტანოს დამაკმაყოფილებელი მოგება?
- რამდენად სანდოა პოტენციური ბაზრები?
- რაში მდგომარეობს ბიზნესის მომავალი გაფართოების პოტენციური შესაძლებლობები?

ეს პასუხები უნდა შეიკრობოს და გაანალიზდეს, რის საფუძველზეც განისაზღვრება პროდუქტის და მომსახურების საბაზრო შესაძლებლობები.

ბიზნეს-გეგმის მომზადება

საოცარია, უამრავ ადამიანს აქვს სურვილი დაიწყოს აგრობიზნესი, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია ამის შესახებ. საბოლოო ჯამში, ისინი იწყებენ ამ იდეის განხილვას მეგობრებთან. ეს ის ეტაპია, როდესაც აუცილებელია ბიზნეს-გეგმის შემუშავება.

ბიზნეს-გეგმა არის ახალი ბიზნესის წერილობითი აღწერა და მოიცავს შემოთავაზებული ბიზნესის ყველა ასპექტს. ის გეხმარება თქვენ ფოკუსირება მოახდინოთ ზუსტად იმაზე, თუ რა გინდათ, როგორ გააკეთებთ და რას ელოდებით ბიზნესიდან. ბიზნეს-გეგმა აუცილებელია იმისათვის, რომ მიიღოთ დახმარება პოტენციური ინვესტორებისაგან და ფინანსური უწყებებიდან. თუმცა, არ არსებობს ბიზნეს-გეგმის სტანდარტული ფორმატი.

ბიზნეს გეგმა თითოეული საწარმოსათვის არის ერთადერთი. ბიზნეს გეგმის შედგენა გეხმარება გაანალიზოთ აგრობიზნესი, რომელიც უნდა დაიწყოთ. ის გეხმარება დასახული მიზნები იყოს რეალური, მართებული, დეტალური და ობიექტური. ბიზნეს-გეგმა გეხმარებათ თქვენი მიზნების და ამოცანების დასახვაში. უფრო მეტიც, ეს გეგმა დაგეხმარებათ დაარწმუნოთ ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც თქვენი ბიზნესის დაფინანსებას აპირებენ, რომ ამ ბიზნესს წარმატების დიდი შანსი აქვს. მხოლოდ ლოგიკურ ბიზნეს-გეგმებს ძალუძთ მათი დაარწმუნება. გახსოვდეთ, ბიზნეს-გეგმა შეიძლება შეიცვლოს, მაგრამ ქვემოთ მოყვანილი გეგმის კომპონენტები ძირითადად იგივე რჩება.

შემაჯავლო

დაიწყო შემოთავაზებული ბიზნესის მენეჯმენტი ორი ან სამ გვერდინი აღწერით. მოკლედ აღწერეთ ბიზნესი და განიხილეთ თქვენი ძირითადი მიზნები და ამოცანები.

ბიზნეს-გეგმის მოკლე შინაარსი

შესავალი
კომპანიის აღწერა
პროდუქტი და/ან მომსახურება
მენეჯმენტის გეგმა
მარკეტინგის გეგმა
ოურიდიული გეგმა (სამართლებრივი ფორმა)
ადგილმდებარეობის ანალიზი
ბიზნესთან დაკავშირებული რეგულაციები
საჭირო კაპიტალი
ფინანსური გეგმა
დაფინანსების ღონისძიებები
კონკურენცია
საოპერაციო გეგმა
დანართი

კომპანიის აღწერა

აღწერეთ კომპანიის ტიპი, ხოლო მისი არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ მისი ისტორიაც. აღნიშნეთ ტიპი: წარმოება, საცალო ვაჭრობა, თუ რაიმე სხვა მომსახურება და ა.შ.

პროდუქტი ან მომსახურება

აღწერეთ პროდუქტი და/ან მომსახურება. დაასახელეთ მისი უნიკალური თვისებები. ახსენით, თუ რატომ უნდა იყიდოს ხალხმა ეს პროდუქტი/მომსახურება.

მენეჯმენტის გეგმა

განსაზღვრეთ ძირითადი პერსონალი, ვინც უხელმძღვანელებს და წარმართავს კომპანიას. ხაზი გაუსვით მათ გამოცდილებასა და ცოდნას. დაურთეთ საორგანიზაციო სტრუქტურა და პერსონალის სამუშაოთა აღწერა.

მარკეტინგის გეგმა

აჩვენეთ პოტენციური მყიდველები და ასახეთ, რა სახის კონკურენციას ექნება ადგილი. განსაზღვრეთ მარკეტინგის სტრატეგია და აღნიშნეთ, თუ რა გახდის თქვენს კომპანიას უნიკალურს და ერთადერთს. სათანადოდ შეაფასეთ კონკურენტები. მიმოიხილეთ

წარმოების მოცულობა, მიმართულებები, მიზნობრივი საბაზრო სეგმენტი. განიხილეთ პროდუქტების და მომსახურების ძლიერი და სუსტი მხარეები.

იურიდიული გეგმა

მოუთითეთ იურიდიული ორგანიზაციის შემოთავაზებული ტიპი, რომელსაც მფლობელი აირჩევს: ინდივიდუალური, კომპანია, კოოპერატივი, შპს, სააქციო საზოგადოება, ფრანჩაიზი

ადგილმდებარეობის ანალიზი

უნდა გაკეთდეს მომხმარებლების ყოვლისმომცველი შესწავლა აგრობიზნესის შემოთავაზებულ სფეროში, ასევე უნდა გაკეთდეს საგზაო მოძრაობის ანალიზი და მანქანების და ქვეთად მოსიარულეთა გამოთვლა.

თქვენმა გეგმამ უნდა ასახოს ბიზნესის ადგილი, რაც სასურველია იყოს ადგილად მისაწვდომი და კარგად ხილული. ბევრ ბიზნესში ადგილმდებარეობა ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ბიზნესის რეგულირება

დაურთეთ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დადგენილებები, რომელთა გათვალისწინებით უნდა იმუშაოს აგრობიზნესმა. ზონების მიხედვით შეზღუდვები არეგულირებენ ბიზნესის ადგილმდებარეობას. დარწმუნდით, რომ დაზღვევის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. სახელმწიფო კანონი არეგულირებს საშუალო გარემოს, რომელსაც თქვენ უზრუნველყოფთ თქვენი თანამშრომლებისთვის და ბიზნესის გადასახადების სტრუქტურას.

საჭირო კაპიტალი

განსაზღვრეთ კაპიტალი, საჭირო ბიზნესის დაწყებისათვის და აღწერეთ თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სახსრების განკარგვა. დარწმუნდით, რომ ჯამი ფინანსური გეგმის შესაბამისი იყოს. ეს სფერო დიდი განხილვის საგანი გახდება მსესხებელი ორგანიზაციების მხრიდან, ასე რომ ნათლად და კონკრეტულად აღწერეთ.

ფინანსური გეგმა

დაიანგარიშეთ შემოსავლების, გასაღების და მოგების 5-წლიანი პროგნოზი. არ ჩათვალოთ, რომ ბიზნესი განვითარდება პირდაპირი გზით. დაარეგულირეთ თქვენი გეგმები ისე, რომ საშუალება მიეცეს თქვენს ბიზნესს გაიზარდოს. დაასაბუთეთ ლოგიკურად და განსაზღვრეთ ხარჯთაღრიცხვა. წინადადებები უნდა იყოს მისაღები და დაფუძნებული აგრობიზნესის მსგავს მიმართულებებზე. დარწმუნდით, რომ ჯამური თანხები შეესაბამება შემადგენელ თანხებს და მთლიანად გეგმას.

ფინანსური ღონისძიებები

ბანკს ან რომელიმე სხვა მსესხებელ ორგანიზაციას შეუძლია გასესხოთ თქვენ თანხები ბიზნესისათვის. თუმცა, შესაძლოა, მან სრულად ვერ დააკმაყოფილოს თქვენი ფინანსური მოთხოვნები. ამრიგად, უნდა მოქმედოთ სახსრების სხვა წყაროები, როგორც

არის ოჯახი, მეგობრები ან ინვესტორები. ფულს, რომელსაც ისინი აბანდებენ, ჰქვია საწარმოს კაპიტალი. დაფინანსებისათვის სხვა პოტენციური წყაროები შეადგენს პირად დანაზოგებს, მთავრობას (მცირე ბიზნესის ადმინისტრირება) და მომწოდებლებს. ეს ფინანსური ვალდებულებები შეიტანეთ თქვენს ბიზნეს-გეგმაში.

კონკურენცია

განსაზღვრეთ თქვენი კონკურენტუნარიანობა და ახსენით, თუ როგორ შეგიძლიათ შესთავაზოთ მაღალხარისხიანი და იაფი პროდუქტი, რათა სასურველი მოგება ნახოთ ბაზარზე. აჩვენეთ, თუ რა დანიშნულება აქვს თქვენს პროდუქტს ან მომსახურებას, რათა სპეციალიზაცია მოახდინოთ ამ კონკრეტულ სფეროში.

საოპერაციო გეგმა

ახსენით, თუ როგორ აპირებთ აწარმოოთ აგრობიზნესის ოპერაციები ყოველდღიურად. მოუთითეთ წარმოების ან საოპერაციო სისტემის ტიპი. აღწერეთ საშუალებები, პერსონალი, მასალები და თქვენი ბიზნესის მოთხოვნები.

დანართი

შეიტანეთ პროდუქტისა და მომსახურებისათვის ჩატარებული ყველა საბაზრო კვლევა (ანგარიშები, სტატისტიკა და ა.შ.), ასევე სხვა სახის ინფორმაცია პროდუქტის კონცეფციის ან საბაზრო მოცულობის შესახებ. დაურთეთ მასალების ბიბლიოგრაფია.

მიზნების დასახვა

წინასწარ დაგეგმვა თავიდან ავაცილებთ ცუდ წარმოებას. მიზნების დასახვა ძალზედ აუცილებელია თქვენი აგრობიზნესისათვის. თქვენ უნდა გქონდეთ დასახული მიზანი, რადგან ძალიან რთულია, მიაღწიოთ მიზანს თუ არ გაქვთ ის დასახული. ეს ნიშნავს დაბრუნდეთ იმ ადგილას, სადაც ადრე არასდროს ყოფილხარ. თუ გაქვთ სურვილი აგრობიზნესის სრული რეალიზაცია მოახდინოთ, უნდა ზუსტად განსაზღვროთ და ნათლად ჩამოაყალიბოთ თქვენი მიზნები.

აბრუბიზნესის ამოცანების დასახვა

ქვემოთ არის მოყვანილი ზოგადი წესები, რომელიც დაგეგმარებათ მიზნების დასახვაში:

მიზნების დაწესირება

მიზნების დასახვის საუკეთესო საშუალებაა მათი ჩამოწერა.

თქვენი მიზნების ორბანოცხება

თქვენ უნდა გქონდეთ დასახული კონკრეტული გეგმები, რომლებსაც უნდა მიაღწიოთ რამდენიმე დღეში, კვირაში ან თვეში, ასევე უნდა გქონდეთ დასახული მიზნები, რომელთა განხორციელებისათვის უნდა იმუშაოთ მრავალი წლის მანძილზე. შუალედში კი უნდა გქონდეთ დასახული ისეთი მიზნები, რომელთა შესრულებას ერთი ან ორი წელი დასჭირდება.

ჩამოაყალიბეთ თქვენი მიზნები ამ სამი კვლევის მიხედვით: დაუყოვნებლივი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები.

უახლოესი მიზნები ის მიზნებია, რომელთა შესრულების სურვილი გაქვთ ერთ დღეში, კვირაში ან თვეში. მეწარმის შემთხვევაში ეს ალბათ ის მიზანია, რომ პირველი ნაბიჯები განახორციელოს საკუთარი ბიზნისის ამოქმედებისათვის.

მოკლევადიანი მიზნები მოიცავს მიზნებს, რომელთა შესრულება დაგეგმილი გაქვთ ერთ ან ორ წელიწადში. ეს მიზნები მოიცავს იმ შუალედურ ნაბიჯებს, რომლებსაც გრძელვადიანი მიზნებისაკენ მივყევართ. მეწარმემ ბიზნისის გაუართობა ან მარკეტინგის დახვეწა დაუყოვნებლივ და გრძელვადიან მიზნებს შორის უნდა მოათავსოს.

გრძელვადიანი მიზნები ის მიზნებია, რომელთათვის საჭიროა მუშაობა მრავალი წლის მანძილზე. ის გიქმნით წარმოდგენას, თუ რა გინდათ გააკეთოთ თქვენი ბიზნისით მრავალი წლის მერე.

მიზნების მიღწევა

უსარგებლოა მიზნები, თუ თქვენ არ ცდილობთ მათ მიღწევას. მიყევით ქვემოთ ჩამოთვლილ ნაბიჯებს, რათა მიაღწიოთ დასახულ მიზანს.

დროის მართვა

პირველი ნაბიჯი მიზნის მისაღწევად იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლოთ დროის მართვა. იმისათვის, რომ მართლაც დრო, უნდა გააყნობიეროთ, თუ როგორ ხარჯაეთ მას. ყველას აქვს 24 საათი დღეში დასახარჯად და შესაბამისად 365 დღე წელიწადში. ზოგი ბევრს ასწრებს განკუთვნილ დროში, ზოგი ნაკლებს ან არაფერს.

შედეგულობაში მიიღეთ რომ გაქვთ 24 საათი დღეში. როგორ იყენებთ მას? ქვემოთ ჩამოთვლილი სამი გზა დაგეხმარებათ დროის წარმატებულ მართვაში.

- *თავიდან აიცილოთ საქმის გადაღება/გაუმართებლობა*: გადაღება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ არ არის იმის საჭიროება, რომ დაუყოვნებლივ გააკეთოთ საქმე. ხალხი, ვინც დროს მართავს კარგად, მთელ დროს ხარჯავს დასახული მიზნის მისაღწევად.

დროის შეფასება: მეორე საკითხი ის არის, რომ მიზნის მიღწევისათვის გაგაჩნდეს დროის შეფასების უნარი. გამოცდილებასთან ერთად შეგვექმნება უნარი, გაანალიზოთ, თუ რამდენი დროა საჭირო სხვადასხვა საქმიანობის წარმოებისათვის.

დაგეგმეთ თქვენი დრო: იყავით რეალისტები. თქვენ ვერ შეასრულებთ სამუშაოს კარგად, თუ არ გამოყოფთ საქმარის დროს სამუშაოს სათანადოდ დასრულებისათვის. მეორეს მხრივ, არ გამოყოფთ ბევრი დრო იმ პროექტისათვის, თუ თვლით, რომ ის არის დროის ფუჭად ხარჯვა.

პრიორიტეტების განსაზღვრა

ზოგიერთი მიზანი თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა. ამიტომ, გამოიყენეთ ქულების სისტემა პრიორიტეტების ნუსხის განსაზღვრისათვის. მიეცით მაქსიმალური ქულა 10 ყველაზე უფრო პრიორიტეტულ მიზნებს და დაიწყეთ მიზნების განხორციელება სწორედ ამ პრიორიტეტებიდან. როდესაც შეასრულებთ დასახულ მიზანს,

გადადით ნაკლებად პრიორიტეტული ამოცანების შესრულებაზე. პრიორიტეტების დასახვით, თქვენ დროს გამოიყენებთ იმისათვის, რომ არამარტო გულმოგინედ იმუშაოთ, არამედ უფრო ჭკვიანურადაც.

მიზნების დაცვრა

საკუთესო ამოცანები დიდი ამოცანებია. გრძელვადიანი მიზნები გეხმარებათ თქვენ გადალახოთ ყოველდღიური უსიამოვნებები და წინააღმდეგობები, რომლებსაც აწყდებით დაუყოვნებლივი მიზნების მიღწევის პროცესში. თუმცა, დიდი მიზნები არ მიიღწევა ერთ დღეში. თუ მათ დაყოფთ მართვად ელემენტებად, რომლებიც დაუყოვნებლივი მიზნები ხდება, მაშინ დაინახავთ პროგრესს. დიდი მიზნისაკენ გზაზე მიღწეული მცირე მიზნის შედეგი ძალზედ გამამხებველებელია. იფიქრეთ, როგორ მიადწიოთ მიზნებს ყოველდღიურად.

ბიზნესს ამოცანების მატალითი

ნენსი ბეკერი ეს-ესა იწყებს ასალ ბიზნესს. იმ პატარა ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს, არ არის ყვაილების მაღაზია და ხალხი უკვეთავს ყვაილებს დიდი ქალაქიდან, რომელიც 12 მილის დაშორებითაა. ნენსის უზომოდ უყვარდა ყვაილები. მის მეგობრებს ყოველთვის მოსწონდათ მისი სახლი, რომელიც ლამაზად იყო მორთული. ორ წელიწადში მან მოაწყო სათბური სახლის უკანა ეზოში. ამის მერე მისი მეგობრები ხშირად სთხოვდნენ მას ყვაილების კონების გაკეთებას საჩუქრებისათვის და მალე მისი ტალანტის წყალობით, მან მომეზიანი ბიზნესი წამოიწყო. ნენსიმ მოაშადა მიზნების საა ქვეშით არის მოყვანილი ნენსის მიზნები

დაუყოვნებლივი მიზნები

- ბიზნეს გეგმის შემუშავება, იმისათვის რომ განისაზღვროს, თუ რა კაპიტალია საჭირო. როდის და როგორ იქნება სესხი დაფარული?
- მიიღო კაპიტალი და გააფართოვო სათბური, შეიძინო გამაცივებელი დანადგარი და გახსნა პატარა მაღაზია
გქონდეს საკმარისი შემოსავალი, რათა გარანტირებული იყოს ბიზნესი ეფექტური ნაღდი ფულის ნაკადის დინებით
დარჩე ვალის განსაზღვრულ საზღვრებში
გაყილო, როგორც ახლად მოკრეფილი, ისე ქონის ყვაილები
ვაზების და სხვა საჭირო ატრიბუტიკის მოშროდებლების განსაზღვრა

მოკლევადიანი მიზნები

თავდაპირველი სესხის დაფარვა
გაფართოების კაპიტალიზება: სავარაუდოდ აბრეშუმის მოხატულობის და ბალის მკენარეების გაშენება
ყვაილებით უზრუნველყოფა, ქორწილების მორთვა და ა.შ
შემოსავლის მიღება, რომელიც ხარჯებზე მეტია

ბრაქელვადიანი მიზნები

პერსონალის დაქირავება და გაწვრთნა, რათა კომპანიის შესაძლებლობები გაიზარდოს (შევსრულების აღება, დასვენება)
გაზარდო ბაზარი და რეალური ფასი დააწესო პროდუქციაზე, იმისათვის რომ მოიზიდო ახალი კლიენტები დიდი ქალაქებიდან
გახდეს ფინანსურად დაეყურო
გაყიდო კომპანია და პენსიაზე გახვიდე სოლიდური მოგებით.

პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება

ხალხი, ვინც გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს აგრობიზნესს, მრავალი პრობლემის წინაშე დადგება. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრაზე დამოკიდებული ბიზნესის წარმატება. პრობლემის გადაჭრისათვის, ახალი ან სხვა სახის ღონისძიებები შესაძლოა საჭირო გახდეს, რათა ეს პრობლემა მოგვარდეს. პროცესს, რომლის მეშვეობით ახალი ღონისძიება აირჩევა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჰქვია. შესაძლებელია თქვენ საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღოთ, თუმცა პრობლემა მაინც არ იქნას მოგვარებული. ისეთი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, რომელიც პრობლემას მთლიანად აღმოფხვრის.

საბირრო ცოდნა პრობლემის მოგვარების და გადაწყვეტილების მიღებისათვის

ლოუდ ფილიპსი თვლის, რომ ხალხს უნდა გააჩნდეს პრობლემების მოგვარების და გადაწყვეტილებების მიღების სპეციალური ცოდნა. მათ შორის:

- პრობლემური სიტუაციის გათვითცნობიერება
 - პრობლემის განსაზღვრა
 - მიზნების/ამოცანების ნათლად დასახვა
 - პრობლემების წარმოსახვითი გზით გადაჭრა
 - ინფორმაციის მოპოვება პრობლემების შესაძლო გადაჭრის შესახებ
 - ობიექტურობა სხვების მიერ პრობლემების გადაჭრის მიმართ
 - გადაწყვეტილების მიღება ან უარყოფის შესახებ ინფორმაციის დეტალური შეფასება
 - სხვებთან ერთად მუშაობა პრობლემის დაძლევისათვის
 - თავიდან აცილება დაუსაბუთებელი დაკენების გაკეთებისა; მიიღეთ ის ფაქტი, რომ თქვენ შეიძლება დაუმუაო შეცდომები. გვერდზე გადადეთ აზრები, გრძობები, ემოციები და საკუთარი ინტერესები, რაც ხელს შეუშლის ობიექტურად ფიქრის საშუალებას
- სხვადასხვა ტიპის პრობლემების გაგება და მათი გადაჭრის ტექნიკა
პრობლემის გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღებისადმი სისტემატური მიდგომის გააზრება და გამოყენება

გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ტიპი

ველა ერთნაირად ვერ იღებს გადაწყვეტილებას. რაც ერთი კაცისათვის მნიშვნელოვანია, ის მეორისათვის შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს. გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმიც შესაძლოა განსხვავდებოდეს. კრიტერიუმები

გამოიყენება სტანდარტის ან ტექსტის შექმნისათვის, რომლის მიხედვით შედარება ხდება განიხილულ გადაწყვეტილების მიღების შემდეგი სამი კონკრეტული ტიპი:

რეფლექსური ტიპი. ამ ტიპის ხალხი გადაწყვეტილებებს იღებს ძალიან სწრაფად. ადამიანთა ეს ტიპი არ უთმობს დროს იმას, რომ დეტალურად განიხილოს გადაწყვეტილებების მიღების ყველა ალტერნატივა და შედეგი. თუმცა, ამ ხალხს არ ახასიათებს საქმის ბოლო წუთამდე გადადება.

მთაზროვნე ტიპი. ამ ტიპის ხალხს ახასიათებს ყველა ფაქტის და ქმედების აწონ-დაწონა, სანამ საბოლოო დასკვნას გააკეთებს. ეს გამოირიცხავს ბევრ შესაძლო პრობლემას გადაწყვეტილების არქარებულ მიღებასთან დაკავშირებით. თუმცა ზოგჯერ გადაწყვეტილება შეიძლება გაკეთდეს იმდენად გვიან, რომ მისგან არანაირი სარგებელი არ იყოს.

თანამომდევრული ტიპი. ეს არის ყველაზე მეტად მისაღები ტიპი. ის აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილი ორი ტიპის საუკეთესო თვისებებს. ეს ადამიანები განიხილავენ ყველა ფაქტს და შემდეგ მოქმედებენ თანამომდევრულად.

ნაბიჯები პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის

პრობლემის გადაჭრის სისტემატურ მიდგომას შეიძლება დიდი სარგებელი ჰქონდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. ნაბიჯები იმ მეცნიერული მეთოდის ნაბიჯების მსგავსია, რომელსაც მეცნიერები იყენებენ ექსპერიმენტის დროს. არსებობს 7 ნაბიჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ მეთოდთან.

ნაბიჯი 1. პრობლემის გათვითწარმოვრება. პრობლემები გარდაუვალია და უნდა იქნას გადაჭრილი. თუ აძირებით წარმატების მიღწევას, არ უგულებელყოთ პრობლემები. პირველი ნაბიჯი პრობლემის გადაჭრისათვის იმაში მდგომარეობს, რომ გაიაზრო ის ფაქტი, რომ პრობლემა გაქვს და საჭიროა მისი გადაწყვეტა.

ნაბიჯი 2. განსაზღვრეთ ალტერნატივები. როგორც კი დაადგენთ პრობლემას, საჭიროა განსაზღვროთ მისი გადაჭრის ალტერნატივები. არსებობს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის ბევრი ალტერნატივა, თქვენ თითოეული ალტერნატივა უნდა განიხილოთ, სანამ მიიღებთ გადაწყვეტილებას. შესაძლოა ძალიან დაგეხმაროთ ალტერნატივების ქალაქზე ჩამოწერა.

ნაბიჯი 3. ინფორმაციის შეგროვება. როგორც კი ჩამოთვლით ალტერნატივებს, საჭიროა მოავროოთ ინფორმაცია თითოეულთან დაკავშირებით. მხოლოდ აზრებზე, ემოციებზე და გრძობებზე დაყრდნობამ შესაძლოა გამოიწვიოს გადაწყვეტილების მიღება სიჩქარეში, რაზეც შემდგომ შეიძლება ძალიან ინანოთ. რეალური და ობიექტური ინფორმაციის მოპოვებისათვის დაუსვით თქვენს თავს შემდეგი შეკითხვები: რა მჭირდება ეიკოლე თითოეული ალტერნატივის შესახებ? რა მასალა ან ინფორმაციაა საჭირო თითოეული ალტერნატივის განსაზოცილებლად? რა თანხები იქნება საჭირო? ვარგისია თუ არა ესა თუ ის ალტერნატივა საერთოდ?

ნაბიჯი 4. ალტერნატივების შეფასება. როგორც კი შეგროვდება ალტერნატივები, თქვენ უნდა შეაფასოთ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაბიჯი 5. აირჩიეთ ის გადაწყვეტილება, რომელიც არის შესრულებადი.

მას მერე რაც შეაფასებთ თითოეულ ალტერნატივას და მის შესაძლო შედეგებს, თქვენ უნდა აირჩიოთ ისეთი, რომელიც პრობლემის გადაჭრისათვის ყველაზე უფრო პრაქტიკული, რაციონალური და ეფექტური იქნება.

ნაბიჯი 6. გადაწყვეტილება. როდესაც დაადგენთ მოქმედების მიმართულებას, დაიწყეთ პრობლემის გადაჭრა. თუ ამას ვერ შეძლებთ, მაშინ დრო და ენერგია ფუჭად დაგიხარჯავთ.

ნახივე 7. შეფასეთ თქვენი შედეგები. პრობლემის გადაჭრის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არ სრულდება მაშინ, როდესაც შემოთავაზებული პრობლემა გადაიჭრება. ის სრულდება მომავალში, როდესაც თქვენ მიხედვით, რომ პრობლემა მოგვარებულია და დადებით, ძველმა თუ ახალმა პრობლემამ იჩინა თავი ცვლად. შეფასება კარგი გადაწყვეტილების მიღების გარანტიაა და ხელს უწყობს მომავალი კორექტივების უზრუნველყოფას, იმისათვის, რომ პრობლემა მოგვარდეს ან უარყოფილ იქნას. და პროცესი თავიდან დაიწყოს.

დასკვნა

გახსოვდეთ, რომ მიზნის მიღწევისათვის მრავალ წინააღმდეგობას წააწყდებით. ზოგიერთი წინააღმდეგობა შეიძლება წინასწარ განიჭვიროთ. თუ მომზადებული ხართ ასეთი დაბრკოლებისათვის, თქვენ მეტი დრო და ენერჯია გექნებათ გაუმკლავდეთ მოულოდნელ წინააღმდეგობებს. თუ თქვენი ბიზნეს გეგმები საჭიროებს დროის დიდ ნაწილს, თქვენ უნდა მოიფიქროთ, როგორ შეასრულებთ თქვენს ვალდებულებებს ოჯახთან დაკავშირებით. თქვენი მიზნები შესაძლოა კონფლიქტში მოვიდეს სხვების მიზნებთან. დარწმუნდით იმაში, რომ სხვებმა იციან რა არის თქვენი მიზნები.

პირობები იცვლება ასაკთან, ჯანმრთელობასთან და ოჯახისადმი ვალდებულებებთან ერთად. მომზადდეთ ხელახლა შეაფასოთ თქვენი მიზნები. თქვენ შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ საჭიროა მათი სტრუქტურის შეცვლა, ვინაიდან შეიცვალა თქვენი პრიორიტეტები. გადაწყვეტილების მიღების არ შეგეშინდეთ. არ იგონოთ თავი დამარცხებულად, თუ გადაწყვეტილების მიღებამ არასასურველი შედეგი გამოიღო. ზოგჯერ საუკეთესო გადაწყვეტილებასაც შესაძლოა ცუდი შედეგები მოჰყვეს. ყველაზე წარმატებული ბიზნესმენი ის არის, ვინც სარგებელს ნახავს დაშვებული შეცდომებიდან და გააგრძელებს საქმიანობას. შეიმუშავეთ ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც დაეფუძნება მიზნებს და დაიწყებს მათ შესრულებას ნახივე-ნახივე. კარგად უნდა გადაწყვიტოთ, თუ რა სახის ბიზნესის დაწყების სურვილი გაქვთ. ყველაფერს ვერ ნახაოთ ერთ ბიზნესში: ადვილად დაწყება, კარგი დაწყება და ანაზღაურება. აირჩიეთ ის მასსიათებლები, რაც ყველაზე მეტად გჭირდებათ, დაგეგმეთ, დასახეთ მიზნები და დაიწყეთ საქმიანობა.

შეჯამება

იმის მოუხედავად, რომ აგრობიზნესის მრავალ სტუდენტს არ გააჩნია საკუთარი ბიზნესი, მნიშვნელოვანია ძირითადი პროცესების გაგება აგრობიზნესის დაგეგმვასა და ორგანიზებასთან დაკავშირებით. როგორც კი შევლოვართ აგრობიზნესში, უნდა გადავწყვიტოთ, ჩვენთვის ვუშუაობთ თუ სხვისთვის.

მცირე ბიზნესი, რომელიც შედის აგრობიზნესში, ხალხის დასაქმების რაოდენობის თვალსაზრისით, არ არის მცირე. მცირე ბიზნესი აშშ-ს ეკონომიკის ნამდვილად დიდ ნაწილს წარმოადგენს. ნაკიის დასაქმებულობა მცირე ბიზნესში მოიცავს 90 %-ს.

ყველა არ შეიძლება გახდეს მეწარმე. მეწარმე არის ადამიანი, ვისაც გააჩნია საწყისი ხედვა, მონდომება და ენა. ის თავის თავზე იღებს ყველა სახის რისკს, რაც ბიზნესის დაწყებასთან არის დაკავშირებული. მეწარმე ასევე უნდა იყოს დამოუკიდებელი, ორგანიზებული, ოპტიმისტი, ემოციურად გაწონასწორებული, პრობლემის მოგვარებელი, რისიკანი და ა.შ.

აგრობიზნესში წარმატების მიღწევა რთულია. სამ ამოცანასთან გექნებათ საქმე. ეს არის სრული პასუხისმგებლობა; ხანგრძლივი, არანორმირებული სამუშაო საათები და ფინანსური რისკი ბიზნესის დაწყებიდან მე-4 წელს შანსები 50-50-ზეა.

ბეერი მიზეზი არსებობს იმისა, რომ აგრობიზნესმა კრაზი განიცადა. უმრავლეს შემთხვევაში იგი დაკავშირებულია ცუდ მენეჯმენტთან, მუშახელის და ფინანსური რესურსების არასათანადოდ გამოყენებასთან. ბეერი ადამიანი მიღის ბიზნესში პოტენციური რისკის გაანალიზების გარეშე. არასაიმედო და არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავება სწრაფად გამოიწვევს თქვენი ბიზნესის კრახს.

თავიდანვე დეტალური დაგეგმვა არის თქვენი ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზა. აგრობიზნესის ყოველი პოტენციური მხარე უნდა იყოს გაანალიზებული. დაგეგმვაში შედის საჭიროებების გაცნობიერება, წამოწყების ფაქტორების განხილვა და ბიზნეს კვლევის წარმოება.

ბიზნეს-გეგმა არის ახალი ბიზნესის წერილობითი აღწერა და მოიცავს შემოთავაზებული ბიზნესის ყველა ასპექტს. ის გეზმარებათ თქვენ ფოკუსირება გააკეთოთ ზუსტად იმაზე, თუ რა გინდათ, როგორ გააკეთებთ და რას ელოდებით, რომ მიაღწიოთ თქვენი ბიზნეს წამოწყებით. ბიზნეს-გეგმა აუცილებელია იმისათვის, რათა პოტენციური ინვესტორებისა და ფინანსური უწყებებისგან მიიღოთ დახმარება ბიზნესის დაწყებისათვის.

თქვენ უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული, ზუსტად დაწერილი და ნათლად დასახული მიზნები, თუ სურვილი გაქვთ თქვენი აგრობიზნესის სრული რეალიზაცია მოახდინოთ. უნდა ჩამოწეროთ მთავარი მიზნები და დაყოთ ისინი დაუყოვნებლივ, მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებად. დასაზოთ მიზნის მიღწევის პრიორიტეტები.

პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილებების მიღების უნარი გულისხმობს იმ განსხვავებებს, რომელიც არსებობს საუკეთესოს და უნიჭობას შორის. თუ ხარ დიდი კორპორაციის თანამშრომელი ან აგრობიზნესის მფლობელი, შენი წარმატება განისაზღვრება იმით, თუ როგორ შეგვწევს უნარი გადალახო პრობლემა. წარმატებას ხშირად ის ხალხი აღწევს, ვინც გვემავს, ხოლო ვინც გვემავს, ის მიზანს აღწევს.

შეკითხვების მიმოხილვა

1. განსაზღვრეთ აუცილებელი ტერმინები
2. ჩამოთვალეთ 9 მიზეზი, თუ რატომ აქვს ხალხს სურვილი გაიღოს რისკი ბიზნესის დაწყებისათვის?
3. დაასახელეთ 15 თვისება მეწარმისათვის, რათა ის წარმატებული იყოს?
4. რა არის მეწარმობის სამი ძირითადი მოთხოვნა?
5. დაასახელეთ მეწარმის 5 პასუხისმგებლობა?
6. დაასახელეთ მენეჯმენტის 13 გადაწყვეტილება, რამაც შეიძლება აგრობიზნესის კრაზი გამოიწვიოს?
7. დაასახელეთ 9 საკითხი, რომელიც თავიდან უნდა აიცილოთ ფინანსური რესურსების მართვისას?

შეამსოთ ცარიელი დაბილვა

1. როდესაც საქმე სამუშაოს ეხება, მცირე ბიზნესი მოიცავს დაქირავებული ხალხის რაოდენობის _____ პროცენტს.
2. ახალი სამუშაო ადგილების _____ პროცენტი კერძო სექტორზე მოდის
3. დაახლოებით _____ შეადგენს სრულ და არასრულ ბიზნესს სახლის პირობებში, აშშ-ში.
4. არაფერმერული ბიზნესიდან აშშ-ში თითქმის _____ პროცენტი მიჩნეულია მცირე ბიზნესად SBA სტანდარტების მიხედვით.
5. მცირე ბიზნესი წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის _____ პროცენტს.

აპრობიზნის ტიპი

წინამდებარე თავის დამთავრების შემდეგ, სტუდენტმა უნდა შეძლოს შემდეგი:

- ინდივიდუალური საწარმოს, ამხანაგობის და კორპორაციების ერთმანეთთან შედარება
- ჩამოთვალის ინდივიდუალური საწარმოს დამახასიათებელი თვისებები
- ამხანაგობის დახასიათება
- კორპორაციების სხვადასხვა სახეობების შესახებ მსჯელობა
- კოოპერატივების მახასიათებლებისა და მნიშვნელობის აღწერა
- ფრანჩაიზის მახასიათებლების აღწერა.

აუცილებელი ცნებები:

დირექტორთა საბჭო

ჩვეულებრივი აქცია

კოოპერატივი

კორპორაციის წესდება

კორპორაცია

ღივიღენდი

ორმაგი დაბეჭერა

ფრანჩაიზი

საეკონომიკო საწარმო, რომელიც ფრანჩაიზინგის პრინციპებზეა დაფუძნებული

ზოგადი ამხანაგობა

იურიდიული კლასიფიკაცია

იურიდიული პირი

იურიდიული სტრუქტურა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მარკეტინგის კოოპერატივები

მშობელი კომპანია

ამხანაგობა

პრივილეგირებული აქცია

კერძო საწარმო

აქცია

აქციონერი

შეუზღუდავი ვალდებულებები

ენიდან საზოგადოება უფრო და უფრო კომპლექსური ხდება, აგრარული ბიზნესის სასურველი ტიპის არჩევის პროცესი ანუ იურიდიული სტრუქტურა ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს. სახელმწიფო უწყებების მიერ შეზღუდვების მოცულობა, გადასახადების სტრუქტურა და სხვა იურიდიული მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იურიდიული კლასიფიკაციის საფუძველზე.

აგრობიზნესის ტიპი ან იურიდიული კლასიფიკაცია, რომელსაც თქვენ აირჩევთ, განსაზღვრავს თქვენი ბიზნესის წარმატებას ან წარუმატებლობას. იმის მოუხედავად, რომ არსებობს ბევრი სპეციფიკური იურიდიული სტრუქტურა, იურიდიული სპეციალისტების უმრავლესობა თვლის, რომ ბიზნეს ორგანიზაციის სამი მთავარი ტიპი შედგება: 1)

ინდივიდუალური საწარმოს, 2) ამხანაგობისა და 3) კორპორაციისგან. კორპორაციის საბი ტიპი ჩვეულებრივი კორპორაციებია, ოჯახური ფერმები და მცირე ბიზნესი და კოოპერატივები. კოოპერატიული კორპორაციების მნიშვნელობა იზრდება და ბევრი თვლის, რომ კოოპერატივები ბიზნესის მეთხე მთავარი ტიპია. სხვა კორპორაცია, რომელიც ასევე ბიზნესის ორგანიზაციის სპეციალურ ფორმას წარმოადგენს, არის ფრანჩაიზი, რომელიც აგრობიზნესის მეხუთე ტიპს განეკუთვნება.

თუ აძირებთ ტრაქტორის შეკეთების სახელოსნო გახსნათ, თქვენ იქნებით ერთადერთი მფლობელი. თუ აძირებთ გქონდეთ საწარმოო მოწყობილობები, თქვენ ალბათ გეყოლებათ პარტნიორები ან ჩამოყალიბებთ კორპორაციას. თუ გინდათ გქონდეთ სწრაფი კვების ქსელი, უნდა გქონდეთ ფრანჩაიზ ბიზნესი. თქვენ უნდა შეაფასოთ იურიდიული კლასიფიკაციის ყველა ფორმა, რომ გადაწყვიტოთ თქვენთვის სასურველი ტიპი. როდესაც თქვენი ბიზნესი გაიზრდება, შესაძლოა საკუთრების ფორმა შეიცვალოს.

ინდივიდუალური საწარმოს, ამხანაგობის (პარტნიორული კომპანია) და კორპორაციის მართანმეთან შედარება

აგრობიზნესის ზოგიერთი ტიპის დაწყება ძალზედ ადვილია. მაგალითად ისეთის, როგორცაა გაზონების და გაშენების ბიზნესი. ორგანიზაციას, რომელიც ერთი კაცის საკუთრებაა და მხოლოდ ერთი ადამიანი მართავს, ეწოდება ინდივიდუალური საწარმო. ეს ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმაა აშშ-ში და 12 მილიონზე მეტ ბიზნესს მოიცავს.

ბევრი ადამიანი განიცდის ფულის, დროის და სურვილის უქონლობას, რათა ბიზნესი წამოიწყოს დამოუკიდებლად. ისინი ამჯობნიბენ გვერდით ჰყავდეთ ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაეხმარება მათ დაიწყონ აგრობიზნესი. როდესაც ორი ან ორზე მეტი ადამიანი იურიდიულად თანხმდება გახდეს ბიზნესის თანამესაკუთრე, ასეთ კომპანიას ეწოდება ამხანაგური. აშშ-ში დაახლოებით 1.4 მილიონი ამხანაგური კომპანიაა შექმნილი.

ზოგჯერ საუკეთესოა ბიზნესის დაწყება, რომელიც მესაკუთრეებზე არ არის დამოკიდებული. ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ქმედების უფლებები და ვალდებულებები მათი მფლობელებისაგან დამოუკიდებლად. მას ეწოდება კორპორაცია. მხოლოდ 2.8 მილიონი კორპორაციაა შექმნილი აშშ-ში, რაც მოიცავს მთლიანი ბიზნესების 17%-ს, ხოლო მათი გაყიდვები მთლიანი გაყიდვების 87%-ს შეადგენს.

ამრიგად, როდესაც ახალ აგრობიზნესს იწყებ, უნდა განიხილო ყველა სტრუქტურასთან დაკავშირებული ხელსაყრელი და არახელსაყრელი პირობები. იმის მიუხედავად, რომ ინდივიდუალური საწარმოები განვითარებულა ინდუსტრიის ყველა სფეროში, გარდა წარმოებისა, ისინი მაინც განსაკუთრებულად დომინანტურები აგრობიზნესში არიან, კერძოდ, ხე-ტყისა და მეთევზეობის ბიზნესში. კორპორაციული სისტემა უფრო ნაკლებად განვითარებულა ამ სფეროებში, მაგრამ ისინი აჭარბებენ ამხანაგურ ორგანიზაციებს ინდუსტრიის ყველა დარგში. ახლა კი უფრო ახლოს გავეცნობთ თითოეულ მათგანს.

ინდივიდუალური საწარმო

ინდივიდუალური საწარმო იურიდიული სტრუქტურის მთავარი ტიპია არა მარტო აგარარულ ინდუსტრიაში, არამედ ბევრ სხვა სფეროშიც. ეს არის ბიზნესის მარტივი ტიპი და მისი ორგანიზება ადვილია. ის ახლოსაა ამერიკულ ოცნებასთან, სადაც ყველაფერი მფლობელის კონტროლის ქვეშაა. ეს ტიპი ზოგადად მცირე ბიზნესთან ასოცირდება. ინდივიდუალური საწარმო საჭიროებს პერსონალის მომსახურებას. ასეთი საწარმო უნდა იყოს საკმარისად მოქნილი იმისათვის, რომ ყველა ტიპის მყიდველები დააკმაყოფილოს.

უპირატესობა

ინდივიდუალურ საწარმოს რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. როგორც აღვნიშნეთ, იოლია ასეთი ტიპის ბიზნესის წამოწყება. ადგილობრივი კანონების მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან ერთადერთი მოთხოვნა შეიძლება იყოს ლიცენზიის მოთხოვნა, რომელიც მეწარმეს ოფიციალურ უფლებას ანიჭებს განახორციელოს ბიზნესი. მენეჯმენტი და მართვა მხოლოდ მესაკუთრის ზღვშია. საჭირო არ არის მესაკუთრის არჩევა. ეს აძლევს მესაკუთრეებს უფლებას, სხვებთან მოლაპარაკების გარეშე სწრაფად მიიღონ გადაწყვეტილებები. მათ შეუძლიათ თვითონ აირჩიონ პროდუქცია და დააწესონ სამუშაო საათები. მეორე უპირატესობა ის არის, რომ ისინი ბიზნესიდან მთელ მოგებას იღებენ. საბოლოოდ, ინდივიდუალური მეწარმე მხოლოდ ერთხელ იხდის კომპანიის საშემოსავლო გადასახადს.

ნაკლწმანება

იმის მიუხედავად, რომ დიდი აქცენტი გვაკეთებთ ინდივიდუალური საწარმოს უპირატესობებზე, მაინც არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები. ძირითადი არის ბიზნეს დავალიანებების გადაუხდელობის გამო კრედიტორების მხრიდან ჩვეილი და პრეტენზიები, რაც შესაძლო საფრთხეს შეუქმნის არა მარტო მესაკუთრის პირად აქტივებს, არამედ ბიზნეს საკუთრებას. ასეთ ურთიერთობას შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ეწოდება. მეორე ნაკლოვანება ერთადერთი მფლობელის შემთხვევაში ის არის, რომ ბიზნესის დაწყებისა და ამუშავებისათვის საჭიროა დიდი კაპიტალი, რაც ღრეს იშვიათობას წარმოადგენს.

ზოგიერთ შემთხვევაში მესაკუთრე შესაძლოა კარგი იყოს თავის ბიზნესში (ტრაქტორების შეკეთება და სხვა), მაგრამ არ გააჩნდეს ბიზნეს გამოცდილება სხვა სფეროში, თუნდაც მენეჯმენტში, შრომით რესურსებსა ან სავადასახადო ანგარიშების მომზადებაში. მესაკუთრეებმა უნდა მოიძიონ დახმარება გარედან, რათა ბიზნესი არ ჩაუარდეს. შემდეგი არახელსაყრელი პირობა ის არის, რომ ამ ტიპის ბიზნესს შეზღუდული სიცოცხლე აქვს. ბიზნესი ოფიციალურად მაშინ დასრუდება, როდესაც მესაკუთრე ყიდის საკუთარ ბიზნესს ან კვდება. ვინმე შესაძლოა შეიძინოს ბიზნესი მესაკუთრისაგან, მაგრამ ბიზნესის წარმატება ასევე შესაძლებელია, რომ ყოფილი მესაკუთრის სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებაზე იყოს დამოკიდებული.

ინდივიდუალური მეწარმობა

უპირატესობა

- ბიზნესის დაწყების და დასრულების სიადვილე
- შენი თავის ბოსი თავად ხარ
- მესაკუთრეობის სიამაყე
- მოგების შენარჩუნება
- არანაირი სპეციალური გადასახადები
- მარტივი და მოქნილი
- გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად
- ორგანიზაციის ან საქმიანობის შეცვლა ადვილად და სწრაფად
- შედარებით მცირე საწესი კაპიტალის მოთხოვნა
- სახელმწიფო დადგენილებების სიმცირე
- შეთავაზების შესაძლებლობები

ნაკლოვნება

შეზღუდული ვალდებულება – დაკარგვის რისკი
შეზღუდული ფინანსური რესურსები
მენეჯმენტის სირთულე
დიდი დროითი ვალდებულება
მცირედენი დამატებითი შეღავათები
შეზღუდული ზრდა
შეზღუდული სიცოცხლე
ბიზნესი და შესაქმნე ერთი პირია
მფლობელი ყველა რისკს თავის თავზე იღებს
მფლობელი ხშირად არის მიბმული ბიზნესს და ვერ ხარჯავს დროს სხვაგან,
ბიზნესისაგან მოშორებით

ამხანაგობა

თუ ინდივიდუალური საწარმოს გახსნა ძალზედ რისკიანია, თქვენ შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი გაუზიაროთ პასუხისმგებლობა სხვას და სარგებელი ნახოთ სხვა ადამიანის გამოცდილებიდან. მოკლედ, იპოუთ პარტნიორი. ამხანაგობა ჩვეულებრივ წარმოადგენს ბიზნეს ასოციაციას, სადაც გაერთიანებულია ორი ან ორზე მეტი ადამიანი. ვისაც სურვილი აქვს ბიზნესი დაიწყოს და არ გააჩნია ამისათვის საჭირო კაპიტალი ან მენეჯმენტთან დაკავშირებული ცოდნა/გამოცდილება, ჩვეულებრივ ეძებს ერთ ან რამდენიმე ადამიანს, ვინც შეძლებს დააკმაყოფილოს მოთხოვნები. თუ ეს ადამიანები შუთანხმდებიან ბიზნესის საჭიროებასა და მოგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ბიზნესი ამხანაგობად ჩამოყალიბდება. როდესაც დაიღება ოფიციალური ხელშეკრულება მათ შორის, ადვილი იქნება ამხანაგობის ტიპის განსაზღვრა.

ბიზნეს ამხანაგობა შესაძლებლობას იძლევა ადამიანებმა გამოიყენონ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, რათა ჩამოაყალიბონ კომპანია და მთლიანად დაიხარჯონ. მაგალითად, შესაძლებელია სამი კაცი გაერთიანდეს და ჩამოაყალიბონ ამხანაგობა. ვინაიდან ერთი არის მექანიკოსი, მეორე გაყიდვების სპეციალისტი და მესამე კი კარგი მენეჯერი, მათ შეუძლიათ აგრარული მანქანა-მოწყობილობის სადილერო ფირმა გახსნან. ამხანაგობა აგრობიზნესის ბევრ სხვა სფეროსაც მოიცავს. ბევრჯერ სახელები ნათლად ასახავენ თუ რამდენი ადამიანი გაერთიანებული ამხანაგობაში: ორკაციანი ამხანაგობა შესაძლოა იყოს: „ეოლკერ & ჯონსის საკვები მალაზია“ და სამკაციანი ამხანაგობა – „როდრიგეს-როჩელე და ჯორდან ხორცის გადამამუშავებლები“ და მრავალი სხვა.

ამხანაგობის ტიპები

ზოგადი ამხანაგობა. ზოგადი ამხანაგობა არის ორი და ორზე მეტი ადამიანის მიერ შექმნილი ასოციაცია. ისინი ერთად მართავენ ბიზნესს. მათ შორის იღება ხელშეკრულება, სადაც აისახება ამხანაგობის სასარგებლოდ შეტანილი წვლილი, მიღებული გადაწყვეტილებები და მათ შორის გასანაწილებელი მოგება. ამხანაგობა დაიშლება სიკვდილის, ხელშეკრულების დარღვევის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ზოგადად, ხმის მიცემა და მოგების განაწილება დამოკიდებულია იმ თანხაზე, რომელსაც თითოეული პარტნიორი შეიტანს ამხანაგობაში. თითოეული პარტნიორი პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობაზე. ამხანაგობამ უნდა შეადგინოს საგადასახადო დეკლარაცია, თუმცა არ იხდის გადასახადებს. ამხანაგობის საგადასახადო დეკლარაციამ უნდა

ასახოს თითოეული პარტნიორის ინდივიდუალური მოგება. მოგება იყოფა პარტნიორებს შორის წინა ხელშეკრულებებზე დაყრდნობით.

შეზღუდული აპანაგობა

არსებობს ამხანაგობის სპეციალური ტიპი, რომლის მიხედვით ზოგიერთი პარტნიორი არ არის მთლიანად პასუხისმგებელი მისი პარტნიორების ვალდებულებებზე. ამ ტიპს ჩვეულებრივ ეძახიან შეზღუდულ ამხანაგობას. როდესაც შეზღუდული პარტნიორი ხარ, შეგიძლია ინვესტიცია ჩალო ბიზნესში, მაგრამ მენეჯმენტის პროცესში შეგიძლია მონაწილეობა არ მიიღო. შეზღუდული პარტნიორის სახელი არ ფიგურირებს ამხანაგობის დასახელებაში. შეზღუდული ამხანაგობები მხოლოდ საინვესტიციო მიზნებისთვის არის შექმნილი.

„შეზღუდული პარტნიორები პასუხისმგებელი არიან ამხანაგობის ვალდებულებებზე მხოლოდ მათ მიერ ინვესტირებული თანხის ფარგლებში“. ეს უზრუნველყოფს სტიმულს ბიზნესისა ინვესტირება მოახდინოს პერსონალის და ბიზნეს აქტივების დაკარგვის შიშის გარეშე. თუმცა, შეზღუდულ პარტნიორებს აღარ შეეძლებათ სხვა პერსონალის შემოსავლიდან ზარალის დაქვითვა (1986 წლის საგადასახადო რეფორმის შემდეგ). შეზღუდულ პარტნიორებს უნდა გააჩნდეთ იურიდიული დოკუმენტაცია თვითნებ შეზღუდული ურთიერთობის შესახებ, რათა თავი დაიცვან კრედიტორების შესაძლო შეითხვევისაგან ბიზნეს კრედიტებთან დაკავშირებით.

აპანაგობის უპირატესობა

ამხანაგობა ვთავაზობთ უპირატესობას კაპიტალის მოძიებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორი ან ორზე მეტი ადამიანი დამფუძნებელი. ამოვად, ბიზნესის დაწყების კაპიტალი და ასევე საოპერაციო თანხები ხელმისაწვდომია. გადაწყვეტილების მიღებაც ერთობლივად ხდება. საწყისი კაპიტალი უფრო ადბალია, ვიდრე კორპორაციაში. ინდივიდუალური საწარმოს მსგავსად, შემოსავალი მხოლოდ ერთხელ იბეგრება.

ხშირად კარგია ბიზნესის მართვა ერთობლივად. თენმა პარტნიორმა შეიძლება შეგცვალოს, როდესაც ავად ან შეუბულებაში ხარ. შესაძლოა შენი პარტნიორი გამოცდილია ინვენტარის შენახვასა და ბუღალტერიაში. მაშინ როდესაც შენ აწარმოებ გაყიდვებს ან ეწევი მომსახურებას. პარტნიორს შეუძლია ასევე მოიზიდოს დამატებითი თანხები, დახმარება ან ექსპერტიზა განახორციელოს.

ნაკლოვანება

ძირითადი ნაკლოვანება შეუზღუდავი ვალდებულება. ეს იმას გულისხმობს, რომ თითოეული პარტნიორი მთლიანად პასუხისმგებელია ამხანაგობის ყველა ვალდებულებაზე. თითოეული პარტნიორის პირადი აქტივები შესაძლებელია კრედიტორის მიერ იყოს მითვისებული ბიზნეს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში. ბევრი ბიზნესმენი თვლის, რომ ეს ერთადერთი ნაკლოვანება გადაწონის ყველა უპირატესობას, და ამის გამო ბევრი უარს ამბობს ამ ტიპის ბიზნესზე.

მეორე ნაკლოვანება ის არის, რომ ის არის არასტაბილურია და ერთი პარტნიორის დაღუპვის შემთხვევაში შეიძლება აღარ გაგრძელდეს. ზოგადად, როდესაც პარტნიორი იღუპება, დარჩენილი პარტნიორები ზურავენ ბიზნესს. თუმცა, სასამართლო ცნობის დარჩენილი პარტნიორების უფლებას გააგრძელონ ბიზნესი. ზოგიერთ შემთხვევაში ახალი ამხანაგობა იქმნება დარჩენილი ოჯახის წევრებისგან და ბიზნესი გრძელდება. ამხანაგობა არ წვეტს მუშაობას

პარტნიორის დაღუპვის შემთხვევაში, იმ გამოწვევის გარდა, თუ არ არის ცვლილება კომპანიის კაპიტალის 50 %-ზე მეტს ან მოგებაში უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში'.

ამხანაგობის ფორილობითი ხელშეკრულება

არ არის რთული ჩამოაყალიბო ამხანაგობა, მაგრამ უფრო ჭკვიანური იქნება თუ კონსულტაციას იურისტი ჩავიტარებთ. იურისტთა მომსახურება ჩვეულებრივ არ არის იაფი, ასე რომ სანამ დაუკავშირდები იურისტს, კარგად გაეცანი მდგომარეობას და მიემზადე. შენივე უსაფრთხოებისათვის დარწმუნდი, რომ პარტნიორებს შორის ხელშეკრულება დადებულია წერილობით. ბიზნეს კორპორაციის სანიმუშო აქტი რეკომენდაციას იძლევა, რომ წერილობით ხელშეკრულებაში შემდეგი საკითხები იქნას შეტანილი:

- ბიზნესის სახელი: ბევრი შტატი საჭიროებს ფირმის სახელწოდებას, რეგისტრაციას, თუ სახელი განსხვავდება ნებისმიერი პარტნიორის სახელისაგან ყველა პარტნიორის სახელი და მისამართი
- ბიზნესის მიზანი და ბუნება, ძირითადი ოფისების ადგილმდებარეობა და ნებისმიერი სხვა ადგილი, სადაც ბიზნესი უნდა განხორციელდეს
- ამხანაგობის დაწყების თარიღი და ხანგრძლივობა: გავრძელდება თუ არა ის გარკვეული დროის მანძილზე და რა მოხდება თუ ერთი პარტნიორი დაიღუპება?
- წვლილი, რომელიც ნებისმიერი პარტნიორის მიერ იქნება შეტანილი. ზოგიერთ პარტნიორს კომპანიაში წვლილის სახით ფული შეაქვს, იმ დროს როდესაც სხვებს უძრავი ქონება, პირადი ქონება, ზოგი ექსპერტიზას და მუშახელს უზრუნველყოფს
- მენეჯმენტის პასუხისმგებლობა: გააჩნია თუ არა ყველა პარტნიორს თანაბარი ხმები მენეჯმენტში, შესაძლოა იყოს უფროსი და უმცროსი პარტნიორები
- თითოეული პარტნიორის მოვალეობები
- თითოეული პარტნიორის ხელფასები და დივიდენდების ანგარიშები
- მოგებისა და ხარჯების გაზიარება
- პირობები საბუღალტრო პროცედურებისათვის. ვინ აღრიცხავს ანგარიშებს? რომელი საბუღალტრო მეთოდები გამოიყენება? სად იქნება წიგნები შენახული?
- ახალი პარტნიორების აყვანის მოთხოვნა
- ნებისმიერი პარტნიორის შესუღვა, უფლება და მოვალეობები
- პენსიაზე გასული პარტნიორის უზრუნველყოფა
- პენსიაზე გასული პარტნიორის ბიზნეს წილის შექმნა
- როგორ უნდა დაკმაყოფილდეს საწივარი?
- როგორ უნდა დაიშალოს ამხანაგობა და როგორ დაურიგდებთ პარტნიორებს აქტივები?

ამხანაგობა

შპს-ის დაარსება

მეტი საფინანსო რესურსი

ერთობლივი მენეჯმენტი

გრძელვადიანი ფუნქციონირება

პარტნიორის სპეციალური ცოდნა

იურიდიული ასპექტები, რომელიც ერთად ამხანაგობას ჰქმნის

გადასახდების გადუხველობა

შესაძლოა შეწყვიტოს ფუნქციონირება ნებისმიერ დროს პარტნიორთა გადაწყვეტილებით

შეზღუდული სახელმწიფო რეგულირება

პარტნიორები, ინდივიდუალური მეწარმეობის მსგავსად, ხშირად ამაყად გრძობენ თავს საკუთარი კომპანიის მართვის დროს

ნაკლუმანებები

- შეუზღუდავი ვალდებულება
- მოგების განაწილება
- პარტნიორებს შორის უთანხმოება
- სირთულეები გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით
- დაშლა თუ პარტნიორი დაიღუპება ან დატოვებს ამხანაგობას
- მოცულობა შეზღუდულია რესურსების გამო
- მართვის სირთულე ბევრი პარტნიორის არსებობის შემთხვევაში
- მენეჯმენტის უფლებამოსილების გაყოფა.

კორპორაცია

კორპორაცია წარმოადგენს ბიზნესის კეთების კიდევ ერთ მნიშვნელოვან გზას აშშ-ში, განსაკუთრებით როდესაც ფულის დიდი ინვესტიციებია საჭირო. იმის მიუხედავად, რომ სიტყვა „კორპორაცია“ ხალხში ასოცირდება „ჯეკერალ მოტორსთან“, „ფორდთან“, „აიბიემთან“, „ფედექსთან“ და ა.შ, არ არის აუცილებელი იყო დიდი კომპანია იმისათვის, რომ რომელიმე კომპანიასთან გაერთიანდეს. ჩვეულებრივ, ბევრი დიდი კორპორაცია ერთიანდება, თუმცა გაერთიანება მცირე ბიზნესისთვისაც შესაძლოა სასარგებლო იყოს.

იმის მიუხედავად, რომ ადრობიზნესში კორპორაციების რაოდენობა ინდივიდუალურ მეწარმეობასთან შედარებით მცირეა, დღესდღეობით მათი რაოდენობა და მნიშვნელობა იზრდება. ეს ზრდა, პირველ რიგში, გამოწვეულია დიდ კაპიტალზე გაზრდილი მიზნოვნით და შეზღუდული ვალდებულებების მახასიათებლებით, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ზედმეტი ვალდებულებების გარეშე მოხდეს ბიზნესში ინვესტირება.

კორპორაციის დახასიათება

კორპორაცია არის ორგანიზაცია, რომელიც არის ბევრი ადამიანის საკუთრება, ხოლო კანონის მიხედვით თითქოს მესაკუთრე ერთი ადამიანია. კორპორაცია არის ოურიდული პირი და მესაკუთრეებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ის შეიძლება ფლობდეს საკუთრებას, იხდიდეს გადასახადებს, აფორმებდეს კონტრაქტებს, სასამართლოში შექონდეს სარჩელი და აკეთებდეს ბევრ სხვა რამეს, რასაც ერთი ადამიანი აკეთებს. თუ გაქვთ სურვილი ჩამოაყალიბოთ კორპორაცია, უნდა გამოუშვათ აქციები. ახალ მფლობელებს ეწოდებათ აქციონერები, რომლებსაც ნაყიდი აქვთ თავიანთი წილი კორპორაციაში. თითოეულ აქციონერს აქვს ერთი ხმის უფლება. კორპორაციას შეიძლება ჰყავდეს მილიონზე მეტი აქციონერი.

ერთიდან კორპორაციას უამრავი მფლობელი შეიძლება ჰყავდეს, ვინც არ მონაწილეობს მენეჯმენტის პროცესში, საეიკალური დადგენილებები შემუშავდება თითოეული მათგანის დასაცავად. ფუნქციონირების დაწყებამდე თითოეულმა კორპორაციამ სახელმწიფოსგან უნდა მიიღოს ოურიდული დოკუმენტი (ლიცენზია). აკეთებ სხვა ბიზნესს არ სჭირდება ამის გაკეთება. კორპორაციას მართავს დირექტორთა საბჭო. კორპორაციის შექმნასთან დაკავშირებული კანონები ყველა შტატში იგივეა. ზოგადად, ის იწყება გაერთიანების აპლიკაციის პუნქტების შევსებით. აქციონერები ირჩევენ დირექტორთა საბჭოს,

რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს და იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის სასარგებლოდ. ისინი ნიშნავენ ადამიანებს იმისათვის, რომ მიიღონ კომპანიასთან დაკავშირებული ყოველდღიური გადაწყვეტილებები, ესენი არიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ხაზინადარი და ა.შ.

კორპორაციის ტიპები

არსებობს კორპორაციის სამი ტიპი. ქვეთავი C არის ჩვეულებრივი კორპორაცია, რომელიც მაქსიმალურად აქციებს ინვესტორებს. ქვეთავი S ძირითადად მცირე ბიზნესის ან ოჯახისათვის, ხოლო ქვეთავი T - კოოპერატივებისთვისაა განკუთვნილი. ორივე ქვეთავი C და S კომერციული (მოგების მომტანი) კორპორაციებია. ქვეთავი T (კოოპერატივებისათვის) არაკომერციული კორპორაციაა.

ქვეთავი C (ჩვეულებრივი კორპორაცია). ამ ტიპის ბიზნესის დროს თავდაპირველი მფლობელები მაქსიმალურად აქციებს ინვესტორებს. ინვესტორები, რომლებიც შემდგომ ხდებიან მფლობელები, ყოველთვის აქციებს იმ იმედით, რომ კომპანია კარგად იმუშავებს. თუ კომპანია კარგად იმუშავებს, ის აქციონერებს დივიდენდებს მოუტანს. ფულს, რომელიც გადაეხდება აქციონერებს თავიანთი აქციების წილის მიხედვით, დივიდენდი ეწოდება. დივიდენდის თანხა დაწესებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და კორპორაციის მოგებაზეა დამოკიდებული. თუ არ იქნება მოგება, არც დივიდენდები იქნება. თუ კომპანია მომგებიანია, აქციების ფასი გაიზრდება, ვინაიდან ბევრ ინვესტორს გაუნდება სურვილი გახდეს მფლობელი. რასაკვირველია, აქციონერებმა შესაძლოა დაკარგონ თანხები, თუ აქციების ფასი დაბლა დაეცემა და ნაკლები იქნება იმ თანხაზე, რაც მათ გადაიხადეს ამ აქციებში. სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება აქციონერების და დირექტორთა საბჭოს მიერ. კორპორაცია ფინანსურად სანდოა. ამ ტიპის აგრობიზნესის კორპორაციებია: „რალსტონ პურინა“, „ქეიზ ინტერნეშანალი“, „ქობა-გოევი“ და მრავალი სხვა.

ქვეთავი S (მცირე ბიზნესი ან ოჯახური კორპორაცია). ეს არის მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული უნიკალური ტიპი, რომელიც იბეგრება ინდივიდუალური მენეჯმენტის და ამხანაგობის მსგავსად. ამ კორპორაციებს გააჩნიათ შეზღუდული ვალდებულება. ღოკუმენტებთან ურთიერთობა და სხვა საშუალო დეტალები ჩვეულებრივი კორპორაციების მსგავსია. მათ ჰყავთ აქციონერები, დირექტორები და თანამშრომლები, მაგრამ მოგება იბეგრება, როგორც აქციონერების პირადი შემოსავალი – ამრიგად, ამ შემთხვევაში, თავიდან იცილებთ ორმაგ დაბეგრას, რაც, ჩვეულებრივ, კორპორაციების შემთხვევაში ხდება.

აბროზიზნესის კორპორაციები

| | | |
|---------------------|------------------------|---------------------|
| Phillip Morris | RJR Nabisco | H.J. Heinz |
| Procter & Gamble | Georgia-Pacific | Eli Lilly |
| Pepsico | Archer Daniels Midland | Campbell Soup |
| Conagra | IBP Packers | Farnland Industries |
| Kroger | Winn-Dixie Stores | Ralston Purina |
| Dow Chemical | Deere | Kellog |
| International paper | McDonald's | Hershey Food |
| Sara lee | Tyson Foods | Dean Foods |
| Quaker Oats | Hormel Foods | |
| Dole Food | Monsanto | |
| Safeway | General Mills | |

შენატანები აბრუბიზმისში: კრამიტი

წინამდებარე თავის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ:

- საუბარი საფერპრო კრედიტის მნიშვნელობის შესახებ
- ახსნან კრედიტის სამი ფუნდამენტური შემადგენელი
- აღწერონ სამი სფერო, სადაც კრედიტია საჭირო
- განასხვავონ დაფინანსების ვადების სამი პერიოდი
- ახსნან საკრედიტო პროფილის კომპონენტები
- გამოთვალონ საპროცენტო განაკვეთი
- ჩამოთვალონ აგრარული კრედიტის წყაროები იმპოტური და არაიმპოტური სესხებისათვის
- აღწერონ საფერპრო კრედიტის სისტემა
- განიხილონ კონსოლიდირებული საფერპრო სერვისის სააგენტო (FSA)
- აღწერონ კომერციული ბანკების როლი აგრარულ კრედიტში
- აღწერონ სიცოცხლის დაზღვევის როლი აგრარულ კრედიტში
- განიხილონ სასაქონლო კრედიტის კორპორაცია
- აღწერონ კერძო პირებისა და სხვათა როლი აგრარულ კრედიტში
- ახსნან კარიერის შესაძლებლობები აგრარული კრედიტის სფეროში

აუცილებელი ტერმინები:

აქტუალური საპროცენტო განაკვეთი
დამატებული საპროცენტო განაკვეთი
ამორტიზება

წლიური საპროცენტო განაკვეთი
ანუიტეტი
აფასება
მყიდველის ფსიქოლოგია
უზრუნველყოფა
საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი
ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა
დეფოლტი
დავლიანება
ამორტიზებადი
სადისკონტო განაკვეთი
დივიდენდი
წონასწორობის ფასი
საკუთარი კაპიტალი
ფერმის აქტივები

ფინანსური აქტივები
ფიქსირებული ხარჯები
დაგირავებული ქონების გამოსყიდვის
უფლების ჩამორთმევა
პროცენტი
საპროცენტო განაკვეთები
ყადაა
გრძელვადიანი კრედიტი
ფინანსირება რეგრესის უფლების გარეშე
ღია ანგარიში
საოპერაციო ხარჯები
ძირითადი თანხა
უზრუნველყოფილი
ფასიანი ქაღალდების ბაზარი
მარტივი პროცენტი
სპეკულატიური ინვესტიციები
სასტარტო დანახარჯები
სიცოცხლისუნარიანი

წინასიტყვაობა

გადაწყვეტილებები კრედიტის შესახებ ხშირად ცვლავზე მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილებებს შორის, რომელიც ადამიანმა აგრარულ ბიზნესში უნდა მიიღოს. მსგავსი გადაწყვეტილებები ხშირად განსაზღვრავს, მიიღებს თუ არა მოგებას ადამიანი, რომელიც აგრარულ ბიზნესშია ჩართული. გასსოვდეთ ძველი თქმულება: „ფულის სამოწინაადა ფულია

საჭირო". ბიზნესს საკმარისი საფინანსო სახსრები უნდა გააჩნდეს, რათა მან მოგება მოიტანოს. ფული გამოიყენება აგრარული წარმოების ყველა სფეროში – მიწების, შენობების, აღჭურვილობის, პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და საოპერაციო ხარჯებისათვის.

შეკითხვები სპეციფიური დანიშნულებით კრედიტის გამოყენების შესახებ სიფრთხილით უნდა იქნას განხილული. გონივრული გადაწყვეტილებების მიღების უნარი დამოკიდებულია განათლებაზე, ყურადღებით შესწავლასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე ბიზნესში.

საშემარმო კრედიტის მნიშვნელობა

აგრარულ მრეწველობაში კრედიტი საჭიროა საკუთარი კაპიტალის დეფიციტის გადასაღებად. შეზღუდული კაპიტალი, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები და საკრედიტო ინფორმაციის ნაკლებობა მთავარი პრობლემებია, რომელსაც აგრარულ სფეროში დასაქმებულები ხვდებიან. კრედიტი მწარმოებელი აგრონომებისათვის მნიშვნელოვანია, რათა

- გაზარდონ წარმოება
- გაზარდონ წარმოებული პროდუქციის ხარისხი
- გააუმჯობესონ ოპერაციები, რათა ისინი უფრო მომგებიანი გახდონ

ნასესხებმა ფულმა სულ ცოტა იმდენი დამატებითი შემოსავალი უნდა მოიტანოს, რომ შესაძლებელი იყოს ნასესხები ფულის ღირებულების (პროცენტი) გადახდა და უზრუნველყოფა იმისა, რომ ძირითადი თანხა სესხისათვის განსაზღვრული დროის განმავლობისას იქნება გადახდილი.

ცვლილება კრედიტის საჭიროებაში

ერთ-ერთ მთავარ ცვლილებას, რომელსაც უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი აგრარულ წარმოებაში, გახლავთ შრომის ჩანაცვლება კაპიტალით. 1900-იან წლებში კაპიტალს (მიწის ჩათვლით) საფერმერო წარმოების პროცენტში დაახლოებით 25% ეკავა, ხოლო შრომას – 75. ამჟამად საკვებისა და ბოჭკოს წარმოების 90% კაპიტალის ხარჯზე ხდება, ხოლო შრომა მხოლოდ 10%-ს უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლის შემდეგ ასეთი ჩანაცვლება შემცირდა, ტენდენცია კვლავაც უცვლელია. საჭირო კაპიტალის მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ საფერმერო კრედიტის სააგენტოები დღეისათვის კაპიტალის მთავარ წყაროს წარმოადგენენ. მზარდ სასესხო სახსრებსა და მომატებულ საპროცენტო განაკვეთებს შედეგად ის მოყვა, რომ უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობისას საპროცენტო გადახდები ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ხარჯად იქცა მწარმოებელი აგრონომებისათვის.

აგრარული კრედიტის ოდენობა

სოფლის მეურნეობა და მისი პროდუქტები შეადგენს აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ მეოთხედს. ფერმების მთლიანი აქტივების ღირებულება 1990 წლის 839 მილიარდიდან 1995 წელს გაიზარდა 957 მილიარდამდე. 1995 წელს უძრავი ქონება (მიწა და შენობა-ნაგებობები) შეადგენდა 726 მილიარდს, მოძრავი ქონება (აღჭურვილობა, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო კულტურები) – 183 მილიარდს, ხოლო საფინანსო აქტივები – 48 მილიარდს. აგრარული სფეროს ვალი იყო 151 მილიარდი ანუ აქტივების 16%. ამ ვალის უდიდესი ნაწილი განაწილებულია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებს შორის.

შპრის საშუალო პალი

აშშ-ის საშუალო ფერმას გააჩნია 350,217 დოლარის ღირებულების უძრავი ქონება, 88,085 დოლარის მოძრავი ქონება და 23,155 დოლარის საფინანსო აქტივები. საერთო აქტივები 21,530 დოლარიდან 1950 წელს გაიზარდა 461,457 დოლარამდე 1995 წელს. იგივე პერიოდის განმავლობაში დავალიანება გაიზარდა 1,930-დან 72,697 დოლარამდე თითო ფერმაზე. შესაბამისად, საწარმოო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ კერძო პირთა კაპიტალი გაიზარდა 19,600-დან 388,760 დოლარამდე.

ქრედიტის სამი ფუნდამენტური შიგამდგენელი

განათლების სფეროში თქვენ ალბათ გსმენიათ სამი R-ის შესახებ. კრედიტშიც გვხვდება სამი R – ესენია ამონაგები (Return), ფულის დაბრუნება (Repayment) და რისკი (Risk).

ამონაგები

ფულის სესხების მთავარ მიზანს ამონაგების გაზრდა და მოგების მიღება წარმოადგენს. იქნება თუ არა სუფთა ამონაგები და მოგება უფრო დიდი კრედიტის გამოყენებით, ვიდრე ეს უკრედიტოდ მოხდებოდა? მწარმოებელმა აგრონომმა ყურადღებით უნდა აწონ-დაწონოს ალტერნატივები კრედიტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ფული არ უნდა იქნას ნასესხები სწრაფ, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია ყოველი ინვესტიციის ანალიზი ნასესხები სახსრების დაბრუნებაზე დაყრდნობით.

გადახდის უზნარიანობა

კრედიტორები ელიან, რომ მათი ფული დაბრუნებული იქნება პროცენტთან ერთად. მწარმოებელმა აგრონომებმა და აგრარულ სფეროში მომუშავე სხვა პირებმა უნდა განსაზღვრონ სესხების დაბრუნების შესაძლებლობა ისევე, როგორც ამას კრედიტორი აკეთებს. ვინაიდან მსესხებლები საკუთარ ფერმებს ან საქმიანობას აგირავენ სესხების სანაცვლოდ, გადაუსდელიან შემადგენელი ქონებაზე ყადაღის დადება გამოიწვიოს. შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ სესხებს, რომლებსაც შემოსავლის პოტენციალი გააჩნიათ. მაგალითად, ფულის სესხებას მეწველი ძროხებისათვის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საწველი დანადგარებისათვის ფულის სესხებასთან შედარებით, რამაც ხელი წველა უნდა ჩანაცვლოს. საწველი დანადგარს არ გააჩნია გადახდის უნარი, რადგან იგი არ ქმნის პირდაპირ შემოსავალს, განსხვავებით რძის გაყიდვისაგან, რასაც მეწველი ძროხა იძლევა. გადახდის უნარი ასევე ცხოველების სტანდარტების დათმობასაც მოითხოვს დამატებითი ინვესტიციების სასარგებლოდ. მაგალითად, შესაძლოა უკეთესი იყოს კარგად შენახული ძველი პიკაპის მართვა და სახსრების მიმართვა საწარმოო მიზნით (მეწველი ძროხები) და არა ასალი მანქანის ყიდვა.

რისკი

ძლიერი აქტივების მქონე მსესხებლებს უფრო დიდი რისკის ალება შეუძლიათ საკუთარ თავზე იმათთან შედარებით, ვისაც მცირე აქტივები გააჩნია. კონკრეტულია, რომ გამსესხებელი უპირატესობას იმ კლიენტს ანიჭებს, რომელსაც საკმარისი სტაბილურობა გააჩნია პოტენციური ზარალის ნეიტრალიზებისათვის. კრედიტორებს არ უყვართ

სპეკულატური ინვესტიციები მათი მაღალი რისკის გამო. თუმცა მათ უყვართ სესხების გაკემა ისეთ საწარმოებზე, რომლებიც საკმარის მოგებას შექმნიან, რათა უზრუნველყონ სტაბილურობა ან მოხდება ასეთი საწარმოების ღირებულების აფასება.

საპი სუმრო, სადაც კრედიტია საჭირო

აგრარულ წარმოებაში ფინანსები სამ მიმართულებით არის საჭირო. ესენია ფიქსირებული ხარჯები, საოპერაციო ხარჯები და სასტარტო ხარჯები.

ფიქსირებული ხარჯები

ფიქსირებული ხარჯები ნიშნავს ისეთ ობიექტებს, რომელთა გამოყენება კვლავ და კვლავ შეიძლება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობისას და ფასი (ხარჯი) ყოველ წელიწადს ერთი და იგივეა. ფიქსირებული დანახარჯები მოიცავს მიწას, შენობებს, დანადგარებსა და აღჭურვილობას, ს/ს იარაღებს და მოწყობილობებს. ფიქსირებულ დანახარჯებს შედეგად ფულის დიდი თანხის სესხება მოყვება, მაგრამ ფიქსირებული გადასახადი ყოველთვიური ან ყოველწლიური გადასახადია რამდენიმე წლის განმავლობაში. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ფიქსირებული დანახარჯების აღწერა.

მიწა წარმოადგენს დიდ, ერთჯერად ხარჯს. იგი არა მხოლოდ მწარმოებელი აგრონომების მიერ, არამედ აგრარულ სფეროში დაკავებული სხვა ადამიანების მიერაც გამოიყენება. მიწის გაუმჯობესებაც შესაძლოა, რომ იგი ძვირი იყოს. გაუმჯობესების საშუალებს მიეკუთვნება მიწის შემოღობვა, გაწმენდა, მოსწორება, დამუშავება და მოშადება.

შენობები წარმოადგენს ერთჯერად, ფიქსირებულ დანახარჯს, რომელიც შესაძლოა ოცდახუთი ან მეტი წლის განმავლობაში იქნას გამოყენებული. მაგალითებს შორისაა საწველი ოთახი, თივის ფარული, მარცვლის ელექტროი, პირუტყვის სადგომი და აგრარულ სფეროში გამოყენებული სხვა შენობები.

დანადგარების და აღჭურვილობის სასარგებლო სიცოცხლის ხანგრძლივობა შენობებისაზე ნაკლებია. სასარგებლო სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მათი გამოყენების სიხშირეზე, მოვლა-პატრონობაზე, ხარისხსა და კონსტრუქციულ სირთულეზე.

იარაღები და მოწყობილობები. საღარო აპარატი, თაროები და მაცივრები ის მოწყობილობებია, რომლებიც აგრარულ წარმოებაში გამოიყენება. იარაღები კი მოიცავს ისეთ საგნებს, როგორც არის ქანჩის გასაღები, ჩაქური, ნიჩაბი, თერმომეტრი და ა.შ.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ფერმის, რანჩოს ან აგრობიზნესის მართვასთან. აუცილებელი ფულის რაოდენობა დამოკიდებულია ოპერაციის სიდიდეზე. მწარმოებელი აგრონომებისათვის საოპერაციო ხარჯებს, როგორც წესი, წლიური ან სეზონური გამოსახულება აქვთ. მაგალითად, მწარმოებელ აგრონომს, რომელსაც ხორბალი მოჰყავს, ფული დასჭირდება საკვების, თესლის, სასუქისა და ქიმიკატებისა და მუშებისათვის ხელფასის გადასახდელად. აგრარულ ბიზნესში საოპერაციო ხარჯები დაკავშირებული იქნება კომუნიკაციასთან, ტრანსპორტირებასთან, კომუნალურ მომსახურებასა და საწვავთან, დაზღვევასა და რეკლამასთან.

სასტარტო დანახარჯები

სასტარტო დანახარჯების გაწევა ხდება მანამ, სანამ ბიზნესი ოპერირებას დაიწევს. სასტარტო დანახარჯების მაგალითი მოიცავს ორისტიის მომსახურების საფასურს, დაფუნდების ხარჯებს და ადგილმდებარეობის განვითარების ან პროექტის დაპუშაფების ხარჯებს. სასტარტო დანახარჯები არ მოიცავს მიწის ან სხვა ფიქსირებული ობიექტების საწყის ღირებულებას.

ფინანსირების ხანგრძლივობა

გასესხება (ფინანსირება ან კრედიტი) მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სიკანსალისათვის. იგი ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას ახდენს ობიექტის შესაქენი საშუალებების უზრუნველყოფის გზით, რისი შედეგაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. რეალურად სესხი არის კონტრაქტი მსესხებელსა და გამსესხებელს შორის. სესხებს, ჩვეულებრივ, ხანგრძლივობის სამი პერიოდი გააჩნია: მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი. თუმცა განსხვავებული სახის სესხები თითოეულ ამ კატეგორიაშიც არსებობს.

მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები გამოირჩევა იმით, რომ მათი მოქმედების ვადა ერთი წელიწადი ან უფრო ნაკლებია. მოკლევადიანი სესხების ძირითადი დანიშნულება საოპერაციო ხარჯების დაფინანსებაა. მოკლევადიანი სესხების წყარობს შორის შეიძლება დაეასახელოთ კომერციული ბანკები, კრედიტორები, მთავრობები და საფერმერო კრედიტის საშასხურები. მოკლევადიანი საოპერაციო სესხები სავარაუდოდ ამ კატეგორიაში ყველაზე ხშირად გამოყენებული სესხებია. მათი ხანგრძლივობა ერთი თვიდან ერთ წლამდეა. ტიპურ საოპერაციო სესხს ქვესთიანი პერიოდი აქვს, სადაც სესხი პერიოდის ბოლოს იფარება.

ბიზნესში გამოყენებისას მოკლევადიანი ანუ საოპერაციო სესხი ფერმერს ეხმარება შეიძინოს საწვავი, სასუქი, ქიმიკატები, თესლი, ისევე, როგორც საექსპლუატაციო ხარჯების დაფინანსებაში. მოკლევადიანი კრედიტი შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობა იყოს აგრობიზნესის გადარჩენისთვის, რადგან იგი აფინანსებს ფერმის ყოველდღიურ ოპერაციებს, რომლებიც ფულის მიმოქცევის გენერირებას ახდენენ. კარგად ათვისებისთვის, ასეთი სესხების გადახდა უნდა მოხდეს ფულის მიღებისას მოსავლის აღებასთან ან აუქციონთან ერთად.

საშუალოვადიანი სესხები

ასეთი სესხების ხანგრძლივობა ერთიდან ათ წლამდეა. ისინი აფინანსებენ აქტივებს, რომლებიც შესაძლოა მათი სავარაუდო სიცოცხლის განმავლობისას ამორტიზებულ იქნან. ფერმის დანადგარები და აღჭურვილობა, პირუტყვი, საირიგაციო სისტემები და ფერმის შენობების მოდერნიზება ასეთი აქტივების მაგალითს წარმოადგენს.

ტექნოლოგიის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება საშუალოვადიანი სესხების მნიშვნელობაც. კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია ტექნოლოგიის წინსვლისათვის ნაბიჯის აბმა. ფერმერთა უმრავლესობისათვის ასეთი ტექნოლოგიების შესაქენად სესხის აღება იქნება აუცილებელი. ეინაიდან ტექნოლოგიათა უმრავლესობას ამორტიზებადი აქტივების ფორმა აქვს, საშუალოვადიანი სესხი მათ შექენაში ეხმარება ფერმერებს.

საშუალოვადიანი კრედიტის ყველაზე დიდი ოდენობა კომერციული ბანკების მიერ არის გაცემული. ბანკების შედეგ მათ საფერმერო კრედიტის საეგენტო მოეყება. ბანკები გასცემენ კომერციულ და სამომხმარებლო სესხებს ამორტიზებადი აქტივების შესაქენად. ისინი

სთავაზობენ სხვადასხვა სახის სესხებს, რაც დამოკიდებულია აქტივის აღწერილობაზე, მსესხებლის საჭიროებებზე და ზარალის უსაფრთხოებაზე. სესხის განაცხადის შეფასებისას ბანკები აზუსტებენ საფინანსო ჩანაწერებს და საკრედიტო ისტორიას.

კარგი საკრედიტო რეიტინგისა და საკრედიტო დაწესებულებებთან კარგი ურთიერთობების ქონა ამცირებს საშუალოვადიანი კრედიტის ღირებულებას. გამსესხებელმა სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა უზრუნველყოფა მოითხოვოს. დაყვადება არის გამსესხებლის უფლება უზრუნველყოს შეთავაზებული აქტივის დაპატიმრება, თუ მსესხებელი ვერ შეძლებს სესხის გადახდას.

ბრძელვადიანი კრედიტი

ათ წელიწადზე მეტი ხანგრძლივობის სესხებს გრძელვადიანი ეწოდებათ. მიწის, შენობებისა და სახლების შეყიდვისათვის ასეთი სახის კრედიტია საჭირო. ტიპურად გრძელვადიანი დაკრედიტებისას გამოიყენება ინსტრუმენტი, რომელსაც იპოთეკა ეწოდება. საწარმოები და კერძო პირებიც იყენებენ იპოთეკას გრძელვადიანი დაფინანსებისთვის.

გრძელვადიანი კრედიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრობიზნესის დაწყებისას. მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს, რამხელა მიწა და რა სახის შენობები შეესაბამება ოპერაციას მასშტაბს. აგრობიზნესის დაწყება, ფაქტურად დამოკიდებულია იმაზე, ეწება თუ არა გამსესხებელს კრედიტის გაცემის სურვილი.

აგრობიზნესის ზრდაც ასევე დამოკიდებულია გრძელვადიანი კრედიტის მიღების შესაძლებლობაზე. გაფართოებისთან ერთად, აგრობიზნესს მეტი მიწა და საცაი ფართი დასჭირდება. გრძელვადიანი კრედიტის წყაროს შენარჩუნება შეამცირებს სესხების ზარავებს გაფართოების პროცესში.

საკრედიტო პროფილის კომპონენტები

სესხის განაცხადის განხილვისას გამსესხებელი ითხოვს საკრედიტო პროფილს. გამსესხებლებს დადებითი პასუხები სჭირდებათ შეკითხვებზე და ეს ყველაფერი სესხის გაცემაზე უნდა მოხდეს:

- **პირადი მახასიათებლები:** რამდენად პატიოსანია მსესხებელი, როგორია მისი რეპუტაცია და გადაწყვეტილების მიღების უნარი, როგორც პიროვნების და როგორც მენეჯერისა?

მართვის უნარი: შეუძლია თუ არა განმცხადებელს გადაწყვეტილების მიღება, აქვს თუ არა სათანადო გამოცდილება, განათლება და ცოდნა?

ფინანსური მდგომარეობა: წარმოადგინა თუ არა განმცხადებელმა ზუსტი და საკმარისი ინფორმაცია საფინანსო ანგარიშების ჩათვლით? ადასტურებს თუ არა კომპანიის ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშს და ფულის მიმოქცევის დინამიკის უწყისი სესხის გადახდის შესაძლებლობას?

სესხის დანიშნულება: რა მიზნით სურს განმცხადებელს სესხის აღება? შეესაბამება თუ არა სესხის პერიოდი აქტივის სიცოცხლის ხანგრძლივობას?

სესხის უზრუნველყოფა: არსებობს თუ არა საკმარისი აქტივები სესხის უზრუნველსაყოფად?

კრედიტორის მიერ მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ილუსტრირებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. გიორგისათვის იპოთეკით გაიცემა კრედიტი, სადაც ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა 2-ს არ აღემატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გიორგის შეუძლია ჰქონდეს ორჯერ მეტი კრედიტი, ვიდრე ბიზნესში

არსებული საკუთარი კაპიტალი. არაიპოთეკური სესხისათვის იგივე თანაფარდობა 1-ს არ აღემატება. ვიორგის შეუძლია დამატებითი სესხის მოძიება მარცელის სავარაუდო მოსაელის 75%-ისა და პირუტყვის სავარაუდო რეალიზაციის 85%-ის ოდენობით.

პროცენტის გამომთვლა

პროცენტი შესაძლოა მთავარი ხარჯი იყოს აგრობიზნესისათვის, რომელიც სესხს იყენებს ოპერაციების დასაფინანსებლად. საპროცენტო განაკვეთი, რასაც საკრედიტო დაწესებულებები ადგენენ, წარმოადგენს ფასს, რომელსაც ისინი მათი საკუთარი ფულის გამოყენებისათვის ითხოვენ.

საპროცენტო განაკვეთები

ჩვეულებრივ, გამსესხებელი ადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც მიბმულია მიმდინარე სადისკონტო განაკვეთს, რასაც ფედერალური სარეზერვო სისტემა განსაზღვრავს. ფულის მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორებს გაეუნა აქვთ აღნიშნული განაკვეთების ცვლილებაზე. საპროცენტო განაკვეთები ღროის განმელობისას იცვლება.

აგრომარკეტინგის მთავარი პრინციპები

წინამდებარე თავის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- აგრომარკეტინგის განსაზღვრა
- ახსნას, თუ როგორ განვითარდა მარკეტინგი
- აღწეროს მოთხოვნისა და მიწოდების მნიშვნელობა
- აღწეროს ეფექტური ეკონომიკური სისტემის წინაპირობები
- განმარტოს ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნან მომხმარებლის ბაზარზე
იმსჯელოს საფერძერო საქონლის მარკეტინგის შესახებ
იმსჯელოს აგრობიზნესის პროდუქტების მარკეტინგის შესახებ
აღწეროს საქონლის კვლევისა და სტიმულირების ორგანიზაცია
ახსნას, როგორ უნდა ჩატარდეს ბაზრის ანალიზი

აუცილებელი ტერმინები:

| | |
|------------------------------|---------------------------------|
| აგრომარკეტინგი | მარკეტინგი |
| რესურსების განაწილება | მარკეტინგული კოოპერატივი |
| აუქციონერი | ვაჭრობა |
| ბაზა | სემინარი |
| ბლოკირებული ვალუტა | პრემია |
| გამოქვითვის პროგრამა | წინაპირობა |
| საკომისო | საფასო ეფექტურობა |
| ბაბის საწმენდი მანქანა | საქონლის რეკლამა |
| მოთხოვნა | მომგებიანი |
| ეფექტური ეკონომიკური სისტემა | გაყიდვა |
| ემულგატორი | რეალური ფასი |
| თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა | მიწოდება |
| ფიუნქციური კონტრაქტი | გარდაქმნა |
| ფიუნქციური ოჯიონი | ტრიკინისაგან დაკული ღორის ზორცი |
| ქვეირება | ფასნამატი |
| ინსტიტუციური რეკლამა | ვერტიკალური ინტეგრირება |
| ბაზრის ანალიზი | გადასახადი იარღ�ე |

შენსავალი

ცოტა რამ არის სოფლის მეურნეობაში მარკეტინგზე მნიშვნელოვანი. რეალურად მწარმოებელი აგრონომები იძენად ეფექტურები და შედეგები იყენენ საკვებისა და ბოჭკოს სოუხვის ზრდაში, რომ ბერი მათგანი გაკორდა კიდევ. საკვებისა და ბოჭკოს წარმოება პრობლემას არ წარმოადგენს; უფრო ზუსტად ეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მარკეტინგი, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას კარგი ფასი, რაც აყალიბებს პრობლემას.

აგარარული მარკეტინგი ან აგრომარკეტინგი სოფლის მეურნეობის ფართო და მნიშვნელოვანი დისციპლინაა. 1996 წელს აშშ-ის ადგილობრივი სურსათის მარკეტინგის დირებულებამ 421 მილიარდი შეადგინა, როდესაც ამ სურსათის წარმოების დირებულება 123 მილიარდი იყო. მომხმარებლების მიერ სურსათისთვის დახარჯული 544 მილიარდი

დოლარიდან ერთ მეოთხედზე ნაკლები დაუბრუნდათ მწარმოებლებს, როდესაც სამ მეოთხედზე მეტი მარკეტინგისთვის დაიხარჯა.

მარკეტინგი მართავს ეკონომიკას. მის გარეშე ქვეყანა ძალიან დაბალ დონეზე განვითარდება. მრავალი აღმართი ვერ აცნობიერებს მარკეტინგის ფუნქციის მნიშვნელობას, რომელსაც იგი ეკონომიკის ყველა სექტორში ასრულებს. მარკეტინგის როლი სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს მწარმოებლებს ადეკვატური მოგებით და იმავდროულად შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. აგრობიზნესის კარგი მენეჯერი ხვდება, რომ მარკეტინგის კარგად დაგეგმილ სტრატეგიას მოსყავს იგი მოვების მაქსიმიზაციას.

მოვიყვანოთ აშშ-ტიპური მაგალითი: აშშ-ში აგრობიზნესი ქვეყნის ყველაზე დიდი მრეწველობაა, ხოლო მარკეტინგი – მისი ყველაზე მსხვილი სეგმენტი. აგრობიზნესში ჩართულთა 80%-ზე მეტი მარკეტინგშია დაკავებული. აგრობიზნესის მარკეტინგის საქმიანობა ახდენს ამერიკის წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის 17%-ზე მეტის გენერირებას, ხოლო მომხმარებლის მიერ სურსათისთვის დახარჯული ყოველი დოლარიდან 75 ცენტი მარკეტინგის ხარჯების დასაფარად მიდის. აგრობიზნესის მარკეტინგი ცალსახად არის ჩვენი ეროვნული ეკონომიკის უმთავრესი ნაწილი.

მარკეტინგი წარმოადგენს ოთხიდან ერთ მთავარ გადაწყვეტილებას, რომელიც მწარმოებელმა აგრონომმა უნდა მიიღოს წარმოებასთან, შრომასთან და კაპიტალთან ერთად. მარკეტინგი მნიშვნელობით დანარჩენ ფუნქციებს უთანაბრდება. მენეჯერები იღებენ გადაწყვეტილებებს წარმოებასთან, შრომასთან და კაპიტალთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყონ ბიზნესის თანაბარი და ეფექტური განვითარება. თუმცა ეს გადაწყვეტილებები შესაძლოა ყოველთვის საკმარისი არ აღმოჩნდეს ბიზნესის მომგებიანობის შესანარჩუნებლად (კვლად ეკონომიკურ გარემოში. ადეკვატური ბაზრის გარეშე, რომელიც გონივრულ ფასებს გვათავაზობს, მოგება ვერ იქნება მიღებული.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც უშუალო გავლენა აქვს მოგებაზე, გახლავთ საქონლის გასაყიდო ფასი. მოგება არის სხვაობა პროდუქტის გასაყიდო ფასსა და მის შესაქმნელად დახარჯულ ღირებულებას შორის. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია გასაყიდო ფასი, მით მეტია მოგება.

რა არის აგრომარკეტინგი?

აგრომარკეტინგი არის ერთობლიობა პროცესების, ფუნქციების და მომსახურებისა, რომელთა განხორციელება ხდება სურსათთან/საკვებთან და ბოჭკოვან ნედლეულთან მიმართებით ფერმებიდან, სადღე ისინი იწარმოება, მომხმარებელამდე მათ მიწოდებამდე. აგრომარკეტინგი მრავალ საფეხურს მოიცავს, როგორც არის შესყიდვა, შენახვა, შეფუთვა, დასაწვობა, კომუნიკაცია, რეკლამა, დაფინანსება, ტრანსპორტირება, დახარისხება, გადამუშავება, კონდიცირება, საბითუმო გაყიდვა, საცალო გაყიდვა, ვაჭრობა, მიკლეკაღობა, რისკზე პასუხისმგებლობის აღება, დაზღვევა, სტანდარტიზება, რეგულირება, ინსპექტირება და ბაზრის ინფორმაციის მოპოვება.

განსხვავება ბაზილვასა და მარკეტინგს შორის

ბაზილვა. ისტორიულად, მწარმოებელ აგრონომებს მიქონდათ ფერმანი გამოუყენებელი პროდუქტები ქალაქში და ყიდდნენ მათ იმ ფასად, რასაც ადგილობრივი მყოფელები გადაიხდიდა. თუ ფასი მწარმოებელისათვის დაბალი იყო, იგი ცდილობდა საქონლის უფრო მაღალ ფასად გაყიდვას. მაგრამ მყოფელები ყველაფრის ყიდვას დადგენილ ფასად ცდილობდნენ. ვინაიდან უფრო მაღალი ფასის მიღებას ვერ ახერხებდნენ, მწარმოებლებს შეეძლოთ ხორბალი, ღორის ხორცი, კერძები ან კარაქი უკან ფერმანი წაეღოთ. ჩვეულებრივ, ისინი ამას არ აკეთებდნენ: ისინი იღებდნენ შეთავაზებულ ფასს.

ეს არ გახლავთ მარკეტინგი: ეს არის გაყიდვა. როდესაც ინდივიდუალური მწარმოებელთა რაოდენობა მცირე იყო და ასევე მცირე იყო ჭარბი პროდუქტის ოდენობაც, განსხვავებას გაყოფდას და მარკეტინგს შორის დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. რეალურად, ადრე მარკეტინგი არჩევანს არ წარმოადგენდა. მწარმოებელი შესაძლოა მოტყუებულიყო და გალიზიანებული დაბრუნებულიყო, მაგრამ მას კვლავაც ჰქონდა მომდევნო წელიწადს უფრო მაღალი ფასის მიღების იმედი.

მარკეტინგი. მრავალი მწარმოებელი აგრონომი დღესდღეობით ახდენს პროდუქციის მარკეტინგს და არა მხოლოდ მის გაყიდვას. მარკეტინგი ნიშნავს ბაზრის ანალიზს, რათა დავინახოთ, თუ რა სჭირდება ბაზარს, მანამ სანამ წარმოებას დაიწყებდეთ. ეს შესაძლოა იყოს ზორბლის განსხვავებული სახეობა ან ღორები უფრო გრძელი და თხელი სხეულით, საადრეო ვაშლი ან ახალი და ეგზოტიკური კულტურა. აქვს რა სურვილი წარმოება განსხვავებულ კულტურაზე ან პირუტყვზე გადაიტანოს, მწარმოებელ აგრონომს არსებითად შემოსავლებისა და მოგების გაზრდა უნდა შეეძლოს.

მაგალითად, ბოსტნეულის მრავალი მწარმოებელი, კულტურას თესავს მას შემდეგ, რაც ხელთ აქვს კონტრაქტი. აღნიშნულს, მარკეტინგთან დაკავშირებული გაურკვეველობა გააქვს მწარმოებელი აგრონომებისათვის, რომლებიც ნაკლებად ითამაშებენ ფასებზე და შეეცდებიან გონივრული მოგების მიღებას, როგორც ეფექტური მწარმოებლები. ბოსტნეულის მყიდველები დარწმუნებული არიან პროდუქციის მიწოდებაში და ამგვარად, მარკეტინგთან დაკავშირებული გაურკვეველობა მათთვისაც გამოიყვანება. მარკეტინგული კონტრაქტები სულ უფრო ფართოდ ვრცელდება სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პროდუქციის ზარისხი მნიშვნელოვანია ან სადაც მყიდველები სურსათის წარმოების პროცესში სპეციფიურ ნედლეულს მოითხოვენ.

როგორ განვიტარდა აბრომარკეტინგი

ერის ფორმირების წლებში ამერიკელები შრომობდნენ, როგორც ფერმერები და ადგილობრივი მოხმარებისთვის სურსათს/საკვებსა და ბოჭკოვან ნედლეულს აწარმოებდნენ. მათ მეტი შეძლეს, ვიდრე სურსათისა და ბოჭკოს მხოლოდ წარმოება იყო. მათ ასევე გადააუმჯავეს პროდუქტი და მისცეს მას მოხმარებადი ფორმა: მარცვლი ფქვილად, ბოჭკო ტანსაცმლად, ტყავი სამოსად. მათ დააკონსერვეს ზორი და გადაამუშავეს რძე იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდა მისი შენახვა შემდგომი მოხმარებისათვის. დროის განმავლობასთან ერთად მწარმოებელმა აგრონომებმა აღმოაჩინეს, რომ მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ნიადაგი და კლიმატური პირობები საშუალებას აძლევდა ზოგიერთი პროდუქტი უკეთ და უფრო ეფექტურად ეწარმოებინათ, ვიდრე სხვებს.

სოფლის მეურნეობის სურსათის მარკეტინგის სექტორი უმთავრესად განვითარდა ინდუსტრიული და აგარული რეგულაციების პასუხად, რამაც საშუალება მისცა და ზოგ შემთხვევაში მიზნით კი იყო მრავალი ადამიანის გადაყვანისა არასაფერო სასმის-ურებში. ადამიანთა მცირე რაოდენობა აწარმოებდა სურსათს საკუთარი თავისთვის. ამდენად, ისინი ფერმერებზე იყვნენ დამოკიდებული. გარდა ამისა, არაფერმერები მოითხოვდნენ, რომ სურსათი მათთვის მიწოდებული ყოფილიყო განსხვავებული ფორმით, ვიდრე ამას ფერმერები, ჩვეულებისამებრ აკეთებდნენ. შედეგად, განვითარდა მარკეტინგული ფორმები, რომლებიც ეწოდნენ ისეთ მომსახურებას, რასაც მომხმარებელი ითხოვდა და რისი გაწევის სურვილიც ფერმერებს არ ჰქონდათ. დღეისათვის მარკეტინგი სოფლის მეურნეობის ყველაზე მსხვილი სფეროა დასაქმებული ადამიანებისა და გაყიდული სურსათისა და ბოჭკოვანი პროდუქციის მოცულობის მხრივ.

მოდის კონსტრუქცია და მიწოდება

ცხოვრებისეული ფაქტია: ყველაფერს, რისი ყიდვა ან გაყიდვა გსურთ, ფასი გააჩნია. აღნიშნული ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვთ ადამიანებს მისი გაყიდვის სურვილი და უნარი, ხოლო სხვა ადამიანებს მისი ყიდვის სურვილი და უნარი. სხვა სიტყვებით, მოთხოვნა და მიწოდება.

მოთხოვნა და მიწოდება დიდი ხანია წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ, იქნება თუ არა პროდუქტის წარმოება მომგებიანი. მიწოდება არის რაოდენობა პროდუქტისა, რომელიც მისაწვდომია კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ფასად. ზოგიერთ ფაქტორს შორის, რომელიც მიწოდებას განსაზღვრავს, არის რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც აღნიშნულ არეალში მოცემული პროდუქტის წარმოების ბიზნესში არიან ჩართული, რა რაოდენობის პროდუქტი მოდის მოცემულ არეალში სხვა ადგილებიდან და აღნიშნულ არეალში მოცემული პროდუქტის მომგებიანობის ისტორია.

პროდუქტის მოთხოვნაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მოთხოვნა არის რაოდენობა პროდუქტისა, რომლის შექმნა სურთ მოცემულ დროს კონკრეტულ ფასად. ხშირად იგი ფასით განისაზღვრება. რაც უფრო იაფია პროდუქტი, მით მეტია მასზე მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც პროდუქტის მოთხოვნაზე მოქმედებს. ერთ-ერთ ფაქტორს, რომელსაც ხშირად უგულვებელყოფენ ხოლმე, არის რაოდენობა ფულისა, რომელიც მომხმარებელს მოცემული პროდუქტის შესაძენად გააჩნია. სხვა პროდუქტების მხრივ კონკურენციამ შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული სეზონური ცვლილებები.

ეკონომიკური მოქმედების სისტემის ფინანსირება

როდესაც გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ყველა წინაპირობა შესაბამისობაშია, მარკეტინგის სისტემა იწვევს არა მხოლოდ მწარმოებლისა და მომხმარებლის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, არამედ საზოგადოების შეზღუდული რესურსების ეფექტურ განაწილებასაც. ამის სამ წინაპირობის წარმოადგენს შემდეგი საკითხები:

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა არსებობს, თუ მომხმარებელი პასუხობს შეკითხვებს იმის შესახებ თუ რა უნდა იქნას წარმოებული, რამდენი უნდა იქნას წარმოებული, როდის, ვინ უნდა აწარმოოს და ვისთვის უნდა იქნას პროდუქტი წარმოებული. მოგების დონე ასეთ სისტემაში არის საზომი იმისა, თუ რამდენად კარგად უპასუხეს მწარმოებლებმა აღნიშნულ შეკითხვებს.

უზამბი, რომელმაც ბაპლანა აქვთ საბაზრო რესურსების სრულ ღირებულებაზე

როდესაც ფასებს გავლენა აქვთ რესურსების სრულ ღირებულებაზე, ეს რესურსები უმაღლეს და საუკეთესო ფასად არის განაწილებული. ის, თუ რამდენად ახლოს არის ეკონომიკური სისტემა აღნიშნულის მიღწევასთან, წარმოადგენს ფასების ეფექტურობის საზომს. ფასების ეფექტურობის მაღალი ხარისხი სასურველია, რადგან:

მწარმოებლები იყენებენ ყველაზე ეფექტურ ტექნოლოგიებს და იაფფასიან კომბინაციებს პროდუქციის წარმოებისათვის.

მომხმარებლები შეიძენენ მხოლოდ იმ პროდუქტებს, რომლებიც იწვევენ მათი სრულ კმაყოფილებას.

მწარმოებლებისა და მომხარებლების შუამავლობა საჭიროებები, როგორცაა გადაჭრას ცდილობს აპრომარკეტინგი

მწარმოებლები ცდილობენ:
გრძელვადიან მოგებას

მომხმარებლები ცდილობენ:
კმაყოფილებას, რომელსაც ისინი იღებენ
შეზღუდული შემოსავლებით შეძენილი
პროდუქტების მოხმარებით

გაყიდონ მცირე რაოდენობის პროდუქტის
ღირსი რაოდენობა

იყიდონ მრავალი პროდუქტის
მცირე რაოდენობები

მიიღონ ყველაზე მაღალი ფასი

მოიხმარონ ყველაზე დაბალი ფასი

**ურთიერთმომხმარებლის მაღალი ხარისხი მომხმარებლებსა და
მწარმოებელ აპრომარკეტინგს შორის**

როდესაც მომხმარებლები და მწარმოებელი აგრონომები ურთიერთობენ, ორივე მხარეს აქვს ცოდნა გასაყიდად მისაწვდომი პროდუქტების სახესხვაობისა და ფასების შესახებ და, შესაბამისად, ისინი ინფორმირებულ არჩევანს აკეთებენ.

ამ სამი წინაპირობის დაკმაყოფილება სასურველია, რადგან იგი მივყავართ ეფექტური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებად, სადაც:

- მომხმარებლის მიერ იქნება გადაწყვეტილება მიღებული ეკონომიკურ სისტემაში ვინ, რა და სად უნდა აწარმოოს;
იარსებებს ფასთა სისტემა, რომელიც გამოიწვევს რესურსების ეფექტურ განაწილებას;
მომხმარებლის მოთხოვნები მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული;
მწარმოებლის გრძელვადიანი მოგებიანობა გაიზრდება;

**შატორვაში, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას
მომხმარებლის ბაზარზე**

მომხმარებელი საფუძველშივე განმსაზღვრელია აგრომარკეტინგის წარმატებისა. შესაძლებელია მომხმარებლისათვის მისაწვდომი იყოს საჭიროები ან მომსახურება, მაგრამ თუ მომხმარებელი ირჩევს არ იყიდოს და არც არავინ დაარწმუნებს, გაყიდვას ადვილი არ ექნება. დემოკრატიულ სისტემაში ჩვენ ვეაქვს უფლება ვაწარმოოთ და ბაზარზე გაიტანოთ პროდუქტები და მომსახურება საკუთარი მოგებისათვის (ქვეყნის კანონების ფარგლებში). მსგავსად ამისა, საჭიროებს ან მომსახურების ყოფნაზე უარის თქმა მომხმარებლის ძირული უფლებაა. აგრომარკეტინგის სისტემა გულისხმობს ურთიერთქმედებას მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, პროცესსა და სამსახურს შორის.

მომხმარებლები არიან ადამიანები, მწარმოებლები, აგრობიზნეს ორგანიზაციები და სხვა მხარეები, რომლებიც იყენებენ პროდუქტებს და სარგებლობენ მომსახურებით. მათ გააჩნიათ კონკრეტული საჭიროებები და უპირატესობები. მომხმარებელი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა და რა რაოდენობით უნდა მიიხმაროს. წარმატება აგრომარკეტინგში გულისხმობს მომხმარებლისა და მომხმარებლის როლის გაცნობიერებას. თქვენ გსურთ შესთავაზოთ პროდუქტი, რომელიც ყველა სხვა დანარჩენს შორის იქნება არჩეული!

აგრომარკეტინგი არის კავშირი წარმოებასა და მოხმარებას შორის. პროდუქტები მარკეტირებული უნდა იყოს მრავალი გზით, რათა დააკმაყოფილოს ყველა მომხმარებელი. არსებითია მომხმარებელთა სხვადასხვა ტიპებისა და მათი არჩევანის მარკეტინგის პროცესებზე ზემოქმედების გაცნობიერება.

თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა

დღეისათვის თანამედროვე საკებისა და დელიკატესების მაღაზიები და ბრწყინვალე რესტორნების რიგი, სწრაფი კვებიდან ელიტარულ, თეთრსუფრიან დაწესებულებამდე, ახდენენ აგრომარკეტინგის რული, დინამური ბუნების დემონსტრირებას. ბაზარი ასეა გუთავაზობს პროდუქტების ფართო არჩევანს, დისტრიბუციის განსხვავებულ სისტემებსა და მრავალ დაკავშირებულ მომსახურებას, როგორც არის წინასწარ მომზადებული და მიკროტალღურ ღუმელებში მომზადებული კერძები. ბაზრის დღევანდელი მრავალფეროვნების დიდი წილი მოდის გადამამუშავებლების, მწარმოებლებისა და საცალოდ მოვაჭრეთა იმაში დარწმუნების წილად, რომ ბაზარი მომხმარებლის გახლავთ. მომხმარებლები ყოველდღიურად ხმას აძლევენ საკუთარი ფულის კუპონებით და ბაზარს ესმის მათ.

ცხოვრების სტილი სწრაფად იცვლება. დღეისათვის მრავალი ოჯახში ორივე მეუღლე სახლის გარეთ მუშაობს. თხუთმეტ წელს ზეით ქალების ნახევარზე მეტი დასაქმებულია და, შესაბამისად, ნაკლები დრო რჩება შინ საკების მოსამზადებლად. აღნიშნულმა მკვთარად გაზარდა მოთხოვნა მომზადებულ საკვებსა და რესტორნებში სადილზე. წინასწარ მომზადებული საკვებისა და სასაკების ობიექტებში მოთხოვნები პროდუქტების მიმართ განსხვავდება მოთხოვნებისაგან სუპერმარკეტებში. საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და წინასწარ მომზადებული საკვების მაღაზიებში გაყიდული საკვების პროპორციის ზრდამ გაზარდა მოთხოვნა საკვების ახალი მახასიათებლებისადმი.

მომხმარებელთა მოთხოვნის პროგნოზირება დიდი ბიზნესში

მომხმარებელთა მოთხოვნების ამოცნობა და გაგება იმისა, თუ რას ფიქრობენ ისინი სხვადასხვა პროდუქტების მახასიათებლების შესახებ, დიდ ბიზნესად იქცა. გენეკმენტის პრაქტიკა ამჟამად მოიცავს ბაზრის ანალიზს, მომხმარებელთა ცხოვრების სტილისა და უპირატესობების ცვლილების შესწავლას და ბიზნესის შესაბამისობაში მოყვანას ასეთ ცვლილებებთან. სურსათის მარკეტინგის ინდუსტრია ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავს ბაზრის კვლევაზე, ახალი პროდუქტების შემუშავებასა და რეკლამაზე. მაგალითად, აშშ-ში 30-წამიანი რეკლამის ღირებულება 1998 წლის სუპერ ბოულის განმავლობისას 1.3 მილიონი დოლარი იყო.

თანამედროვე მარკეტინგი მოიცავს პროდუქტის შემუშავებას, ფასების სტრატეგიას, ეფექტურ დისტრიბუციასა და პროდუქტის წარმატებას. მარკეტინგის სტრატეგია ამ კომპონენტების ერთ გვეგამი ინტეგრირებას ახდენს. კომპანიები სასურველი მახასიათებლებით ახალი პროდუქტების შემუშავებას მომხმარებელთა გამოკვლევებზე დაყრდნობით ახდენენ.

მას შემდეგ, რაც მომხმარებელთა მოთხოვნების მახასიათებლები შეფასებული იქნება, კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ სასურველი პროდუქტი და მიყვენ მარკეტინგის სათანადო ტექნიკას. წარმატებულ ფორმებს მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიები გააჩნიათ. ახალი პროდუქტების უმეტესობა წარმატებლობით ასრულებს არსებობას შეთავაზების პირველ წელს, მიუხედავად უზარმაზარი ინვესტიციებისა. ყოველწლიურად მაღაზიის თაროებზე 10,000 ახალი პროდუქტი ლაგდება.

მომხმარებელთა მოსახლეობა

დედამიწის მოსახლეობა 5.6 მილიარდი ადამიანია. ჩრდილოეთ ამერიკა, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და მექსიკის ჩათვლით, 444 მილიონ ადამიანს ითვლის. აშშ-ში დაახლოებით 260 მილიონი ადამიანია. დედამიწის მოსახლეობა იზრდება დაახლოებით 2.8 ადამიანით წაშში, რაც ნიშნავს 10,080 ადამიანით ზრდას ყოველ საათში. მოსახლეობის ზრდის დღევანდელი ტემპის პირობებში დედამიწის მოსახლეობა გაორმაგდება ყოველ 30

წელიწადში. 2050 წლისათვის დედამიწაზე დაახლოებით 9.4 მილიარდი ადამიანი იარსებებს. მათ დასჭირდებათ საკვები და ბოჭკო. სოფლის მეურნეობის წარმოებამ და მარკეტინგმა მიმართულება არ უნდა შეცვალოს, რათა ამ ადამიანების მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.

შპრამართა პროდუქტების მარკეტინგი

როდესაც ხდება მსჯელობა აგრომარკეტინგის შესახებ, ეს მსჯელობა ორ ფაზად მიმდინარეობს. პირველი ფაზა მარკეტინგი პროდუქტების უშუალოდ ფერმიდან. მას შემდეგ, რაც პროდუქტი გაიყვანა აუცილებელ პროცესს (გარდაქმნა), რათა მზა გახდეს მომხმარებლისათვის, იგი მარკეტინგის სხვა ფაზას – აგრობიზნესის პროდუქტების მარკეტინგის ფაზას გაიყვანს. ფაზები განსხვავებულია, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული. ფერმაში დამზადებული აგარული პროდუქტების გაყიდვა, მარკეტინგა და მოხმარება ხდება იმ წესით, როგორც ადამიანებს მოსწონთ. მაგალითად, ძროხისა და ღორის ზორიც ამჟამად უფრო მჭლეა გამოზინარე მომხმარებელთა მოთხოვნიდან.

მწარმოებელი აგრონომები ყოველთვის ვერ ახერხებენ იმ ფასის დადგენას პროდუქტისთვის, რომლის მიღებასაც შეძლებენ. საწინააღმდეგოდ ამისა, მათთვის უფრო ჩვეულია იმ ფასის მიღება, რომელსაც შეიძლება მიიღონ. მწარმოებელი აგრონომები ისტორიულად „ფასების მიმღებები“ და არა „ფასების მკეთებლები“ იყვნენ და, შესაბამისად, ბაზრის მიმდინარე ფასების ტყვეობაში იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ, ბაზრის მიმდინარე ფასი გარანტიას არ იძლევა, რომ პირუტყვის გაზრდა და კონკრეტული მცენარეული კულტურის მოყვანა მომგებიანი იქნება. მწარმოებელ აგრონომებს ძალიან მცირეს გაეკეთება შეუძლიათ საკუთარი პროდუქტების მომგებიანობის კონტროლირებისთვის, თუკი მარკეტინგს არ მიიჩნევენ აგარული პროდუქტების წარმოების სასიცოცხლო კომპონენტად.

აგარულ მრეწველობაში მარკეტინგი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თვით პროდუქტის წარმოება. სწორი მარკეტინგული გადაწყვეტილებები შესაძლოა ნიშნავდეს განსხვავებას აგარული საწარმოს წარმატებასა და წარმატებლობას შორის. შესაბამისად, სულ ცოტა, იმდენივე დრო უნდა დაიხარჯოს ცხოველებისა და მცენარეული კულტურების მარკეტინგზე, რამდენიც მათ წარმოებაზე.

მარკეტინგული სტრატეგიები საშპრამართ პროდუქტებისათვის

იმისთვის, რომ ფერმის პროდუქტიდან ფულის მაქსიმალური რაოდენობა იქნას მიღებული, არსებითია წარმატებული მარკეტინგი. საფერმერო პროდუქტების უფრო წარმატებულად მარკეტინგისთვის გამოყენებული სტრატეგია მოიცავს:

- განსაზღვრას იმისა, თუ რა ტიპის ბაზრებია თქვენთვის მისაწვდომი;
- მარკეტინგის სხვადასხვა სახეების ღირებულების განსაზღვრას;
- განსაზღვრას სატრანსპორტო დანახარჯებისა ყველა მისაწვდომ ბაზარზე გასატანად და გაყიდვას ყველა იმ ბაზარზე, სადაც სატრანსპორტო ხარჯები მისაღებია;
- განსაზღვრას თქვენი პროდუქტების მარკეტინგის ყველაზე მომგებიან ფორმას (ასაკი, ზომა, წონა, მომზადების სტადია);

რეკლამას, რათა შეიქმნას ბაზარი იქ, სადაც იგი არასოდეს არსებობდა;

თქვენი სეზონური პროდუქტების მარკეტინგის მოთხოვნის პიკზე;

მცდელობას დამოკლდეს მარკეტინგული არხი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

აირუტყვისა და რძის პროდუქტების ბაზარი

მწარმოებელი აგრონომებისთვის აგრარული ბაზრების მრავალი სახესხვაობა არსებობს. ინდივიდუალური მწარმოებლის მიერ არჩეული ერთი ან ორი განსაზღვრავს ხშირად, თუ რა არის მისწავლადი და რა ანიჭებს უპირატესობას მწარმოებელი. სფეროსილე უნდა იქნას გამოჩინილი მარკეტინგის სახეობის არჩევისას. გონივრული მარკეტინგული პრაქტიკა ძალიან კონკურენტულ ბაზარზე განსხვავებას იძლევა მოგებასა და ზარალს შორის.

ტერმინალური ბაზრები. ტერმინალური ბაზრები, ჩვეულებრივ, პირუტყვთა ეზოშია განთავსებული, სადაც ცხოველებს გაყიდვამდე ამყოფებენ. ტერმინალური ბაზარი თავად არასოდეს ფლობს პირუტყვს. ტერმინალურ ბაზარზე მიყვანილ პირუტყვს გადასცემენ სავაჭრო აგენტს, რომელიც ახდენს მის რეალურ გაყიდვას. ტერმინალური ბაზარი გამყიდველისაგან იღებს საფასურს გაყიდვამდე პირუტყვის შენახვისთვის. ამ საფასურს საიარღო გადასახადი ეწოდება. სავაჭრო აგენტი პირუტყვის გაყიდვისთვის ასევე იღებს საფასურს, რომელსაც საკომისიო ეწოდება.

ცხოველების მარკეტინგისთვის ტერმინალური ბაზრების გამოყენება ყველაზე მეტად დამასხასათებელი აშშ-ს შუადასავლეთისა და დასავლეთი შტატებისთვის იყო. უკანასკნელ წლებში ცხოველების მარკეტინგისთვის ტერმინალური ბაზრების გამოყენება მკვეთრად შემცირდა და ამჟამად პირუტყვის უდიდესი რაოდენობის მარკეტირება სხვა მეთოდების გამოყენებით ხდება.

სააუქციონო ბაზრები. საუქციონო ბაზრები ადგილებია, სადაც ცხოველებს ყიდონ საჯარო ვაჭრობის გზით. აუქციონერი უძღვება გაყიდვის პროცესს საუქციონო ბაზარზე. ასეთი ბაზრები ფართოდ არის გაერთილებული და მოსახერხებელია ადგილობრივ დასახლებათა უმრავლესობისთვის. მათი პოპულარობა გაიზარდა და ამჟამად წარმოადგენს ფერმის ცხოველების მარკეტინგის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას. საუქციონო ბაზრები, ჩვეულებრივ, ყველაზე პრაქტიკული პირუტყვის მცირე მწარმოებლებისთვის არის. ვიდრე ბაზრები აღნიშნულის განყოფილებას წარმოადგენს, სადაც მყოფელები ვიდეოფორზე ხედავენ გასაყიდ ცხოველებს.

როგორც ტერმინალურ ბაზრებზე, ასევე საუქციონო ბაზრებზე ცხოველების გაყიდვისას ხდება საკომისიოს აღება. საკომისიოს ოდენობა იცვლება ცხოველის სახეობიდან და ზომიდან გამომდინარე. ვინაიდან საუქციონო ბაზრების უმრავლესობა მცირეა, იქ შესაძლოა ნაკლები იყოს კონკურენცია, რაც დამასხასათებელია ტერმინალური ბაზრებისთვის, როდესაც ცხოველთა მცირე რაოდენობის ყიდვა ხდება. საუქციონო ბაზარი თქვენ რეალურად ყიდით და არ ხართ დაკავებული მარკეტინგით.

პირდაპირი ბაზრები. პირდაპირი გაყიდვა ნიშნავს, რომ მწარმოებელი მიყიდის პირუტყვს ან ს/ს კულტურას უშუალოდ გადამამუშავებელს. მარკეტინგის ამ მეთოდს რამდენიმე აშკარა უპირატესობა გააჩნია. არ არის საჭირო სავაჭრო აგენტებისთვის საკომისიოს გადახდა და არ არსებობს საიარღო გადასახადი. სატრანსპორტო ხარჯი მინიმუმამდეა შემცირებული, რადგან მიღველი ძირითადად თავად მიდის ფერმამდე შესყიდვის განსახორციელებლად. ცხოველები საუკეთესოდ გამოიყურებიან, რადგან არ განუცლიათ ტრანსპორტირებით გამოწვეული სტრესი და უცხო გარემოსა და ცხოველებთან კონტაქტი. ცხოველების, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, პირდაპირი გაყიდვა მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელ წლებში.

კოოპერატივიზმი. აშშ-ში მარკეტინგული რძის დახლოებით 75% იყიდება საფერმერო რძის მარკეტინგული კოოპერატივების მეშვეობით. მარკეტინგული კოოპერატივი არის ვჯგუფი მწარმოებლისა, რომელიც ერთიანდებთან პროდუქტის მარკეტინგისთვის. კოოპერატივები შემდეგ გადამამუშავებენ რძეს და პირდაპირ მიყიდიან მას მომხმარებელს ან უფრო მსხვილ გადამამუშავებელ ქარხანას. მარკეტინგულ კოოპერატივებს შესწევთ უნარი

შეინარჩუნონ პროდუქციის ხარისხი, მოახდინონ ტრანსპორტირება ფერმიდან ბაზრამდე, დააბალანსონ მოთხოვნა და მიწოდება აგრარულ პროდუქციაზე და დაგეგმონ სარეკლამო კამპანია პროდუქციის გაყიდვის ზრდის მიზნით.

კოოპერატივები ასევე გამოიყენება შერჩეული ს/ს კულტურების მარკეტინგისთვის, მაგრამ არა ისევე ფართოდ, როგორც რძისა. მაგალითს ბამბის ბოჭკო წარმოადგენს. ზოგადად მწარმოებელმა ჩამოაყალიბა ბოჭკოს კოოპერატივი, რათა თავისი ბამბა თვითღირებულებით გადაეშუშებინა.

მთავრობა. სამთავრობო შესყიდვების პროგრამა ასევე დიდი რაოდენობის რბეს ყიდულობს. ეს რბე გამოიყენება სასკოლო ლანჩის პროგრამის ან საჯარო კანონი 480-ის პროგრამის ფარგლებში. საჯარო კანონმა 480, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც აგრარული ვაჭრობის განვითარებისა და ხელშეწყობის აქტი, კანონის სახე 1954 წელს მიიღო. ამ აქტის მიხედვით ჭარბი პროდუქცია განვითარებად ქვეყნებს ბლოკირებული ვალუტის სანაცვლოდ მიეწოდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ ფულით გადაცემა შეძლებოდა მხოლოდ ქვეყანაში, რომელიც შესყიდვას ახორციელებდა, რათა სტამბული მთვრა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა ნაჭარბის ღონაყას კატასტროფაგანცილილი ქვეყნებისათვის.

მმართველობის ინტეგრირება. ფრინველთა ბაზარზე სახორცედ გამოიზნული წიწილების დაახლოებით 99% იზრდება სისტემის მეშვეობით, რომელსაც ვერტიკალური ინტეგრირება ეწოდება (ცხოველების წარმოების, მარკეტინგისა და გადაამუშავების სხვადასხვა ნაბიჯები გაერთიანებულია). საფერმერო პროდუქტების წარმოებისა და მარკეტინგისთვის ვერტიკალური ინტეგრირების გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას წარმოების საკმაოდ მსხვილი სისტემები, რომლებიც ძალიან ეფექტურია. წარმოებულია მხოლოდ მომხმარებლისათვის საჭირო ცხოველების რაოდენობა. კონკურენცია სხვა მწარმოებლების მხრიდან ნაკლებია და წარმოების ყველა ფაზა კონტროლდება. „ტაისონ ფუდს“-ის ფრინველის წარმოების სისტემა არის ვერტიკალური ინტეგრირების მაგალითი. ღორების წარმოებაც სწრაფად დგება ვერტიკალური ინტეგრირების სისტემის გზაზე.

მმართველობის ინტეგრირება. ჰეჯირებას პირუტყვის მრავალი მწარმოებელი და ცხოველთა ეხოს ოპერატორი იყენებს. ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟა მთავარი ადგილია პირუტყვის ფიჭერსული კონტრაქტებისთვის.

მარკეტინგის ბაზრის სახეობა

მარკეტინგის მწარმოებლისთვის მარკეტინგის სხვადასხვა სახეობებია მისაწვდომი. მათ შორისაა ფიჭერსული კონტრაქტი, საფორვარდო კონტრაქტირება, მოსავლის ნაღდი ფასები და ფასის დადგენა მოსავლის აღების შემდეგ. ფიჭერსული კონტრაქტი უკვე იყო ნახსენები, როგორც მარკეტინგის სახეობა პირუტყვისთვის. ფიჭერსული კონტრაქტი აქ აღარ იქნება ნახსენები, რადგან მეთოთხმეტე თავი მთლიანად სასაქონლო (ფიჭერსული) მარკეტინგს მიეძღვნა.

საფორვარდო კონტრაქტი. საფორვარდო კონტრაქტი საშუალებას აძლევს მწარმოებელს დაადგინოს ფასი, რათა თავიდან აიცილოს ფასის დაცემა. თუმცა საფორვარდო კონტრაქტმა ასევე შესაძლოა მოგვაც შეამციროს. ქემ-ფორვარდული კონტრაქტი ფასის მოსავლის აღებამდე დადგენის კიდევ ერთი ალტერნატივაა. ფიჭერსული კონტრაქტის მსგავსად, მწარმოებელი ცდილობს დაადგინოს ფასი, რათა აიცილოს ფასის შემცირება. თუმცა საფორვარდო კონტრაქტი ასევე მოგვასაც ამცირებს.

საფორვარდო კონტრაქტის მთავარი მიზანი ფასის დადგენის შესაძლებლობის გამოყენება და საფასო რისკის შემცირებაა. ასეთი კონტრაქტი ასევე უზრუნველყოფს ბაზარს მოსავლის შემდეგ და ზრდის კომპანიის კრედიტუნარიანობას გამსესხებლებისათვის.

საფორვარდო კონტრაქტები ძალაში მიწოდებაზე მიეღი წლის განმავლობაში. საკონტრაქტო პირობები მოიცავს ხარისხს, რაოდენობას, მიწოდების ვადებს, დახარისხების პროცედურას და ოურიდული დავის მოგვარების წესს ასეთის წარმოშობის შემთხვევაში. იგი ასევე განსაზღვრავს ფიქსირებულ ფასს, რასაც უკეთდება დისკონტი შეკუმშვისა და ხარისხის ფაქტორების მიხედვით.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ საფორვარდო კონტრაქტი რისკის მატარებელია. მართალია იგი ამცირებს საფასო რისკს, მაგრამ არის ისეთი რისკების მატარებელი, როგორც არის ცუდი ამინდით, გვალით, ხანძრით ან სხვა სახის დაზიანებით გამოწვეული ზარალი. არსებობს აგრეთვე სავალდებულო ლეგალური ვალდებულებები, როდესაც საფორვარდო კონტრაქტის გაფორმება ხდება. მწარმოებლებმა კარგად უნდა გაიაზრონ აღნიშნული ფაქტორები, სანამ საფორვარდო კონტრაქტს გამოიყენებენ.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგი უპირატესობა, რომელიც საფორვარდო კონტრაქტს გააჩნია ფიზერსულთან შედარებით:

- შეიძველსა და გამოიძველს საფორვარდო კონტრაქტის მიხედვით შეუძლიათ რაოდენობის შეთანხმება, როდესაც ფიზერსული კონტრაქტის მიხედვით ვაჭრობენ 5,000 და 1,000 ლოტებით;

საფორვარდო კონტრაქტები არ ითვალისწინებს საბოკერო ანაზღაურებასა და საკომისიოს, როგორც ეს ფიზერსული კონტრაქტების დროს ხდება;

საფორვარდო კონტრაქტები არ მოითხოვს ბაზრის ისე კარგად ცოდნას, როგორც ეს ფიზერსული კონტრაქტებისთვის არის საჭირო.

ნაკლოვანება საფორვარდო კონტრაქტის გამოყენებისას ის არის, რომ გამოიძველს არ შეუძლია კონტრაქტიდან გამოსვლა. ხოლო თუ მწარმოებელი ახდენს ქვეცირებას ფიზერსული კონტრაქტის მიხედვით, მას ნებისმიერ დროს შეუძლია გამოსვლა კონტრაქტიდან ქვეცის აწვეის გზით.

ფასის დადგენა მოსაველისას

მოსაველის დროს ფასის დადგენა ტრადიციული მეთოდია, რომელსაც მწარმოებლები იყენებენ. ისინი უზრალოდ იღებენ მარცვლეულის მოსაველს, მაქვთ იგი ელექატორში და ყდიან მიმდინარე ფასად. მოსაველის დროს ფასის დადგენა დღესდღეობით ნაკლებად გამოიყენება მოსაველის დროს მარცვლეულის ფასის შემცირების გამო. ნაღდი ფასი კიდევ ერთი სახელწოდებაა დომინანტი მიმდინარე ფასისა.

მწარმოებლებს აგრეთვე შეუძლიათ მარცვლეულზე ფასის დადგენა მოსაველის აღებისას, მაგრამ საფასურის გადახდისა და საქონლის მიწოდების გადავადებით. ამის გაკეთება მათ შეუძლიათ საფორვარდო კონტრაქტით ან ქვეცირებით ფიზერსული კონტრაქტისას. ასეთი სტრატეგია ეფექტურია, როდესაც ფართო ბაზისი არსებობს. ამგვარ სიტუაციაში შენახვით მიღებული შემოსავალი შესაძლოა ჩვეულებრივზე მეტი იყოს მარცვლეულის შენახვის გამო. მომავალი პერიოდების შემოსავლებიც მომგებიანია საგადასახადო კუთხით, რადგან შემოსავლის რეალიზებას ადგლი არ ექნება გვიან თარიღამდე. ასეთი სტრატეგიის ნაკლოვანებას ის წარმოადგენს, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ნაღდი ფულის საჭიროების დაუყოვნებლივ მოთხოვნებს.

შპსის დადგენა მოსავლის აღების შემდეგ

მოსავლის აღების შემდეგ ფასის დადგენა ყველაზე ხშირად გამოყენებადი სტრატეგიაა მარკეტულულისთვის ფასის განსაზღვრისას. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ფასის განსაზღვრა შესაძლოა მოხდეს მოსავლის აღებიდან დაუყოვნებლივ ან ათზე მეტი თვის განმავლობისას. მარკეტულულის შენახვა მნიშვნელოვანი ელემენტია მოსავლის აღების შემდეგ ფასის დადგენისას.

შენახვის პერიოდში ფასი შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს. მწარმოებლებს, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ, სჭირდებათ იარაღი საფასო რისკისაგან საკუთარი თავის დასაცავად. ფიურერული ოფციონი დაზღვევის ერთგვარი სახეობაა ფასის შემცირებისგან. პრემია, გადახდილი ოფციონისთვის, არის შენახული მარკეტულულის დაზღვევის ღირებულება. ფიურერული ბაზრებისა და საფორვარდო კონტრაქტების გამოყენება ასევე იცავს მწარმოებელს ფასის შემცირებისგან.

ხილისა და ბოსტნეულის ბაზრების სახეობა

სანამ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, თუ რა ტიპის ბაზარი იქნება გამოყენებული, გათვალისწინებულ უნდა იქნას წარმოებული პროდუქტის სახეობა, ბაზრის მისაწვდომობა, მუშაველის არსებობა და პერსონალური მისწრაფებები. გზისპირა ბაზრები, საფერმერო ბაზრები, ადგილობრივი ბროკერები, „მოკრიფთა თაყად“, საბითუმოდ მოვაჭრე კომპანიები და პირდაპირი მიყიდვა გადამამუშავებლებისთვის – ყველა სიცოცხლისუნარიანი არჩევანია.

გზისპირა ბაზრები. გზისპირა ბაზრები დიდი ხანია წარმოადგენს ხილისა და ბოსტნეულის მარკეტირების გზას მათთვის, ვისაც იგი მოჰყავს. ზოგ მწარმოებელს ხილი და ბოსტნეული მოჰყავს გზისპირა სტენდებზე გაყიდვის მიზნით. ზოგი მწარმოებელი გასაყიდად ყოფილობს ხილსა და ბოსტნეულს დამატებით იმ პროდუქციისა, რომელიც თაყად მოჰყავს. ზოგიერთებისათვის გზისპირა ბაზარი ძირითად ბიზნესად იქცა. მომხმარებლებს უცვართ გზისპირა ბაზრებზე პროდუქციის შექნა ხილისა და ბოსტნეულის სისაღისა და უსაფრთხოების გამო. ზოგი მომხმარებელი მზად არის მეტიც კი გადაიხადოს ასეთი პროდუქციისთვის მისი ხარისხის გამო. გზისპირა სტენდები ქვეყნის უმეტეს რეგიონებში სეზონური ბიზნესია, თუ მათთვის მისაწვდომი არ არის პროდუქცია წყარობიდან, სადაც ზრდის სეზონი უფრო გრძელი ან განსხვავებულია.

საშარმარო ბაზრები. საფერმერო ბაზრები წარმოიქმნა მცირე ქალაქებსა და მსხვილ მეტროპოლიტანში, რათა ურბანული მომხმარებლის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. ასეთი ბაზრები ურბანული და ქვეურბანული მომხმარებლისთვის მისაწვდომი ხდის საღ პროდუქტს, მოწოდებულს უშუალოდ მწარმოებლისგან. საფერმერო ბაზარი მწარმოებლისათვის მისაწვდომს ხდის ბაზრებს, რაც სხვაგვარად იშვიათ შემთხვევისას თუ იქნებოდა შესაძლებელი. მწარმოებელს ასევე საშუალება აქვს მომხმარებელს მეტ ზურობა გაუწიოს კარგი საფერმერო პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით.

